N41 (592) 13/X-19/X-2011 ფასი 1 ლარი

# გზა

**ჩემი რჩეული**
**ოტია იოსელიანი**
ექვსტომეული
ტომი V
შეგიძლიათ შეიძინოთ „გზის" ამ ნომერთან ერთად!
წიგნი და „გზა" ერთად 6 ლარი ღირს
წიგნის ფასი 5 ლარი
შემდეგ
**ოტია იოსელიანი**
ტომი VI



## ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების გზა

ექსკლუზიური ფოტოსურათები ივანიშვილების საოჯახო ალბომიდან

როგორ ზრდიდა მულტიმილიონერი შვილებს

„ის ბერას არჩევანს ყოველთვის იწონებს..."



ნინუცა მაყაშვილი ხალხს საკუთარი იმიჯით აკვირვებს

„ბევრს გიჟი ვეგონე..."



ვინ დაურღვია მყუდროება მანიკა ასათიანსა და მის მეუღლეს

„ღამით ტირის და ამიტომაც, მის გასხვისებაზეც ვფიქრობდით"

ბათუმში დასახლებული აფხაზები და ფოტოები, რომლებიც ქართულ პრესაში პირველად იბეჭდება



„ამ აფხაზების სინდისი კვლავ სუფთა დარჩა"



ვისზეა შეყვარებული პაატა ინაური

„ასეთ დროს ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?!"

ISSN 1987 - 5029

## ფინანსური ციებ-ცხელება საბერძნეთში და ქართველი ემიგრანტების გასაჭირი

# სმოკერ ხელტი

განიცადეთ სიამოვნება, იზრუნეთ პირად ჰიგიენასა და ჯანმრთელ ცხოვრებაზე!




კბილის პასტა 55 მგ

## სმოკერ ხელტი

წარმოადგენს სოიოს მარცვლებიდან მიღებულ აქტიურ ნივთიერებებზე დამზადებულ ნატურალურ პროდუქტს.

მისი შემადგენელი კომპონენტები ანადგურებენ პათოლოგიურ მიკროფლორას, რითაც იცავენ პირის ღრუს სხვადასხვა დაავადებებისა და კბილებზე ნადების განვითარებისაგან რითაც უზრუნველყოფენ ჯანსაღ სუნთქვას.

კბილის პასტა სმოკერ ხელტს განსაკუთრებით საჭიროებენ ყავის, ალკოჰოლისა და თამბაქოს მომხმარებლები!

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონტა ფარმა"
მიცკევიჩის № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს



# ჰილ კრემი

განთავისუფლდით კანის პრობლემებისაგან!

## ჰილ კრემი

- წარმოადგენს უნიკალურ დამატენიანებელ და აღმდგენ საშუალებას, რომელიც მოქმედებს როგორც კანის ზედაპირულ ,ისე მის ღრმა მშრეებზე, რაც უზრუნველყოფს ნახეთქების და წყლულების სწრაფ შეხორცებას.
- ხელს უწყობს ფსორიაზის დროს კანზე განვითარებული ქერქების დარბილებას და მის აშრევებას.




გამოყენების წესი: გამოიყენება დღეში 2-ჯერ, დილა საღამოს.

Nabros
Pharma Pvt. Ltd.

მწარმოებელი: „ნაბროს ფარმა"
ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში
შ.პ.ს „კონტა ფარმა"
მიცკევიჩის № 56
ტელ: 223 63 25

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას გვერდითი მოვლენების შემთხვევაში დამატებითი ინფორმაციისთვის მიმართეთ ექიმს



# მხოლოდ საბა ჯგუფთან ერთად

ქ. თბილისის მერიის პატრონაჟით



თიბისი ბანკი TBC BANK დაფინანსებ

1 მ² - 500$-დან

ჩაბარება 2012 წლის დეკემბერ

მშენებლობის პროცეს ონლაინ კონტროლი

# გურამიშვილის 78

*saba (*7222)

მთავარი ოფისი:
თბილისი,
ბუდაპეშტის 7

238 44 33
577 777 077
579 770 026

www.saba-jgupi.ge

ქვირის პალიტრა
გზა
№41 (592)
13 - 19 ოქტომბერი, 2011 წ.
ფასი 1 ლარი

## ქვეყანა



### იაკობ გოგებაშვილის „ნაპატიმრალი" წიგნი — ჟურნალ „კარიბჭესთან" ერთად

ჟურნალ „კარიბჭესთან" ერთად, მკითხველმა იაკობ გოგებაშვილისეული „საღმრთო ისტორია" მიიღო. წიგნის რედაქტორ-შემდგენლები და სარედაქციო ჯგუფის წევრები ტექსტზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ, რის შედეგადაც გოგებაშვილის ხელნაწერმა დღის სინათლე იხილა. რადგან წიგნის შემდგენელი — ბატონი ზურაბ კალანდაძე საქართველოში არ იმყოფება.

17

## სახე





### რით აკვირვებს ხალხს ნინუცა მაყაშვილი

„რომ გითხრათ, გამორჩეულად რომელიმე ბრენდის ან სტილის სამოსი მომწონს-მეთქი, მოგატყუებთ. საკმაოდ ბევრი მაქვს ბიჭის ჯინსის შარვალი, ჩაჩაჩული და „მოჯაჯული" ტანსაცმელი."

20

■ მინიატიურები 5
„მარგალიტა, აანთე ლამპა!"
■ ჭრელი მსოფლიო 6
■ პერსონა 7
ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების გზა
■ კრიზისი 12
ფინანსური ციებ-ცხელება საბერძნეთში და არჩევანის წინაშე მდგარი ქართველი ემიგრანტები
■ პროფესია 14
■ საზრდო 17
იაკობ გოგებაშვილის „ნაპატიმრალი" წიგნი — ჟურნალ „კარიბჭესთან" ერთად
■ ტანდემი 18
როდის გრძნობს თავს კომფორტულად მიშა ანდღულაძე
■ იმიჯი 20
რით აკვირვებს ხალხს ნინუცა მაყაშვილი
■ დედმამიშვილები 21
ვის რჩევებს ითვალისწინებს ჯაპანა
■ გარემო 23
ვის გასხვისებაზე ფიქრობდნენ მანიკა ასათიანი და მისი მეუღლე
■ ეკრანს მიღმა 24
რით მოხიბლა ლელა წურწუმიამ პაატა ინაური

## ცხოვრება

### „მენაგვეთა პარტია" უნდა შევქმნა — მინდა, რომ საქართველო დავგავო"



„ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ მაშინ არც ისე ცუდი რამ დამემართა, რადგანაც ჭკუა ვისწავლე — მივხვდი, რომ უცხოეთში „ქართული წესებით" ცხოვრება არ შეიძლება."

28

## გზავნილები

### ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო



„ის ორი შვილის მამაა და მისი სიყვარულის უფლება არ მქონდა. შვილიც მყავს უკვე, მაგრამ ჩემი ერთადერთი სიყვარული ისევ ძველებურად მიყვარს. არავის ვუსურვებ ჯოჯოხეთს, ქმრის გვერდით უსიყვარულოდ ცხოვრება რომ ჰქვია."

64

■ **კარიერა** 26
რით ანებივრებს სოფო კუჭავა შვილს

■ **შემოქმედი** 28
„მენაგვეთა პარტია“ უნდა შევქმნა — მინდა, რომ საქართველო დავგავო“

■ **სასოწარკვეთილი დიასახლისები** 30

■ **ემიგრანტი** 32
„ვინც ვერ გარბის, ის აუცილებლად გაისრისება“

■ **კულისები** 34
ახმეტელის თეატრის „ღია შუშაბანდი“

■ **გასაჭირი** 35
„არ მინდა, ფარ-ხმალი დავყარო, მაგრამ“...

■ **თინეიჯერული პონტები** 37
თინეიჯერების სულის სიმტკიცე

■ **სადაურსა სად წაიყვან** 40
„ხშირად მავიწყდება კიდეც, რომ არაბი ვარ“...

■ **ანტიდეპრესანტი** 42

■ **ავტო** 42

■ **ერუდიტი** 44
„მაღალი დონის აფერისტებთან ურთიერთობა საინტერესოა“

■ **ტაძარი** 46
დანიელ წინასწარმეტყველი

■ **ისტორიის ლაბირინთები** 48
როგორ დასახლდნენ აფხაზები აჭარაში

■ **საკითხავი ქალებისათვის** 51

■ **ჯანმრთელობა** 52

■ **წვეთი პოეზია** 54

■ **რჩეული** 55

■ **ქართული დეტექტივი** 56
რუსუდან ბერიძე. აბრეშუმის ვალეტი (გაგრძელება)

■ **რომანი** 60
სვეტა კვარაცხელია. ყალბი ლტოლვა (გაგრძელება)

■ **გზავნილები** 64
ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო

**ეს სამყაროა** 76

**გასართობი** 78

**ასტროლოგია** 80

**სკანვორდი** 81


## სამყარო



### „ხშირად ცდუნებას მეც ვერ ვუძლებ“

„თუ წიგნზე გავგიჟდები, გადავირევი და არ მათხოვებენ, ვიპარავ. სახლში არაერთ მოპარულ წიგნს ვინახავ. თავადაც მომპარეს „ქართული ღვინოები“. ძალიან კარგი გამოცემა იყო და გული მწყდება.“

44

## ბიბლუსი





### ვალეტი

— მკვლელი მარტო იყო?
— ჩემი აზრით, მარტო იყო. მაგრამ ჯერ ესეც მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ.
— 3 ზუსტი გასროლა... ერთი გულში, ერთი მუცელში და ერთიც შუბლში...

56

## ტაიმ-აუტი



### ცნობილი განგსტერები

„ბიჭები“ ქურდობდნენ და მანქანებს იტაცებდნენ. 70-იან წლებში გოტი გამბინოს ერთ-ერთი კლანის წევრი გახდა, რომელსაც პოლ კასტელო ხელმძღვანელობდა.

76


საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: **ანა უთურგაიძე**
კომპიუტერული უზრუნველყოფა: **ირმა ლიპარტელიანი, რეზო თხილიშვილი**

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. #49
ტელ: 238-84-44, ფაქსი: 238-08-63. email: gza@palitra.ge
რეკლამა „გზაში“: 237-78-07; 238-78-70.

# „მარგალიტა, აანთე ლამპა!"



**შესავლის ნაცვლად** **მაპი ხომ გახსოვთ, მაპი?! ჰო, ნატოში შესვლის „ბილეთზე" გეუბნებით. არც მე მახსოვდა, მაგრამ ჩამოვიდა სარკოზი და აგვიშალა ისევ საღერღელი...**

**არა, ჯერ წინა „პროვოკაციის" ამბავი უნდა ვთქვა მოკლედ: ხალხო, თქვენ ხუმრობა არ იცით? წერას თავს ვანებებ-მეთქი, ისე ვთქვი, ხუმრობით, „სიუჟეტს სჭირდებოდა" და ზოგიერთს მართალი არ ჰგონებია?! ერთმა მკითხველმა იმხელა წერილი გამომიგზავნა (სადაც სამშობლოსათვის ჩემი „პროვოკატორობის" აუცილებლობას ამტკიცებს), რომ ბოლომდე ჯერ ვერ წავიკითხე.**

**მოკლედ, არსად მივდივარ, წერას თავს არ ვანებებ, მაგრამ სხვა რამეების წერაზე გადავდივარ (ცნობისათვის, ახლაც ვხუმრობ, ახლაც „სცენარს სჭირდება"), ოღონდ არ ვიცი, რისი... ვაჰ, სცენარზე გამახსენდა, სერიალების სცენარების წერას ვიწყებ!**

**მაშ ასე: პირველი სერია!**

მიდის ტიტრები და ჟღერს იდიოტური საუნდტრეკი, რომლის ყოველი ფრაზა ასე მთავრდება: „მიშა მაგარიაააააა!!!!!!!!!"

სიმღერა თანდათან წყდება და სანამ ტიტრები დამთავრდება, კადრს მიღმა ხმა მაყურებელს აუწყებს, რომ მოქმედება მიმდინარეობს ფერმაში, რომელსაც ორი ისტორია ჰქონდა: ერთი — შავბნელი, ღარიბი და საძაგელი, რომელიც 3500 წელი გრძელდებოდა და 2003 წლის შემოდგომაზე დასრულდა; მეორე — ნათელი, მდიდარი და „საყვარლობა", 2003 წლიდან ამ ფილმის მოქმედების წუთებამდე. დანარჩენს „პა ხოდუ" გაიგებთო...



აი, კადრში გამოჩნდა ფერმის გამგე, რომელსაც ფერმის პატრონი ჰგონია თავი. ხელში სიმინდი უჭირავს და ცდილობს, ღორს ძალით აჭამოს, მაგრამ ღორიც კი არ ჭამს და გამგე თავის ხელქვეითებს უბრძანებს, ამ სიმინდით მჭადი გამოაცხონ და ფერმის ყველა ბინადარს აჭამონ; თანაც ებრძანოთ, რომ მოწონების ნიშნად პირი აწკლაპუნონ და თუ მოიწამლებიან, არ ჩაისვარონ.

შემდეგ კადრში უკვე საღამოა. ფერმის გამგე-პატრონიც, მისი მუშებიც, მოსამსახურეებიც და ცხოველებიც დაბანილ-დავარცხნილები ეზოში დგანან და ჭიშკარს მიშტერებიან, რომელიც მთელი ფერმისთვის ერთი თვის სამყოფ საჭმელ-სასმელში გაუცვალა გამგე-პატრონმა მეზობელი დიდი ფერმის (უპატრონოს რომ ჰგავს) პატრონს, რომელსაც სულ დედას აგინებს, მაგრამ კვირა ისე არ გავა, რომ რამე ან არ აჩუქოს, ან ბრიყვული გარიგება არ დაუდოს — მაგალითად, კატას გაუცვლის ძროხაში, რადგან უცხო სტუმარი რომ მოუვა, კატას მიუყვანს მისაფერებლად, აბა ნეხვიან ძროხას ხომ არ მიაფერებინებს?!

მერე, ის სტუმარი რომ წავა და რძე რომ დასჭირდება, ერთ ვედრო რძეში ისევ იმ კატას გაუცვლის და დარჩება თვითონ პირდაღებული — კატაც იქით, ძროხაც და ხეირიც. აქეთ — მხოლოდ ვირთხები, უკეთეს შემთხვევაში — ვირები...

აი, გამოჩნდა მდიდრული ეტლი. იქიდან მეტრნახევრიანი კაცუნა ცქვიტად გადმოხტა. ფერმის გამგე-პატრონი იმწუთას ეახლა, მის წინ გაწვა, რომ საგანგებოდ მომზადებულ პოდიუმამდე სტუმარს ფეხი არ ჩაეკრა ან არ დაენახა ნეხვი, რომლითაც მთელი ეზო იყო სავსე.

ფერმის ბინადარნი, აღტაცებულნი, ერთხმად ღრიალებდნენ, ზმუოდნენ, კნაოდნენ, ყროყინებდნენ და ღრუტუნებდნენ. განსაკუთრებით ეს უკანასკნელნი აქტიურობდნენ, რადგან დაჰპირდნენ, — ხმამაღლა თუ იღრუტუნებთ, რკოს მოგცემთო და ესენიც თავს არ ზოგავდნენ: „რკო-ზი! რკო-ზი! რკო-ზი!"

სტუმარმა, ფეხი მასპინძლის ქეჩოზე შეიწმინდა და ომახიანად შესძახა: „ჯიგრები ხართ! მართალია, ისევ საბჭოთა ფერმა ხართ, მაგრამ რადგან ასე გიხარიათ, გეტყვით: აქ რომ ვარ, თვალს რომ დავხუჭავ, ცხვირზე ხელს მოვიჭერ და ერთ-ორ ჭიქას გადავკრავ, თავი ნავაროჩენი ფერმაში მგონია!" (იცით, რა გამახსენდა? „აანთე, მარგალიტა, ლამპა, თორემ თავი საფლავში მგონია!.."). ატყდა ისევ ღრიანცელი... ყველას უხარია და ყველა სულელივით იცინის... განსაკუთრებით უხარია და განსაკუთრებით „თავისებურად" იცინის გამგე-პატრონი...

**P.S.** **მერე მიდის შემდეგი სერიის ანონსი: ფერმაში ავის მომასწავებელი სიჩუმეა, მუშა-მსახურები გაოგნებულები უყურებენ გამგე-პატრონს, რომელსაც შიშისგან ფერი აღარ ადევს და კიდევ უფრო მეტ სისულელეს ამბობს. ცხოველები სადგომებში მიყუჟულან და ერთმანეთს ეჩურჩულ-ეღრუტუნ-ეწკმუტუნ-ეზმუილებიან: „ფული ჰქონია ნეხვივით! გვაჭმევს, გვასმევს, ფერმას გაარემონტებს, ამ ჩვენს უფროსს იყიდის, გაყიდის და ისევ იყიდის!.. მაგარი ყოფილა, მაგარი!" ბებერმა, გამოცდილმა ძაღლმა ამოიწკმუტუნა: „არც მასეა საქმე, რამე ჩათლახობას მოუგონებს ეს"...**

P.P.S. **აი, დავამთავრე წერა და მართალი აღმოჩნდა ის ბებერი ძაღლი: საქართველოს მოქალაქე არ არისო, გაახსენდათ...**

*პროვოკატორი*

ავტორს შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ ელფოსტით:
provokatori67@gmail.com

# ბრიტანეთში კომიკოსებს გიგანტური ხალიჩა დაუგეს

ბრიტანეთში ლეგენდარულ კომიკოსებს გიგანტური, 1880-მეტრიანი ხალიჩა დაუგეს, სადაც მათი ყველაზე ცნობილი ხუმრობებია დაბეჭდილი. ხალიჩა ბლექპულში, საზეიმოდ გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ცნობილ კომიკოსთა შორის ყველაზე გონებამახვილად ლეს დოუსონი და ფრენკ ჰოვარდი მიიჩნევიან.




ბრუს ფორსაიტის ცნობილი გამონათქვამი: NICE TO SEE YOU — TO SEE YOU...NICE! და ტომი კუპერის ფრაზა: JUST LIKE THAT ხალიჩაზე ყველაზე დიდი შრიფტითაა დატანილი. ამ გიგანტური ხალიჩის შექმნას ბრიტანელმა დიზაინერმა — გორდონ იანგმა 5 წელი მოანდომა. მასზე 160 ათასი წერილია. ■

# ჰოლივუდის ვარსკვლავები აუდიოწიგნებს გაახმოვანებენ

ნიკოლ კიდმანი, ქეით უინსლეტი, დასტინ ჰოფმანი და კოლინ ფერტი გამომცემლობა Audible-ის პროექტის ფარგლებში აუდიოწიგნებს გაახმოვანებენ. აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს „მოლაპარაკე წიგნებმა“ ბეჭდური და ელექტრონული ბიბლიოთეკაც კი დაჩრდილა.

„მსახიობებს ეს სამუშაო მოსწონთ, რადგან არც გრიმის გაკეთებაა საჭირო და არც — ვრცელი ტექსტების დამახსოვრება“, — აცხადებენ გამომცემლობაში. Audible-მ ჰოლივუდის სხვა სახეებიც მიიზიდა: ჯენიფერ კონელი, ანეტ ბენინგი, სემუელ ელ ჯექსონი, ნაომი უოტსი, მეგ რაიანი და სხვები. ჰოლივუდის ვარსკვლავების მიერ გახმოვანებული აუდიოწიგნები მაღაზიებში მომავალი წლიდან გაიყიდება.

აუდიო, იგივე ხმოვანი წიგნები პირველად 1932 წელს, აშშ-ის კონგრესის გადაწყვეტილებით შეიქმნა. ის უსინათლო მოსახლეობისთვის იყო განკუთვნილი და უფასოდ დარიგდა. აუდიოწიგნების წარმოება კომერციული მიზნით 1952 წელს დაიწყო, დღესდღეობით კი ხმოვანი წიგნების სავაჭრო ბრუნვა მსოფლიოს ბაზრებზე 800-850 მლნ დოლარს აჭარბებს. ■

# ბიგ-ბენი ინგრევა

ბრიტანეთის დედაქალაქის ცნობილი სიმბოლო — ბიგ-ბენის კოშკი ამ დროისთვის ნახევარი მეტრით გადახრილია. დღემდე ის სტაბილურად, მაგრამ ნელ-ნელა ნადგურდებოდა, ახლა კი ინჟინრებმა, რომლებიც ბიგ-ბენს სწავლობენ, დაადგინეს, რომ ის უფრო სწრაფად დაინგრევა, ვიდრე ვარაუდობდნენ. მათი აზრით, ბრიტანეთის სიამაყე დაახლოებით 4 წელიწადში, პიზის კოშკის მდგომარეობას მიაღწევს.

ექვემდებარება თუ არა ბიგ-ბენი რესტავრაციას, ჯერჯერობით უცნობია. ■



# ჰილარი სვონკი და ჟან კლოდ ვან დამი გააკრიტიკეს

ჰოლივუდის ვარსკვლავები, ოსკაროსანი ჰილარი სვონკი და ჟან კლოდ ვან დამი ადამიანის უფლებების დაცვის ორგანიზაციებმა ჩეჩნეთის პრეზიდენტის — რამზან კადიროვის დაბადების დღეზე სტუმრობის გამო გააკრიტიკეს.

სვონკმა და ვან დამმა დაბადების დღეზე კარგად მოილხინეს, მოუსმინეს ვანესა მეის და კადიროვიც ადღეგრძელეს. აღსანიშნავია ისიც, რომ იუბილარს 35 წელი სიმღერით მიულოცა ცნობილმა უკრაინელმა შემსრულებელმა სოფია როტარუმ, რომელმაც ჩეჩნეთის ლიდერი სცენაზევე გადაკოცნა. ღონისძიებაზე მიწვეული გახლდათ შაკირაც, რომელმაც წვეულებაზე მისვლა ბოლო მომენტში გადაიფიქრა, ამის მიზეზად კი ჩეჩნეთში ქალთა უფლებების დარღვევა დაასახელა.



Fond Human Rights Foundation-ის პრეზიდენტმა, ტორ ჰალვორსენმა ამ ფაქტთან დაკავშირებით განაცხადა: „ჰილარი სვონკს უფლება აქვს, ფული სხვადასხვა ღონისძიებაზე დასწრებით იშოვოს, მაგრამ კადიროვის დაბადების დღეზე მისვლა მისთვის მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მითხარით, ფულის შოვნის მიზნით, პინოჩეტის მიერ მოწყობილ საზეიმო ღონისძიებაში ან „ალ-ქაიდას“ რომელიმე ლიდერის მიერ ორგანიზებულ წვეულებაში თუ მიიღებდა მონაწილეობას? ჩვენ უნდა გვახსოვდეს მერაია ქერის, ნელი ფურტადოს, ბიონსესა და 50 Cent-ის სირცხვილი, როდესაც ამ ადამიანებმა მილიონების შოვნის მიზნით, მუამარ კადაფის ოჯახისთვის იმღერეს“. ■

# ბიძინა ივანიშვილის ცხოვრების გზა

**წლების წინ საჩხერეში რომ მოვხვდი, ყველას ბიძინა ივანიშვილის სახელი ეკერა პირზე. უამრავ ფაქტს მოჰკრავდი ყურს, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე „კოლორიტული" შვეულმფრენებს ეხებოდა: ბევრი საჩხერელი ჰყვებოდა, რომ ბიზნესმენს მშობლიურ სოფელ ჭორვილაში 2 შვეულმფრენი ჩამოუყვანია — ერთ-ერთ მათგანს საკუთარი საჭიროებისთვის, სხვადასხვა ქალაქში სწრაფად გადასაადგილებლად იყენებს, მეორე კი უმეტესად, ჰაერში იმისთვის ადის, რომ მილიარდერის შვილები და ოჯახის ახლობელი ბავშვები გაასეირნოსო...**



*ხათუნა ბახტურიძე*

## როგორ ზრდიდა მილიარდერი შვილებს

ალსანიშნავია, რომ ადგილობრივები მსგავს ფაქტებზეც ისევე თვალებგაბრწყინებულები ლაპარაკობდნენ, როგორც ბიძინა ივანიშვილის მიერ ჩადენილ სასიკეთო საქმეებზე. ამას იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ხშირად, ჩვენში მაინც, გაღიზიანებას იწვევს სხვისი სიმდიდრე და ფუფუნებაში ცხოვრების მაგალითები... ბიძინა ივანიშვილის ან მისი რომელიმე ახლობლის აუგად ხსენების ვერც ერთ შემთხვევას ვერ გავიხსენებ, ვერც საჩხერეში მაშინდელი სტუმრობისას და ვერც იქაურებთან კონტაქტის დროს, რისი საშუალებაც შემდგომშიც არაერთხელ მომეცა.

იმავეს ამბობენ „გზისა" და „რეიტინგის" ჟურნალისტები, რომლებიც 9 წლის წინ დაადგნენ ჭორვილისკენ მიმავალ გზას, რათა ადგილზე მოეპოვებინათ ინფორმაცია იდუმალი, ბევრი რამით სრულიად გამორჩეული საქმოსნის შესახებ და მიუხედავად იმისა, რომ პირადად მასთან შეხვედრა ვერ მოახერხეს, მათდა სასიხარულოდ, ბატონი ბიძინას დედ-მამის სტუმრები აღმოჩნდნენ. ქალბატონი ციცინო და ბატონი გრიშა ძალიან უბრალო, კეთილშობილი და შრომისმოყვარე ადამიანები აღმოჩნდნენ



ბიძინა ივანიშვილი ჩარხთან (1977 წ.)

(სამწუხაროდ, ბატონი გრიშა დღეს ცოცხალი აღარ არის). ქალბატონი ციცინო სტუმრებს საკუთარი ხელით გაზრდილი წიწილით, მისი მეუღლე კი წითელი ღვინით გაუმასპინძლდა... როგორც ჩანს, მულტიმილიონერი შვილის მშობლები უქმად ჯდომას მაინც, შრომას არჩევდნენ...

***ფრაგმენტი ჟურნალ „რეიტინგში" გამოქვეყნებული მასალიდან:***

„მწვანეში ჩაფლულ ეზოს ალაყაფის კარი და ბეტონის გალავანი აკრავს. ორსართულიან, ვარდისფრად შეღებილ სახლში გრიშა პაპა და ციცინო ბებო ცხოვრობენ. სახლის გვერდით, ჭიშკრიდან მარჯვენა მხარეს ყავისფერი შუშებით შემინული სასადილოა, რომელიც რესტორნის სტილშია აგებული და დიდ საქეიფო დარბაზს ჰგავს. იქვეა სამზარეულო, რომელსაც მოხუცები სასადილო ოთახადაც იყენებენ. ეზოს ცალ მხარეს კოტეჯის ტიპის ოთახებია ჩარიგებული, სადაც მომსახურე პერსონალსა და სტუმრებს აბინავებენ ხოლმე. მოკირწყლულ ქვაფენილს ვარდისფერ სასახლესთან მივყავართ, სადაც ბიძინა ივანიშვილი და მისი მეუღლე ეკა (ეკატერინე) ხვედელიძე ისვენებენ ხოლმე; იქვეა უზარმაზარი ჰამაკი, კალათბურთის მოედანი, საჩოგბურთო დარბაზი, საუნა და ა.შ. ეზო დამეწყრილია, რასაც მოხუცები განსაკუთრებით განიცდიან... კარ-მიდამოს წვრილი ქვით ნაშენი ჭა ამშვენებს. ეს ალბათ, ერთადერთი რამაა, საწნახელთან ერთად, რაც სოფლის შთაბეჭდილებას ქმნის... ორსართულიანი სახლის წინ ახალი ჯიპი დგას. ეს მანქანა ბიძინა ივანიშვილმა დედამისს აჩუქა.

**ციცინო ბებო:**

— საფრანგეთში ვიყავით. ხომ უნდა მენახა, ჩემი შვილი უცხო ქალაქში როგორ ცხოვრობს? მთელი ქალაქი შემოვიარე. ყველაფერი დავათვალიერე. ბიძინამ ეს მანქანა მიყიდა და მაჩუქა, რათა საკუთარი მანქანით მევლო, უფრო სწორად, დაცვას ვეტარებინე. რომ წამოვედი, აქაც გამომატანა, მას შემდეგ ეზოში დგას.

**— ხშირად ჩამოდის?**

**გრიშა პაპა:**

— არასდროს არ ვიცით, სად არის, როდის ჩამოვა, მაგრამ ყოველი მისი მოსვლა დღესასწაულია. განსაკუთრებით მაშინ, თუ შვილებიც მოჰყავს. ეზოში ისეთი მხიარულებაა ხოლმე, რომ გულს უხარია.

**— შვილიშვილები ხშირად მოდიან?**

— ბიძინას შვილები ძირითადად, ზაფხულობით ჩამოჰყავს. მათ კიდევ ფრანგულისა და ქართულის მასწავლებლები მოჰყვებიან ხოლმე, ზოგჯერ მათემატიკისაც. ეს ოთახებიც ძირითადად, მასწავლებლებისთვის არის აშენებული.

**— ბავშვებმა ქართული კარგად იციან?**

— ძალიან კარგად. ჩემი რძალი და ბიძინა მათ სულ ქართულად ელაპარაკებიან. ისინი ხან საფრანგეთში ცხოვრობენ, ხან მოსკოვში, ხანაც საქართველოში. ამიტომ ბავშვებმა ფრანგულიც კარგად იციან, რუსულიც და ქართულიც. სხვა ენებსაც სწავლობენ.

**— ბიძინა მკაცრი მამაა?**

**ციცინო ბებო:**

— არ არის მკაცრი. პირიქით, ძალიან რბილია. ბავშვებს ანებივრებს. ხომ ხედავთ ამ სურათებს, ბავშვს დიდი დაბადების დღე გადაუხადა პარიზში. უზარმაზარ პარკში, თავი ზოოპარკში გეგონებათ.

**— რა ჰქვიათ ბავშვებს?**

— უტა, ბერა და გვანცა. ერთი

შვილი ალბინოსი ჰყავს, მაგრამ ძალიან ნიჭიერი ბიჭია.

**— რძლით კმაყოფილი ხართ... როგორ დაქორწინდა ბიძინა?**

— ეკა გაურიგეს, კარგი ქალია, მასთან ერთად ბიზნესშია ჩართული. ბიძინა ამბობს, რომ ეკა ძალიან ნასწავლი და ნიჭიერია. კარგი ცოლქმრობა აქვთ. ბევრს მუშაობენ.

**გრიშა პაპა:**

— ბიძინა ძალიან დაღლილია ხოლმე. როცა ჩამოვა, ყოველთვის ვატყობ, დასვენება სჭირდება. რაც გაჩნდა, მას შემდეგ შრომობს. უმუშევარი არასდროს ყოფილა. მე ახალგაზრდობაში მაღაროში ვმუშაობდი. თავს არ ვზოგავდი, ყოველთვის პრემიას მაძლევდნენ, ხელფასი 50 მანეთი მქონდა. მერე მეურნეობაში აგრონომი ვიყავი. ახლა პენსიაზე ვარ.

**— პენსიას იღებთ?**

— ცოტაა, მაგრამ მაინც ვიღებ. ეს ჩვენი ფულია, ჩემი შრომის გამო მაძლევენ, მაგ ფულს სხვანაირი გემო აქვს".

## ქვაზე დადებული მადლი...

სამწუხაროდ, კეთილი ოლიგარქი, რომელიც სულ ახლახან პოლიტიკურ ფიგურად იქცა, ჟურნალისტებისთვის ისევ მიუწვდომელია. როგორც გაირკვა, მისი ოჯახის წევრებსა და ნათესავებს კვლავაც „დუმილის აღთქმა" ჰქონიათ დადებული. გადავწყვიტე, მის შესახებ ინფორმაცია იმ ადამიანებისგან მომეძიებინა, რომლებიც ივანიშვილთან ჯერ კიდევ მაშინ მეგობრობდნენ, როდესაც ის მხოლოდ ერთი უბრალო, ჭორვილელი ბიჭი იყო... ის საკუთარ აუზში ყოველდღე ცურავს, არ ეწევა თამბაქოს, სადილის შემდეგ მხოლოდ კონიაკს სვამს, თუმცა ფრანგული ღვინის მარანი აქვს, რომელიც მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. ძალიან უყვარს ნარდის თამაში. დღეში 6 საათს ტერმინალ Bloomberg-თან ატარებს და ანალიტიკურ ანგარიშებს ეცნობა...



ციცინო და გრიშა ივანიშვილები (2002 წ.)

როგორც ყველა ჭორვილელი, ბიძინა ივანიშვილის მშობლებიც მუხლჩაუხრელად შრომობდნენ (მამა „ჭიათურმარგანეცის" კომბინატში მეშახტედ მუშაობდა, დედა კი — კოლმეურნეობაში), მაგრამ ოჯახს მაინც უჭირდა; თანაც ისე ძალიან, რომ შვილებს არათუ ტანსაცმელითა და სათამაშოებით, არამედ ხშირად, საკვებითა და ტკბილეულითაც კი ვერ უზრუნველყოფდნენ... ბიძინა უპრეტენზიო ბავშვი ყოფილა, მშობლების გაჭირვებულ ყოფას უდრტვინველად იზიარებდა. ერთხელ, როდესაც ქუჩაში თანატოლებთან ერთად თამაშობდა, მენაყინეს ჩამოუვლია. ბავშვები შინ გაქცეულან, მშობლებისთვის ფული გამოურთმევიათ და მენაყინეს ჟრიამულით შემოხვევიან გარს. ბიძინა იქვე, შორიახლოს დამდგარა, შინ წასვლასა და მშობლებისთვის ფულის თხოვნაზე არც უფიქრია... მენაყინე ღვთისნიერი კაცი აღმოჩენილა და ბავშვისთვის ნაყინი მიუცია... წლების შემდეგ, როდესაც ღარიბი ბიჭი მილიონერი გახდა, ღვთისნიერი მენაყინე მოძებნა და ახალთახალი ავტომობილი აჩუქა.

## ივანიშვილის ახდენილი და აუხდენელი ოცნებები

ბიძინას ბავშვობის ოცნება ველოსიპედი ყოფილა. დედა შეჰპირებია, — კაკალს მოვაგროვებ, გავყიდი და ველოსიპედსაც გიყიდიო. ძალიან ბევრს ეცადა ქალბატონი ციცინო, მაგრამ ველოსიპედის საყიდელი ფული მაინც ვერ მოაგროვა... წლების შემდეგ, როდესაც ბიძინას პირველი ძმისშვილი შეეძინა, მისთვის სწორედ ველოსიპედი იყიდა...

მისი მეგობრები ამბობენ, რომ ბიძინას გამდიდრებაზე არასდროს უოცნებია, ყველაზე მეტად ლექტორობა, აუდიტორიაში ლექციების წაკითხვა უნდოდა.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საინჟინრო-ეკონომიკურ ფაკულტეტზე, ყოველგვარი პროტექციისა და დახმარების გარეშე ჩაირიცხა. გამორჩეულად ნიჭიერი იყო, თუმცა ეს ერთადერთი ღირსება როდი გახლდათ, რის გამოც მას მეგობრები ძალიან აფასებდნენ. უშუალო, მხიარული, თბილი ადამიანი იყო, ლექტორობაზე ოცნებობდა... მტკიცე, ძლიერი ხასიათი ჰქონდა. მაშინაც კი არ წუწუნებდა, როდესაც ძალიან უჭირდა ან ურთულესი პრობლემის წინაშე იდგა. სწავლის პარალელურად, კამოს სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანაში, ღამის ცვლაში, რიგით მუშად დაიწყო მუშაობა. სწავლის დასრულების შემდეგ იმავე ქარხანაში, ჯერ უფროსი ინჟინრის, შემდეგ ლაბორატორიის უფროსის თანამდებობაზე განაგრძო მუშაობა. 1982 წელს მოსკოვში გაემგზავრა, ასპირანტურაში ჩააბარა და საკანდიდატო დისერტაციაც დაიცვა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ შლანგების წარმოება დაიწყო, კოოპერატივი დაარეგისტრირა და ქარხანა იჯარით აიღო. საღამოობით თავად ჩარხავდა ხელსაწყოებს, მაგრამ საქმე შლანგების გამოშვებამდე არ მისულა, გეზი მალევე შეიცვალა და კომპიუტერებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. მისი პირველი დამკვეთი საქართველოს მეცნიერებათა აკადემია გახლდათ. ამ დაკვეთის შედეგად კოოპერატივის ანგარიშზე სოლიდური თანხა დაგროვდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამ თანხით პროკურატურა დაინტერესდა და კოოპერატივის საბანკო ანგარიშებიც გაყინა. ამ ფაქტის შემდეგ, 1988 წელს ივანიშვილმა საქართველო დატოვა და საქმიანობა მოსკოვში განაგრძო...

## თბილისიდან „გაძევებულმა" მოსკოვი „დაიპყრო"

ბიძინა ივანიშვილი რუსეთში თავის ძველ ნაცნობს, ვიტალი მალკინს დაუკავშირდა (ის იმ დროისთვის უკვე მცირე ბიზნესსაქმიანობას ეწეოდა) და კომპიუტერებით ვაჭრობა შესთავაზა. მალე ერთობლივი ძალისხმევით სამოთახიან ბინაში ერთი ოთახი დაიქირავეს — ეს მათი ოფისიც იყო და საწყობიც. ბიზნესი ჩქარი ტემპით ვითარდებოდა, გასაყიდი საქონლის ასორტიმენტი უფრო გაამრავალფეროვნეს; კომპიუტერებთან ერთად, „ქსეროქსის" აპარატებითა და ტელეფონებითაც დაიწყეს ვაჭრობა. მას შემდეგ, რაც ივანიშვილმა პარიზში, თანამედროვე ტექნოლოგიათა გამოფენაზე ჰონკონგური ფირმის წარმომადგენლები გაიცნო და მათთან კონტრაქტი გააფორმა, ტელეფონებისა და მაგნიტოფონების დამამზადებელი ფაბრიკა შეისყიდა. 1990 წელს კი თავის პარტნიორებთან ერთად, 100-120 ათასი დოლარით, ბანკი „როსკრედიტი" დააფუძნა. „როსკრედიტმა" რუსულ საბანკო ბიზნეს-



სურათები ივანიშვილების საოჯახო ალბომიდან

ში მოწინავე პოზიციები მალევე მოიპოვა და უმსხვილესი კერძო ბანკების სამეულშიც იყო შესული... ეს ყველაფერი მისი საქმიანობის მხოლოდ დასაწყისი აღმოჩნდა. 1993 წელს ივანიშვილმა (67%-ანი წილი) მალკინთან ერთად, „იმპექსბანკი“ დააფუძნა, 1997-ში — კომპანია „მეტალოინვესტი“, რომლის დანიშნულებაც სამრეწველო აქტივებისა და უძრავი ქონების მართვა გახლდათ. 2004 წლიდან ამ აქტივების სამართავად კომპანია „უნიკორი“ შექმნა, 2002 წელს კი რუსეთში დღეს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სააფთიაქო ქსელი — „დოქტორი სტოლეტოვი“ დააფუძნა. ბიძინა ივანიშვილის ბიზნესსაქმიანობის უდიდეს ნაწილს — შავი მეტალურგია და სამთო-გამამდიდრებელი წარმოება შეადგენს, მოსკოვში კი ორ უმსხვილესი დეველოპერული პროექტის — შუმმიტ და „სადოვიე კვარტალი“, რომლებიც ელიტური საცხოვრებელი სახლებისა და კომერციული ფართობების კომპლექსების მშენებლობას ითვალისწინებს და ექსპერტების შეფასებით, 1,5 მლრდ დოლარამდე ღირებულებას შეადგენს.

ბიძინა ივანიშვილი 2010 წელს „ფორბსის“ მიერ გამოქვეყნებულ მილიარდერთა სიაში, 4,5 მილიარდი დოლარით, მსოფლიოში 167-ე ადგილზე იყო. წლევანდელ „ფორბსის“ სიაში, რუსეთის უმდიდრეს ადამიანებს შორის 25-ე, ხოლო მსოფლიოში — 185-ეა. მასზე რუსეთსა და დასავლეთში ამბობენ, რომ მაღალი დონის ეკონომისტ-ფინანსისტი, კარგი სტრატეგი და საუცხოო ორგანიზატორია. ივანიშვილზე რუსულ პრესაშიც უამრავი ჭორ-მართალი ვრცელდება. ბევრი ავტორი ცდილობს, მის ბიზნესთან დაკავშირებით სკანდალურ ამბავს მიაგნოს, მაგრამ უმეტეს შემთხვევაში მწირი ან დაუდასტურებელი ცნობებით კმაყოფილდება. ამდენად, შემთხვევითი როდია, რომ მას რუსეთის ყველაზე იდუმალ მილიარდერს უწოდებენ. ერთ-ერთ ინტერნეტსაიტზე მოთავსებული სტატიის ავტორი კი პირდაპირ აღნიშნავს — თითზე ჩამოსათვლელია კონფლიქტების რაოდენობა, რომელთან დაკავშირებითაც ბიძინა ივანიშვილის სახელი უხსენებიათ, თანაც, მისი როლი ამ კონფლიქტებში მინიმალური იყოო... ერთ-ერთი ინტერნეტპუბლიკაციის მიხედვით, რამდენიმე წლის წინ სახვითი ხელოვნების ნიმუშების შეგროვებას მიჰყო ხელი და პირველ შედევრებს შორის, საკუთარი კოლექციისთვის 2006 წლის მაისში, „სოთბის“ აუქციონზე პაბლო პიკასოს ტილო — „დორა მაარ კატასთან ერთად“ შეიძინა, რომელიც 95 მლნ დოლარი დაუჯდა.

## უცნაური ქველმოქმედი

საქართველოში დღესდღეობით ის არანაირ ბიზნესსაქმიანობას არ ეწევა, მხოლოდ მშენებლობებითა და საქველმოქმედო ღონისძიებებით შემოიფარგლება.

ივანიშვილის სახელს უკავშირებენ სახელმწიფო უნივერსიტეტის კაპიტალურ რესტავრაციას, სამთო-სათხილამურო კურორტის აშენებას, ეროვნული პარკების, სამედიცინო კლინიკების კეთილმოწყობასა და სხვა პროექტების განხორციელებას. მას უყვარს ადამიანებისთვის დახმარების გაწევა, მაგრამ არ მოსწონს, როდესაც ლაპარაკობენ, თუ ვის რამდენი მისცა და როგორ დაეხმარა. არავინ იცოდა, ვინ გაიღო სამების ტაძრის აშენების ხარჯები, ვიდრე ამის შესახებ ექსპრეზიდენტმა შევარდნაძემ არ დაწერა საკუთარ მემუარებში, რაზეც ბიძინა ძალიან განაწყენდა... საქმოსანმა საკმაოდ მაღალი ხელფასები და პენსიები დაუნიშნა ქართული კულტურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, მაგრამ სთხოვა, ამაზე ხმამაღლა არ ელაპარაკათ. ის გაურბის წვეულებებს, უარს ამბობს მასმედიასთან კონტაქტზე. აფასებს უანგარო და უპრეტენზიო ადამიანებს, კეთილსინდისიერ და პროფესიონალ თანამშრომლებს. მას ანალიტიკოსთა გუნდი ჰყავს ჩამოყალიბებული, მაგრამ საბოლოო გადაწყვეტილებებს მაინც თავად იღებს.

ბიძინა ივანიშვილის საქველო საქმეთა შესახებ მთელ საქართველოს სმენია. ცნობილია, რომ ის მშობლიური რაიონის მოსახლეობას დღემდე უფარავს ელექტროენერგიისა და



გაზის გადასახადს, ასობით ოჯახს დაურიგა საყოფაცხოვრებო ტექნიკა, შრომას უნაზღაურებს ადგილობრივი საავადმყოფოს ექიმებსა და მედპერსონალს, სკოლების მასწავლებლებს ხელფასზე გაცილებით დიდი დანამატი დაუწესა, ხოლო ქართველი შემოქმედი ინტელიგენციის არაერთ წარმომადგენელს მატერიალურ დახმარებას უწევს; მოკლედ, ყველაფერს ვერ მოვთვლით, მაგრამ მოარული ხმებით, არაერთი არაორდინარული ნაბიჯიც გადაუდგამს. მაგალითად, ამბობენ, ერთხელ ყველა თანაკლასელი საკუთარ სახლში დაპატიჟა, უზარმაზარ სუფრასთან მიიწვია და თითოეულ მათგანს ახალი ავტომანქანის გასაღები გადასცაო...

ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც დედაქალაქშიც კი შუქი და გაზი იშვიათად გვიხარებდა გულს, ივანიშვილმა თავის ბიძას უთხრა, რომ მას საჩხერეში უწყვეტი ელექტროენერგიითა და გაზმომარაგებით უზრუნველყოფდა. ბიძამ უარი უთხრა, — ჩემს უბანში ძალიან ცოტა ხალხი ცხოვრობს; უხერხულია, მე განათებულ და თბილ სახლში ვიჯდე, დანარჩენები კი ლამპით განათებულ სახლებში „ფეჩს“ ეფიცხებოდნენო. ბიძინამ გამოსავალი იპოვა — ელექტროენერგიითა და გაზით მთელი უბანი უზრუნველყო.


სასახლე თბილისის თავზე

## მოულოდნელი სვლა

ახლა მილიარდერმა, საკუთარი კომპანიის „ქართუ ჯგუფის“ პრესსამსახურის საშუალებით, გაავრცელა განცხადება, რომ პოლიტიკური პარტიის შექმნასა და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობას აპირებს. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალისტებს ძალიან გვაინტერესებს, თუ რატომ გადაწყვიტა ფილანთროპიული საქმიანობითა და აქამდე პრინციპული აპოლიტიკურობით ცნობილმა ბიზნესმენმა პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმა და წარმატების რა შანსი აქვს მას, ჯერჯერობით პასუხის მიღებას ვერ ვახერხებთ. პოლიტიკის ექსპერტების ვარაუდით, ბიძინა ივანიშვილს არ გაუჭირდება თავის გარშემო ოპოზიციის დიდი ნაწილის შემოკრება. როგორც გია ხუხაშვილი ამბობს, არჩევნებამდე დარჩენილი პერიოდი ხელისუფლებისათვის „არცთუ ისეთი მშვიდი, მოწესრიგებული და უღრუბლო იქნება“. პოლიტოლოგ ზაზა ფირალიშვილის აზრით, ქართულ პოლიტიკურ სისტემაში ჩართვა და წარმატების მიღწევაც ძალიან ძნელია. „არ ვიცი, როგორ პოლიტიკურ ტექნიკას ფლობს ბიძინა ივანიშვილი, თუმცა იქიდან გამომდინარე, თუ როგორ შექმნა მან მოლოდინის სიტუაცია და დაძაბულობა თავისი პიროვნების ირგვლივ, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი გარკვეულწილად, არის პოლიტიკური ტექნიკის მფლობელი“, — აღნიშნავს ფირალიშვილი.

საქართველოს ხელისუფლებამ ივანიშვილის წინააღმდეგ პირველი ნაბიჯი უკვე გადადგა — მას საქართველოს მოქალაქეობა შეუწყვიტა. სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს განცხადებაში აღნიშნულია, რომ „რუსეთის ფედერაციის მოქალაქეს ბიძინა გრიგოლის ძე ივანიშვილს 2004 წლის 22 ივლისს მიენიჭა საქართველოს მოქალაქეობა. საქართველოს კონსტიტუციის და „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 32-ე მუხლის მიხედვით, საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება იწვევს საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას. ჩატარდა წარმოება და დადგინდა, რომ ბიძინა ივანიშვილმა 2004 წელს საქართველოს მოქალაქეობის მიღების შემდეგ მოიპოვა საფრანგეთის რესპუბლიკის მოქალაქეობა. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ბიძინა ივანიშვილს შეუწყდა საქართველოს მოქალაქეობა“. საინტერესოა, როგორი იქნება ივანიშვილის საპასუხო ნაბიჯი. როგორც ჩანს, საქართველოში მართლაც, „ცხელი შემოდგომა“ დაიწყო...

## შვილი, რომელმაც მამას სიმღერა მიუძღვნა

ბიძინამ ოჯახი გარიგებით შექმნა. მისი ნათესავები და მეგობრები ერთხმად ირწმუნებიან, რომ ის თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი მამა და მეუღლეა. ბიძინასთვის ყველაზე მნიშვნელოვანი შვილები — უტა, ბერა, გვანცა და თორნიკე არიან. ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ბავშვებმა საქართველოს ისტორია, ენა და ლიტერატურა კარგად იცოდნენ.

16 წლის ბერა უკვე ძალიან პოპულარულია. ის საზოგადოებამ პოპმომღერლის რანგში გაიცნო და არა — როგორც მულტიმილიონერის შვილი. ცნობილია ისიც, რომ ბერასა და ბიძინას ერთმანეთთან განსაკუთრებული, მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. მამა შვილის არჩევანს ყოველთვის იწონებდა და მხარსაც უჭერდა. სულ ახლახან ბერამ მამის გადაწყვეტილებას — პოლიტიკაში ჩაბმას — სიმღერა მიუძღვნა: „დღეს დავასრულე სიმღერა, სახელწოდებით — „ქართული ოცნება“, რომელსაც ვუძღვნი მამაჩემის გადაწყვეტილებას!“ — წერს ბერა „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე... ■


**16 წლის ბერა უკვე ძალიან პოპულარულია. ის საზოგადოებამ პოპმომღერლის რანგში გაიცნო და არა — როგორც მულტიმილიონერის შვილი**

# მალე!

„პალიტრა მედია“ წარმოგიდგენთ პროექტს

# ჯადოსნური ქისა



## დაელოდეთ!

ყველაფერს თავისი დრო აქვს!

# ფინანსური ციებ-ცხელება საბერძნეთში და არჩევანის წინაშე მდგარი ქართველი ემიგრანტები

**„საბერძნეთში ახლა ქართულად ხმამაღალი ლაპარაკიც კი სახიფათოა“, — ამბობს სალონიკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი მანანა გულიაშვილი. მისი თქმით, ბოლო დროს ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის არსებული დაპირისპირება კიდევ უფრო გამწვავდა. საპროტესტო აქციის მონაწილეები აგრესიას ახლა უკვე იმიგრანტების მიმართაც გამოხატავენ. როგორც მოგეხსენებათ, საბერძნეთში ხალხმრავალი გამოსვლების მიზეზი ეკონომიკური კრიზისია, რომლის გამოც ხელისუფლებამ სამუშაო ადგილების, პენსიებისა და ხელფასების შემცირება დაიწყო. ახერხებენ თუ არა ქართველი ემიგრანტები სამსახურის შენარჩუნებას და რატომ გახდნენ ბერძნები მათ მიმართ აგრესიულები? — ამ კითხვებით ქალბატონ მანანას მივმართეთ.**




*ხათუნა ბახტურიძე*

**მანანა გულიაშვილი:**

— სამსახურის შენარჩუნებას ჯერ კიდევ ვახერხებთ, მაგრამ... როგორც მოგეხსენებათ, ქართველი ქალების უმრავლესობა აქ მოხუცებს უვლის. მოხუცები კი, სამწუხაროდ, დიდხანს ვერ ცოცხლობენ და შესაბამისად, ხშირად გვიწევს ახალი სამუშაო ადგილის ძებნა. ეს კი უკვე ძალიან გაჭირდა. აქამდე ჩვენ მათთვის იაფი მუშახელი ვიყავით და იმ თანხით, რომელსაც ბერძნები „კაპიკებს“ ეძახდნენ, ბევრ პრობლემას ვაგვარებდით. ახლა სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ფინანსური კრიზის გამო ხელფასები საგრძნობლად შეგვიმცირეს. ზოგი საერთოდ უარს ამბობს მოხუცისთვის მომვლელის აყვანაზე. ასეთივე რთულ სიტუაციაში აღმოჩნდნენ ბავშვების მომვლელები, მშენებლობაზე ან კაფე-ბარებში მომუშავე ქართველებიც. ბერძნებს ახლა თავადაც აღარ აქვთ შემოსავალი და ოჯახების გადასარჩენად სხვა ქვეყნებში გარბიან. ევროკავშირის რეკომენდაციით, ხელისუფლებამ სამუშაო ადგილების შემცირება დაიწყო. სხვათა შორის, სახელმწიფო სამსახურში უამრავი ზედმეტი კადრი იყო. ადამიანები სამსახურში ყავის სმისა და სიგარეტის მოწევის გარდა არაფერს აკეთებდნენ. მათ შორის ძალიან ბევრს უმაღლესი განათლებაც კი არ ჰქონდა. უსაქმურად ჯდომაში იღებდნენ საკმაოდ მაღალ ხელფასებს. უკვე ძალიან ბევრი ადამიანი გაუშვეს სამსახურიდან, მაგრამ ევროკავშირი კიდევ 100 ათასი სამუშაო ადგილის შემცირებას ითხოვს.




**ბევრი ადამიანი გაუშვეს სამსახურიდან, მაგრამ ევროკავშირი კიდევ 100 ათასი სამუშაო ადგილის შემცირებას ითხოვს**

**— სამსახურის გარეშე დარჩენილი ბერძნები ძირითადად რომელ ქვეყნებში მიდიან?**

— გერმანიაში.

**— ქართველების მიმართ რატომ არიან აგრესიულები?**

— ფიქრობენ, რომ მათ სამუშაო ადგილებს ვართმევთ. ისეთი აგრესიულები არ არიან, რომ ქუჩაში თავს დაგვესხან, მაგრამ აშკარად ღიზიანდებიან, როდესაც ქართული ლაპარაკი ესმით.

**— მხოლოდ ქართული ლაპარაკი აღიზიანებთ?**

— არა, ნებისმიერი უცხო ენა აღიზიანებთ, რომელზეც სამსახურის საშოვნელად ჩამოსული იმიგრანტები საუბრობენ.

**— ამჟამად ემიგრანტების საშუალო ხელფასი რამდენს შეადგენს?**

— 500, 600 ევროს. ადრე 600 ევროს მხოლოდ ახალჩამოსულებს უხდიდნენ, რომლებიც გამოუცდელები იყვნენ და ენაც არ იცოდნენ; ენისა და საქმის კარგად მცოდნეებს ზოგჯერ 1.000 ევროზე მეტსაც გვიხდიდნენ. 600 ევრო ადრე მინიმუმი იყო, ახლა მაქსიმუმი გახდა. სალონიკსა და ათენში სპეციალური სააგენტოებია, რომლებიც იმიგრანტებს გარკვეული თანხის საფასურად სამსახურის შოვნაში ეხმარებიან. ადრე სამუშაო ადგილისთვის 100 ან 200 ევროს ითხოვდნენ, ახლა მთლიანად პირველი ხელფასი მიაქვთ. თუმცა სამუშაო ადგილების მოძიება უკვე ამ სააგენტოებსაც უჭირთ. ვშიშობ, რომ მარტიდან სიტუაცია კიდევ უფრო გართულდება.

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ საბერძნეთი ახლა ევროკავშირის მიერ ნასესხები ფულით არიგებს ხელფასებსა და პენსიებს. იანვარში დახმარების პროგრამა დასრულდება, ევროპისგან ნასესხები ფულით კი მხოლოდ მარტამდე შეძლებენ პენსიებისა და ხელფასების დარიგებას. აი, მერე რა მოხდება, წარმოდგენაც კი მი-

ჭირს... სხვათა შორის, ბერძნებმა უკვე დაიწყეს მოხუცისა და ბავშვის მომვლელებად მუშაობა.

— **თუ ქვეყანაში საერთო კრიზისია, მომვლელებისა და ძიძების დაქირავების საშუალება ვიღას აქვს?**

— ერთეულებს — ელიტური წრეების წარმომადგენლებს. სხვათა შორის, საბერძნეთში ძალიან ბევრი მდიდარი უცხოელი ცხოვრობს. მათ შორის ყველაზე მეტნი რუსები არიან. მათ კუნძულებიც კი აქვთ შესყიდული.

— **ქართველები სამშობლოში ბრუნდებიან თუ ისინიც სხვა ქვეყნებში გადადიან?**

— ვინც ლეგალურად ცხოვრობს და საბუთები წესრიგში აქვს, სხვა ქვეყანაში გადავა, მაგრამ იმიგრანტების უმრავლესობას საბუთები წესრიგში არა აქვს. სხვა ქვეყნებში გადასვლა იმათაც გაუჭირდებათ, ვინც აქ ოჯახთან ერთად არის წამოსული. არადა, უკვე აქაც ძალიან უჭირთ თავის გატანა. ამიტომ ბევრი მათგანი საქართველოში დაბრუნებას აპირებს.

*როგორც მოგეხსენებათ, საქართველოში ოჯახების მნიშვნელოვან ნაწილს ემიგრანტი ნათესავების დახმარებით გააქვს თავი. რეალური მაგალითი თავადაც შემიძლია მოვიტანო — ჩემი მეზობლების დაახლოებით 60% თვის ბოლოს იმ იმედითაა, რომ დის, დედის, დეიდის, შვილის ან სხვა ახლო ნათესავის მიერ გამოგზავნილ ამანათს მიიღებს...*

*რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ქართველი ემიგრანტების სამშობლოში მასობრივ დაბრუნებას? ამ კითხვით ექსპერტს ეკონომიკურ საკითხებში, გია ხუხაშვილს მივმართე.*

**გია ხუხაშვილი:**

— ფაქტია, რომ საბერძნეთში მცხოვრები ემიგრანტების ხელფასები კრიტიკულ ზღვრამდე დაეცა და მათ იქ გაჩერებასაც აზრი აღარ აქვს. თუმცა ისიც ფაქტია, რომ ისინი სამშობლოში დაბრუნების შემთხვევაშიც უმუშევრობისთვის არიან განწირული. იქიდან გამომდინარე, რომ ერთი ემიგრანტი საქართველოში მინიმუმ ერთ და მაქსიმუმ სამ ოჯახს არჩენდა, მისი სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, მასთან ერთად კიდევ რამდენიმე ოჯახი აღმოჩნდება სიღარიბის ზღვარს მიღმა.

— **თქვენი აზრით, საბერძნეთში ეკონომიკური კრიზისის გამომწვევი უმთავრესი მიზეზი რა არის?**

— გაუმართლებელი ხარჯები, არასწორად დაგეგმილი ბიუჯეტი, არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა და კიდევ ბევრი სხვა ფაქტორი: როგორც წესი, ასეთი კრიზისი მხოლოდ ერთი მიზეზის გამო არასდროს დგება.

— **როგორ გგონიათ — ევროკავშირის დახმარების შედეგად საბერძნეთი შეძლებს რთული სიტუაციიდან გამოსვლას?**

— ევროკავშირის წამყვანი ქვეყნები ნამდვილად ეცადნენ საბერძნეთის კრიზისიდან გამოყვანას, მაგრამ ეს გაერთიანება ყოვლისშემძლე ხომ არ არის?! საბერძნეთში ეკონომიკური რეფორმა ძალიან მაღალი სოციალური რისკის ფონზე მიმდინარეობს. ხელფასების შემცირებამ დიდი საპროტესტო ტალღის აგორება გამოიწვია, რამაც კიდევ უფრო გააუარესა ქვეყნის მდგომარეობა. სამწუხაროდ, საბერძნეთს მალე სხვა ევროპული ქვეყნებიც მიჰყვებიან...

— **რომელ ქვეყნებს გულისხმობთ?**

— იმ ქვეყნებს, რომლებსაც არასწორი ეკონომიკური პოლიტიკა აქვთ არჩეული, მაგალითად: პორტუგალიას, ესპანეთს, იტალიას... ■




# პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებით სახელოსნოში „ობოობებს“ ამზადებენ და ხეზე ასვლას ასწავლიან

**დაგვეთანხმებით, ხშირად გვესმის ფრაზა, — ჩვენში პროფესიონალიზმის დეფიციტიაო. ეს ყველა სფეროს შეეხება, მაგრამ განსაკუთრებით თვალში საცემი — პრესა-რადიო-ტელევიზიაშია, სადაც შეცდომა საყოველთაო ყურადღების არეში ექცევა. ამიტომაც საგანგებო მნიშვნელობა აქვს იმას, თუ სად და როგორ ამზადებენ იმ სპეციალობის წარმომადგენლებს, რომელთა სიტყვის ადრესატი ასობით ადამიანი უნდა გახდეს.**



*ზურაბ სავანელი*

*ჟურნალისტიკა — ჩვენში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და პოპულარული პროფესია არაერთ უმაღლეს სასწავლებელში ისწავლება, ზოგან — საკმაოდ მაღალ დონეზეც. მათ შორის არის გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, სადაც ბეჭდური მედიის შემოქმედებით სახელოსნოს პაატა ნაცვლიშვილი უდგას სათავეში. შარშან ამ სახელოსნოში მომზადდა და გამოიცა სასწავლო სტუდენტური ჟურნალი „ობოობა“, რომელსაც დიდი მოწონება ხვდა ჟურნალისტურ, და არა მარტო ჟურნალისტურ, წრეებში. ეს, უწინარეს ყოვლისა, ჟურნალის რედაქტორის და სახელოსნოს ხელმძღვანელის, პაატა ნაცვლიშვილის დამსახურებაა, რომელიც აქტიური ჟურნალისტური საქმიანობის პარალელურად, თავის მრავალმხრივ ცოდნასა და გამოცდილებას ჟურნალისტთა ახალგაზრდა თაობის აღზრდასაც ახმარს. იგი რედაქტორობდა და რედაქტორობს არაერთ ქართულ გაზეთსა თუ ჟურნალს, არის მრავალი წიგნის ავტორი, ჟურნალისტური პრემიების ლაურეატი, არაერთი სიახლის შემომტანი ქართულ ჟურნალისტურ სინამდვილეში. როგორც ველოდით, სოციალურ მეცნიერებათა დოქტორმა, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სრულმა პროფესორმა, ჟურნალ „ობოობას“ რედაქტორმა* **პაატა ნაცვლიშვილმა** *მომავალ ჟურნალისტთა სწავლება-დაოსტატების შესახებ ბევრი საგულისხმო და ჭკუის სასწავლებელი რამ გაგვიზიარა.*


სწავლა-სწავლება, პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთობა ორმხრივი პროცესია

**— ბატონო პაატა, თქვენ იმ იშვიათ პროფესიონალ ჟურნალისტთა რიგს ეკუთვნით, რომელსაც მდიდარი გამოცდილება აქვს მასობრივი კომუნიკაციის ყველა სფეროში — პრესაში, რადიო-ტელევიზიასა თუ ინტერნეტმედიაში. თქვენ გიმუშავიათ ყველაზე დაბალ და ყველაზე მაღალ ჟურნალისტურ თანამდებობებზე, ამავე დროს აქტიურ სამეცნიერო-კვლევით საქმიანობასაც ეწევით. ამჯერად არ შევეხებით თქვენს არაჟურნალისტურ ინტერესებსა და მრავალმხრივ მოღვაწეობას სხვადასხვა სფეროში და მხოლოდ პედაგოგიური საქმიანობით შემოვიფარგლებით. ჯერ იმას გკითხავთ, როდის შეხვედით პირველად აუდიტორიაში, როგორც ლექტორი და რა გზა გაიარეთ, სანამ პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებით სახელოსნოს ჩამოაყალიბებდით გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში?**

— პირველად რომ შევედი სტუდენტებთან, თავად ორი თუ სამი წლის დამთავრებული მქონდა უნივერსიტეტი. თბილისის სამხატვრო აკადემიის საზოგადოებრივ პროფესიათა ფაკულტეტზე პრაქტიკული ჟურნალისტიკის კურსს ვასწავლიდი. მერე უფრო აქტიურად გადავეშვი ჟურნალისტურ საქმიანობაში, ერთხანს საქართველოს საზღვაო სანაოსნოშიც ვიმუშავე შორეული ნაოსნობის მატროსად და არაერთი წინადადების მიუხედავად, სტუდენტებისთვის ნაკლებად მეცალა. ხოლო უკვე მას შემდეგ, რაც ჟურნალისტის პროფესია ასე გაადვილდა, გაიაფდა და ყველასათვის ხელმისაწვდომი გახდა, როცა სულ უფრო და უფრო გახშირდა ხმები ჟურნალისტთა უდიდესი ნაწილის არაპროფესიონალიზმისა და დაბალი კვალიფიკაციის შესახებ, რაშიც თავადაც არაერთხელ დავრწმუნებულვარ, თავი მოვალედ ჩავთვალე, უშუალო მონაწილეობა მიმეღო

მომავალ ჟურნალისტთა აღზრდა-დაოსტატებაში. ერთხანს კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვასწავლიდი ხელოვნებათმცოდნე ჟურნალისტებს, შემდეგ ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიმუშავე, ახლა კი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში ვკითხულობ რამდენიმე ჟურნალისტურ დისციპლინას. თუმცა სიტყვა „ვკითხულობ“ არცთუ ზუსტად ასახავს ჩემს საქმიანობას ამ უნივერსიტეტში. მე აქ მხოლოდ ლექციებს როდი ვკითხულობ. ჩვენ ბევრს ვმუშაობთ პრაქტიკულად, ვსწავლობთ წერას, ვსწავლობთ გაზეთების კითხვას, შეფასებას; ვიმაღლებთ ჟურნალისტურ ოსტატობას, ვცდილობთ, რომ არ ჩამოვრჩეთ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა და ფორმათა სწრაფ ცვალებადობას. სიტყვა „ვსწავლობთ“ შემთხვევით არ მითქვამს, რადგან არა მარტო ვასწავლი, არამედ თავადაც ბევრ რამეს ვსწავლობ ჩემი სტუდენტებისაგან. მე მათ პირველსავე ლექციაზე ვეუბნები, რომ სწავლა-სწავლება, პროფესორისა და სტუდენტის ურთიერთობა ორმხრივი პროცესია, განსხვავებით, ვთქვათ, ექიმისა და პაციენტის ურთიერთობისაგან, სადაც ექიმი აქტიურია, პაციენტი კი — პასიური, თუმცა რიგ შემთხვევებში ექიმები პაციენტებს ხელშეწყობასა და გამოჯანმრთელების პროცესში აქტიურობას სთხოვენ; მაგრამ ინიციატივა, როგორც წესი, მაინც ექიმს ეკუთვნის, სწავლა-სწავლებისას კი მოსწავლე თუ სტუდენტი მასწავლებელზე აქტიური უნდა იყოს! მე ვცდილობ, სტუდენტები განვაწყო ამ ორმხრივობისათვის, თანამშრომლობისათვის. არცთუ იშვიათად მათ ენაზე, მათთვის აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრები, ვიცი თითქმის ყველა ჩემი სტუდენტის ინტერესები, ვიცი, რა უჭირთ და რა ულხინთ, ჩანიშნული მაქვს მათი დაბადების დღეები, ბევრ ჩემს ყოფილ სტუდენტთან დღემდე მეგობრული ურთიერთობა მაქვს.

**— ჟურნალისტიკა გაადვილდაო, რომ ამბობთ, რას გულისხმობთ?**

— თუ მაღალი კრიტერიუმებით მივუდგებით, ჟურნალისტიკა გაადვილდა კი არა, შეიძლება გართულდა კიდეც. გაადვილებაში კი ვგულისხმობ იოლ პოპულარობას დაწაფებული გოგო-ბიჭების წარმოდგენას ჟურნალისტობაზე, ძირითადად, ტელევიზიის კუთხით: მიუშვერ რომელიმე პოლიტიკოსს, მომღერალს ან სხვა ცნობად სახეს მიკროფონს, ისიც ამ მიკროფონს თავისი ნათელი აზრებით გაავსებს და მორჩა! — უკვე ჟურნალისტი ხარ! არ არის ასე! ასეთი ჟურნალისტი, რაგინდ პოპულარული იყოს და გინდაც თავად იქცეს ცნობად სახედ, ერთ პწკარსაც ვერ დაწერს გაზეთში. იშვიათობაა, რომ ტელეჟურნალისტმა გაზეთში ივარგოს, მაშინ, როცა საუკეთესო ტელეჟურნალისტებს, როგორც წესი, ზურგს გაზეთში მუშაობის გამოცდილება უმაგრებს. მე ვცდილობ, ჩემს სტუდენტებს ავუხსნა, რომ თუმცა ტელეჟურნალისტიკა მოკლე პერსპექტივაში უფრო მომგებიანი ჩანს, ნამდვილი ჟურნალისტი პრესაში მუშაობის გარეშე წარმოუდგენელია. პრესა ჟურნალისტიკის საფუძველია, პრესის ჟურნალისტიკას ეყრდნობა ახალი მედიაც, ბლოგინგს ვგულისხმობ, — აქ ძირითადი კვლავ ტექსტია. ამას რომ ვამბობ, სულაც არ ვაკნინებ ტელევიზიას და ტელეჟურნალისტებს, რომელთაც დიდ პატივს ვცემ. მე ტელევიზიაშიც მიმუშავია, უბრალო რეპორტიორადაც, გადაცემის წამყვანადაც და მთავარ რედაქტორადაც, და კარგად ვიცი ტელევიზიის ფასიც, მნიშვნელობაც და ღირსება-ნაკლოვანებანიც. მოშაირის რუსთველისეული განმარტების პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, ჩემი აზრით, ჟურნალისტი არა ჰქვია, ვერას დაწერს ვინც გაზეთში!

**— თქვენც იზიარებთ ყბადაღებულ შეხედულებას დღევანდელ ჟურნალისტთა დაბალი დონის შესახებ?**

— უნდა გითხრათ, რომ დღევანდელ ქართველ ჟურნალისტთა შორის არიან უაღრესად განათლებული, პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული, მაღალკვალიფიციური პროფესიონალები, მაგრამ ამავე დროს არიან ისეთებიც, რომლებიც იმ თქვენ მიერ ნახსენები ყბადაღებული შეხედულების არსებობას აძლევენ საფუძველს. არის უზნეობის, უკულტურობის, უვიცობის, წერა-კითხვის უცოდინარობის მაგალითები. მე ვცდილობ, რომ არც ერთმა ჩემმა ნასტუდენტარმა სარკოზის ჩამოსვლისას აეროპორტიდან გადმოცემულ რე-



ეს ორი „ო“ ჟურნალის ტიტულში მოგვიანებით გაჩნდა

პორტაჟში ტრაპის გამოჩენისას არ თქვას, — „მოძრავი კიბე“ უკვე მზადაა პრეზიდენტ სარკოზის დასახვედრადო; ან მართლა კარგ, ძალიან პრიალა ჟურნალში არ დაწეროს, — ამა და ამ შენობის მისაღებში ექსკავატორით შეიძლება ასვლაო. მე დღევანდელ მაგალითებს გეუბნებით, თორემ ჩემს სტუდენტებთან უფრო თვალსაჩინო და უფრო კურიოზული მაგალითებიც არაერთხელ განგვიხილავს.

**— რით განსხვავდება დღევანდელი სტუდენტობა წინა თაობების ან თუნდაც თქვენი დროის სტუდენტობისაგან?**

— ჩემი დროისა და შემდგომი ორი-სამი ათეული წლის სტუდენტობა გუტენბერგის ეპოქაში ცხოვრობდა და სწავლობდა, მერე ნელნელა, ჩვენ თვალწინ და ჩვენივე მონაწილეობით, გუტენბერგის ეპოქა კომპიუტერულმა ეპოქამ ჩაანაცვლა, რომლის ერთ-ერთი შემოქმედი სტივ ჯობსი სულ რამდენიმე დღის წინათ




გარდაიცვალა (სხვათა შორის, სტივ ჯობსის შესახებ ვრცელი მასალა ქვეყნდება ჟურნალ „ობოობას“ მეორე ნომერში, რომლის პრეზენტაცია მალე უნდა გაიმართოს). ახალმა ეპოქამ ბევრი სიკეთე მოიტანა, გაადვილდა ინფორმაციის მოპოვება, მისი შენახვა თუ გავრცელება, მაგრამ სწორედ ამის გამო გარკვეულად მოდუნდა ადამიანი, დაქვეითდა მისი აქტივობა, შესუსტდა ინტერესი სწავლისა და ცოდნის დაგროვებისადმი. ახალი ტექნოლოგიებით გათამამებულ ბევრ ახალგაზრდას ჰგონია, რომ მისთვის საკმარისია ის ცოდნა, რომელიც ინტერნეტშია დაუნჯებული და Google-ის ან Yahoo-ს „ონკანის“ გახსნისთანავე, საჭირო მომენტში გადმოჩუხჩუხდება. დიახ, ინტერნეტში მართლაც არის ცოდნის ვეება მარაგი, ინტერნეტმა „კარგად იცის“, ვინ იყვნენ შოთა რუსთაველი, უილიამ შექსპირი, ალბერტ აინშტაინი თუ პეტრე მელიქიშვილი, როდის დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, „რა ანგარიშით“ დამთავრდა კრწანისის ბრძოლა; ინტერნეტმა „იცის“, რომ „გრაუნდ ზერო“ საკუთარი სახელი არ არის და ეპიცენტრს ნიშნავს; რომ ვაგნერის ფესტივალები გერმანულ ბაიროითში იმართება და არა ლიბანურ ბეირუთში, რომ „ორდენი“ სხვაა და „ორდერი“ — სხვა... მაგრამ ეს სხვისი ცოდნაა და არა ჩვენი და თუ ამ ცოდნის ყველასთვის სავალდებულო და ჩვენთვის აუცილებელი ნაწილი ჩვენად არ ვაქციეთ, ისე არაფერში გვარგია, ცხრა მთას იქით ანთებული ლამპარივით იქნება. რას გვარგებს, მაგალითად, საფეხბურთო თუ სარაგბო მატჩების ყურებისას ფეხბურთისა თუ რაგბის წესების ინტერნეტში არსებობა, თუ ეს წესები არ გვეცოდინება? ინტერნეტის ცოდნის იმედზე ყოფნა, ზოგჯერ აბსურდამდე მიდის. ერთ ჩვენს მეგობარ ქვეყანაში მინახავს 5 წლის ბავშვი, რომელიც იმისათვის, რომ ეპასუხა მარტივ კითხვაზე, — რამდენი წლისა ხარო, — კომპიუტერს მისჯდომია და თავის ბავშვურ პროფაილში ამოკითხული ზუსტი პასუხით გაუხარებია მშობლები. ან სად გადის ის ზღვარი, რომლის იქით ცოდნით შეიძლება თავი არ დავიმძიმოთ და ინტერნეტის იმედად ვიყოთ? დიახ, ინტერნეტმა გაადვილა ინფორმაციის მოძიება, მაგრამ ცოდნის შეძენა — არა. ხოლო ინფორმაციის მოძიების სურვილი, ცოდნის წყურვილი ისევ ჩვენ უნდა გაგვიჩნდეს.

**— თქვენს სტუდენტებს შორისაც არიან ისეთები, ვისაც „გრაუნდ ზერო“ საკუთარი სახელი ჰგონია? თქვენი სტუდენტების მაგალითზე რომელიმე ასეთ კურიოზს თუ გაიხსენებთ?**

— ჩემს სტუდენტებში რასაკვირველია, იქნებიან, მაგრამ მე ვცდილობ, რომ ჩემს ნასტუდენტრებში არ იყვნენ ასეთები. ან სტუდენტებისგან რა გასაკვირია, როცა ეს „გრაუნდ ზერო“ ერთი სახელოვანი ტელევიზიის „მონაპოვარია“?!. რაც შეეხება სტუდენტებს, რამდენიმე კურიოზი დღემდე სამაგალითოდ მაქვს სხვებისათვის. ორს გიამბობთ, ორივე გაზეთის გვერდთან არის დაკავშირებული. რამდენგვერდიანია-მეთქი? — რომელიღაც გაზეთზე ვკითხე ერთ სიმპათიურ და ნიჭიერ სტუდენტს. — 23-გვერდიანიო! — როგორ შეიძლება, გაზეთი 23-გვერდიანი იყოს-მეთქი?! გადამიშალა და მაჩვენებს 23-ე გვერდს. მე გაზეთი დავხურე და 24-ე გვერდი ვაჩვენე, — ეს რა არის-მეთქი? კი, მაგრამ აბა, მაჩვენეთ, ციფრი „24“ სად აწერიაო! ვერ ვაჩვენე — არ ეწერა. ჩვეულებრივ, ბოლო გვერდს პაგინაცია არ აქვს. ვერაფრით დავარწმუნე, რომ კენტგვერდიანი გაზეთი არ არსებობს! მეორე არანაკლებ სიმპათიური და ნიჭიერი სტუდენტი გამოცდაზე ჩავჭერი იმის გამო, რომ გაზეთის განხილვისას, ნაცვლად იმისა, რომ დაეწერა, ესა და ეს მასალა გაზეთის ამა და ამ გვერდზეა დაბეჭდილიო, **„გვერძე“** დაწერა. განმეორებითი გამოცდის წინ ეს სიტყვა დაფაზე დავაწერინე, სიტყვის ფუძე და თანდებული გამოვაყოფინე, ყველაფერი დაწვრილებით ავუხსენი, მაგრამ იმ თავის ხელმეორე საგამოცდო ნაწერში მაინც „გვერძე“ დამიწერა! ეს ძალიან ქართული ასო — „ძ“ — რაღაც თარსია ზოგიერთი სტუდენტისათვის. მახსოვს, ერთმა სტუდენტმა (ეტყობა, ლათინურასოებიან მესიჯებში ხელგაწაფულმა) თავისი გვარი — ვთქვათ, კეთილაძე — „კეთილა**დზ**ედ“ დამიწერა. აი, დღესაც ერთმა ძალიან ლამაზმა გოგონამ თავისი არანაკლებ ლამაზი ნაწერი სიტყვა „შეუ**დზ**ლებელიათი“ „დაამშვენა“...

**— იმის მიუხედავად, რომ თქვენი სახელოსნოს სტუდენტების მიერ მომზადებული ჟურნალი „ობოობა“ მეტისმეტად მცირე ტირაჟით დაიბეჭდა, მან თავისი ორიგინალური კონცეფციითა და დიზაინით მალე გაითქვა სახელი ჟურნალისტურ და საგამომცემლო წრეებში. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ასეთი მაღალი დონის სასწავლო გამოცემა არასოდეს არც ერთ უმაღლეს სასწავლებელს არ ჰქონია საქართველოში და ალბათ არა მარტო საქართველოში. მეტიც, „ობოობას“ თამამად შეუძლია გასვლა ქართული პრესის ბაზარზე, იგი ნამდვილად კონკურენტუნარიანი პროდუქტია. როგორ გაჩნდა ამ ჟურნალის იდეა და როგორ შეისხა მან ხორცი?**

— ტრადიციულ და ახალ მედიათა დამახასიათებელი თვისებების მქონე ჟურნალის გამოცემის იდეა რამდენიმე წლის წინათ გამიჩნდა და მსოფლიო აბლაბუდის შესატყვისი სახელწოდებაც მაშინ შევიგულე. ხოლო ეს ორი „ო“ ჟურნალის ტიტულში მოგვიანებით გაჩნდა — Yahoo-ს, Google-ისა და Facebook-ის ანალოგიით. როდესაც რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა მამუკა თავხელიძემ სასწავლო ჟურნალის გამოცემა შემომთავაზა, სწორედ ეს პროექტი გავაცანი. მან პროექტიც მოიწონა, სათაურიც და ჩემი ის პოზიციაც, რომ სასწავლო ჟურნალი სულაც არ ნიშნავს მდარესა და უხარისხოს. არაერთი სასწავლო ჟურნალი გამოსულა დღემდე საქართველოში, ერთი მათგანის რედაქტორი მეც ვიყავი უნივერსიტეტის ბოლო კურსზე სწავლისას, მაგრამ, სამწუხაროდ, ისე დამკვიდრდა, რომ სასწავლო ჟურნალი მაინც არ ითვლება ნამდვილ ჟურნალად და მის დონეზე ნაკლებად ზრუნავენ. არადა, ჩემი აზრით, სასწავლო ჟურნალი, რომლის მოსამზადებლად მის შემოქმედთ დროც მეტი აქვთ და თავისუფლებაც, სხვაზე უკეთესი თუ არა, უარესი არ უნდა იყოს. ჟურნალის პირველი ნომრის შესავალ წერილში ვწერ კიდეც: „განა შეიძლება, რომ მომავალი პილოტების სასწავლო ფრენა თვითმფრინავის ჩამოვარდნით დამთავრდეს?!“ სწორედ ამ პრინციპით გავაკეთეთ ჟურნალის პირველი ნომერი, რომლის მომზადებაშიც, მესამეკურსელთა გარდა, ვისაც ეს სასწავლო პროგრამით ევალებოდა, სხვა დონეთა სტუდენტებიც მონაწილეობდნენ. ახლა უკვე სტამბაშია და მალე დაიბეჭდება ჟურნალის მეორე ნომერიც. არ არის გამორიცხული, რომ მომავალში გაიზარდოს ჟურნალის პერიოდულობა, ხოლო მისი შემოქმედებითი კოლექტივი მხოლოდ ჩვენი უნი-

გაგრძელება იხ. გვ. 82

# იაკობ გოგებაშვილის „ნაპატიმრალი“ წიგნი — ჟურნალ „კარიბჭესთან“ ერთად

**ჟურნალ „კარიბჭესთან“ ერთად, მკითხველმა იაკობ გოგებაშვილისეული „საღმრთო ისტორია“ მიიღო. წიგნის რედაქტორ-შემდგენლები და სარედაქციო ჯგუფის წევრები ტექსტზე დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ, რის შედეგადაც გოგებაშვილის ხელნაწერმა დღის სინათლე იხილა. რადგან წიგნის შემდგენელი — ბატონი ზურაბ კალანდაძე საქართველოში არ იმყოფება, მის ვაჟს — გიორგი კალანდაძეს დავუკავშირდით და ვთხოვეთ, მოეთხრო, თუ როგორ მუშაობდნენ მასზე.**



*თამუნა ქვინიკაძე*

**გიორგი კალანდაძე**, *გამომცემლობის — „მთაწმინდა“ ხელმძღვანელი:*

— კომუნისტური მმართველობის პერიოდში ეს ხელნაწერი „დაპატიმრებული“ იყო. გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, დიდი ძალისხმევით, რთული მოლაპარაკებების შემდეგ მამაჩემმა — ზურაბ კალანდაძემ და ჩვენმა სასიქადულო მეცნიერმა — ელგუჯა გიუნაშვილმა არქივში დაიწყეს მუშაობა. 1989 წელს დაარსდა გამომცემლობა „მთაწმინდა“, სადაც 1990 წელს, პირველად სრულყოფილი სახით გამოიცა იაკობ გოგებაშვილის „საღმრთო ისტორია“; მისი ახალი რედაქცია გამომცემლობამ 2010 წელს დასტამბა. მას XII საუკუნის მინიატიურები აქვს დართული. იმ დროს გამომცემლობა „მთაწმინდასთან“ თანამშრომლობდნენ ცნობილი მეცნიერები, კერძოდ: ზურაბ სარჯველაძე, ელგუჯა გიუნაშვილი, მანანა მაჩხანელი, დარეჯან თვალთვაძე, უჩა ცინდელიანი და სხვანი. გოგებაშვილის მიერ დაწერილი „საღმრთო ისტორია“ ხელნაწერის სახით იყო დაცული არქივში. მის ტექსტოლოგიურ კვლევას ბევრი დრო და შრომა დასჭირდა.

**— მამათქვენის გარდა ხელნაწერის დამუშავებაზე კიდევ ვინ მუშაობდა?**

— ელგუჯა გიუნაშვილი და სამეცნიერო ჯგუფი, რომლის წევრებიც სხვადასხვა სამუშაოს ასრულებდნენ. მათ შორის განსაკუთრებით უნდა გამოიყოს აწ განსვენებული, ღვაწლმოსილი მეცნიერი ზურაბ სარჯველაძე, რომელმაც უდიდესი შრომა გასწია „მთაწმინდის“ მიერ გამოცემული რამდენიმე წიგნის რედაქტირებისას და რომელსაც ზოგადად დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული მეცნიერების განვითარებაში. მოგეხსენებათ, ქართული პედაგოგიკის ფუძემდებელი იაკობ გოგებაშვილი გახლავთ. „დედა ენა“, რა თქმა უნდა, მისი უმნიშვნელოვანესი ნაშრომია, მაგრამ „საღმრთო ისტორია“ ასევე დიდად მნიშვნელოვანია ჩვენი მოზარდი თაობის სულიერი აღზრდისთვის. გოგებაშვილის მიზანიც სწორედ ეს იყო. მისასალმებელია, რომ ეს წიგნი ჟურნალ „კარიბჭესთან“ ერთად მიეწოდება მკითხველს.

**— როგორც ვიცი, მამათქვენი ჰოლანდიაშიც კულტურულ საქმიანობას ეწევა...**

— დიახ, მრავალმხრივ საქმიანობას ეწევა. აქტიურად მუშაობს, როგორც პოეტი, მხატვარი და ლიტერატორი. ევროპისა და სხვა ქვეყნებში რამდენიმე ასეული გამოფენა აქვს გაკეთებული. მისი ლექსების კრებულები გამოცემულია ჰოლანდიურ და ინგლისურ ენებზე. ჰოლანდიაში გამოსცა „ბიბლიის ლექსიკონის“ ორტომეული, რომელზეც ელგუჯა გიუნაშვილსა და ზურაბ სარჯველაძესთან ერთად 12 წლის მანძილზე მუშაობდა. ლექსიკონი საპატრიარქოს, სახელმწიფო უნივერსიტეტს, საჯარო ბიბლიოთეკასა და სხვა დაწესებულებებს საჩუქრად გადაეცა. ამჟამად მუშაობს ქართული წიგნების შედგენა-რედაქტირებაზე, მათ შორის, წიგნზე — „საღმრთო სჯული“. წიგნი ეპისკოპოს ნესტორ ყუბანეიშვილისეული საღმრთო ისტორიით იწყება. მას მოსდევს ახალი აღთქმის განმარტებები, შემდეგ — კატეხიზმო, ინფორმაცია ქართველ წმინდანებზე და სხვა.



ამ წიგნს 6 ავტორი ჰყავს, მათ შორის 5 — სასულიერო პირია; საერო პირი მხოლოდ გიორგი იოსელიანი გახლავთ. ამ ადამიანის შესახებ ერთ საინტერესო ამბავს მოგიყვებით, რომელიც „საღმრთო ისტორიასთანაა“ დაკავშირებული. იაკობ გოგებაშვილის მსგავსად, „საღმრთო ისტორია“ გიორგი იოსელიანსაც ჰქონდა დაწერილი. გოგებაშვილს ეს რომ გაუგია, უთქვამს: ჯობია, ეს წიგნი შენ გამოაქვეყნოო. მისდამი დიდი პატივისცემა ჰქონია.

**— მათ შორის რა განსხვავებაა?**

— სულისკვეთება ერთია. ორივე ძალიან ფასეულია. განსხვავებულია ლიტერატურული სტილი და ამბის თხრობის მანერა. რაც აერთიანებთ — ეს არის მართლმადიდებლობის და ქვეყნის სიყვარული. კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის კურთხევით, მამაჩემი კიდევ ერთ წიგნზე მუშაობს. სასულიერო პირებისთვის ცნობილია, მაგრამ თანამედროვე საზოგადოებამ ბევრი არაფერი იცის წმინდანი ბერის, ღირსი ალექსის (შუშანია) შესახებ. ის დიდი მოაზროვნე, XX საუკუნის დასაწყისში მნიშვნელოვანი ფიგურა იყო. მამაჩემი ადრე მის ლიტერატურულ მემკვიდრეობაზე მუშაობდა. ღირს ალექსის აქვს მოძღვრებები, ქადაგებები და პოეტური ნაწარმოებები. იმ დროს, როცა სამეგრელოში ქართული ენის ამოძირკვა უნდოდათ, რუსეთიდან წარმოგზავნილ ეგზარქოსს ალექსი ბერმა საპროტესტო წერილი მიაწოდა. იმ პერიოდში ეს წარმოუდგენელი იყო. გმირობა ჩაიდინა. მისმა თავგანწირვამ რუსებს გადააფიქრებინა ის ქმედებები, რაც სამეგრელოში უნდა განეხორციელებინათ. ეს წიგნი მკითხველისთვის დიდად სასარგებლო იქნება.

■

# სახე

## როდის გრძნობს თავს კომფორტულად

# მიშა ანდღულაძე

### ჟულისა და გენადის დაუცხრომელი სიყვარულის ამბავი

**უცნაურად შეხმატკბილებული წყვილი — ჟული და გენადი მაყურებელმა „კომედი შოუს“ სკეტჩებიდან გაიცნო: საეჭვო წარსულის მქონე „გასვეტსკებულმა“ პროვინციელმა ქალბატონმა ჟულიმ (მიშა ანდღულაძე) მდიდარი ბიზნესმენი — გენადი (ზაქრო ინწკირველი) „უეცარი ვნებით“ „დაატყვევა“ და ჟერჟეროზით, მისგან გაქცევას არ აპირებს...**

**ჩემთან საუბრისას ჟულიმ აღიარა, რომ კაბებს ვერ იტანს, სამაგიეროდ გიჟდება ნატურალური ბეწვისგან დამზადებულ ქურქებზე. მოსწონს ბაცი ფერის პომადა. სახეზე ცოტა ტონალურ კრემსაც ისვამს, რადგან მიაჩნია, რომ ასე უფრო გამხდარი ჩანს. მოკლედ, ის საკმაოდ გულახდილი იყო და ჩემთან ლაპარაკის ნება გენადისაც დართო, მაგრამ კატეგორიულად ამიკრძალა „ლოგინის თემაზე“ კითხვების დასმა (თუმცა წყვილთან ამაზე საუბარს არც ვაპირებდი) და დასძინა: — სარეცელი ჩვენთვის წმინდა რამააო...**



ჟულის როლით გაკვეთილები ჩავუტარე ანუ ახლა იცის, როგორი ცოლი არ უნდა მოიყვანოს

*ეთო ყორღანაშვილი*

**ჟული:**

— ძალიან საინტერესო პიროვნება ვარ: მდიდარი კაცი ჩავიგდე ხელში, რომელსაც ადრე მოსკოვში „ბიზნესები“ ჰქონდა, მაგრამ არეულობის პერიოდში იქიდან წამოვიდა. ახლა პატარა საქმე აქვს, თუმცა მაინც კარგადაა, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კმაყოფილები ვართ. და კიდევ, ძალიან დამყოლი ქმარია...

**გენადი:**

— პერიოდულად დისკომფორტს კი ვგრძნობ, მაგრამ ჩემი არჩევანით უკმაყოფილო ნამდვილად არა ვარ. განსხვავებული წყვილი გახლავართ.

**ჟული:**

— მე უფრო ძლიერი და მაღალი ვარ, ვიდრე გენადი.

**— თუმცა ბოლო სკეტჩში გაირკვა, რომ თქვენი მეუღლე არც ისეთი უძლური ყოფილა, როგორიც ერთი შეხედვით ჩანდა. გენადი, ჟულისთან ურთიერთობისას რა გემართებათ? ასეთი მორჩილი რატომ ხართ?**

— ეგ არ ვიცი, მაგრამ მერწმუნეთ, ადამიანი, როგორი მშვიდიც უნდა იყოს, ბოლოს მაინც „აფეთქდება“.

**— როგორ ფიქრობთ: სიყვარულმა შეიძლება ადამიანი ისე დააბრმაოს, რომ ჟულის მსგავსი ქალი მართლა შეუყვარდეს?**

**გენადი:**

— კი!

**— ზაქროს ცხოვრებაში რაიმე მსგავსი ყოფილა?**

— არა... ისე, რატომ გგონია, რომ გენადი დაბრმავებულია? მე თავს კარგად ვგრძნობ!

**ჟული:**

— კი, კი, ბედნიერია. უბრალოდ, არ იცის, რომ სინამდვილეში უბედური უნდა იყოს.

**— ჟულის საეჭვო წარსულის შესახებ გენადიმ არაფერი იცის?**

— არა. რომ იცოდეს, აღარ „მოიწველება“.

**— ასეთმა ქალმა გენადის გული როგორ მოიგე?**

**გენადი:**

— ჟულის დადებითი თვისება აქვს: შეუძლია „უეცრად“ ვნებიანი, მიმზიდველი გახდეს! ჰოდა, მამაკაცმა ეს „უეცარი ვნებათაღელვა“ თუ „დაიჭირა“, მისი მკლავებიდან ვეღარსად გაიქცევა.

**— როგორც ვიცი, ნანულისა და გურამს რეალური პროტოტიპები ჰყავდათ. ჟულისა და გენადის შემთხვევაში როგორაა საქმე?**

**ჟული:**

— მე რაიონიდან ვარ ჩამოსული და აქ თვითდამკვიდრებას ვცდილობ. ჩემნაირი ქალბატონი ბევრია... თბილისში გავთხოვდი. ჩემი პირველი ქმარი ცეკაში, კარგ თანამდებობაზე მუშაობდა, მეორე — კონიაკის ქარხნის დირექტორი გახლდათ და ორივე იმ ქვეყნად გავისტუმრე: ერთი სმას გადაჰყვა, მეორემ ინფარქტი მიიღო. პერიოდულად, ჩემს ლაპარაკში კუთხური კილო გამოსჭვივის, მაგრამ ძირითადად, „ქალაქურად“ ვსაუბრობ.

**გენადი:**

— ჩვენ უცხოპლანეტელები ნამდ-



ჯულისნაირ ქალს ძლიერი მამაკაცი არ სჭირდება. მას ქმარი აუცილებლად, „დაჩმორებული“ უნდა ჰყავდეს

ვილად არ ვართ, ვიღაცებს ვბაძავთ.

— **დაბოლოს, სკეტჩიდან გაირკვა, რომ თქვენი ბინა გაძარცვეს. ამ ფაქტის შემდეგ ცხოვრებას როგორ გააგრძელებთ?**

**ჯული:**

— ქურდი უკვე ვიპოვეთ: იმას თავისი გაჭირვება აქვს და აბა, რა უნდა წავართვათ?!

**გენადი:**

— თან, ყველაფერი დაზღვეული გვქონდა.

**ჯული:**

— ბედნიერ და დაუცხრომელ ცხოვრებას განვაგრძობთ, ვნებათაღელვის გარემოცვაში...

*ამ დიალოგის შემდეგ მსახიობებს შევთავაზე, როლიდან გამოსულიყვნენ, რაზეც უპრობლემოდ დამთანხმდნენ.*

— **ზაქრო, წინათ სკეტჩებში არ ჩანდი. გენადის როლისთვის ვინ და როგორ შეგარჩია?**

**მიშა:**

— სხვათა შორის, მე დავადგი თვალი.

**ზაქრო:**

— თავდაპირველად გაჩნდა იდეა, რომ ჯული კიდევ ერთხელ უნდა გათხოვილიყო — ანუ „კომედი შოუში“ ახალი პერსონაჟი უნდა „შეგვეგდო“. ერთ დღეს „ვანოს შოუზე“ ვმუშაობდი. „კომედის“ ოთახში ისე იცინოდნენ, თავი ვერ შევიკავე, შევიხედე და ვიკითხე: — რა ხდება-მეთქი? მიშამ გვერდით დამიყენა და თქვა: — კი, ესაა ქმარიო!..

**მიშა:**

— ჯულისნაირ ქალს ძლიერი მამაკაცი არ სჭირდება. მას ქმარი აუცილებლად, „დაჩმორებული“ უნდა ჰყავდეს.

— **ამ მხრივ შენს ოჯახში რა ხდება?**

— ისეთივე ძლიერი ვარ, როგორიც ქალბატონი ჯულია. ფაქტობრივად, დაუმარცხებელი ვარ (*იღიმის*)!..

**ზაქრო:**

— ჩემს ოჯახშიც ასეა: ჩემი სიტყვა კანონია! მარტო ვცხოვრობ და როგორც მე ვიტყვი, ყველაფერი ისე იქნება...

— **მიშა, ქალის როლებს ხშირად და დამაჯერებლად ასრულებ. ამის გამო შენს სექსუალურ ორიენტაციასთან დაკავშირებული ჭორები ხომ არ გსმენია?**

— მესმის, რომ ეჭვი გაგიჩნდათ... ეტყობა, ღვთის ნება იყო, რომ ამ მხრივ გამორჩეული ვყოფილიყავი ან წინა ცხოვრებაში გახლდით ბერძენი: ძველ საბერძნეთსა და რომში, როცა სპექტაკლები ამფითეატრებში იდგმებოდა, ქალის როლს მამაკაცები ასრულებდნენ. ჩვენ გოგონები კი გვყავს, მაგრამ ეტყობა, მე უფრო კარგად მესმის ისეთი ქალების, რომლებსაც ვასახიერებ.

— **ქალის როლში თავს კომფორტულად გრძნობ?**

— მხოლოდ იმ 10-15 წუთის განმავლობაში, რამდენ ხანსაც სკეტჩი „მიდის“. ქალის როლის შესრულება წვერის საგულდაგულოდ გაპარსვას მოითხოვს, რაც დამღლელი პროცედურაა.

— **ზაქრო, როცა ქალის სამოსში გამოწყობილ მიშას უყურებ, სიცილისგან თავის შეკავება არ გიჭირს?**

— ისეთი სახით მიყურებს ხოლმე, რომ შეუძლებელია, გამეცინოს! თუმცა, ასეთი რამ ერთხელ მაინც მოხდა: პურზე კარაქი რომ წამისვა, არ ველოდი და თავი ვერ შევიკავე, სიცილი ამიტყდა...

**მიშა:**

— ჯულის როლით გაკვეთილები ჩავუტარე ანუ ახლა იცის, როგორი ცოლი არ უნდა მოიყვანოს.

— **სკეტჩებში ხანში შესული ქალბატონი რომ მონაწილეობს, ვინაა?**

— ტელევიზიის დასუფთავების სამსახურის „პროდიუსერია“. მან კასტინგი წარმატებით გაიარა...

— **ზაქრო, შენთვის ეკრანს მიღმა მუშაობა უფრო კომფორტული ხომ არ არის?**

— ჩემი საქმე წერა უფროა, მაგრამ როლებზე მუშაობაც სიამოვნებას მანიჭებს.

— **ჯგუფმა „კენზომ“ ხუმრობა-ხუმრობაში კონცერტები გამართა. მაინტერესებს, „ინტონაციურ პოეზიას“ რამდენად სერიოზული გეგმები აქვს?**

**მიშა:**

— ამ „ჟანრს“ ბევრი გულშემატ-



ქურდი უკვე ვიპოვეთ: იმას თავისი გაჭირვება აქვს და აბა, რა უნდა წავართვათ?!

კივარი გამოუჩნდა და ერთ-ერთ სკოლაში შეჯიბრებაც მოაწყვეს: 2 კონკურენტი გუნდი იყო. მე ჟიურიში გახლდით. კონკურსის მონაწილეები ქუდიდან ფურცელს იღებდნენ, რომელზეც რამდენიმე სიტყვა ეწერა და ეს სიტყვები „ინტონაციურ პოეზიაში“ უნდა გაერითმათ. გამარჯვებული გუნდისთვის რაღაც პრიზებიც კი იყო დაწესებული... ამ „ჟანრის“ ლექსები აუცილებლად, კითხვა-ძახილის ნიშნით უნდა დამთავრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ინტონაციური პოეზიის“ კლასიკური ნიმუში ვერ იქნება.

**ზაქრო:**

— „ინტონაციური პოეზიის“ ლექსები ემოციურია; უკმაყოფილო ხალხის გამოძახილია.

**მიშა:**

— სოციალურ სარჩულს ატარებს და ამითაა გამორჩეული. თან, ფაქტობრივად, მედიატორია მთავრობასა და ხალხს შორის...

— **წარმატებულ შემოქმედებით ცხოვრებას გისურვებთ!..**

— გმადლობთ! ■



# რით აკვირვებს ხალხს ნინუცა მაყაშვილი

## „ზოგს უცხოელი ვგონივარ...“



უცნაური „პრიჩო“ მაქვს და ამიტომაც, ზოგს უცხოელი ვგონივარ

**მხიარული და ენერგიული მსახიობი ნინუცა მაყაშვილი ამჟამად თელავის თეატრის ახალ სპექტაკლში მონაწილეობს, თავისუფალ დროს კი შვილთან და მეგობრებთან ერთად ატარებს. ამჯერად იგი საკუთარი ჩაცმის სტილზე გვესაუბრა და იმაშიც გამოგვიტყდა, რომ დასთან ჩხუბი ხშირად უწევს.**

*თამთა დადეშელი*

— რომ გითხრათ, გამორჩეულად რომელიმე ბრენდის ან სტილის სამოსი მომწონს-მეთქი, მოგატყუებთ. საკმაოდ ბევრი მაქვს ბიჭის ჯინსის შარვალი, ჩაჩაჩული და „მოჯაჯული“ ტანსაცმელი. ამწუთას ბებიაჩემის ნაქონი დიდი შავი მოსაცმელი მაცვია, რომელიც ძალიან მომწონს. რამდენიმე დღის წინ თეატრში კლასიკური, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და კაბა მეცვა.

— **მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი დისკომფორტს ხომ არ გიქმნის?**

— კი, და ყოველდღე ასეთი ფეხსაცმლით რომ ვიარო, შეიძლება თავი მოვიკლა (*იცინის*). როცა ქორწილში ან წვეულებაზე მივდივარ, ჩანთაში ყოველთვის მიდევს „ტაპოჩკები“, რადგანაც მაღალქუსლიანით ცეკვა მოუხერხებელია... მაკიაჟს ხშირად არ ვიყენებ, თუმცა როცა საჭიროა, ტუშსაც ვისვამ, ფანქარსაც, თვალის ჩრდილსაც და ტუჩის საცხსაც, ოღონდ მკვეთრი მაკიაჟი არ მიყვარს. სასაცილო ისაა, რომ თავად არაფრის წასმა არ შემიძლია.

— **ფართო საზოგადოებამ მოკლე ვარცხნილობით გაგიცნო...**

— გრძელი თმა მქონდა, მაგრამ ბოლო დროს მოკლე ვარცხნილობა უფრო მომწონს და როგორც კი წამომეზრდება, ვიჭრი ხოლმე. 2-3 თვის წინ ქერა გავხდი, ახლა კი თმის ძირები ბუნებრივი ფერის მაქვს, დანარჩენი — ქერა. მოკლედ, უცნაური „პრიჩო“ მაქვს და ამიტომაც, ზოგს უცხოელი ვგონივარ, მეგობრები კი მეკითხებიან: რა უქენი თმას, ეს რა არისო (*იცინის*)?!.

— **თინეიჯერობის ასაკში ბევრი ცდილობს, სხვებისგან რადიკალურად განსხვავებული იყოს და ისეთი სტილის სამოსს იცვამს, რომელიც ხალხის გაკვირვებას იწვევს. ამ ასაკში შენ როგორ იმოსებოდი?**

— დახეული ჯინსით ახლაც დავდივარ, მაგრამ მაშინ გამუდმებით ასეთი შარვალი მეცვა. კიდევ, კედები მომწონდა, მაღალქუსლიანი ფეხსაცმლისკენ კი არც ვიყურებოდი. ცოტა არ იყოს, უცნაური ვარცხნილობა მქონდა: გვერდებზე — აპარსული, შუაში — აჩეჩილი; მარჯვენა მხარეს, ყურთან კი ორი ხაზი მქონდა. მაშინ გოგონები ასე არ დადიოდნენ და ხალხს გიჟი ვეგონე.

— **როკს თუ უსმენდი?**

— კი, ახლაც ვუსმენ, ოღონდ ე.წ. მძიმე როკი არ მიყვარს...

— **აქსესუარებიდან რას იყენებ?**

— მარცხენა ხელზე ბეჭედი მიკეთია, რომელსაც აწერია — „უფალო, შეგვიწყალენ“ და მას არასდროს ვიხსნი. საათიც მიყვარს, მაგრამ ხშირად „ვებრძვი“ — ამ აქსესუარზე მინა გამუდმებით მიტყდება. ახლა ახალი საათი ვიყიდე და იმედია, არ გავტეხ. ძალიან მიყვარს „როკერული“ ტყავის სამაჯური, რომელიც მეჯვარემ მაჩუქა.

— **როგორი სტილის ხელჩანთებს ანიჭებ უპირატესობას?**

— როცა თეატრალურ უნივერსიტეტში ვსწავლობდი, ბევრი ნივთი დამქონდა და ამიტომაც, ტომარის ტიპის ჩანთებს ვატარებდი. ყველა, ვინც კი მასში ჩაიხედავდა, სიცილით აღნიშნავდა: — ამ ჩანთაში ჩემ გარდა, ყველაფერიაო... უპირატესობას შავ და დიდ ჩანთებს ვანიჭებ.

— **სათვალეს ხშირად ატარებ?**

— კი. ყოველდღიურად შავ „რეიბანს“ ვატარებ, რომელსაც ადამიანის ჩონჩხი ახატია. ცოტა უფრო ძვირად ღირებული სათვალეც მაქვს, რომელსაც სოლიდურ ადგილებში ვიკეთებ.

— **შენ და რუსკა ერთმანეთის ტანსაცმელს არ იცვამთ ხოლმე?**

— კი, და ამის გამო გამუდმებით ვჩხუბობთ, მაგრამ ბოლოს მაინც ვთანხმდებით. გუშინ, მაგალითად, ქამრის გამო ვიჩხუბეთ, დღეს — სათვალის (*იცინის*).

— **ტანსაცმელს დედას არ ჰპარავდით ხოლმე?**

— ბავშვობისას ვმაიმუნობდით,



გამუდმებით ვჩხუბობთ, მაგრამ ბოლოს მაინც ვთანხმდებით. გუშინ, მაგალითად, ქამრის გამო ვიჩხუბეთ, დღეს — სათვალის

ახლა კი ასეთ რაღაცებს არ ვაკეთებთ. დედას ჩვენგან განსხვავებული სტილი აქვს, თუმცა მის გარდერობშიც მოიძებნება ისეთი რაღაცები, რასაც სიამოვნებით „ავითვისებდი“, მაგრამ არ მომცემს.

**— შენს გარეგნობაში თუ არის რაიმე ისეთი, რაც არ მოგწონს და რის შეცვლასაც ისურვებდი?**

— ყველაფერი მომწონს-მეთქი, — რომ გითხრა, მოგატყუებ, მაგრამ არც რაიმეს შეცვლაზე მიფიქრია. ჰო, ჩემი კბილები არ მომწონდა და ახლა ვიკეთებ.

**— შენს შემოქმედებაში რა სიახლეებია?**

— ცოტა ხნის წინ თელავის თეატრში გვქონდა პრემიერა: სოსო ბაკურაძემ, კახა ბაკურაძის შვილმა და ბატონი რობიკოს მაგისტრანტმა კომედია — „სადილი ექვსისთვის“ დადგა, სადაც ერთ-ერთ სახალისო როლზე მეც დამამტკიცეს.

**— „შუა ქალაქში“ აღარ გადაგიღებენ?**

— როგორც ვიცი, ძველი მსახიობებიდან ამ სერიალში მხოლოდ ნოდარ გურგენაშვილი დარჩა, დანარჩენები კი გაუშვეს. სამწუხაროდ, მეც არავინ დამკავშირებია.

**— იმედია, ზოგიერთ სერიაში მაინც გიხილავთ.**

— ამის იმედი მეც მაქვს...

**— შენს შვილზე რას გვეტყვი?**

— ნოდარიკო ბაღში დადის, შაბათ-კვირას კი სულ ერთად ვართ. როცა სადმე მივდივარ, დედას ვუტოვებ. ძალიან ცელქია, სულ ჩხუბობს და ყვირის. „მინდა-არმინდას“ ერთდროულად გაიძახის და ვერ ვიგებთ, რა უნდა და რა — არა. კომპიუტერი სულ გაანადგურა... მაგრამ მაინც ძალიან საყვარელია. ბოლოს და ბოლოს, ბავშვი ხომ ცელქი უნდა იყოს. ■


ძველი მსახიობებიდან სერიალში მხოლოდ ნოდარ გურგენაშვილი დარჩა, დანარჩენები კი გაუშვეს

# ვის რჩევებს ითვალისწინებს ჯაპანა

## „ბევრი ფული – არა, ბევრი სიყვარული გვქონდა“

**ერთი მსახიობია, მეორე — თეატრმცოდნე და ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი. მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოპულარულია, ბევრმა არ იცის, რომ და-ძმაა. დოდოშკა და დათო ხურცილავებმა, იგივე — ჯაპანამ ბავშვობის წლები სიამოვნებით გაიხსენეს.**

*თამუნა კვინიკაძე*



**— როცა ერთად ხართ, ბავშვობის წლებს ხშირად იხსენებთ?**

**დოდოშკა:**

— ნაკლებად. დღეს ერთმანეთისთვის იმდენად ბევრი რამ გვაქვს მოსაყოლი, წარსულს იშვიათად ვიხსენებთ. ბავშვობის წლები ბედნიერად გავატარეთ. მართალია, ბევრი ფული — არა, მაგრამ ბევრი სიყვარული გვქონდა. ბებიებისა და ბაბუების გარემოცვაში გავიზარდეთ.

**დათო:**

— დოდოშკა ჩემზე 6 წლით უფროსია. ამის გამო ეზოში ერთად არ გვირბენია, თან ინტერესებიც სხვადასხვა გვქონდა.

**დოდოშკა:**

— თოჯინებით თამაშის ნაცვლად, ადრეული ასაკიდან წიგნებს ვკითხულობდი.

**დათო:**

— მე კი მახსოვს, როგორ მაძალებდნენ, წიგნი წამეკითხა. ვერ ვიტყუებოდი, რადგან ეზოში მხოლოდ მას შემდეგ მიშვებდნენ, რაც წაკითხულის შინაარსს მოვყვებოდი. ამ შინაარსს ხშირად, დოდოშკა იბარებდა.

**დოდოშკა:**

— გამორჩეული ბაბუა გვყავდა. უაღრესად განათლებული, დარბაისელი ქართველი ვაჟკაცი იყო. 1937 წლის რეპრესიებს ვერც ის გადაურჩა და გადაასახლეს. იქიდან რომ დაბრუნდა, 2 წლის ვიყავი. — მოდი, ბაბუ, ჩემთანო, — უთქვამს. საერთოდ, უკარება ვყოფილვარ, მაგრამ ეტყობა ვიგრძენი, ჩემი სისხლი და ხორცი რომ იყო და მასთან მივსულვარ.

**დათო:**

— პატარა ვიყავი, ბაბუა რომ გარდაიცვალა, მაგრამ მისი სიარული, საუბრის მანერა ძალიან კარგად მახსოვს. ერთხელ ეზოში ვთამაშობდი და მეზობლის პატარა გოგოს დავარტყი. ტირილი დაიწყო. ამ დროს ბაბუა მოვიდა და ატირებული გოგონა რომ დაინახა, შეწუხდა, ბურთი გამომართვა, მას დაუბრუნა, მერე კი მითხრა: ბაბუ, ნუ ატირებ, ქალიაო. მახსოვს, ჩვენთან სახლში მეზობლის გოგო რომ შემოდიოდა, ბაბუ ფეხზე დგებოდა და ხელზე კოცნიდა.

**დოდოშკა:**

— მე სახელი მისი მეუღლის — ნინოს პატივსაცემად დამარქვეს, მაგრამ მამა დოდოშკას მეძახდა და დღეს ყველა ამ სახელით მიცნობს.

**— ერთმანეთს აბრაზებდით, ჩხუბობდით?**

— როგორ არა! მახსოვს, უმნიშვნელო რაღაცებზე ვჩხუბობდით, მაგრამ ჩემთვის არასდროს უთქვამთ, — პატარაა და დაუთმეო. დათოს ეტყობა, ბაბუას სიტყვები ახსოვდა, — გოგოს ხელი არ უნდა დაარტყაო და მხოლოდ მემუქრებოდა, მერე კი ცრემლად იღვრებოდა.

**— როცა წამოიზარდეთ, ალბათ ერთმანეთის თაყვანისმცემლებით დაინტერესდით, არა?**

**დათო:**

— ქალის გამო არაერთხელ მიჩხუბია, უცნობი მანდილოსანიც ბევრჯერ დამიცავს, მაგრამ ჩემი დის გამო ჩხუბი არასდროს მომსვლია.

**დოდოშკა:**




— დათუნას პირად ცხოვრებაში არასდროს ჩავრეულვარ. ხომ არიან ისეთი ბიჭები, რომლებიც დების პრობლემებს აგვარებენ, მათ აბეზარ თაყვანისმცემლებთან ურთიერთობას არკვევენ, მე ამ მხრივ დახმარება არასდროს მითხოვია.

— **თეატრმცოდნე ხართ. ძმას პროფესიულ რჩევებს ხშირად აძლევთ?**

— რა თქმა უნდა, და ვფიქრობ, რომ ითვალისწინებს კიდეც.

**დათო:**

— აზრს თავადაც ხშირად ვეკითხები. არ მივეკუთვნები მსახიობების იმ კატეგორიას, რომელსაც კრიტიკული აზრის მოსმენა არ მოსწონს. სულ მაინტერესებს, როგორია დარბაზიდან მაყურებლის თვალით დანახული ჩემი გარდასახვა. დოდოშკას რჩევები პროფესიულ ზრდაში ძალიან მეხმარება.

— **ისეთ რჩევებსაც ითვალისწინებთ, რომლებიც პროფესიას არ უკავშირდება?**

— გამოგიტყდებით და, ბევრჯერ მისთვის არ დამიჯერებია.

— **და გინანია?**

— ზოგჯერ მინანია, ზოგჯერ — არა.

**დოდოშკა:**

— დათუნა სკოლას რომ ამთავრებდა, მსახიობობა მაშინ გადაწყვიტა. იმ პერიოდში მე უკვე ინსტიტუტს ვამთავრებდი. საკუთარ თავზე სერიოზულად იმუშავა და ვფიქრობ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ზოგჯერ მსახიობი ერთს გაიელვებს და მერე ქრება, დათუნას პირველი ნაბიჯი ფილმ „ლაქაში“ კი მართლაც ელვარე იყო. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ შემდგარი მსახიობია.

— **ყველაზე მეტად რომელ როლში მოგწონთ?**

— „ქაქუცა ჩოლოყაშვილში“. უარყოფითი გმირის თამაში ძნელია. ბოროტებას მილიარდობით სახე აქვს, შენ კი შენი უარყოფითი გმირის ხმა, პლასტიკა უნდა იპოვო. ამ სპექტაკლის ნახვის შემდეგ მეგობრებმა მითხრეს: გვინდოდა მივსულიყავით და გვეცემაო. ასეთი გარდასახვა ძალიან რთულია. გაცილებით ადვილია დადებითი გმირის თამაში, როცა მაყურებელი შენ მიმართ ისედაც დადებითადაა განწყობილი. ვფიქრობ, დათო არ იყო ურიგო „მგლების ხორუმში“ და საინტერესოდ ითამაშა სერიალში — „ყავა და ლუდი“.

**დათო:**

— რჩევებს მეც ვაძლევ, შენიშვნას კი იშვიათად იმსახურებს. სრულიად უცნობი ადამიანებისგან დოდოშკაზე ბევრი კარგი რამ მსმენია, თან არ იცოდნენ, და-ძმა თუ ვიყავით. ეს რა თქმა უნდა, ძალიან მსიამოვნებს.

— **როგორც გავიგე, სერიალის „ჟამი ყვავილობისა“ გადაღება განახლდა. თქვენც მიგიწვიეს, არა?**

— ღვთის წყალობით, სამუშაო არ მაკლია: მარჯანიშვილის თეატრში სამი ახალი სპექტაკლი იდგმება და სამივეში დაკავებული ვარ, ახლა კი ამ სერიალის გადაღებებიც დამემატა. ყური მოვკარი, რომ იანვრისთვის უკვე 30 სერია უნდა იყოს გადაღებული.

— **თქვენს გმირზე რას გვეტყვი?**

— მაფიოზის როლს ვთამაშობ... საზოგადოებამ ტელევიზიიდან გამიცნო, მაგრამ მერწმუნეთ, პოპულარობის მაძიებელი ნამდვილად არ ვარ. თეატრში კარგი ხელფასი რომ მქონდეს, სერიალში საერთოდ არ მივიღებდი მონაწილეობას, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ იმ როლს უპასუხისმგებლოდ მოვეკიდები, პირიქით — პასუხისმგებლობის გრძნობა გაათმაგებული მაქვს. მაგალითად, არ შემიძლია რეპეტიციაზე დავიგვიანო, გადასაღებ მოედანზე დროზე არ მივიდე, მიუხედავად იმისა, რომ ვიცი, იქ 1-საათიანი ლოდინი მაინც მომიწევს.

— **დასასვენებლად ერთად დადიხართ?**

**დოდოშკა:**

— წელს ჩემს საყვარელ ბუკნარში დავისვენე. ძალიან მინდოდა, ჩემი რძალიც წამოსულიყო, მაგრამ ვერ მოახერხა. იქ შარშანაც ერთად დავისვენეთ და კარგი დრო გავატარეთ. წელს გადასარევი ამინდები იყო და გული დამწყდა, დათუნა ცოლ-შვილთან ერთად იქ რომ არ ისვენებდა.

— **დათო, თქვენ უკვე ბაბუა ხართ...**

— წელს ბუკნარში წასვლა სწორედ ამის გამო ვერ მოვახერხეთ. ჩემი ქალიშვილი ადრე გათხოვდა. ეს ცხოვრება ხომ მოულოდნელობებითაა სავსე. მაშინ ცოტა გავბრაზდი, მაგრამ ახლა ვფიქრობ, რომ ამაში ურიგო არაფერია.

**დოდოშკა:**

— პატარა ნინო გრიგოლია ძალიან საყვარელი გოგოა, ყველას გვაგიჟებს.

— **ცალ-ცალკე ცხოვრობთ. ერთმანეთის ნახვას რამდენად ხშირად ახერხებთ?**

— ერთმანეთთან ისე ხშირად ვერ მივდივართ, როგორც გვინდა. მთავარი „დამნაშავე“ კი ჩვენი საქმეა. ■



# ვის გასხვისებაზე ფიქრობდნენ მანიკა ასათიანი და მისი მეუღლე

## „ტონი არა მარტო მებრალება, არამედ მენატრება კიდეც"

**7 თვის შავგვრემანი და ცელქი ტონი მანიკა ასათიანისა და ბექა წივწივაძის ოჯახში ცხოვრობს. როცა მათ ვესტუმრე, მანიკამ ის ერთ-ერთ ოთახში ჩაკეტა, საიდანაც პატარა პერიოდულად გვეხმიანებოდა ხოლმე...**

*ეთო ყორღანაშვილი*

— როცა გავთხოვდი, მეუღლის ოჯახში ძაღლი, სახელად — ტოტო (კოკერსპანიელის ჯიშის) ცხოვრობდა.



ძალიან ხმაურიანი ვარ, სიმშვიდეში ცხოვრება არ მიყვარს

დღესასწაულებზე ბექასთვის განსხვავებული საჩუქრის გაკეთება ყოველთვის მინდოდა. ერთხელ წამოსცდა, რომ ლაბრადორის ჯიშის ძაღლები ძალიან მოსწონდა. ჰოდა, ახალი წლის დღესასწაულზე შავი ლეკვი (1 თვის) ვაჩუქე, რამაც ძალიან გაახარა. ლეკვს ტონი დავარქვით, რადგან შავი ბეწვი ანუ „მდიდრული" გარეგნობა აქვს. მან თავი ძალიან შემაყვარა და როცა შინიდან გავდივარ, სულ მასზე ვფიქრობ; ერთი სული მაქვს, უკან როდის დავბრუნდები, რადგან მარტო დარჩენილი ძაღლი არა მარტო მებრალება, არამედ მენატრება კიდეც...

**— ტოტო სადაა?**

— სოფელში ისვენებს, რადგან უკვე ბებერია. ამ სახლში დაახლოებით, 12 წელი იცხოვრა.

**— ტონი და ტოტო ერთმანეთს როგორ შეეწყვნენ?**

— თავიდან ხშირად ჩხუბობდნენ, ახლა კი ერთმანეთი ძალიან უყვართ. როცა ტოტო შინ დაბრუნდება, შეიძლება ტონი სიხარულისგან გაგიჟდეს და სახლში ყველაფერი დაგლიჯოს!.. ლეკვის მოვლა განსაკუთრებულად რთულია: პატარა ბავშვის მსგავსად, ღამით ტირის. ამის გამო მე და ბექა მის გასხვისებაზეც ვფიქრობდით, მაგრამ ვერ გავიმეტეთ! სხვათა შორის, ახლა ჩვენს ოთახში სძინავს.

**— მის გამო სახლში ქაოსია, არა?**

— თავადაც ძალიან ხმაურიანი ვარ, სიმშვიდეში ცხოვრება არ მიყვარს.

**— ჭკვიანია?**

— საერთოდ, ამ ჯიშის ძაღლები ჭკვიანები, კეთილები არიან. ლაბრადორი ოჯახში სიმშვიდეს ამყარებს. ტონი ჯერ პატარა და ცანცარაა, ყველაფერი უხარია, მაგრამ როცა გაიზრდება, დადინჯდება.

**— ხშირად ასეირნებთ?**

— სამწუხაროდ, ვერა. დილით მისთვის ვერც მე ვიცლი და ვერც — ბექა. მხოლოდ საღამოს ვასეირნებთ.

**— ამას არ აპროტესტებს?**

— კარს რომ ვაღებთ, გაქცევას ცდილობს... გვეშინია, მანქანამ არ დაარტყას, თორემ მარტოსაც გავუშვებდით.

**— უცხოებთან როგორი დამოკიდებულება აქვს?**

— სტუმარს აუცილებლად, შეახტება ხოლმე. რა ქნას, სიხარულს ასე გამოხატავს.



მისთვის ბევრი სასაცილო „კეპკა" გვაქვს, საიდანაც ყურებს ამოვაყოფინებთ ხოლმე



ახალი წლის დღესასწაულზე შავი ლეკვი (1 თვის) ვაჩუქე, რამაც ძალიან გაახარა

**— თქვენს ოთხფეხა მეგობარს ტანსაცმელი თუ აქვს?**

— მისთვის ბევრი სასაცილო „კეპკა" გვაქვს, საიდანაც ყურებს ამოვაყოფინებთ ხოლმე (*იცინის*). ტონის ძალიან ლამაზი ბეწვი აქვს და მისი ქსოვილით დაფარვა მენანება. თუმცა, შეიძლება ზამთრისთვის რაღაც ვუყიდო კიდეც.

**— თქვენს სამოსს ხომ არ ერჩის? მაგალითად, ფეხსაცმელს ხომ არ გიმალავთ?**

— ფეხსაცმელს არა მარტო გვიმალავს, არამედ გვიფუჭებს კიდეც! რამდენიმე ხნის წინ, როცა კბილები ამოსდიოდა და ცხადია, ექავებოდა, ყველაფერს ღრღნიდა და ჩუსტებიც სულ შეგვიჭამა... ვცდილობთ, ლოგინზე ასვლას არ მივაჩვიოთ — ძაღლი როგორი სუფთაც უნდა იყოს, ბეწვი მაინც სცვივა. ტონი ელოდება, მე და ბექას როდის ჩაგვეძინება, რათა ამოიპაროს და ჩაგვიწვეს. სხვათა შორის, დილით არაერთხელ გვიპოვია ლოგინში დამალული (*იცინის*).

**— ამბობენ, — დროთა განმავლობაში ძაღლი პატრონს ემსგავსება. ამ ეტაპზე ტონი ვის ჰგავს?**

— მე უფრო მხიარული და ცანცარა ვარ. ჰოდა, ალბათ მე მგავს...

■

# რით მოხიბლა ლელა წურწუმიამ პაატა ინაური

## „ის დღეები არასდროს დამავიწყდება“

**„ფილმში ჩვენ ახალ ვარსკვლავს ვაბრწყინებთ“, — ამ სიტყვების ავტორი პროდიუსერი დავით ბეჟიტაშვილი გახლავთ, ადრესატი კი ახალბედა მსახიობი, პაატა ინაურია, რომელიც ზაზა ურუშაძის ახალ ქართულ მელოდრამაში — „დარჩი ჩემთან“ — ასაკით უფროსი მომღერალი ქალბატონის შეყვარებულის როლს თამაშობს. „ვერ წარმოვიდგენდი, ისეთი დიდი მსახიობების გვერდით თუ მომიწევდა თამაში, რომლებიც ამ ფილმში მონაწილეობენ“, — მითხრა მსახიობმა, რომელიც არა მხოლოდ მისი გმირის, არამედ საკუთარი სიყვარულის შესახებაც გულახდილად ლაპარაკობს.**

თამუნა კვინიკაძე



**— პაატა, „გზაში“ შენი ინტერვიუ პირველად იბეჭდება. ჩვენს მკითხველს საკუთარი თავი გააცანი.**

— თეატრალური უნივერსიტეტი დავამთავრე. გამიმართლა, რომ გიზო ჟორდანიას ჯგუფში ვსწავლობდი. მან სტუდენტები პირველივე კურსიდან, მარჯანიშვილის თეატრში მოგვიყვანა და ეპიზოდურ როლებში ვმონაწილეობდით ხოლმე. ახლა მარჯანიშვილის თეატრის გარდა, სამეფო უბნის თეატრშიც ვმუშაობ. დათა თავაძე ჩემი მეგობარია და მის სპექტაკლში — „მახინჯი“ — ვთამაშობ. შეიძლება ითქვას, რომ ფილმისთვის სწორედ ამ თეატრში მიპოვეს. დავით ბეჟიტაშვილს როლანდ ოქროპირიძემ ურჩია, შემხვედროდა.

**— ამ ფილმში შენი კინოდებიუტი შედგა...**

— დიახ. ეპიზოდურ როლებში ადრეც გადამიღეს, მაგრამ მთავარი როლის შესრულება პირველად სწორედ ამ ფილმში დამეკისრა.

**— ღელავდი?**

— რა თქმა უნდა, ძალიან ვინერვიულე. არაერთ დიდ და ღვაწლმოსილ მსახიობთან მომიწია პარტნიორობამ. მათგან ბევრი რამ ვისწავლე. ჟანრი ლოლაშვილთან, მიშა გომიაშვილთან, ნატო მურვანიძესთან, ლელა წურწუმიასთან მუშაობა ჩემთვის დიდი ბედნიერება იყო.

**— ლელა როგორი პარტნიორი აღმოჩნდა?**

— თავიდან „თქვენობით“ ველაპარაკებოდი, მაგრამ ზაზამ მითხრა: ასე ნუ მიმართავ, თორემ ისეთი სცენებია გადასაღები, თამაში გაგიჭირდებაო. მე და ლელა მალე დავმეგობრდით და მუშაობაც გაგვიიოლდა. ის საოცრად ნიჭიერი ადამიანია და იუმორითაც გამოირჩევა.

**— ფილმში თამამი კადრებია?..**

— (*მაწყვეტინებს*) ზოგს ჰგონია, რომ ამ ფილმის სანახავად ბავშვები არ უნდა წაიყვანონ, მაგრამ ასე ნამდვილად არ არის. არის კოცნის სცენა, მაგრამ იმდენად კარგადაა გადაღებული, რომ მისი ნახვა განურჩევლად ასაკისა, ყველას შეუძლია.

**— გადაღება სად ხდებოდა?**

— თბილისში.

**— მამულიჩაც ესწრებოდა?**

— არა.

**— სცენარის მიხედვით, შენს გმირს ასაკით ბევრად უფროსი**



მე და კატო ჯგუფელები ვიყავით, ახლა კი სამეფო უბნის თეატრში ერთად ვმუშაობთ



მე და ლელა მალე დავმეგობრდით და მუშაობაც გაგვიიოლდა. ის საოცრად ნიჭიერი ადამიანია და იუმორითაც გამოირჩევა



ზაზა ურუშაძე მეუბნებოდა, — ფილმს ეკრანზე რომ ნახავ, გადასაღები მოედანი მერე უფრო მოგენატრებაო. მართლაც ასე მოხდა...

**მომღერალი ქალი უყვარდება...**

— მერე რა, მე ბევრ ასეთ წყვილს ვიცნობ. მთავარია, რომ მათ ერთმანეთი უყვართ და ბედნიერები არიან. ასეთ დროს ასაკს რა მნიშვნელობა აქვს?!

**— თუ ეს სხვაობა 20 წელია?**

— ჩემთვის შეიძლება, ეს მისაღები არ იყოს, მაგრამ ცხოვრებაში ყველაფერი ხდება.

**— პრემიერის შემდეგ ახლობლებმა, კოლეგებმა შენი ნამუშევარი როგორ შეაფასეს?**

— მილოცავდნენ. ძირითადად, დადებითი შეფასებები იყო.

**— ამ ფილმის პროდიუსერი დიდ მომავალს გიწინასწარმეტყველებს...**

— ჩემი მხრიდან ამ თემაზე ლაპარაკი უხერხულია!

**— შენთვის, როგორც მსახიობისთვის, სად უფრო საინტერესოა მუშაობა — გადასაღებ მოედანზე თუ სცენაზე?**

— ორივეგან საინტერესოა. ბედნიერია მსახიობი, რომელსაც საშუალება ეძლევა იმუშაოს არა მარტო სცენაზე, არამედ — გადასაღებ მოედანზეც.

**— გადასაღებ მოედანზე ყოველთვის ხდება ისეთი რამ, რაც კადრს მიღმა რჩება...**

— ჩვენ სულ ერთად ვიყავით, ერთად ვჭამდით, ერთად ვცხოვრობდით. ზაზა ურუშაძე მეუბნებოდა, — ფილმს ეკრანზე რომ ნახავ, გადასაღები მოედანი მერე უფრო მოგენატრებაო. მართლაც ასე მოხდა... სხვათა შორის, ზაზამ „სასაცილო იხვი“ დამარქვა: თმას ხშირად მისველებდნენ, მაგრამ კადრში ეს „სველი ეფექტი“ მაინც არ ჩანდა. უცნაური, „ჯაგარა“ თმა მაქვს და მის დასასველებლად ძალიან წვალობდნენ, ბევრ წყალს მასხამდნენ.

**— ყველაზე მეტად, რომელი სცენის გადაღება გაგიჭირდა?**

— ჩხუბის სცენის.

**— მიშა გომიაშვილის გმირთან ჩხუბობ, არა?**

— დიახ და არაერთი დუბლი გადავიღეთ. მიშა არაჩვეულებრივი ადამიანია, მან ბევრი რამ მასწავლა. თავიდან მერიდებოდა, — ამ კაცს ხელი როგორ დავარტყა-მეთქი, მაგრამ თავად მაგულიანებდა: — მოდი, დამარტყიო!..

**— პაატა, შენს პირად ცხოვრებაში რა ხდება?**

— რა უნდა ხდებოდეს?..

**— როგორც ვიცი, შეყვარებული ხარ. შენი რჩეული კატო კალატოზიშვილია, არა?**

— (*იცინის*) მართალია. მე და კატო ჯგუფელები ვიყავით, ახლა კი სამეფო უბნის თეატრში ერთად ვმუშაობთ.

**— როგორც ვიცი, ის ამ ფილმშიც თამაშობს.**

— დიახ. მას ჩემზე შეყვარებული გოგონას როლი აქვს, მაგრამ მისი სიყვარული ცალმხრივია. გთხოვ, ამ თემაზე აღარაფერი მკითხო...

**— პოპულარული გახდი. ახალი შემოთავაზება ხომ არ მიგიღია?**

— ჯერჯერობით არა, მაგრამ იმედი მაქვს, რომელიმე რეჟისორი საინტერესო როლს შემომთავაზებს.

■



# რით ანებივრებს სოფო კუჭავა შვილს

## „შემოქმედებითი პაუზა გამიხანგრძლივდა, მაგრამ მსმენელს არ ვავიწყდები"



**მომღერალი სოფო კუჭავა ფართო საზოგადოებამ სატელევიზიო პროექტით — „ნიჭიერი"? „ნუცას სკოლა" გაიცნო. ამ პროექტმა მას ბევრი რამ შესძინა და ფაქტობრივად, მისი მუსიკალური კარიერაც სწორედ აქედან დაიწყო. თუმცა ბავშვობიდან ბადრი ტუღუშთან, ანსამბლ „ნადურში" მღეროდა, შემდეგ — თამრიკო ჭოხონელიძის სტუდიაში. პროფესიით გერმანისტია, მაგრამ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის II სამუსიკო სასწავლებელში ვოკალის განხრით, ნუნუ გაბუნიასთან სწავლობდა. მოგვიანებით ძალები მუსიკალურ კონკურსში — „ჯეოსტარი" მოსინჯა და გაუმართლა: მართალია, „ჯეოსტარი 2005" გიორგი შარაბიძე გახდა, მაგრამ სოფოს ტოლი არავისთვის დაუდვია. მან ღირსეულად განვლო კონკურსის ურთულესი ეტაპები, რომელსაც მხოლოდ ნახევარფინალში გამოეთიშა... ვინაიდან „ჯეოსტარი 2011"-მა დიდ საკონცერტო დარბაზში სტარტი უკვე აიღო, სოფოს, როგორც ერთ-ერთ „ჯეოსტარელს", ამ კონკურსის შეფასება ვთხოვე.**

*ლალი ფაცია*

— „ჯეოსტარი" მასშტაბური კონკურსია. ბედნიერებაა, როდესაც ფილარმონიაში გამოდიხარ და არაჩვეულებრივი ბენდის თანხლებით მღერი. დღესაც დიდი სიყვარულით ვიხსენებ ბენდის თითოეულ წევრს და მადლობას ვუხდი გაწეული შრომისა და თანადგომისთვის; გარდა იმისა, რომ მონაწილეებს პროფესიული თვალსაზრისით გვეხმარებოდნენ, ფსიქოლოგიურადაც მხარში გვედგნენ. „ჯეოსტარის" მიმდინარეობისას ბევრი რამ ვისწავლე, უამრავი ადამიანი გავიცანი, მეგობრები, მსმენელი და გულშემატკივარი შევიძინე...



თათუკა კარგი შვილია

**— „ჯეოსტარის" შემდეგ არაერთ ღონისძიებასა თუ კონცერტში მონაწილეობდი, სხვადასხვა კომპოზიტორთან გიმუშავია, მაგრამ ამ ეტაპზე, მუსიკალური თვალსაზრისით, აღარ აქტიურობ. რა არის ამის მიზეზი?**

— არაერთს უთქვამს, — გვენატრები და გვინდა, სცენას დაუბრუნდე, სიმღერა გააგრძელოო. მეც მაქვს ამის სურვილი და მომცეს კიდეც რამდენიმე სიმღერა (ლილიკო ნემსაძის, ქეთი გაბისიანის; ასევე, ნანა მესხმა და მამუკა ჩარკვიანმაც დამიწერეს ულამაზესი სიმღერები), მაგრამ მათი ჩაწერა გარკვეულ თანხასთანაა დაკავშირებული და ამიტომაც ვფერხდები. მართალია, შემოქმედებითი პაუზა ცოტა გამიხანგრძლივდა, მაგრამ მსმენელს არ ვავიწყდები... იმედი მაქვს, მალე გამოჩნდება პროდიუსერი, რომელიც მხარში ამომიდგება და დიდ სცენაზე ძალებს ისევ მოვსინჯავ...

**— ალბათ, ამ ხანგრძლივი პაუზის მიზეზი გარკვეულწილად, შენი მცირეწლოვანი შვილიცაა, რომელსაც ყურადღებას ვერ აკლებ...**

— გეთანხმები, ბავშვს მართლა სჭირდება დედა და ვცდილობ, მასთან რაც შეიძლება მეტი დრო გავატარო. თათუკა უკვე წამოიზარდა, აპრილში 4 წლის გახდება. კარგი შვილია. ცელქი და შემაწუხებელი ბავშვი ნამდვილად არ არის. უყვარს სიმღერა, ცეკვა, ლექსები, ზღაპრები. ხელში სულ წიგნი უჭირავს და მთხოვს, წავუკითხო. ოჯახში ყველანი ვმღერით, რაც ძალიან მოსწონს; ყურადღებით გვისმენს და ხმას აგვაყოლებს ხოლმე, ეს კი მშვენივრად გამოსდის. ვცდილობ, ხარისხიანი სიმღერები მოვასმენინო...

**— „ჯეოსტარი" კვლავ გრძელდება და ფილარმონიის დარბაზში უკვე სტარტიც აიღო... როგორ მოგეწონა წლევანდელი ჟიურის წევრების მუშაობა და გაიხსენე ის ჟიურიც, რომელმაც შენ აღმოგაჩინა.**

— 2005 წელს ჟიურის წევრები იყვნენ: ნიკა მემანიშვილი, ნატო მეტონიძე, ნანიკო ხაზარაძე და დუტა სხირტლაძე, კონკურსის წამყვანები კი — ხატია შამუგია და ნიკა ლომიძე... ეს კონკურსი ახლა ბევრად დახვეწილია. კონკურსანტებს ჰყავთ ვოკალის პედაგოგები, მათ ჩაცმულობაზე დიზაინერები ზრუნავენ, ჩვენ კი ვოკალის პედაგოგებიც არ გვყოლია. თუკი რომელიმე ჩვენგანს რაიმე სჭირდებოდა, ერთმანეთს ვთხოვდით რჩევას ან ბენდის წევრები გვეხმარებოდნენ; კონსულტაციებს გვიწევდნენ ნიკა მემანიშვილი და ნატო მეტონიძეც. რაც შეეხება ჟიურის, მისი სათქმელი ნებისმიერ დროს ერთნაირია, რაც შესაძლოა, ყველასთვის სასიხარულო და სასიამოვნო მოსასმენი არ იყოს, მაგრამ სხვანაირად არ გამოვა. როდესაც ჟიურის წევრი ვინმეს შენიშვნას აძლევს, ეს კონკურ-

სანტმა ისე კი არ უნდა აღიქვას, თითქოს ის მისი მტერია, არამედ პირიქით — ნებისმიერი შენიშვნა რჩევად უნდა მიიღოს და მომავალში გაითვალისწინოს.

**— როგორ ფიქრობ, წლევანდელ ჟიურის რაიმე ხომ არ შეეშალა?**

— წლევანდელ შესარჩევ ტურებს, მოუცლელობის გამო, თვალყურს ვერ ვადევნებდი, ამიტომ ვერაფერს გეტყვი. თუმცა მათ ადგილას შეიძლება, რომელიმე კონკურსანტის ნიჭი მეც არასწორად შემეფასებინა, მაგრამ მერწმუნეთ, ჟიურის წევრებზე უკეთ არავინ იცის, ამ შოუკონკურსისთვის როგორი ადამიანები სჭირდებათ. „ჯეოსტარში“ ხომ მხოლოდ სიმღერა არ ფასდება — მნიშვნელოვანია მომღერლის არტისტულობა, გარეგნობა, პლასტიკურობა, შარმი... თუ ადამიანი არ არის არტისტული, სიმღერის აღქმის უნარი არ გააჩნია, არ შეუძლია სიმღერის ტექსტის გააზრება, ავტორის სათქმელი მსმენელამდე ვერ მიაქვს, ნამღერს ემოციურად ვერ გადმოსცემს, მხოლოდ ტექნიკურად გამართულ შესრულებას აზრი არა აქვს. მომღერალი სცენაზე ბოლომდე უნდა დაიხარჯოს.

**— რა რჩევას მისცემდი წლევანდელ კონკურსანტებს, რომლებსაც წინ სერიოზული მარათონი ელის?**

— მნიშვნელობა არა აქვს, გაიმარჯვებენ თუ არა. მთავარია ახსოვდეთ, რომ უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრებათ, რადგანაც მათ უამრავი ადამიანი უსმენს და აფასებს. ამიტომ საკუთარ თავს მოდუნების უფლება არ უნდა მისცენ, ხალხს თავი უნდა დაამახსოვრონ.

**— სოფო, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნებაში“ დილის გადაცემა — „განთიადი“ მიგყავს. იქ როგორ მოხვდი?**

— „განთიადი“ პირველად 2008 წლის 19 იანვარს წავიყვანე. მართალია, პროფესიით ჟურნალისტი არ ვარ, გერმანისტი გახლავართ, მაგრამ ამ საქმეში ის სატელევიზიო გამოცდილება დამეხმარა, რაც „ნუცას სკოლასა“ და „ჯეოსტარში“ მივიღე. ასევე არაერთ გადაცემაში ვმონაწილეობდი. სწორედ „იმედში“, ერთ-ერთ გადაცემაში ვიყავი სტუმრად მიწვეული და დავით კიკვაძემ, იმავე კულუმბურამ მითხრა, რომ საპატრიარქოს ტელევიზია სიახლეებს გეგმავდა და მირჩია, ქეთი დუმბაძესთან (ნოდარ დუმბაძის ქალიშვილი მაშინ იქ მუშაობდა), მივსულიყავი. მივედი და სწორედ მისგან შევიტყვე, რომ არხზე დილის გადაცემა უნდა დაწყებულიყო. ჩავწერეთ სინჯები და მოწონება დავიმსახურე. მინდა, შემთხვევით ვისარგებლო და უღრმესი მადლობა გადავუხადო მეუფე პეტრეს — ჭყონდიდელს, რომელიც ჩვენი ტელევიზიის ხელმძღვანელი გახლავთ. არ დამავიწყდება პირველი ეთერი. მართალია, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ პირველი გადაცემა წარმატებული აღმოჩნდა... იქ მუშაობით უკვე დიდი გამოცდილება დამიგროვდა. ჩვენი ტელევიზია არის ერთი დიდი ოჯახი. ბედნიერი ვარ, იქ მომუშავე ადამიანებთან რომ მიწევს ურთიერთობა. ჩვენთან უდიდესი სიყვარული და ერთსულოვნება სუფევს, რადგანაც ერთმანეთის სულიერი და-ძმები ვართ.



ფესტივალი „ჩვენებურები“ ანზორ ერქომაიშვილთან და მომღერალ რუსა სერგიასთან ერთად

პარალელურად ვმუშაობ ლევან სამხარაულის სახ. სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში.

**— ვიცი, რომ ცოტა ხნის წინ პრესტიჟული ფესტივალის — „ჩვენებურების“ წაყვანა მოგანდვეს. ეს როგორ მოხდა?**

— წლევანდელი ფესტივალი უკვე მეთხუთმეტედ ჩატარდა. მასში 7 ქვეყანა მონაწილეობდა. ჩამოსულები იყვნენ: ისრაელიდან, აზერბაიჯანიდან, სომხეთიდან, ირანიდან, თურქეთიდან, აშშ-დან, საფრანგეთიდან. ფესტივალი გაიხსნა ბათუმში, შემდეგი ღონისძიება ანაკლიაში გაიმართა, მერე კი კონცერტები გრიბოედოვის თეატრსა და მთაწმინდის პარკში გვქონდა. ამ ფესტივალის დამფუძნებელი და პრეზიდენტი ქალბატონი გიული ალასანია გახლავთ, ვიცე-პრეზიდენტი — დარეჯან კუხიანიძე, სამხატვრო ხელმძღვანელი — ანზორ ერქომაიშვილი; ფესტივალის გენერალური დირექტორი კი გია კალანდაძეა... ქალბატონი დარეჯანი დამიკავშირდა და მაცნობა, — გვინდა, რომ ფესტივალის წამყვანი შენ იყოო. გამიხარდა, მაგრამ იქვე უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი. დიდი ბედნიერებაა იმ ადამიანებთან ურთიერთობა, ვინც ჩამოვთვალე და მათთანაც, ვინც საქართველოში სპეციალურად ამ ფესტივალისთვის ჩამოვიდნენ. მათ ხომ გულით უყვართ საქართველო. ეს ადამიანები ყველაფერ ქართულს კბილებით იცავენ, შვილებს ქართულად ზრდიან და ტრადიციებს გადასცემენ, რაც დასაფასებელია. მათ სიმღერაში, ცეკვაში იგრძნობოდა, რომ აქ ყოფნა საოცრად უხაროდათ. ფესტივალზე ყველა იმ ადამიანმა მოიყარა თავი, ვისაც მართლა უყვარს და სტკივა ყველაფერი ქართული... ფესტივალი კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მთელ მსოფლიოში გაფანტული ქართველი ემიგრანტები ერთმანეთს უმეგობრდებიან. ფესტივალის დასასრულს, ისინი თვალცრემლიანები ემშვიდობებოდნენ ერთმანეთს, აქედან წასვლა აღარ უნდოდათ... ძალიან მიხარია, მოწონება რომ დავიმსახურე — როგორც წამყვანმა. მითხრეს, — „ჩვენებურების“ მუდმივი წამყვანი იქნებიო...

**— გილოცავ. ჩვენ თითქმის ყველაფერზე ვილაპარაკეთ, გარდა შენი პირადი ცხოვრებისა. მეორედ გათხოვებას ხომ არ აპირებ?**

— პირად ცხოვრებაზე საჯაროდ არასდროს ვლაპარაკობ. ის იმიტომ არის პირადი, რომ მართლაც პირადია!..

■



# „მენაგვეთა პარტია“ უნდა შევქმნა — მინდა, რომ საქართველო დავგავო“

### გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილი – ხელოვანი და მეურნე...

**მის მიერ განვლილი ცხოვრების გზაც ისეთივე მოულოდნელობებითა და ექსპერიმენტებით არის ალსავსე, როგორითაც მისი ფილმები. რეჟისორ გოგი ლევაშოვ-თუმანიშვილისთვის ერთდროულად რამდენიმე საქმის კეთება პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა ისეთი დროც ჰქონია, როცა ყველაფრის თავიდან დაწყებამ მოუწია. მიაჩნია, რომ ცხოვრებაში რაღაც გამოუვიდა, რაღაც — არა... ბოლო დროს, სოფლის მეურნეობით დაინტერესდა და ამ სფეროში საქმიანობის პირველი შედეგიც საშურია. მისი სამუშაო ოთახი ლაგოდეხის მშვენიერი ხედების ფოტოებითაა მორთული; მათი „სუნთქვა“ სტიმულს მაძლევსო, — ამბობს...**

*ლალი პაპასკირი*

— ჩემი წინაპრები პოლონელი კათოლიკე აზნაურები იყვნენ და 1830 წლის პოლონეთის აჯანყებაში მონაწილეობდნენ. გადმოცემით ვიცი, რომ საქართველოში XIX საუკუნის შუა წლებში ჩამოვიდნენ. გვარში, უმეტესად, მამაკაცები ყოფილან. დროთა განმავლობაში, ქართველ ქალებთან შექმნეს ოჯახები. მაგალითად, ბაბუაჩემს დედა დადიანის ქალი ჰყავდა, მეუღლე კი გიორგი მაჩაბლის ქალიშვილი — ნინო მაჩაბელი. დედაჩემი, მიხეილ თუმანიშვილის და — ნინო თუმანიშვილი იყო და ასე მოვედით აქამდე...

**— ბოლო დროს ბიზნესის სფეროში გადაინაცვლეთ. რა გახდა ამის მიზეზი?**

— ცოტა შორიდან დავიწყებ. 1984 წელს, როცა საცხოვრებლად ინგლისში წავედი, ჩემს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე რთული ეტაპი დადგა — უცხო ქვეყანაში თანამედროვე საზოგადოებისა და მკაცრი კაპიტალიზმის პირისპირ აღმოვჩნდი. თავიდან გამიმართლა და მუშაობა ინგლისის ტელევიზიის IV არხზე დავიწყე, სადაც 4 წელი გავატარე, მაგრამ ერთ დღეს, შეფმა გამომიცხადა, რომ ჩემი კონტრაქტი ამოიწურა. ტელევიზიიდან შეშინებული და დაბნეული გამოვედი. საბედნიეროდ, სიჯიუტე ხასიათში მაქვს, ფარ-ხმალს მალე არ ვყრი. ადრე, საბჭოთა პერიოდში, რესტორნის მფლობელები მდიდრები იყვნენ; ჰოდა, ჩემი მაშინდელი (საბჭოთა მოქალაქის) მსოფლმხედველობით, ეს საქმე ინგლისშიც ყველაზე მომგებიან ბიზნესად მივიჩნიე და ლონდონში რესტორანი (ჩემი ბოლო ფილმის სახელწოდების „სეხნია“ — „ბედნიერთა სოფელი“) გავხსენი. ერთ წელიწადში გავკოტრდი... ოფიციანტებად ულამაზესი, ირლანდიელი გოგონები მყავდა და როცა თავიანთი კუთვნილი ხელფასი მომთხოვეს, მე და ჩემი მეუღლე იძულებულები გავხდით, თბილისის ბინა გაგვეყიდა.

**— არადა, საქართველოში, სადაც უამრავი უმუშევარი ადამიანია, ბარ-რესტორნები წარმატებით მუშაობენ...**

— ამ გადასახედიდან ვფიქრობ, რომ მაშინ არც ისე ცუდი რამ დამემართა, რადგანაც ჭკუა ვისწავლე — მივხვდი, რომ უცხოეთში „ქართული წესებით“ ცხოვრება არ შეიძლება. ამის შემდეგ ძალები არაერთ საქმეში მოვსინჯე. ბოლოს დავრწმუნდი, რომ საქართველოს ევროპასთან მჭიდრო კავშირები სჭირდებოდა — ანუ ქართული თვითმყოფადი კულტურა ევროპაში უნდა გაგვეტანა და მეუღლესთან ერთად, ლონდონში, ბიზნესისა და კულტურის ცენტრი გავხსენი. ბევრ კარგ საქმეს ვაკეთებდით. ვურთიერთობდით ინგლისის პოლიტიკურ წრეებთან, ამასთან, ვაწყობდით გამოფენებს, საქართველოდან ქორეოგრაფიული ანსამბლები ჩაგვყავდა, ერთხელ, მიხეილ თუმანიშვილის თეატრის დასიც გვსტუმრობდა... ლონდონში ქალაქის ხელმძღვანელობამ ყოფილი მერიის შენობა დაგვითმო. ერთი სიტყვით, „სახალხო კონსულების“ როლს ვასრულებდით. იმ დროს თბილისში მსგავსი დაწესებულება არ არსებობდა და ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ისეთივე ცენტრის გახსნა დავაპირე, მაგრამ საქმის დაწყებისთანავე, „პატრიოტმა“ ქართველებმა მიჩივლეს და ჩემი ინგლისელი პარტნიორი გაიქცა. მერე ინგლისსა და რუსეთში სხვადასხვა ბიზნესს მოვკიდე ხელი და გამიმართლა... ერთ მშვენიერ დღეს კი მივხვდი, რომ სამშობლოში დაბრუნების დრო იყო და უცხოეთიდან წამოვედი... ახლა ჩემს საყვარელ საქმიანობას, ხელოვნებას დავუბრუნდი და ჩემს ფილმებს რუსეთში, ინგლისსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში რეალიზაციას ვუკეთებ.

**— თქვენი ბოლო ნამუშევარი რის შესახებაა?**

— ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ფილმს სამუშაო სახელწოდება — „სიბრძნე სიბერისა“ ჰქვია. ის სხვადასხვა პროფესიის ადამიანზე — უხუცეს აკადემიკოსზე, ყოფილ მასხარაზე (რომელსაც სანდრო თედიაშვილი თამაშობს) და ყოფილ მეძავზეა. ის ქალბატონი ადრე „ნატურშიცაც“ კი ყოფილა, მაგრამ ახლა თეატრის დამლაგებლად მუშაობს. მათ უყვართ ხელოვნება, მაგრამ რწმუნდებიან იმაში, რომ პიესები და სპექტაკლები რეალური ცხოვრებისგან მაინც შორის არის, რადგანაც თვითონ სრულიად განსხვავებულ სიტუაციაში ცხოვრობენ. სცენარის მთავარი აზრი კი ადამიანთა ცოდვების ტყვეობიდან გამოხსნაა...

**— რა ეტაპზეა ფილმის გადაღება?**

— იმპროვიზაციის ეტაპზეა. ახალ-ახალ რალაცებს ვიგონებ, თუმცა მსახიობები შერჩეული მყავს. ლონდონში ყოფნისას მწერალ აკა მორჩილაძეს შევხვდი და ფილმის ჩანაფიქრის შესახებ მოვუყევი. ის დაინტერესდა ჩემი იდეებით და თუ სცენარზე მუშაობას გადაწყვეტს, მგონი, ერთობლივად კარგი ნამუშევარი გამოგვივა.

**— ვიცი, რომ ლაგოდეხში სამეურნეო საქმიანობაც წამოგიწყიათ...**

— ჯერ კიდევ 15 წლის წინ, როცა პოლიტიკოსები საქართველოს გადასარჩენად სხვადასხვანაირ ლოზუნგს ისროდნენ, მე ვამბობდი, — ქვეყანას პოლიტიკური პარტია კი არა, შრომა გადაარჩენს-მეთქი. კიდევ, — ჩემი მოკრძალებული აზრით, საქართველოში სოფლის მეურნეობის, ტურიზმისა და კულტურის კომერციალიზაციის განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ-მეთქი. როცა ამას ვამბობდი, ქართული კულტურის გაყიდვას მაბრალებდნენ, რაზეც ვპასუხობდი, — სიამოვნებით გავყიდი, მაგრამ არავინ ყიდულობს-მეთქი. მიხარია, რომ სახელმწიფომ ახლა მთავარ პრიორიტეტად სოფლის მეურნეობა აღიარა. ქართველებმა კარგი სიმღერა და ცეკვა ვიცით, შესანიშნავი სამზარეულო გვაქვს, მაგრამ ყველაზე მდიდრები უფლისგან ნაბოძები ბუნებით ვართ, რომელსაც უნდა გავუფრთხილდეთ და გამოვიყენოთ. იმ პროდუქტის უმეტესობა, რაც დღეს უცხოეთიდან შემოდის, საშინელებაა და ქართველები რომ გამოუსწორებელი ზარმაცები არ ვიყოთ, მას არც უნდა ვჭამდეთ. ჩვენს მიწაზე ეკოლოგიურად სუფთა, კონკურენტუნარიანი პროდუქტის მოყვანა შეგვიძლია.

**— ამ კუთხით რა გეგმები გაქვთ?**

— ლაგოდეხის ერთ-ერთ ნასოფლარში, სადაც ულამაზესი ბუნება და კლიმატია, მიწის ფართობი ვიყიდე და საოჯახო სასტუმროებს ვაშენებ. 3 წლის წინ ვაზი ჩავყარე და წელს ყურძნის პირველი მოსავალი ავიღე, — ღვინოც მექნება და 1000 ლიტრი არაყიც გამოვხადეთ. ამასთან, პირველად გავრისკე და ქართული ენდემური ჯიშის ხორბალიც დავთესე. კარგი მოსავალი მოვიდა და ახლა მის გაყიდვაზე ვმუშაობ.

**— მოსავლის რეალიზაციას რომელ ქვეყნებში აპირებთ?**

— ჯერ საქართველოში, შემდეგ კი უცხოურ ბაზრებზე გატანასაც ვიფიქრებ... თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის პრიორიტეტს ენდემური ჯიშების შენარჩუნება წარმოადგენს: მაგალითად, ირლანდიის პრეზიდენტი ცხვრის განსაკუთრებული, ადგილობრივი ჯიშის შენარჩუნებით არის დაინტერესებული... ქართველებმა ჯერ სოფლის მეურნეობის განვითარებაზე უნდა ვიზრუნოთ, შემდეგ კი — მოგებაზე. გარდა ამისა, სანამ ქართულ ღვინოს უცხოეთში გავიტანდეთ, მის ხარისხზეც უნდა ვიფიქროთ. უცხოეთიდან ჩამოსულ ტურისტებს ჩვენს ქვეყანაში დამზადებულ საკვებსა და ალკოჰოლურ სასმელზე უნდა გავუმახვილოთ ყურადღება, ოღონდ ეს ყველაფერი მაღალხარისხიანი უნდა იყოს. მიმაჩნია, რომ აქედან იწყება ტურიზმის განვითარება! ხოლო თუ მეურნემ ბევრი მოსავალი მიიღო და მთლიანად ტურისტებზე ვერ გაყიდა, ამის შემდეგ უნდა გაიტანოს სარეალიზაციოდ უცხოეთში.

**— ლაგოდეხში ადგილობრივი მოსახლეობა გყავთ დასაქმებული?**

— უნდა ვაღიარო, რომ ყოველთვე ახალ-ახალი თანამშრომლები მყავს, რადგან მუშაობა არავის უნდა...

**— რას ნიშნავს „მუშაობა არავის უნდა“?**

— ასეა... უცნობსა და ნაცნობს მოვუწოდებ, იმუშაოს, მაგრამ ქართველებს მუშაობა არ უყვართ. ვინც მოვიდა, ყველას ოფის-მენეჯერობა უნდა. არადა, ვეუბნები, — ცოლ-შვილიც წამოიყვანე, სამუშაო მათაც ექნებათ-მეთქი, თან, უფასო საკვებსა და დასაძინებელსაც ვთავაზობ, მაგრამ თბილისში უსაქმოდ ყოფნა და ბირჟაზე დგომა ურჩევნიათ. ცნობისათვის — ისტორიულად, თბილისი სავაჭრო ქალაქი იყო. ქართველები, თავადები, საზოგადო მოღვაწეები და ჩვეულებრივი მოქალაქეები პროვინციებს ეტანებოდნენ. ახლა სოფელში გაჩერება არავის უნდა. პროფესიონალებს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ, ისეთი ადამიანების ძებნასაც, ვინც საქმეს გულიანად მოეკიდება, ბევრი დრო მიაქვს და ამაზე ხშირად გავბრაზებულვარ... უცხოეთში, სადაც კი მიმუშავია, ადამიანი საზოგადოების რომელი ფენის წარმომადგენელიც უნდა იყოს, სამუშაოზე პასუხისმგებლობას იღებს. თუ არ შეუძლია, ამბობს, — ვერ გავაკეთებო. თბილისელი ვარ, სოფელი არ მაქვს. ჩემი წინაპრები თავადები იყვნენ და რაც ებადათ, ყველაფერი წაართვეს, შემდეგ კი დახვრიტეს... იმის თქმა მინდა, რომ ხელისუფლება სწორად იქცევა, როცა აქცენტს რაიონებზე აკეთებს. მიხარია, რომ ბათუმში ამდენი რამ კეთდება. მართალია, ცოტა უგემოვნოა, მაგრამ ყველაფერი უნაკლოდ ვერ გაკეთდება. ხელისუფლების გუნდრუკის მკმეველი არასდროს ვყოფილვარ და არც ვიქნები, მაგრამ ვერც იმ ოპოზიციას დავუჭერ მხარს, რომელიც ყველაფერს აკრიტიკებს, თავად კი ლაყბობის მეტს არაფერს აკეთებს... აქ იმიტომ დავბრუნდი, რომ ჩემს მიწაზე მინდა ყოფნა, საქართველოს განვითარებაში წვლილი უნდა შევიტანო. არ შეიძლება დაუსრულებელი თავის ქებაც, — ჩვენთან ყველაფერი საუკეთესოაო. ეს ხელისუფლებასაც ეხება და საზოგადოებასაც. ზოგს ჰგონია, საქართველოზე უკეთესი ქვეყანა მსოფლიოში არ არსებობს. დიდხანს ვიცხოვრე ინგლისში და ადგილობრივისგან არასდროს მომისმენია, მსოფლი-



ახლა ჩემს საყვარელ საქმიანობას, ხელოვნებას დავუბრუნდი

ოში ყველაზე მაგარი ქვეყანა გვაქვსო. არ მახსოვს, ინგლისელს დიდი ბრიტანეთის სადღეგრძელო დაელიოს, პირიქით — სულ აკრიტიკებენ, უკეთესი უნდა გახდესო... ერთხელ ჩემმა მეგობარმა, საქართველოს დიდმა თაყვანისმცემელმა — დევიდ როუზმა მკითხა: რატომ გიკვირთ, რომ პატრიოტები ხართ, ეს ხომ იგივეა, ადამიანს საკუთარი შვილი უყვარდესო?!. იცით, რას ვაპირებ? — „მენაგვეთა პარტია“ უნდა შევქმნა, საქართველო მინდა დავგავო.

— **როგორ?**

— ჩვეულებრივად: სადაც ნაგავს ვნახავ, დავასუფთავებ, — ნამდვილად არ მეთაკილება. მე არ მწამს იმ ხალხის სიყვარულის, ვინც ქუჩაში ნაგავს ყრის და გულზე მჯიღს იბრაგუნებს, — საქართველო მიყვარსო! წადით, აბა, თბილისს რომ გასცდებით, ნახავთ, რამდენი ნაგავი ყრია. უცხოელებს ჩვენს „ქართულ პატრიოტიზმზე“ ეცინებათ... შეიძლება ვცდები, მაგრამ სამშობლოს სიყვარული ქუჩების გადაკეტვითა და კარვების გაშლით კი არ უნდა გამოხატო, არამედ დღედაღამ უნდა იშრომო შენი ქვეყნის საკეთილდღეოდ.

— **ბატონო გოგი, საქართველოში ჩამოსული არაერთი ბიზნესმენისგან მოგვისმენია, რომ მოგების მეტი წილი ხელისუფლებას მიაქვს და კანონის შესრულება შერჩევითობის პრინციპით მოქმედებს... თქვენ არავის შეუვიწროებიხართ?**

— დავიწყოთ იმით, რომ მე არავის პროგრამით არ ჩამოვსულვარ. ცუდია თუ კარგი, ეს ჩემი ქვეყანაა და აქ ცხოვრება მინდა... ნამდვილად არ ვიცი, რას გულისხმობენ ის ბიზნესმენები, როცა ამბობენ, რომ აქ გაძლება და საქმის კეთება შეუძლებელია. დიახ, ძნელია აქ თავის დამკვიდრება... კიდევ ერთი ამბავი მინდა გაგიზიაროთ. ერთ დროს პოლიტიკაში ვცადე ბედი. ამომრჩევლებთან ერთ-ერთი შეხვედრისას მკითხეს, — სხვები პენსიის მომატებასა და სოციალურ შეღავათებს გვპირდებიან, თქვენ რას გვპირდებითო? სახტად დავრჩი. მე გპირდებით პროგრამას, რომლის თანახმადაც, ერთად უნდა გამოვძვრეთ ამ სიტუაციიდან და თქვენ რას მპირდებით-მეთქი?.. ცხადია, არ მოეწონათ. პრობლემა მხოლოდ ხელისუფლებაში კი არა, ხალხის მენტალიტეტშია და ამას ერთად უნდა ვებრძოლოთ. საკუთარი თავის ქება-დიდებით ვერც ვერავის მოვატყუებთ და ვერც პრობლემებს მოვაგვარებთ. პირველ რიგში, საქმისადმი სწორი დამოკიდებულება უნდა ვისწავლოთ.

■

# „ჯავრი ქმრის ნაცვლად, მის ცოლისდაზე ვიყარე“

*ნინო ჯავახიშვილი*

მგზავრობისას, ტრანსპორტში, ზოგჯერ მართლაც სახალისო სიტუაციაში აღმოჩნდება ხოლმე ადამიანი. მეც მეტი რა მინდა და სახლში დაბრუნებული, მეზობლებს — ნანასა და მაიას ვუზიარებ ხოლმე შთაბეჭდილებებს და მათაც ვახალისებ...

ამას წინათ, ერთმა გოგონამ, სამარშრუტო ტაქსიში, მძღოლის გვერდით, კარი გამოაღო და ისეთი სისწრაფით შემოვარდა, რომ თავი პირდაპირ მძღოლს ჩაუდო კალთაში. „ნელა, გენაცვალე, ნელა, — ჩაეცინა ახალგაზრდა კაცს, რომელიც საჭეს მართავდა, — ერთი ეს „თანამდებობა“ მარგუნა ღმერთმა და ესეც არ დამაკარგვინო“. ამას ვინ ჩიოდა? ორიოდე წუთში, მანქანა ფაშფაშა ქალბატონმაც (ჩემი ვარაუდით, 100 კილო მაინც იქნებოდა) გააჩერებინა მძღოლს და მანაც წინ მოინდომა დაჯდომა; თანაც ისე, რომ გოგონასთვის არც კი შეუხედავს, უკმეხად მიმართა: „მიიწიე!“ საბრალო გოგოც მიიწია და მთელი ტანით მძღოლის კალთაში აღმოჩნდა (წინ მხოლოდ 1 ადგილი იყო და აბა, 2 კაცი როგორ დაეტეოდა?!). მძღოლს ისეთი საცოდავი სახე ჰქონდა, ყველა „მარშრუტკაში“ მჯდომს, იმ ქალბატონის გარდა, სიცილი აგვიტყდა... „რას დადექი ამ სიცხეში შუა გზაში და რას იცინი, წადი, მოცლილები კი არ ვართ!“ — შეუბღვირა მძღოლს მსუქანმა ქალბატონმა. — „კი წავიდოდი, მაგრამ როგორ წავიდე? ლამის ორივე კალთაში მიზიხართ. აგერ გასაღები და აგერ „მარშრუტკა“, ადექით და თქვენ თვითონ წაიყვანეთ“, — უპასუხა მოღიმარი სახით.

— რა გიკვირს? გაჭირვებისგან ამ ხალხმა სულ დაკარგა აზროვნების უნარი. რამდენჯერ მეც დამმართვია ასეთი რამ, — გაიხსენა თავისი გონებადაფანტულობის ამბავი მაიამაც, — ამას წინათ მაღაზიაში რაღაცები ვიყიდე და იქ არ დამრჩა? სახლში მისულმა, იმდენი ვინერვიულე, რომ ლამის თან გადავყევი. კიდევ კარგი, გამყიდველი წესიერი ადამიანი აღმოჩნდა და მეორე დღეს ყველაფერი უკან დამიბრუნა, შეუნახავს. გუშინ კი საბურთალოზე მიმავალი დიდუბეში არ აღმოვჩნდი?! თურმე სხვა „მარშრუტკას“ გავყევი. რა ვქნათ, ისეთი დროა, რომ დალხენილი ცხოვრება არავის გვაქვს — ყველას თავისი საფიქრალი და სადარდებელი აწუხებს.

— ისე, ყველაფერი მხოლოდ გაჭირვების ბრალიც არ არის, თვითონ ხალხიც შეიცვალა, — დასძინა ნანამ, — ისეთი რამეები ხდება, ზოგჯერ ყურებს არ ვუჯერებ. ჩემი შვილის მეგობარს არაჩვეულებრივი, ტკბილი ოჯახი ჰქონდა. 2 შვილი შეეძინათ. ბედს არ ემდუროდნენ. ის ქმარი კარგ ადგილას მუშაობდა და არ უჭირდათ. ცოლს კომპიუტერი უყიდა — პატარა ბავშვების გამო სახლიდან გარეთ ვერ გადის და გულს გადააყოლებსო და მაგან დაღუპა. ერთხელაც, სამსახურიდან რომ დაბრუნდა, სახლში წერილი დახვდა: კარგად იყავი, ვთხოვდები და ბავშვებს მიხედეო. საწყალს ძლივს ვასულიერებდით — ცალკე სიმწრისგან და ცალკე სირცხვილისგან აღარ იცოდა, რა ექნა. სახლიდან გარეთ აღარ გადიოდა. დეპრესიაში ჩავარდა. აბა, რა იქნებოდა? თურმე „ოდნოებით“ თუ რა ჯანდაბა ჰქვია, ვიღაც გაუცნია და ისე გაჰყვა იმ ბიჭს, თვალითაც არ ჰყავდა ნანახი. წარმოგიდგენიათ?.. მეშინია, ჩემმა ბიჭმა შვილიანი ქალი არ მომაყენოს რძლად. ხომ გადავირიე! თუმცა ორშვილიანობას და განათხოვრობას ვინღა ჩივის, ასეთი ცანცარა ქალის მოწონება როგორ შეიძლება, ასე უყოყმანოდ რომ შეუძლია ოჯახის დანგრევა?

— ეგ რა არის, ამ რამდენიმე კვირის წინ, ისეთი რამ გავიგე, გავგიჟდი. 1 წელი იქნება, რაც ჩვენი მეზობლის გოგო გათხოვდა. მშობიარობის შემდეგ, დედამისმა თავისთან მოიყვანა. არაფერს ამბობდნენ, მაგრამ ხომ იცით, ასეთი რამ არ იმალება. თურმე ქმარს, საავადმყოფოში თავისი ცოლ-შვილის მოსანახულებლად რომ დადიოდა, ვიღაც ექთანი გაუცნია. მერე ცოლიც და შვილიც სამშობიაროში დატოვა და ცოლად ის მოიყვანა. ან იმ ბიჭს რა ჭკუა უნდა მოჰკითხო და ან — იმ გოგ-

ოს? ესეც სააკაშვილის ბრალი ხომ არ არის?! — პოლიტიკას მაინც ვერ აუარა გვერდი მაიამ.

ოჯახური უსიამოვნება ნამდვილად არ არის არც სააკაშვილის და არც „ნაციონალების“ ბრალი, მაგრამ როგორც ჩანს, საჭორაო თემად კი ნამდვილად ვარგა. ამიტომაც, „სასოწარკვეთილი დიასახლისებისთვის“ სწორედ ის გზავნილები შევარჩიე, რომლებიც წყვილებს შორის ღალატსა და შურისძიებას ეხება.

„ერთი სასოწარკვეთილი ადამიანის შესახებ მინდა გიამბოთ. კერძო ბინაში ვცხოვრობ და რადგან შუქის მრიცხველი შიგნით გვიყენია, ჩვენების ჩასაწერად, თვეში ერთხელ, გვსტუმრობს ხოლმე ერთი ახალგაზრდა კაცი. წინა თვეში არ გამოჩენილა და ახლა რომ დავინახე, ისეთი მოწყენილი და საბრალო მომეჩვენა, ვიფიქრე, ნამდვილად რაღაც უბედურება შეემთხვეოდა-მეთქი. დავინტერესდი და ვკითხე, რა სჭირდა. როგორც ჩანს, ვიღაცისთვის გულის გადაშლა უნდოდა და აი, რა მიამბო:

— ცოლ-შვილი მყავდა, ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა, მაგრამ ხომ იცით, ეშმაკი რომ შეუჩნდება კაცს... ერთი გოგო გავიცანი, არ მითქვამს მისთვის, ცოლი რომ მყავდა. ერთმანეთს დავუახლოვდით და მალევე აღმოვაჩინე, რომ მიყვარდა. ავდექი და ვაჟკაცურად გამოვუცხადე ცოლს, უნდა დავშორდეთ, სხვა შემიყვარდა-მეთქი. მისთვის მოულოდნელი იყო ეს ამბავი. მთელი დღეები ტიროდა, მერე კი მითხრა: რაკი არ იშლი, წადი, მაგრამ ქალი არ ვიყო, თუ არ განანოო. დროებით საცხოვრებლად მშობლების ბინაში გადავედი და მათაც განვუცხადე, რომ მალე სხვა მომყავდა ცოლად. ამასობაში, სამსახურიდან ერთთვიან მივლინებაში გამგზავნეს. კვალიფიკაციაამაღლებული რომ დავუბრუნდი ქალაქს და შეყვარებულს მივაკითხე, გათხოვილი დამხვდა... კარგა ხანს გონზე ვერ მოვდიოდი. მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს, როდესაც ვინმე უმიზეზოდ მიგატოვებს... ეს კიდევ არაფერი, ძალ-ღონე მოვიკრიბე და ყოფილ ცოლს მივაკითხე, პატიება მინდოდა მისთვის მეთხოვა. გაგეცინებათ და, ისიც გათხოვილი არ დამხვდა? მეზობელმა მითხრა: ნათია თავის ძველ შეყვარებულს გაჰყვა ცოლად, ახლა თაფლობის თვე აქვთ და შენთვის გადმოსაცემად ეს წერილი დამიტოვაო. გაოგნებულმა წერილი რის ვაი-ვაგლახით გავხსენი და წავიკითხე: „ახია შენზე, ბავშვის ნახვა თუ გინდა, ჩემებთან არიან და იქ მიაკითხე...“ ასეთ დღეში ჩავვარდი, ცოლიც დავკარგე და შეყვარებულიც. ამიტომაც ვარ ცუდ ხასიათზე — ერთი სულელური შეცდომის გამო მთელი ცხოვრება დამენგრა.

ეს რომ მიამბო, წესით, უნდა თანამეგრძნო, მაგრამ ისეთი ისტერიკული სიცილი ამიტყდა, რომ ვეღარ მასულიერებდნენ. როცა მოვუბოდიშე, თვითონაც გაეცინა: შენ რა შუაში ხარ, განა არ ვიცი, რომ სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდი, სატირალი რომ არ იყოსო?! აი, ასე დაემართებათ მოღალატე ქმრებს...“

ერთი ქალბატონი კი წლების წინ გადამხდარ ამბავს იუმორით იხსენებს და გვირჩევს, რომ დეპრესიაში არასდროს ჩავვარდეთ:

„10-12 წლის წინ, ჩემი მეუღლე სოფლიდან თბილისში სამუშაოდ წამოვიდა. მე, 5 წლის ბიჭთან ერთად, დედამთილ-მამამთილის სახლში დავრჩი. ვიფიქრე, საქმეს რომ ააწყობს, მერე ჩვენც წაგვიყვანს-მეთქი. „საქმის აწყობა“ რატომღაც რომ გაუჭიანურდა და მიზეზი ვკითხე, გამომიცხადა: სხვა ქალთან ვცხოვრობ და მასთან შვილიც შემეძინაო. ხომ წარმოგიდგენიათ, რა დღეშიც ჩავვარდებოდი?! არც მიხვეწნია, არც მიჩხუბია, ყოველგვარი წივილ-კივილის გარეშე დავშორდით ერთმანეთს. ან კი რა აზრი ჰქონდა ჩხუბს?! — კაცს ყველაფერი გადაეწყვიტა... მალე მეც თბილისში დავიწყე მუშაობა და ერთ ახალგაზრდა ქალს დავუმეგობრდი, მაგრამ მისთვის ჩემი ცხოვრების შესახებ არაფერი მომიყოლია. არ მსიამოვნებდა ჩემს მდგომარეობაზე ბევრი ლაპარაკი... ერთხელ, თანამშრომლებმა 8 მარტის აღნიშვნა გადავწყვიტეთ და როდესაც რამდენიმე ჭიქა დავლიეთ, როგორც ჩანს, სასმელმა თავისი ქნა და ჩემმა ახალშეძენილმა მეგობარმა თავისი გულისტკივილი გამანდო: თურმე მის სიძეს — ნოდარს ერთი ცუდი ყოფაქცევის ქალი მოსვენებას არ აძლევს, გაბედა და შვილიც კი გაუჩინა, მოკლედ, „აეკიდა“ და ოჯახს უნგრევს. ინტერესის გამო ვკითხე, რომელ სოფელში ცხოვრობენ-მეთქი? ჩემი სოფელი რომ ახსენა, გულმა რეჩხი მიყო — სოფლის სახელიც დაემთხვა და კაცისაც. ნოდარი ან მისი პირველი შვილი რამდენი წლისანი არიან-მეთქი? — ვკითხე. ნოდარი 28 წლის არის, ბიჭი კი ასე 7-8 წლის ყოფილაო. თქვენს მტერს, რაც იმ გოგოს დავმართე, დეპრესია და სასოწარკვეთა ჩემი უნდა გენახათ. წლების ნაგროვებმა დარდმა და ბოღმამ, სიმწარემ, ყველაფერმა ერთად ამოხეთქა და ამ ჩემს მეგობარს თმაში ვწვდი: ესე იგი, მე „ვეკიდები“ ნოდარს, ცუდი ყოფაქცევის ქალი მე ვარ და ოჯახს ვუნგრევ-მეთქი? არ ვიცი, საიდან მომეცა ამხელა ძალა — თანამშრომლები ხელიდან ვერ მაგდებინებდნენ იმ გოგოს... დღესაც რომ მახსენდება მაშინდელი ჩემი საქციელი, მეცინება, ქმრის ნაცვლად, ჯავრი მის ცოლისდაზე რომ ვიყარე. დამიჯერეთ, არ ღირს, ვინმეს ან რამის გამო სასოწარკვეთილებას მიეცეთ და საკუთარი თავი და ღირსება დაკარგოთ. თუკი მოინდომებ, ყველაფერს შეცვლი უკეთესობისკენ“.



მართლაც კარგი იქნება, თუ ამ განწყობილებით შეხედავთ თქვენს ყველა პრობლემას და ყოველდღე ეტყვით საკუთარ თავსაც და სხვებსაც, რომ ყველაფერი, ყველაფერი კარგად იქნება... მაშ ასე, გელოდებით, მომწერეთ თქვენი და სხვისი ამბები ტელეფონის ნომერზე: 5(93) 49-95-02.

■

# „ვინც ვერ გარბის, ის აუცილებლად გაისრისება“

## ქართველი რეჟისორის ფრანგული გამოცდილება

**საქართველოს საზღვრებს მიღმა, არაერთი ქართველი ხელოვანი ცხოვრობს, რომლებმაც წარმატებას არა სამშობლოში, არამედ უცხო ქვეყანაში მიაღწიეს. ჩვენს დღევანდელ რესპონდენტზე ამას ვერ ვიტყვით, რადგან, მიუხედავად იმისა, რომ ის საფრანგეთში დაიბადა და გაიზარდა, საქართველოში მაინც არაერთი წელი გაატარა — გორის თეატრსაც ხელმძღვანელობდა. რეჟისორი ალექსანდრე ჯაყელი საქართველოში ორიოდე თვით გახლავთ ჩამობრძანებული. მისი მეშვეობით შედგა ქართულ-ფრანგული პროექტი, რომლის ფარგლებშიც საქართველოს რეგიონების თეატრებში სპექტაკლები იდგმება. გაზაფხულზე კი თითოეული მათგანი საფრანგეთის ფესტივალში მიიღებს მონაწილეობას. ამ ყველაფერსა და საკუთარ ცხოვრებაზე უფრო დაწვრილებით თავად რეჟისორი გვესაუბრა.**

*ნათია ჟივიძე*



**ჩემი ბაბუა, ალექსანდრე ჯაყელი, ჭიათურის მარგანეცის მფლობელი იყო**

— ჩემი ბაბუა, ალექსანდრე ჯაყელი, ჭიათურის მარგანეცის მფლობელი იყო. მაშინ სტალინის ეპოქა გახლდათ და ბაბუა დაიჭირეს. რომ არ დაეხვრიტათ, გადაწყვიტა, სამშობლოს გასცლოდა და საზღვარგარეთ გაიპარა. ბებია და მამაც თურქეთიდან ფეხით გადაიპარნენ და ბაბუასთან ევროპაში ჩავიდნენ. სწორედ საფრანგეთში გაიცნო მამაჩემმა დედაჩემი. დედაც საფრანგეთში დაბადებული ქართველი გახლდათ, რადგან იმავე რევოლუციის დროს, მისი დედა ფანჯრიდან გადახტა და თურქეთიდან საფრანგეთში გაიქცა. მე და ჩემი და-ძმაც იქვე დავიბადეთ. 1970 წელს, საბჭოთა კავშირის სათავეში ბრეჟნევი რომ მოვიდა, მამამ იფიქრა, აღარ გადაგვასახლებენო და საქართველოში ჩამოგვიყვანა... 10 წლის განმავლობაში გორის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდით. სწორედ იმ პერიოდში, ერთ-ერთ ფილმზე, ოთარ იოსელიანთანაც ვმუშაობდი, რის გამოც, საფრანგეთში ხშირად მიხდებოდა ჩასვლა და მაღალი ანაზღაურებაც მქონდა. იქ სამსახურსაც მთავაზობდნენ, მაგრამ თეატრი ვერ მივატოვე. 1999 წელს, როცა უკვე გაუსაძლისი გახდა აქ ცხოვრება, როგორც მატერიალურად, ისე მორალურად, კვლავ საფრანგეთში დავბრუნდი. იქ ადგილის დამკვიდრება რთული ნამდვილად არ იყო. ძალიან ადვილად მოვერგე ქალაქ ლაბოლს. თავიდან იქაურ თეატრში დავიწყე მუშაობა. 2005 წელს კი შევქმენი საკუთარი კომპანია — „პრესტოანდანტე“, რომლის ფარგლებში თეატრიც ფუნქციონირებს.

**— ამ თეატრში ალბათ ქართველი მსახიობებიც გყავთ შტატში, არა?**

— არავითარი შტატი. ჩემს თეატრში მსახიობები კონტრაქტის საფუძველზე მუშაობენ... ამ კომპანიას ჰყავს მხოლოდ პრეზიდენტი, მდივანი, რომელიც ბუღალტრულ საქმეებს უძღვება და სამხატვრო ხელმძღვანელი. ეს ფუნქცია მე მაკისრია. ჩემი მიზანია, ქალაქი ლაბოლი საქართველოს რომელიმე ქალაქთან დავამეგობრო, რადგან ლაბოლი უმდიდრესი ქალაქია...

**— თქვენ თუ გაქვთ ოჯახი?**

— ჩემი უკვე ყოფილი მეუღლე საქართველოში გავიცანი და საფრანგეთში წავიყვანე. ამჟამად ერთად აღარ ვცხოვრობთ. ჩემმა ვაჟმაც ქართველი ცოლი შეირთო და 2 თვის წინ, შვილიშვილიც შემეძინა. მნიშვნელობა არ ჰქონდა, რა ეროვნების იქნებოდა მისი ცოლი, ერთადერთი პრეტენზია მქონდა — მისი მეუღლე რუსი არ ყოფილიყო და დამიჯერა.

**— ახლა იმ ქართულ-ფრანგულ პროექტზე ვისაუბროთ, რომლის განსახორციელებლადაც საქართველოში ჩამობრძანდით...**

— 3 წლის წინ, ქალაქ ლაბოლში დავაარსე ფესტივალი — „თეატრალური ღამეები“. შარშან ეს ფესტივალი საქართველოს მივუძღვენი და სწორედ ამიტომ, გადავწყვიტე, რომ ფესტივალის ფარგლებში, საფრანგეთში ქართველი მსახიობები მიმეწვია. მათ შორის, ზესტაფონის თეატრის არტისტებიც გახლდნენ. წელს კი ზესტაფონის თეატრმა თავად მომიწვია, რათა იქ ახალი პროექტი განმეხორციელებინა. ზესტაფონის თეატრში, ერთ თვეში 4 სპექტაკლი დავდგი. ოთხივე მათგანი გაზაფხულზე, მაისში ფესტივალ — „თეატრალურ ღამეებში“ მიიღებს მონაწილეობას. საფრანგეთიდან წამოსვლის წინ, ლაბოლის მერიის თანამშრომლებს ვესაუბრე და დავითანხმე, რომ ნაწილობრივ მაინც დააფინანსონ ქართველების იქ გამგზავრება და დაბინავება.

**— რა სპექტაკლები დადგით და როდის შედგება მათი პრემიერა?**

— პირველი სპექტაკლი — „დონჟუანისა“ და „ტარტიუფის“ მიხედვითაა, რომელსაც „ოპუსი 115“ დავარქვი, რადგან ეს ჩემი 115-ე სპექტაკლია. მეორე პიესას „უტოპსია“ ჰქვია, რომელიც ჩემი სცენარის მიხედვით არის დადგმული. მესამე გახლავთ ზღაპარი, რომელსაც „ისევ ზღაპარი“ ჰქვია. მასში შარლ პეროს 3 ზღაპარია გაერთიანებული და რასაკვირველია, კომედიური ჟანრისაა. მეოთხე სპექტაკლი კი ბიუხნერის პიესაზეა აგებული და „ვოიცეკი“ ჰქვია. ყველა მათგანის პრემიერა ოქტომბერში გაიმართება.

**— როგორც ვიცი, ამ სპექტაკლების ჩვენება ზესტაფონის თეატრში**

**მაისამდე გასტანს. თქვენ მანამდე საქართველოში იქნებით?**

— არა, საფრანგეთში პირველ ნოემბერს გავემგზავრები. მანამდე ზესტაფონის თეატრის ტექნიკურ პერსონალს ვამეცადინებ, რომ სპექტაკლის კომპიუტერით წაყვანა შეძლონ, რადგან ამ სპექტაკლებს რთული ტექნიკური მხარე აქვს. ერთ კომპიუტერს მათ დავუტოვებ კიდეც.

— **როგორც ჩემთვის ცნობილია, თქვენ მიერ დაარსებული ფესტივალი სხვა ფესტივალებისგან განსხვავდება. იქნებ უფრო დაწვრილებით გვიამბოთ მისი ფორმატის შესახებ?**

— მართლაც ცოტა განსხვავებულია. ფესტივალზე მოსული სტუმრებისთვის ჯერ „აპერიტივი“ იქნება, მერე 1-ელ სპექტაკლს დაესწრებიან, რომლის შემდეგაც სადილი გაიმართება. მორიგ წარმოდგენას დესერტი მოჰყვება. მერე კიდევ სპექტაკლია, რის შემდეგაც სტუმრები მეორენაირ დესერტს გასინჯავენ. ბოლო წარმოდგენის შემდეგ კი ცეკვა-თამაში იწყება. ეს ფესტივალი 2-3 დღეს მიმდინარეობს. ყოველდღიურად, საღამოს 8 საათზე იწყება და დილის 4 საათზე მთავრდება. სწორედ ამიტომ ჰქვია „თეატრალური ღამეები“... ჩვენს თეატრს მაყურებელი შემოაკლდა და მაშინ ვთქვი, — მოდი, დავაარსოთ ფესტივალი, სადაც მაყურებელს კერძებსაც გავასინჯებთ-მეთქი. ამ იდეამ გაამართლა. ყოველ წელიწადს მართლაც განსხვავებული სამზარეულო გვაქვს წარმოდგენილი. ხშირად სტუმრები მხოლოდ იმიტომ მოდიან, რომ იციან, ჩვენთან ქართულ კერძებსაც დააგემოვნებენ. იმავე ფესტივალის დაარსება საქართველოშიც მინდა, რომელიც შემოდგომაზე, ოქტომბერში ჩატარდება, თუნდაც ზესტაფონში. მინდა, ეს ფესტივალი სახალხო დღესასწაულად გადაიქცეს, მაგრამ ამას სპონსორი სჭირდება.

— **როგორც აღნიშნეთ, ლაბოლის მერია ამ ქართულ-ფრანგული პროექტით დაინტერესებულია და დაფინანსებაზეც არ უთქვამს უარი. ზესტაფონის გამგეობა თუ მონაწილეობს ამ ყველაფერში?**


მინდა, ეს ფესტივალი სახალხო დღესასწაულად გადაიქცეს, მაგრამ ამას სპონსორი სჭირდება

— ლაბოლის მერიას 2012 წლის ფესტივალისთვის ქართველების დაფინანსება რომ ვთხოვე, გაუკვირდათ და შემეკითხნენ, საქართველოში ასეა მიღებული, რომ პროექტები ცალმხრივად უნდა დაფინანსდეს?! ეს სიტყვები ზესტაფონელებს გადავეცი და ამის შემდეგ მიმიწვიეს. ფრანგები საქართველოთი დაინტერესებულნი არიან. გარდა ამისა, აინტერესებთ პროექტები, რომლებიც ქვეყნების გაცვლა-გამოცვლას შეეხება. რაც შეეხება ზესტაფონის მხარეს, ლაბოლის მერის მოადგილე კულტურის დარგში, პარალელურად კი — საფრანგეთის სენატის დეპუტატი, ზესტაფონში დავპატიჟე და ისიც დამთანხმდა, მაგრამ მგონი, მისი ვიზიტი გადაიდება, რადგან უკვე თვეზე მეტია, ზესტაფონში ვარ და ფაქტობრივად, ამ მხარის ე.წ. მთავრობა არ მინახავს. მხოლოდ კულტურის განყოფილების გამგეს შევხვდი. ის დიდ ყურადღებას იჩენს ამ ქალაქის თეატრის მიმართ, მაგრამ გამგებელი საერთოდ არ გამოჩენილა. მინდა, ის ქალბატონი ამ რეგიონში ჩავიყვანო და იქაური ცხოვრება და კულტურა გავაცნო. ნახოს, როგორ მღერიან და ცეკვავენ იქაურები, რადგან შესაძლოა, ვიღაც მოეწონოს და ამ პროექტში ჩართოს... მაგრამ ალბათ ზესტაფონის მთავრობის უყურადღებობის გამო, ამ ქალბატონის საქართველოში ვიზიტის მომავალი წლისთვის გადადება მომიხდება.

— **არჩევანი მაინცდამაინც რეგიონის თეატრზე რატომ შეაჩერეთ, საფრანგეთში ხომ შეიძლება თბილისის რომელიმე თეატრიც მიიწვიოთ?**

— როცა ამ ქართულ-ფრანგული პროექტის განხორციელება გადავწყვიტე, ჩემს ყოფილ მოსწავლეს — გვანცა დადიანიძეს დავუკავშირდი, რომელმაც ზესტაფონელებთან დამაკავშირა... საფრანგეთიდან ტელევიზიითა და ინტერნეტით ყოველთვის ვადევნებ თვალყურს, თუ რა ხდება საქართველოში; ვხედავ, რომ თბილისში უამრავი რამ გაკეთდა, სიღნაღი და ქუთაისიც განახლებულია, ზესტაფონში კი კინოთეატრიც არ არის. ზუსტად ამიტომ გადავწყვიტე მათთან დაკავშირება...

— **ქართველი და ფრანგი მსახიობები რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან და მუშაობისას რომელიმესთან ტაქტიკის შეცვლა თუ გჭირდებათ ხოლმე?**

— ტაქტიკას არავისთან ვცვლი. როგორც ადამიანი ემზადება ბრძოლისთვის, ასევე უნდა მოემზადოს რეჟისორი რეპეტიციისთვის. არ შეიძლება, რეპეტიცია თვეების განმავლობაში გაგრძელდეს. პირდაპირ საქმეზე უნდა გადახვიდე...

— **ალბათ, ასეთი ტაქტიკის გამო დადგით ერთ თვეში 4 სპექტაკლი, არა?**

— ეს ქართველი მსახიობების დამსახურებაცაა. მათ ჩემი მუშაობის სტილს სწრაფად აუღეს ალღო და კარგად გაიგეს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ. არ შეიძლება ნელი სვლით სიარული, რადგან ვინც ვერ გარბის, ის აუცილებლად გაისრისება. საფრანგეთში მოღვაწეობა რომ დავიწყე, 10 კაციდან 4-5 მრჩებოდა, რადგან დანარჩენები გარბოდნენ. ახალი მსახიობებისთვის ძნელია ჩემთან მუშაობა. მათ რამდენიმე დღე სჭირდებათ, რომ ეს ყველაფერი გაიგონ. ჩემი ტემპები ცოტა უფრო სწრაფია ევროპისთვის და ძალიან სწრაფი — საქართველოსთვის... ■


ჩემი მუშაობის სტილს სწრაფად აუღეს ალღო და კარგად გაიგეს, თუ რა უნდა გაეკეთებინათ

# ახმეტელის თეატრის „ღია შუშაბანდი“

**რეჟისორმა დიმა ხვთისიაშვილმა ახმეტელის თეატრის რეპერტუარს კიდევ ერთი სპექტაკლი შეჰმატა. შადიმან შამანაძის 28 წლის წინ დაწერილი პიესა, რომელიც მძიმე სოციალურ პრობლემებს ეხება, ქართულ ოჯახებში დღესაც აქტუალურია... მთავარ როლებს სპექტაკლში ასრულებენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, გვანცა კანდელაკი და ამირან ქაჩიბაია. „ღია შუშაბანდი“ მუსიკალურად ლექსო ტურიაშვილმა ორიგინალურად გააფორმა, რაც შესანიშნავ განწყობილებას უქმნის სპექტაკლზე მისულ მაყურებელს.**



*თამთა დადეშელი*

**— ბატონო დიმა, რატომ გადაწყვიტეთ პიესის — „ღია შუშაბანდის“ დადგმა?**

— როდესაც ახმეტელის თეატრის ხელმძღვანელობისგან მივიღე შემოთავაზება, სპექტაკლი დამედგა, იქვე გამოითქვა სურვილი, რომ ქართული პიესა ყოფილიყო. მოგეხსენებათ, ფართო არჩევანია, მაგრამ შევჩერდით პიესებზე — „ღია შუშაბანდი“ და „გუშინდელნი“. ვინაიდან ამ უკანასკნელის რეპეტიციები სხვა თეატრშიც მიმდინარეობს, საბოლოოდ, შადიმან შამანაძის პიესა ავირჩიეთ (წლების წინ ის თეატრში, იური კაკულიას დროს დაიდგა). სხვათა შორის, „ღია შუშაბანდი“ მაშინ თითქმის ყველა თეატრის სცენაზე დაიდგა და აღსანიშნავია, რომ არც დღეს დაუკარგავს აქტუალობა. სპექტაკლში გაჭირვების, სტრესული ფონისა თუ დეპრესიული განწყობილების მიუხედავად, წინა პლანზეა წამოწეული თბილი ადამიანური ურთიერთობები — სიყვარული, ურთიერთპატივისცემა. პიესა სცენაზე მხატვრული სახეების გამოძერწვის საშუალებას იძლევა და ახმეტელის თეატრში მეგულებოდა ის არტისტული პოტენციალი, რომელიც ამას „გაქაჩავდა“. გადავწყვიტე, რომ სპექტაკლის რეჟისურა აქტიორულ ურთიერთობებზე ყოფილიყო დამყარებული და არა — სპეცეფექტებზე. პიესა განგებ არ გავათანამედროვე, არც თემის პოლიტიზება მივიჩნიე მართებულად. მიხარია, რომ ამ სპექტაკლში ჩემი ჯგუფელი — მსახიობი თამრიკო ბეჟუაშვილი თამაშობს, რომელთან ერთადაც სტუდენტობის პერიოდში, როგორც მსახიობს, არაერთ სპექტაკლში მითამაშია.

**— მკითხველისთვის გასაგები რომ იყოს, მოკლედ ჩამოგვიყალიბეთ პიესის ფაბულა ანუ — რატომ უნდა მოვიდნენ და ნახონ ეს სპექტაკლი?**



მთავარ როლებს სპექტაკლში ასრულებენ: ნუგზარ ყურაშვილი, თამარ ბეჟუაშვილი, გვანცა კანდელაკი და ამირან ქაჩიბაია

— ამბავი ერთი ჩვეულებრივი ქართული ოჯახის ცხოვრებას ასახავს, რომლის წევრებიც არიან — დედა, მამა და 2 შვილი. ოჯახის უფროსი „ვერშემდგარი“ ადამიანია; მართალია, მუშაობს, მაგრამ ოჯახს ისე არჩენს, როგორც თვითონ ესმის, არადა, მასზე უფრო მეტ იმედს ამყარებდნენ. კონფლიქტი იწყება იქიდან, რომ მის ვაჟიშვილსაც „არშემდგარობის“ საშიშროება ექმნება, მამას კი არ სურს, რომ მანაც იგივე გზა განვლოს, რაც თვითონ ხვდა. ამ სიტუაციაში, დედა თითქოს მედიატორის როლს ასრულებს. „არშემდგარობის“ პრობლემას ამძიმებს უკიდურესი გაჭირვება, რომელსაც ოჯახი განიცდის — მისი წევრები ბოთლებს აბარებენ, წვალობენ და ისე ირჩენენ თავს. ასე რომ, 1983 წელს დაწერილი პიესა დღესაც აქტუალურია...

**— სპექტაკლში ასეთი ფრაზაა: „მართალია, ღარიბები ვართ და გვიჭირს, მაგრამ სამაგიეროდ, დათიკო კაპანაძეს წესიერი, პატიოსანი კაცის სახელი აქვს“; ამით თითქოს მისი წარუმატებლობის გამართლება ხდება...**

— ჩემთვის ხშირად უკითხავთ, — რატომ არ დგამ უფრო მეტ სპექტაკლსო? თეატრში თუ არ მიმიწვიეს და თანამშრომლობა არ შემომთავაზეს, კარდაკარ სიარული და თხოვნა არ შემიძლია — სპექტაკლი დამადგმევინეთ-მეთქი; დღევანდელი ახალგაზრდები კი საოცრად გაბედულები არიან. როცა თეატრალურ ინსტიტუტში სამსახიობო ფაკულტეტი დავამთავრე, სამუშაოდ მარჯანიშვილის თეატრში მიმიწვიეს და სანამ მედეა კუჭუხიძემ ჩემს პედაგოგს არ დაურეკა, რომ ეკითხა, — რატომ არ მოდისო? — მისვლა მომერიდა... როგორც ჩანს, ჩვენ სხვა თაობის „პროდუქტები“ ვართ. ბოლო დროს კი ბევრი რამ შეიცვალა, რაც მართებულად მიმაჩნია. თუ სხვა ჩემზე პოპულარული რეჟისორია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის უწესოა და წარმატებას ამით მიაღწია. წესიერების შეფასების კრიტერიუმები სხვადასხვაგვარია. ბევრი რამ იღ-

ბალსა და გამართლებაზეც არის დამოკიდებული, მხოლოდ ნიჭიერება როდი განსაზღვრავს ყველაფერს. ზოგჯერ სიტყვა „წესიერი“ — ფუქსავატი და უქნარა ადამიანის სინონიმია; თუ არაფერს აკეთებ, რას დააშავებ?! მაგრამ თუ შესაძლებლობა მოგეცემა და არ მოიპარავ, მაშინ ხარ პატიოსანი! დათიკოს შემთხვევაში, ვფიქრობ, სწორადაა ნათქვამი — პატიოსნად შრომობს, მაგრამ მეტი არ ძალუძს.

**— თავის დროზე, „ღია შუშაბანდი“ პირველად რუსთაველის თეატრში დაიდგა, სადაც დედის როლი ზინაიდა კვერენჩხილაძემ ითამაშა და ახალი სპექტაკლი სწორედ მის ხსოვნას მიუძღვნეთ...**

— დიახ, ეს პიესა პირველად, გულსუნდა სიხარულიძემ დადგა რუსთაველის თეატრში და ქალბატონი ზინა შესანიშნავად ასრულებდა ამ როლს; პარტნიორობას ედიშერ მაღალაშვილი უწევდა; კახა თავართქილაძე და დარეჯან ხარშილაძე კი და-ძმის როლში იყვნენ. ქალბატონ ზინასთან ერთად, თეატრალურ ინსტიტუტში ორი სამსახიობო ჯგუფი მყავდა და ძალიან მიყვარდა იგი. ამ პიესის დადგმა პირველად სტუდენტებთან მოვსინჯე; რეპეტიციას ქალბატონი ზინაც დაესწრო. ძალიან მოეწონა და თანხმობაც მოგვცა, გაგვეგრძელებინა მასზე მუშაობა. მას ახმეტელის თეატრთანაც ჰქონდა შეხება და გადავწყვიტეთ, სწორედ მისთვის მიგვეძღვნა ეს სპექტაკლი.

**შადიმან შამანაძე,** *პიესის ავტორი:*

— საკმაოდ კარგი სპექტაკლია. საპრემიერო ჩვენებაზე მსახიობები ცოტათი კი ღელავდნენ, მაგრამ არაფერია, წარმოდგენა თანდათან დაიხვეწება. მთავარია, რომ 80-იან წლებში დაწერილ პიესას აქტუალურობა არ დაუკარგავს, რაც გამიკვირდა კიდეც. მსახიობებიც მაღალპროფესიონალურად თამაშობენ, განსაკუთრებით დედის როლის შემსრულებელი მომეწონა. თბილი, ლირიკული სპექტაკლია, სოციალური პრობლემების ფონზე ადამიანური, ოჯახური ურთიერთობებიც კარგადაა წარმოჩენილი. მთავარია, რომ სპექტაკლი შედგა და მაყურებელზე კარგად მოქმედებს, ამას დარბაზის რეაქციებზე მივხვდი. დღესდღეობით, უმეტესად, სანახაობით წარმოდგენებს დგამენ, ეს კი დრამატული თეატრის კარგი ნიმუშია. ■

# „არ მინდა, ფარ-ხმალი დავყარო, მაგრამ“...

**ჩემი რესპონდენტი 32 წლის ქალბატონი გახლავთ. თეა ყანადაშვილი-თოფჩიშვილი II ჯგუფის ინვალიდია. ოთხ შვილს (თეონა, სოფო, ლუკა, გაბრიელი) ზრდის. უმცროსი ვაჟები — 4 წლის ლუკა და 2 წლის გაბრიელი დაინვალიდების შემდეგ გააჩინა. ის მრავალსულიანი ოჯახის დიასახლისია. მიუხედავად იმისა, რომ ოჯახს მატერიალურად უკიდურესად უჭირს, თეას მომავლის იმედი არ დაუკარგავს, შვილებსაც უკეთესი ხვალინდელი დღის იმედით ზრდის და ამბობს: „არ მინდა, ფარ-ხმალი დავყარო“.**

*თამუნა კვინიკაძე*

*თოფჩიშვილები სოფელ დიღომში ცხოვრობენ. ცოტა ხნის წინ, მათ შინ ვესტუმრე... იქ კი ასეთი სურათი დამხვდა — გაულესავი კედლები, ნესტიანი ოთახები, ბეტონის იატაკი, არანაირი საყოფაცხოვრებო ტექნიკა, დაზიანებული ჭერი, რომელშიც წვიმის დროს წყალი ჩამოდის... ეს ოჯახი, 5 წლის მანძილზე, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამაში იყო ჩართული, შესაბამისად, სახელმწიფოსგან დახმარებას იღებდა, ახლა კი დახმარება მოუხსნეს. მრავალსულიანი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი 100 ლარია.*

**თეა:**

— მე და ჩემმა მეუღლემ ოჯახი ადრეულ ასაკში შევქმენით — 15 წლისანი ვიყავით. ვუყვარდი და მომიტაცა... 17 წელია, აქ ვცხოვრობთ. 4 შვილის დედა ვარ. უფროსი — თეონა 16 წლის არის. მარცხენა ფეხზე პრობლემები მეორე შვილზე მშობიარობის შემდეგ გამიჩნდა. უფულობის გამო ექიმთან მისვლას, სანამ ძალიან არ გამიჭირდა, ვერ ვახერხებდი, მერე კი ყველაფერი გვიან იყო...

**— რა დიაგნოზი დაგისვეს?**

— რბილი ქსოვილების გადაგვარება და ძვლის სარკომა. თავიდან ფეხის ამპუტაციაზე უარი ვთქვი. პირველი ოპერაცია რომ გამიკეთეს, საავადმყოფოდან იმ დღესვე გამომწერეს. იმდენი ფული აღარ მქონდა, რომ იქ ღამე გამეთია. ფეხი თაბაშირში ჩამისვეს, მაგრამ ინფექცია შეიჭრა და საბოლოოდ, ამპუტაცია მაინც აუცილებელი გახდა. ახლაც უამრავი წამალი მჭირდება, მაგრამ ვერ ვყიდულობ.

**— თქვენი მეუღლე არ მუშაობს?**

— უმუშევარია, არც ის არის ჯანმრთელი. ნერვიულობის ნიადაგზე ნევროზი ჩამოუყალიბდა. დიაბეტიც აქვს, მუშაობაზე უარს არ ამბობს, მაგრამ სამუშაო ადგილი ვერსად იშოვა.

**— როგორც ვიცი, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფთა პროგრამაში იყავით ჩართულები.**

— დიახ, ამ პროგრამით 5 წლის მანძილზე ვსარგებლობდით, მაგრამ შეგვიწყვიტეს.



— **რატომ?**

— სახლთან ახლოს ნაკვეთი გვქონდა, რომელიც ახლახან დავიმტკიცეთ და გავყიდეთ, რადგან მოვალეები გვაწუხებდნენ. ავადმყოფი მამამთილი მყავდა, მის სამკურნალოდ ვალი გვქონდა აღებული.


**შეიძლება თქვენმა მკითხველმა თქვას, ასე ძალიან თუ გიჭირდა, შვილებს რატომ აჩენდიო?**

— **თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი რამდენია?**

— როგორც მრავალშვილიანი დედა, 100 ლარს ვიღებ, რომელიც ჯერ არ დარიცხულა, ველოდები. შეიძლება თქვენმა მკითხველმა თქვას, ასე ძალიან თუ გიჭირდა, შვილებს რატომ აჩენდიო? ფეხზე პრობლემა რომ შემექმნა, მამა გაბრიელის საფლავზე მივედი. მაშინ უნებურად აღმომხდა: ოღონდ გადავრჩე, ვიცოცხლო და (ფეხის მოკვეთაზე აღარ ვდარდობდი) შვილი თუ მეყოლება, გაბრიელს დავარქმევ-მეთქი. მალე ფეხმძიმედ დავრჩი.

— **მესამე შვილს ლუკა რატომ დაარქვით?**

— სიზმარი ვნახე, სამებაში ვიყავი, 3 სანთლიდან 2 ენთო, ერთი — არა. მივედი და ავანთე, იქვე გადაშლილი წიგნი იდო. მონაზონი მოვიდა, ხელში მონეტა მომცა და წიგნი დახურა. წიგნს ლუკას სახარება ეწერა. მონაზონმა მითხრა: — ბიჭი შეგეძინება და ლუკას დაარქმევო. 2 კვირის შემდეგ გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი. ეს სიზმარი გამახსენდა. ასე დაიბადა ლუკა. გაბრიელი მეოთხე შვილს დავარქვი, რომელიც ახლა 2 წლის არის.

— **დახმარებისთვის არავისთვის მიგიმართავთ, რომ ფეხზე პროთეზი გაიკეთოთ?**

— როგორ არ მივმართე, მერიაში განცხადება შევიტანე, სახლის გადახურვაზეც ვითხოვე დახმარება, მაგრამ მამუკა ქაცარავასგან პასუხი მომივიდა, ბიუჯეტში თანხა არ არისო. სააკაშვილი აქ, ჩვენს უბანში იყო მოსული, პირისპირ შევხვდი. მაშინ 3 შვილი მყავდა. დამპირდა, სახლში გამოგყვებიო, მაგრამ არ მოვიდა, წერილიც გადავეცი, დავინახე, ჯიბეში ჩაიდო. ფურცელზე ჩემი პრობლემები მქონდა ჩამოწერილი და დახმარებას ვითხოვდი, მაგრამ მე არასდროს არავინ დამხმარებია... გაბრიელი ბაღშიც ვერ მიმყავს, 80 ლარია გადასახდელი. ახლახან პარლამენტშიც შევიტანე განცხადება, დიმიტრი ლორთქიფანიძემ გიორგი ცაგარეიშვილთან გამგზავნა. ახლა პასუხს ველოდები... აქ წვიმიან ამინდში რომ მოსულიყავით, ამ სახლში წყლის გუბეები დაგხვდებოდათ...

— **საოჯახო საქმეებს ცალი ფეხით, ყავარჯნებზე დაყრდნობილი, როგორ აკეთებთ?**

— ყველაზე მეტად სარეცხის გარეცხვაზე ვწვალობ, განსაკუთრებით — ზამთარში. გარეთ ეზოში ვრეცხავ და თითები ისე მეყინება, ტკივილს ველარ ვუძლებ. სარეცხი მანქანის ყიდვაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. დენის გადასახადი 2.000 ლარზე მეტი დაგვიგროვდა. ალბათ, მალე ჩაგვიჭრიან, გაზი უკვე ჩაგვიჭრეს. ზამთარში ნესტისგან კედლები სველდება. გაზქურა და მაცივარი არ გვაქვს, აბაზანა ჩამონგრევაზეა.

— **ინვალიდობის პენსიას არ იღებთ?**

— 80 ლარი მაქვს, მაგრამ ბანკიდან სესხი მქონდა გამოტანილი და ამ 80 ლარით მაფარვინებენ.

— **სესხი რისთვის გამოიტანეთ?**

— შარშან ზამთარში დამპირდნენ, რომ შეშას მოგვცემდნენ. მაშინ სიღარიბის პროგრამით ვსარგებლობდით და გვეკუთვნოდა, მაგრამ პირობა არ შეასრულეს. სიცივისგან რომ არ გავყინულიყავით, ბანკიდან სესხი გამოვიტანეთ და შეშა ვიყიდეთ. ახლა იმ სესხს მაფარინებენ. ზამთარში რა გველოდება, არ ვიცი. შეშის ყიდვის საშუალება ნამდვილად აღარ გვაქვს. ზამთრის ძალიან მეშინია.

— **თქვენი ოჯახის მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?**

— არ მინდა ფარ-ხმალი დავყარო, ოპტიმისტი კი ვარ, მაგრამ ძალა აღარ შემწევს. რომ მითხრეს, სარკომა გაქვს და 2 თვეზე მეტხანს ვერ იცოცხლებო, მაშინაც არ შემშინებია; ვიცოდი, მჯეროდა, არაფერი დამემართებოდა. მომავლის იმედი რომ არ მქონოდა, ინვალიდი ქალი 2 შვილს არ გავაჩენდი? გაბრიელი 2 წლის არის და ისევ ბუნებრივ კვებაზე მყავს... ეს, ამ ეტაპზე, ჩვენთვის სერიოზული შეღავათია. მაღაზიიდან პური ნისიად მომაქვს, ვალი იქაც დაგვიგროვდა და მფლობელი გადახდას გვთხოვს. ცოტა ხანში, ალბათ, ბავშვებს პურიც აღარ ექნებათ.

*ლუკა ნოემბერში 5 წლის გახდება. მანქანაზე ოცნებობს, მაგრამ სულ ეს არ არის. კიდევ ერთი სანუკვარი ოცნება აქვს, უნდა ლამაზი სახლი ჰქონდეს. კითხვაზე — ლამაზი სახლი როგორია? — ლუკას სევდიანი თვალები უბრწყინდება და ღიმილით მპასუხობს (და ალბათ წარმოიდგენს), — სადაც წყალი არ ჩამოდისო. კიდევ ის იცის, დიდი რომ გაიზრდება, დედიკოს სარეცხი მანქანა უნდა უყიდოს...*

*უფროსი თეონა კი ამბობს: სამუშაო რომ მქონდეს, მეც ვიმუშავებდი, ოჯახს დავეხმარებოდი; კულინარია მაინტერესებს, სიამოვნებით შევისწავლი და დავსაქმდებიო.*

*მათ მხოლოდ კეთილი ადამიანების დახმარების იმედი აქვთ. ალბათ ხვალ თეა ყავარჯნებით გაუდგება გზას მაღაზიისაკენ; ითხოვს, შვილებისთვის პური დღესაც ნისიად გაატანონ. ზეგ რა იქნება, არავინ იცის.*

*P.S. შეგიძლიათ, დაეხმაროთ თოფჩიშვილების ოჯახს. „ლიბერთი ბანკში" მათი ანგარიშის ნომერია — 1164061940 მიმღები ბანკის შრიფტ კოდი — LBRTGE22 ანგარიშის მფლობელი — თეა ყანდაშვილი.*

■


**მომავლის იმედი რომ არ მქონოდა, ინვალიდი ქალი 2 შვილს არ გავაჩენდი?**

# თინეიჯერების სულის სიმტკიცე

## „აუცილებლად, ცნობილი ექიმი გავხდები და დაიკოს ფეხზე დავაყენებ“

**ბევრ მოზარდს აქვს ჯანმრთელობის პრობლემა, ბევრი კი გარეგნული ნაკლის გამო თავს დაჩაგრულად მიიჩნევს და სახლიდან გასვლაზეც კი უარს ამბობს, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც სულის სიმტკიცით გამოირჩევიან და ცდილობენ, ცხოვრებას არ ჩამორჩნენ, მომავალს იმედის თვალით უყურებენ. სწორედ ასეთი ადამიანი გახლავთ ჩემი რესპონდენტი, რომელსაც მართალია, ფეხზე დგომა არ შეუძლია, მაგრამ ინტერნეტის წყალობით უამრავ ადამიანს იცნობს და უნივერსიტეტში, სამედიცინო ფაკულტეტზე ჩაბარებასაც აპირებს.**

*ლიკა ქაჯაია*

### „ზოგიერთივით ცხოვრებაზე ხელი არ ჩამიქნევია“

**ნიტა,** *16 წლის:*

— 9 წლის ვიყავი, როცა მანქანა დამეჯახა და ორივე ფეხი დამიზიანა. თავიდან ექიმები ჩემს მშობლებს აიმედებდნენ: — ფეხების შენარჩუნებას შევძლებთო, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა. ახლა პროთეზი მაქვს. დამოუკიდებლად გადაადგილება არ შემიძლია, მაგრამ მშობლების დახმარებით, ეზოში სასეირნოდაც ჩავდივარ და ზაფხულობით ქალაქგარეთაც მივდივარ. ყავარჯნებს კარგად ვხმარობ და მგონია, რომ სულ მალე დამოუკიდებლადაც გავივლი. არ მინდა, მთელი ცხოვრება ზომბივით ვიყო და ახლობლებს ჩემი მოვლა-პატრონობით სიცოცხლე გავუმწარო...

— **ასე რატომ ამბობ?**

— იმიტომ, რომ ზუსტად ვიცი, ეს რამხელა ტანჯვაა. ხშირად ვჩათაობ ინტერნეტში. ხალხმა არ იცის, ფეხები რომ არ მაქვს და ამიტომაც, ამ თემაზე ჩემთან ლაპარაკს არ ერიდებიან. ჰოდა, როცა ისეთ ადამიანებს ველაპარაკები, რომლებიც ჩემნაირებს უვლიან, გამუდმებით წუწუნებენ. შეუძლებელია მშობელს შვილი არ უყვარდეს, მაგრამ ისინიც კი წუწუნებენ და ამბობენ, — ნეტავ, საერთოდ არ გამჩენოდაო.

— **არა მგონია, ნორმალურმა მშობელმა ასეთი რამ თქვას...**

— იცი, რა, ზოგი სულიერად ძლიერი სულაც არაა და მათ ცხოვრებისეული განსაცდელი ისე აძაბუნებს, ასეთი რამის თქმა შვილზეც კი შეუძლიათ...

— **კარგია, რომ ცდილობ, ცხოვრება გაილამაზო. ისიც კარგია, რომ ხალხს თუნდაც ინტერნეტით ეკონტაქტები.**

— ეს პირველ რიგში, მე მჭირდება. სხვათა შორის, ჩემთან პედაგოგებიც მოდიან, რომლებიც გაკვეთილს სხვადასხვა საგანში მიტარებენ. ვაპირებ, რაიმე პროფესიას დავეუფლო. ხომ შეიძლება, რაღაც სასარგებლო შინ მყოფმაც გავაკეთო და ოჯახის წევრებს მატერიალურად მაინც გავუმართო ხელი. იმედს არ ვკარგავ, რომ მიზანს მივაღწევ და ცხოვრებაში საკუთარ ადგილს დავიმკვიდრებ. მერწმუნე, ბევრ ისეთ ადამიანს ჩამოვიტოვებ უკან, ვისაც ორი ფეხი, ორი ხელი აქვს, არც მხედველობას უჩივის და არც ყურთასმენა აკლია. მთავარი ისაა, რომ მიზანი მაქვს და მისკენ მივილტვი, ზოგიერთივით ცხოვრებაზე ხელი არ ჩამიქნევია და არც ზარმაცი ვარ. მერწმუნე, დროს უქმად არ ვკარგავ, ყოველ წუთას იმას ვცდილობ, რაიმე ვისწავლო. მოკლედ, ცხოვრება ძალიან მიყვარს და არ მესმის იმ ადამიანების, რომლებსაც ჯანმრთელობის მხრივ პრობლემა არა აქვთ, მაგრამ მაინც წუწუნებენ. ხალხო, ხელს და ტვინს თუ გაანძრევთ, აუცილებლად გეშველებათ. მომბაძეთ და შეეცადეთ, ვიდრე ამქვეყნად ხართ, უქმად წუთიც არ დაკარგოთ; დატკბით იმით, რაც უფალმა გიბოძათ.



**არ მინდა, მთელი ცხოვრება ზომბივით ვიყო და ახლობლებს ჩემი მოვლა-პატრონობით სიცოცხლე გავუმწარო...**

### „ამ ავადმყოფობის დასამარცხებლად რაიმე გზას ვიპოვი“

**ნიკა,** *15 წლის:*

— ზოგჯერ სახლიდან გასვლა არ მინდა და იცით, რატომ? ჩემი პატარა დაიკოსი მერიდება, რომელიც იძულებულია, შინ იჯდეს. მას ცერებრალური დამბლა აქვს და მოძრაობა უჭირს. რომ არა ეს ავადმყოფობა, ულამაზესი დაიკო მეყოლებოდა. ისეთი თვალები აქვს... მერწმუნეთ, ძალიან ჭკვიანია, ბევრი ლექსი იცის და კითხვაც ვასწავლე (სამწუხაროდ, ხელები არ ემორჩილება, თორემ წერასაც ისწავლიდა). გული მწყდება, ექიმებმა ვერაფერი რომ ვერ უშველეს. ახლა მხოლოდ ერთი მიზანი მაქვს: მსურს ექიმი გავხდე და ჩემს დაიკოს თავადვე ვუშველო.

— **სახლიდან გასვლა მხოლოდ იმ მიზეზით არ გინდა, რომ დაიკოს მარტო დატოვება არ გსურს?**

— მერწმუნე, ასეა. სკოლაში რომ მივდივარ, კიდევ არაფერი, მაგრამ ეზოში სათამაშოდ რომ ჩავდივარ, ნეტავ განახათ, ფანჯრიდან როგორი თვალებით მიყურებს; თითქოს მეხვეწება, — დროზე ამოდი, მომენატრეო, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ამბობს, არასდროს მსაყვედურობს. ესმის ჩემიც — ბიჭი ვარ და გართობა მინდა. ჰოდა, რადგანაც ასეთი საყვარელია, მის გამო შეუძლებელს შევძლებ. იმედია, უფალი დამეხმარება და ამ ავადმყოფობის დასამარცხებლად რაიმე გზას ვიპოვი... აუცილებლად, ცნობილი ექიმი გავხდები და დაიკოს ფეხზე დავაყენებ!

**„ნამდვილი საშინელება ვარ“**

**ლილუ,** *17 წლის:*

— პატარა ვიყავი, როცა სახეზე ადუღებული ზეთი გადამესხა და მას შემდეგ ნამდვილი საშინელება ვარ. ბიჭებს ჩემი დანახვისას საშინელი რეაქცია აქვთ, რაც გულს მიკლავს. სკოლაშიც არ დავდივარ იმის გამო, რომ პატარები ჩემს ტკივილს ვერ აღიქვამენ და დამცინიან.

— **სახის კანის აღდგენა ვერ მოხერხდა?**

— თავის დროზე მშობლებს უთხრეს: ნუ გეშინიათ, ყველაფერი დროთა განმავლობაში, თავისთავად მოგვარდება. ჯერ პატარაა და კანი შეეცვლებაო, მაგრამ ჩემს გასაჭირს არა და არ ეშველა. ახლა ექიმები ხელებს ასავსავებენ, ვერაფრით დაგეხმარებითო... ახლახან გადავწყვიტე, ცხოვრება თავიდან დავიწყო. შინ ბევრს ვმეცადინეობ, რეპეტიტორებთანაც დავდივარ და ვაპირებ, სამედიცინოზე ჩავაბარო. სხვა თუ ვერ მიშველის, იმედია, მომავალში საკუთარ თავს თავადვე „ვუმკურნალებ“.

— **ცხოვრების შეცვლა რამ გადაგაწყვეტინა?**

— შეყვარებული ვარ (*იცინის*). გიო გოგოხია მთელ ქვეყანას მირჩევნია და მის გამო მზად ვარ, ნებისმიერი ბარიერი გადავლახო. დარწმუნებული ვარ, მალე ოცნებას ავიხდენ, სილამაზეს დავიბრუნებ და „ლოვეს“ გულსაც მოვიგებ... სხვათა შორის, რამდენიმე დღის წინ ნათლიაჩემმა დამაფინანსა და მალე საზღვარგარეთ მივდივარ. დიდი იმედი მაქვს, რომ უცხოელი ექიმები ჩემს გალამაზებას შეძლებენ.

— **წარმატებებს გისურვებ!**

— გმადლობთ, ეს ნამდვილად მჭირდება. გერმანიიდან რომ ჩამოვალ, აუცილებლად დაგიკავშირდებით და ჩემს სიხარულს (იმედია, გამარჯვებული დავბრუნდები) გაგიზიარებთ, მერე კი ქორწილშიც დაგპატიჟებთ... ■

# რისთვის უნდა იყოს ქალი მზად

FAIR LADY:

„1. თქვენი ქმარი ყოველთვის ახალგაზრდა და სიმპათიური ვერ იქნება:

გარეგნულ სილამაზეს გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. არ გქონდეთ იმის ილუზია, რომ თქვენი ქმარი მუდამ ფორმაში იქნება. უპირატესობა მიანიჭეთ მის შინაგან ბუნებას და მომავალში იმედი აღარ გაგიცრუვდებათ.

2. მის შესახებ ბევრ რამეს შეიტყობ:

ქორწინებამდე მამაკაცი საკუთარი თვისებებისა და ხასიათის 20-30%-ს მაინც არ გიჩვენებთ. ქორწინების შემდეგ მეუღლეს უკეთესად გაიცნობთ და აღმოაჩენთ იმას, რასაც აქამდე ვერ ამჩნევდით. ზოგჯერ შეიძლება, იმედი გაგიცრუვდეთ ან უფრო შეგიყვარდეთ, მაგრამ ფაქტია, ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ყველაზე კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ ადამიანი გაიცნო.

3. თქვენი დაკარგვის შიში უნელდება:

ქორწინებამდე კაცი ცდილობს, ხელიდან არ გაგიშვათ, ყურადღების ცენტრში ჰყავდეთ, საჩუქრები და ყვავილები არ მოგაკლოთ, რათა მისი მიტოვების სურვილი არ გაგიჩნდეთ. ქორწინების შემდეგ განშორების შიში ბოლომდე არ ქრება, მაგრამ საგრძნობლად ნელდება და ხშირად, ესაა მიზეზი იმისა, რომ ის აღარ განებივრებთ იმით, რითაც ადრე განებივრებდათ.

4. რომანტიკულობის ნაკლებობა:

ქორწინების შემდეგ გეჩვენებათ, რომ ძველებურად რომანტიკული აღარ არის. ეს შეიძლება იმის ბრალიც იყოს, რომ ცოლქმრული თანაცხოვრება არც ისე იოლია. თავისუფალი დროის ნაკლებობა თქვენს ურთიერთობაში უარყოფით კვალს ტოვებს.

5. ყურადღების ნაკლებობა:

არ ვგულისხმობ იმას, რომ მას ისე აღარ ეყვარებით, როგორც ადრე, მაგრამ ცოლ-ქმრის ურთიერთობაში ხშირად შეიმჩნევა ყურადღების ნაკლებობა, რაც ურთიერთობის გაუბრალოებას და ერთმანეთის მიმართ მათ გაუცხოებასაც კი იწვევს.

6. მას შეიძლება სხვა ქალის მიმართ გაუჩნდეს გრძნობა:

სიტყვას — „შეიძლება“, სპეციალურად ვუსვამ ხაზს, რადგან არ მინდა ვთქვა, რომ ეს აუცილებლად ასე იქნება! თუმცა არის შემთხვევები, როდესაც მართლაც, ქმარს სხვისკენ არ გაურბის თვალი.

7. დაბადების დღე ან სხვა ღირსშესანიშნავი დღეები შეიძლება დაავიწყდეს: შესაძლოა სასაცილოც კი არის, მაგრამ სოციოლოგიური გამოკითხვები ადასტურებს, რომ ეს ყველაზე გავრცელებული პრობლემაა.

8. ბავშვების მოვლა და ოჯახზე ზრუნვა იოლი არ არის:

უმეტეს შემთხვევაში, ბავშვების მოვლის ტვირთი ქალს აწევება და შეიძლება, მათ გამო ბევრ რამეზე მოგიხდეთ უარის თქმა. მაგალითად: სამსახურზე, მეგობრებთან ერთად სადმე წასვლაზე, გართობაზე და ა.შ. თუმცა შვილის გამო ასეთი მსხვერპლის გაღება ნამდვილად ღირს...

9. უფრო და უფრო მეტად შეუყვარდებით:

წლების განმავლობაში თქვენ შორის უმტკიცესი სიყვარული ჩამოყალიბდება. თქვენ უამრავი რამ გაკავშირებთ: სიხარული, გაჭირვება, განსაცდელი თუ ბედნიერად გატარებული წუთები. მას თქვენზე უკეთესი მეგობარი არ ჰყავს და რაც უფრო დიდხანს იცხოვრებთ ერთად, მით უფრო დაგაფასებთ.



10. თქვენი ცხოვრების ყველაზე დიდი აღმოჩენა:

მისგან ისწავლით იმას, რასაც ვერ გასწავლიან სკოლაში, ინსტიტუტში და სამსახურში“.

HOT-COFFEE:

„ეს ყველაფერი ძალიან საინტერესოა. ქორწინებას როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეებიც აქვს. ეს ცხოვრების ერთ-ერთი ეტაპია, რომელიც უნდა გაიარო და რა თქმა უნდა, ერთგვარი გამოცდაცაა“.

**ლევანჩო-კანადა:**

„ქალს, რომელსაც ჰყავს მოსიყვარულე, თბილი, ერთგული, არაეჭვიანი, ყურადღებიანი, არამწეველი, არამსმელი, მაგარი ხასიათის შეყ-

ვარებული ან საქმრო, ამ ცხოვრებისგან სხვა რაღა უნდა უნდოდეს? ერთი ეგაა, რომ არ მუშაობს...“

YALIN:

„როცა გავთხოვდები, ჩემი ძვირფასი მეუღლე ვერ „გამურთაზდება“ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ „მურთაზ“ ქმარს ვერ ავიტან. თუ ისეთი არ იქნება, როგორიც მინდა, უპრობლემოდ დავანგრევ ოჯახს. უბრალოდ, ქმარი არ მჭირდება, ძალიან კარგი ქმარი მინდა“.

**მანანა12345:**

„ჩემს ამბავს მოგიყვებით: როცა მომავალი მეუღლე გავიცანი, კიევში ვცხოვრობდი. იქ ჩამოსულმა, 4 წელი მდია და ბოლოს, როგორც იქნა, ჩემი გული მოიგო. ცხადია, ცოლად გავყევი და იცით, რა აღმოვაჩინე?

1) სახლში უფრო ალერსიანია, ვიდრე იქ, ჩემს სამშობლოში, შეყვარებულობის პერიოდში იყო;

2) ქართველი კაცები ოჯახის გარეშე დიდხანს ვერ ძლებენ (ვგულისხმობ დედ-მამას, დას და ა.შ.;

3) უფრო კარგი ურთიერთობა გვაქვს, ვიდრე დაქორწინებამდე გვქონდა.

4) მისი დაკარგვის ახლა უფრო მეშინია, ვიდრე ადრე მეშინოდა. მოკლედ, გამიმართლა, რა“.

HIGH HEELS:

„გასაგებია, რომ ადამიანი არჩევანში ცდება ხოლმე, მაგრამ ყველაზე ცუდი ისაა, რომ მას საკუთარი თავისადმი უნდობლობის გრძნობა უჩნდება და ფიქრობს, — იქნებ მე არა ვარ ოჯახისთვის მზად და ვერც ვერასოდეს ვიქნებიო?!. როცა ოჯახს პირველად ქმნი, ამაზე არ ფიქრობ, აი, მეორედ კი ასეთი ნაბიჯის გადადგმა ძალიან რთულია; უფრო მეტიც, თუ ოჯახი მეორედაც დაგენგრევა, მამაკაცებს აღარ მიენდობი!.. განა მე მსიამოვნებს, სახლში მარტო რომ ვარ, მაგრამ მეშინია, რამე კიდევ არ შემეშალოს (ან იმას არ შევეშალოს); არადა, რა სჯობს ტკბილ და მოსიყვარულე ქმართან ერთად ცხოვრებას, ბევრი შვილის ყოლას?!. ასე მგონია, ეს ის ლამაზი ოცნებაა, რომელიც არასდროს ამიხდება“.

BIANCONERA:

„გათხოვება სულ არ მინდა, ოღონდ — არც აქ ჩამოთვლილი და არც სხვა იმ მიზეზების გამო, რომელიც კაცთა „სიცუდეს“ უკავშირდება.

უბრალოდ, ნელ-ნელა ვხვდები, რომ ოჯახის შექმნა ჩემი მოწოდება არაა. მინდა, მთელი ცხოვრება მოგზაურობაში გავატარო და ჩემი საქმე ვაკეთო“.

**მანანა12345:**

„მე გეტყვით, როგორ ვიქცევი:

1) ქმარი მიყვარს და მას ამას ვაგრძნობინებ კიდეც;

2) რაც უნდა დაკავებული ვიყო, შინ დაბრუნებულს ყოველთვის გემრიელად ვანაყრებ. შეიძლება შიგადაშიგ მაღაზიაში ნაყიდი სადილიც მიუტანო, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცის (თუმცა ასეთი რამ მართლაც, იშვიათად ხდება);

3) ყოველთვის ფორმაში ვარ: თავს ვუვლი, ვვარჯიშობ, სალონშიც ხშირად დავდივარ;

4) ვცდილობ, უმაკიაჟოდ არ დავენახვო, თავს დილიდანვე ვიწესრიგებ.

5) სამსახურიდან მოსულს ვკითხები, როგორ გაატარა დღე.

6) ხშირად არ ვურეკავ — ქმრებს ეს არ სიამოვნებთ. თუმცა ხანდახან უნდა გააკონტროლო კიდეც;

7) დაბოლოს, ერთმანეთს ლოგინშიც მშვენივრად ვუგებთ.

ქართველი ქალები სულ წუწუნებენ ქმრებზე, არადა, კაცის მოხიბვლას არაფერი უნდა. მთავარია, სულ ფორმაში იყო და კიდევ, სექსზე უარი არ უნდა უთხრა... მე მაპატიეთ, მაგრამ იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებ, რასაც აქ ვუყურებ (მთლად ქართველი არ ვარ), გეტყვით: ქმრები თუ არ გაფასებენ და პატივს არ გცემენ, ეს მხოლოდ თქვენი ბრალია, გოგონებო“.

HIGH HEELS:

„100%-ით გეთანხმები... ვერ აზროვნებს ეს ხალხი და ეგ ღუპავთ... მაკიაჟი რად უნდათ, როცა უკვე გათხოვილები არიან? ფორმაში ყოფნაზე იმდენად არ ფიქრობენ, რომ წვეულებაზეც ვეღარ იხდენენ გამოპრანჭვას! მოკლედ, ყველა იმას ვიღებთ, რასაც ვიმსახურებთ!“

GADYA:

„აჰა... აი, სამსახურიდან დაღლილი რომ მოვალ, უცებ გავუშლი სუფრას, სადილს მივართმევ, გაზეთსაც ვაჭერინებ... მერე სავარჯიშოდ წავცუნცულდები, შინ დაბრუნებული კი „მუცლის ცეკვას“ ან სტრიპტიზს ვუცეკვებ და დღეს ჯიგრული სექსით დაუგვირგვინებ... ჰო, აბა, თქვენ გათხოვება იოლი ხომ არ გეგონათ?“

**მანანა12345:**

„ჰო, დამავიწყდა, არაბული ცეკვების შემსწავლელ წრეზე სპეციალურად ვიარე და ახლა ქმარს ხშირად ვანებივრებ. კაცებს ჭკუიდან შლის ასეთი რაღაცები“.

GADYA:

„კარგია, მართლა ძალიან კარგია, როცა ადამიანს კარგი ოჯახი აქვს.

უბრალოდ, ბედნიერებაზე ყველას ერთნაირი წარმოდგენა ვერ ექნება“.

**მანანა12345:**

„ბედნიერება ფართო ცნებაა და გეთანხმები, ეს ყველას სხვადასხვანაირად ესმის. ჩემთვის ბედნიერებაა ისიც, როცა საოცრად დაღლილი მეუღლე შინ ბრუნდება, მეხუტება და მეუბნება, — ნეტავ იცოდე, როგორ მომენატრეო. აი, რა არის ნამდვილი ბედნიერება...“ ■

## „ჩემს მშობლებს სურთ, ექიმი გამოვიდე“

**სალომე,** *16 წლის:*

„ჩემი პრობლემა ისაა, რომ მშობლების არ მესმის. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ამოიჩემეს, — ჩვენი შვილი აუცილებლად, ექიმი უნდა გამოვიდესო და ახლა საამისოდ მამზადებენ. პირადად მე, ეს პროფესია საერთოდ არ მაინტერესებს. ყოველთვის მინდოდა, მსახიობი გამოვსულიყავი, რასაც ჩემი მშობლები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. არ ვიცი, რა მეშველება. არ მინდა, მათ დავუპირისპირდე, მაგრამ არც ის მსურს, მომავალში ვიღაცის სხეული ვჩიჩქნო. მაინტერესებს, პროფესიის არჩევისას ასეთი პრობლემის წინაშე ვინმე თუ ყოფილხართ და საკუთარი პრინციპების დასაცავად რა მოიმოქმედეთ? რჩევისთვის წინასწარ გიხდით მადლობას“. ■

## „შეყვარებულის ძმასთან სერიოზული კონფლიქტი მომივიდა“

**ლაშა:**

„ცოტა ხნის წინ შემიყვარდა გოგო, რომლის ძმასთან ერთი წლის წინ სერიოზული კონფლიქტი მომივიდა. არ მინდა, იმ ბიჭთან რაიმე საერთო მქონდეს, მაგრამ ვერც „ლოვეს“ შევეშვები. არადა, მისი ძმის გახსენება ძველ კონფლიქტს მახსენებს და... რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?“ ■

*P.S. მაშ ასე, თუ სალომეს და ლაშას წერილების წაკითხვის შემდეგ მათთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 5.58. 25.60.81. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.* ■



# სამყარო

## „ხშირად მავიწყდება კიდეც, რომ არაბი ვარ...“

**25 წლის შადი ჰადადი იორდანიელი არაბია, დუშეთში ცხოვრობს და ამბობს, რომ როდესაც ქართულს ცეკვავს და ქართულად მღერის, მაშინ სულითა და გულით ქართველია. ზოგჯერ ბედუინად გრძნობს თავს და მაშინ ახსენდება საკუთარი წარმომავლობაც. პროფესიით ქორეოგრაფს უყვარს ცხენები და მოგზაურობა. საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მეგობრებთან ერთად, სოფელ-სოფელ დადის და ცდილობს, დავიწყებული ილეთები და სიუჟეტური ცეკვები მოიძიოს, შემდეგ ქართველ ბავშვებს რომ შეასწავლოს. ახალგაზრდა არაბი დღეს ჩვენი სტუმარია და საკუთარი ცხოვრების შესახებ გვიამბობს.**

*ნინო ჯავახიშვილი*

— ჩემი გვარის ხალხი იორდანიაშიც ცხოვრობს, პალესტინაშიც, ლიბანშიც, სირიაშიც და ყველა ერთმანეთის ნათესავია. არიან კათოლიკე ქრისტიანებიც და მუსლიმანებიც. ჩემი დაბადების მოწმობა რუსულ ენაზეა გაცემული და „ორიგინალში“ გვარი ასე ჟღერს — „ჰადადად“. საქართველოში, დუშეთში დავიბადე და გავიზარდე. ჩემმა მშობლებმა სტუდენტობისას გაიცნეს ერთმანეთი. მამა ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლობდა (მაშინ იაფი იყო აქ განათლების მიღება და უცხოელები ხშირად ჩამოდიოდნენ), დედა — მანონი სინჯარაძე უნივერსიტეტში, გეოლოგია-გეოდეზიის ფაკულტეტის სტუდენტი გახლდათ. ისინი სტუდქალაქში ცხოვრობდნენ და როგორც ვიცი, მაშინ გაიცნეს ერთმანეთი. მამა ასპირანტურაში აპირებდა სწავლის გაგრძელებას, მაგრამ იმ პერიოდში საბჭოთა კავშირი დაიშალა, ყველაფერი აირია და ველარ ჩამოვიდა. მოკლედ, ჩემი მშობლები ერთმანეთს დაშორდნენ და ჩვენ შორის კავშირიც გაწყდა. მამა იორდანიაში დაბრუნდა, მერე კი ავსტრალიაში თავის ერთ-ერთ ძმასთან წავიდა. მამა კათოლიკე ქრისტიანია და ამ რელიგიის მიმდევართათვის შეზღუდული იყო იორდანიაში ცხოვრება — სამსახურს ვგულისხმობ. ახლა სხვა ოჯახი აქვს, ცოლად იორდანიელი ქალი მოიყვანა და ქალ-ვაჟი შეეძინა.

— **მოდი, ამაზე მოგვიანებით ვისაუბროთ. ახლა მითხარი, დედამ რატომ არ მოისურვა მამაშენთან ერთად წასვლა იორდანიაში და რატომ დაშორდნენ ერთმანეთს?**

— სიმართლე გითხრა, არც ვიცი, რა და რატომ მოხდა, მაშინ 5 წლისაც არ ვიყავი. ფაქტია, რომ დაშორდნენ და მე და დედა დუშეთში დავრჩით, ბებიასა და პაპას ოჯახში. იქ გავატარე მთელი ბავშვობა, ბიძებისა და ახლობლების გარემოცვაში.

— **არასდროს გიცდია მამასთან დაკავშირება?**

— როგორ არა. მოვინდომე და მოვძებნე კიდეც, ერთი არაბის დახმარებით, რომელიც აქ სასწავლებლად იყო ჩამოსული. შემპირდა, როდესაც იორდანიაში დაბრუნდებოდა, ჩემებს მოძებნიდა. მართლაც დამეხმარა — ჯერ მამაჩემის ნათესავები დამიკავშირდნენ, შემდეგ კი თვითონაც დამირეკა და თავისთან, სიდნეიში დამპატიჟა. ეს იყო 2008 წელს, 17-წლიანი განშორების შემდეგ...

— **როგორი იყო თქვენი შეხვედრა?**

— ემოციური... მითხრა, რომ აეროპორტში ჩემი ძმა დამხვდებოდა. მასთან ერთად, დიდი სითბოთი და სიყვარულით, მთელი ნათესაობაც დამხვდა. საერთოდ, თბილი ხალხია, ბებიას და ბაბუას ცრემლები მოადგათ თვალებზე, როდესაც უკან, საქართველოში მაცილებდნენ.

— **ქართული ცეკვით სკოლიდანვე დაინტერესდი?**

— დუშეთში ხალხური ცეკვის შემსწავლელ სტუდიაში დავდიოდი, დანიელ ჭონქაძე მასწავლიდა. მერე სხვადასხვა გატაცება მქონდა — ხალხურ საკრავებზე დაკვრა ვისწავლე. ერთხანს სპორტმაც გამიტაცა — ნიჩბოსნობით დავინტერესდი, წლების მანძილზე ვვარჯიშობდი, რაც სხვათა შორის, ცეკვაში დამეხმარა, რადგან ცეკვა დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს. 15 წლის ვიყავი, როდესაც ქორეოგრაფმა, ნუგზარ ჯიქურმა ანსამბლის ჩამოყალიბება გადაწყვიტა. ის „სუხიშვილების“ სოლისტი იყო. ანსამბლს „თერგი“ ერ-



ცეკვა დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვს

ქვა და იქ ძალიან ბევრი რამ ვისწავლე. სწორედ ბატონი ნუგზარის დამსახურებაა, რომ კულტურის უნივერსიტეტში, ქორეოგრაფიულ ფაკულტეტზე, დამდგმელი ქორეოგრაფის სპეციალობით ჩავაბარე. მაშინ ამ სასწავლებელს ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის, ხელოვნებისა და კულტურის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერქვა; შემდეგ კი თეატრალურ უნივერსიტეტს შეუერთდა. იქიდან მოყოლებული ვაკეთებ იმ საქმეს, რაც ძალიან მიყვარს — უკვე წლებია, დუშეთში ბავშვებს ქართულ ცეკვას ვასწავლი.

**— შენი წარმომავლობის გამო არასდროს შეგქმნია პრობლემა?**

— არასდროს. პირიქით, ყველასგან სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობ. როდესაც იგებენ, რომ არაბი ვარ, უკვირთ ხოლმე.

**— რაც შეეხება გოგონებს? თავის დროზე ალბათ დედაშენს მშობლებმა წინააღმდეგობა გაუწიეს, არაბზე რომ თხოვდებოდა.**

— ალბათ დედას რაღაც წინააღმდეგობა მართლაც შეხვდა მშობლების მხრიდან, რადგან მაშინ უცხოელზე, თან — არაბზე გათხოვება ჩვეულებრივი ამბავი არ იყო. არც გოგონებს აქვთ უარყოფითი დამოკიდებულება ჩემი წარმომავლობის მიმართ. პირიქით, ვგრძნობ, რომ უფრო საინტერესო ვარ მათთვის...

**— დაოჯახებას ხომ არ აპირებ?**

— ჯერჯერობით არა. ის კი ვიცი, რომ ჩემი რჩეული ქართველი იქნება: მომწონს ტრადიციული, ქრისტიანული ოჯახები.

**— თვითონ ქრისტიანი თუ ხარ?**

— კი, მართლმადიდებელი ვარ.

**— არაბულად ლაპარაკობ?**

— რომ ვთქვა, ვიცი-მეთქი, მოგატყუებ. მამაჩემის მხრიდან ჩემი ნათესავები ძირითადად ინგლისურად ლაპარაკობენ. მამა რუსულ სექტორზე სწავლობდა და რუსულიც კარგად იცის. აქ ყოფნის დროს ქართულიც ისწავლა, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ აღარ ახსოვს.

**— შენი ქვეყნის ნახვა არ გაინტერესებს? თუ იცი რამე იქაური ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების შესახებ?**

— როდესაც გავიზარდე, გამიჩნდა სურვილი, გამეცნო ჩემები და გამეგო ჩემი წარმომავლობის შესახებ. რა თქმა უნდა, ძალიან მინდა და მაინტერესებს ჩემი ქვეყნის ნახვა. ბიძაშვილებთან ინტერნეტის საშუალებით მაქვს ურთიერთობა. ახლახან ბიძაშვილი გოგონა გათხოვდა. ნიშნობის ცერემონია ისეთი მასშტაბური იყო, როდესაც სურათები დავათვალიერე, ვიფიქრე, ქორწილი უკვე იყო და არ დამპატიჟესმეთქი. ერთი წლის მანძილზე ქორწილისთვის ემზადებიან, ოღონდ ცალცალკე ცხოვრობენ. როდესაც სტუმრად მიდიხარ, აუცილებლად უნდა შეჭამო ყველაფერი დააგემოვნო — წინააღმდეგ შემთხვევაში მიიჩნევენ, რომ არ მოგეწონა. გარდა ამისა, დაგათვალიერებინებენ მთელ სახლს, თითოეულ ოთახს, რომ იცოდე, სად რა არის, თავი შინაურად რომ იგრძნო. ძალიან მინდა იქ ჩასვლა და იქაურობის მონახულება. წელს ვფიქრობდი, მაგრამ ისე მოხდა, რომ თურქეთში წავედი და კვლავ გადაიდო. ერთი კვირაა, რაც ჩამოვედი.

**— თურქეთში რას აკეთებდი?**

— ჯგუფი იყო წასული, ანიმატორად ვიმუშავეთ სხვადასხვა სასტუმროში. თავისუფალი დრო მქონდა და მუშაობა გადავწყვიტე. ახლა სხვა გეგმები მაქვს. ერთ-ერთ ანსამბლში მივედი. არ ვიცი, რეპეტიციების გარდა რამდენი დრო დამრჩება; სწავლის გაგრძელებაც მინდა და გარდა ამისა, კვლავ ვაპირებ მოსწავლეების აყვანასა და ვარჯიშს.

**— რას ნიშნავს შენთვის ქართული ცეკვა და ქართული ჩოხა?**

— ქართული ცეკვა ბევრ რამეს გასწავლის — ვგულისხმობ ურთიერთობებს, ქალისადმი დამოკიდებულებას, ვაჟკაცობას... ვერ წარმომიდგენია, ვიცხოვრო ცეკვის გარეშე, ის ჩემთვის ყველაფერია. ოდესმე პროფესიაც რომ შევიცვალო, ცეკვა ჩემი ცხოვრების განუყოფელ ნაწილად დარჩება. ისეთი საქმეა, რომ თუ არ გიყვარს, ვერ ემსახურები. თუ არ გიყვარს, ძნელია, მხოლოდ ხელფასის გამო იცეკვო და სხვასაც ასწავლო. ქართული ჩოხა ბევრ რამეს გავალებს. შეუძლებელია, ცუდად მოიქცე, როდესაც ჩოხა გაცვია. ჯგუფელები ჩოხოსნები იყვნენ და მეც მქონდა სურვილი, გავწევრებულიყავი, მაგრამ დატვირთული რეჟიმის გამო ვერ მოვახერხე. სულითა და გულით ქართველი ვარ და ქართულად ვცხოვრობ. იმდენ რამეს ვაკეთებ ქართულს, რასაც ბევრი ქართველი არ აკეთებს და ეს ძალიან მახარებს.

**— ალბათ იმას გულისხმობ, რომ სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობ და ძველ ილეთებს მოიძიებ, დავიწყებას რომ არ მიეცეს...**

— ვცეკვავ, ვმღერი, ხალხურ საკრავებზე ვუკრავ — ფანდურზე, დუდუკზე; ჩემით ვისწავლე. მიყვარს პოეზია. განსაკუთრებით — ვაჟა. ჩემი უსაყვარლესი მწერალია...

**— როგორც ქორეოგრაფს, მინდა გკითხო აზრი ქართული ცეკვის გათანამედროვების შესახებაც...**

— მიმაჩნია, რომ ეს საჭიროა, თუმცა ძველ თაობას არ მოსწონს. ფოლკლორი დარჩა ხელუხლებელი, ახალი კი კეთდება გასტროლებისთვის, უცხოელი მაყურებლისთვის. უცხოელს ის

ქართული ჩოხა ბევრ რამეს გავალებს. შეუძლებელია, ცუდად მოიქცე, როდესაც ჩოხა გაცვია



უფრო მოსწონს, რაც უფრო მაღლა ახტები, რაც უფრო მეტ ტრიალს გააკეთებ ჰაერში, რაც უფრო ეფექტური იქნება შოუ. სხვათა შორის, ძალიან კარგი და ნიჭიერი თაობა მოდის, თუმცა ერთი პრობლემა ის არის, რომ ნაკლები ყურადღება ექცევა ხასიათსა და სახასიათო ცეკვებს, რის გამოც შეიძლება ხასიათი დაიკარგოს.

**— არასდროს გიცდია, რომელიმე ცნობილ ანსამბლში გეცეკვა?**

— რა თქმა უნდა, სახელმწიფო ანსამბლში ცეკვის სურვილი ყველა მოცეკვავეს აქვს და ბევრმა ჩვენგანმა ეს მოახერხა კიდეც. ბევრი რამის გამო მე ეს ვერ შევძელი, უფრო კი — მატერიალური პრობლემების გამო. მოცეკვავეს დიდი ხელშეწყობა სჭირდება...

**— შენ კი, მიუხედავად იმისა, რომ შეგიძლია წახვიდე მამასთან და უფრო უზრუნველად იცხოვრო, მაინც არ გინდა საქართველოდან წასვლა. რატომ?**

— მამამ შემომთავაზა, მაგრამ როდესაც იქ რამდენიმე თვით წავედი, გაძლება გამიჭირდა — აქ მყავს ოჯახი, სამეგობრო, ყველა ახლობელი ადამიანი და სხვაგან ვერ წარმომიდგენია ცხოვრება. იმდენად უცხო და მიუღებელი იყო ჩემთვის ის გარემო, რომ მივხვდი, საქართველოს გარდა ვერსად ვიცხოვრებ. მამამ იქ ცხოვრება კარგადააწყო, სახელმწიფო დაცვის სამსახურში მუშაობს და არც ჩემთვის გაუჭირდება სამსახურის შოვნა, მაგრამ მე არა მაქვს ამის სურვილი — ჯობს, აქ ავაწყო კარგად ჩემი საყვარელი საქმე. იმდენად ჩემია აქაურობა, რომ ხშირად მავიწყდება კიდეც, არაბი რომ ვარ და გვარად — ჰადადი... ■

ანტიდეპრესანტი

# გზაში საკითხავი კოლაჟი

შემდგენელი თემურ ივანიძე

1. შპაკლს ქართულად ფითხი ჰქვია.

2. იუდეველთა კალენდრის მიხედვით, ამჟამად 5772 წელია.

3. ჰანსვურსტი გერმანული თოჯინების თეატრის ტაკიმასხარა პერსონაჟია.

4. დებ იშხნელებს სახელად მარიამი, ზინაიდა, ნინო და თამარი ერქვათ.

5. „ბეზპლატნი ტრუდ პრევრატილ ჩელავეკა ვ აბიზიანუ", — ამბობენ რუსები.

6. დედამიწის მიზიდულობის გადასალახავად შატლს 15 მილიონი ცხენის ძალა სჭირდება.

7. კარიკატურა იტალიური სიტყვაა და სიტყვასიტყვით გადაჭარბებას, გაზვიადებას ნიშნავს.

8. სიგრძის საზომი ერთეულის — მეტრის ეტალონად პარიზზე გამავალი მერიდიანის ორმოცი მემილიონედი იქნა აღებული.

9. „გენიასა და ხელოვნებას ღუპავენ ნიმუშები და წესები", — ამბობდა ინგლისელი მწერალი და კრიტიკოსი, უილიამ ჰეზელი.

10. სტოუნჰენჯი 14 ათასი წლისაა. იგი 127 უზარმაზარი ბლოკისგან შედგება; თითოეული მათგანი კი 5-დან 50 ტონამდე იწონის.

11. ვარნა — ასეთი იყო ძველ ინდოეთში არსებული ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფის — ბრაჰმანების, ქშატრიების, ვაიშიების და შუდრების საერთო სახელწოდება.

12. ჩალმა თავზე მოხვეული ქსოვილის ნაჭერია, რომელსაც ჩვეულებრივ, ქუდის ან არახჩინის ზემოდან ატარებდნენ. გზაში გარდაცვლილ მუსლიმანს იგი სუდარად ემსახურებოდა.

13. ისააკ ნიუტონი 55 წლის მანძილზე ცდილობდა გამოეთვალა ქრისტეს მეორედ მოსვლის დრო და ბოლოს, ფარატინა ქაღალდის ბოლოში მიაწერა მეორედ მოსვლის თარიღი — 2060 წელი.



14. აფრიკაში ქვეითი ჯარისკაცების გა-

# „ფოლკსვაგენი" ამერიკულ რბოლებში იასპარეზებს

გერმანული კონცერნი „ფოლკსვაგენი" ამერიკულ რბოლებში მონაწილეობას გეგმავს. ამ მომენტისთვის ავტოსპორტის განყოფილების ხელმძღვანელი, ვოლფგანგ დიურჰაიმერი აშშ-ის სარბოლო ბაზარზე შეღწევის სხვადასხვა გზას განიხილავს. ყველაზე სავარაუდოა გერმანული კომპანიის დებიუტი INDYCAR-ში. „შეერთებულ შტატებში ბევრი საინტერესო ჩემპიონატი ტარდება, — დასძენს დიურჰაიმერი, — ვიმედოვნებ, რომ „ფოლკსვაგენის" დირექტორთა საბჭოს სარბოლო სერიაში მონაწილეობისთვის სასურველი ბრენდის არჩევაში დავარწმუნებ". შესაძლო ჩემპიონატების რიცხვში დიურჰაიმერმა გამძლეობაზე ორიენტირებული რბოლა ALMS, სპორტავტოების შეჯიბრება, რომელიც Grand-Am-ის ეგიდით ტარდება, ასევე INDYCAR დაასახელა, რომელიც „თავშესაქცევად" მოიხსენია. ამასთან, VW-ის წარმომადგენელმა უარყო NASCAR-ში მარკის ჩართვა ძვირადღირებულობის გამო. დიურჰაიმერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ ამჟამად ამერიკულ რბოლებში კომპანიის მონაწილეობის საკითხს კი არა, კონკრეტული შეჯიბრების ამორჩევის თემას განიხილავენ. INDYCAR-ში დებიუტის შემთხვევაში გერმანული კომპანია „ჰონდას", „შევროლეტისა" და „ლოტუსის" კონკურენტად იქცევა. 2011 წლამდე „ფოლკსვაგენის" ავტოსპორ-



ტული მიმართულების ძირითადი სამიზნე რალი-რეიდებში მონაწილეობა იყო, თუმცა გასულ გაზაფხულზე კომპანიამ მარათონები დატოვა და კლასიკურ რალიზე გააკეთა აქცენტი. VW-ის ქარხნის კოლექტივის სრულფასოვანი დებიუტი WRC-ზე 2013 წლისთვისაა დაგეგმილი. ■

# „ფიატი" ახალ ძრავას გამოუშვებს

კონცერნმა „ფიატმა" ახალი, 4-ცილინდრიანი, 1.8-ლიტრიანი, 300 ცხძ-იანი ძრავას წარმოებაში ჩაშვება გადაწყვიტა. ასეთი მოტორის დაყენებას „ალფა რომეოს" მარკის ავტომობილებზე გეგმავენ. ჯერ კიდევ 2006 წლის ნოემბერში ანონსირებული, სრულიად ახალი ალუმინის აგრეგატი საწვავის უშუალო შესხურების სისტემით იქნება აღჭურვილი და „ევრო-6"-ის ეკოლოგიურ მოთხოვნებს დააკმაყოფილებს. პირველად ეს აგრეგატი კუპე Alfa Romeo 4C-ზე დამონტაჟდება, რომლის გამოშვებასაც 2013 წლის შუა პერიოდში დაიწყებენ, შემდეგ კი მისი დებიუტი საშუალო ზომის სედან Giulia-ზე შედგება. ადრე გავრცელებული ცნობით, სამი წლის შემდეგ Giulia 159-ის ოჯახს შეცვლის. ჩრდილო ამერიკისა და ევროპის ბაზრებისთვის ამ მანქანის აწყობას აშშ-ში



გეგმავენ. ალუმინის „ოთხიანის" გამოშვებას „ფიატის" იტალიურ ქარხანაში 2013 წლიდან დაიწყებენ, რომელიც ქალაქ პრალოტა-სერაში მდებარეობს. ამჟამად ამ წარმოებაში უკვე აწყობენ ბენზინისა და დიზელის ძრავებს, მათ შორის — ჰეჩბეკ Alfa Romeo Giulietta-სთვის განკუთვნილ 235 ცხძ-იან ბენზინის ტურბოაგრეგატს. ■

# Subaru XV

კომპანია „სუბარუმ“ ფრანკფურტში სერიული კროსოვერი XV ჩაიყვანა, რომლის პროტოტიპიც მიმდინარე წლის აპრილში შანხაის საავტომობილო



გამოფენაზე წარადგინეს. სიახლე ჰეჩბეკ „იმპრეზას“ არასაგზაო ვერსიას წარმოადგენს. კროსოვერ Subaru XV-ის გაბარიტული სიგრძე 4450 მმ-ია, სიგანე — 1780 მმ, ხოლო სიმაღლე — 1570 მმ. ევროპულ ბაზარზე სიახლე სამი ოპოზიტური მოტორით იქნება წარდგენილი: 1.6 და 2.0-ლიტრიანი, ორი ბენზინის აგრეგატით, ასევე 2-ლიტრიანი ტურბოდიზელით. პირველი მათგანს სიჩქარის გადაცემათა 5-საფეხურიანი „მექანიკით“ ან ვარიატორით მუშაობისას, 114 ცხძ-ის სიმძლავრის განვითარება შეუძლია. „მექანიკით“ ასეთი Subaru XV 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს 13,1 წამში განავითარებს. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე 179 კმ/სთ იქნება, ხოლო შერეულ ციკლში საწვავის ხარჯი — 6,5 ლ 100 კმ-ზე. 150 ცხძ-იანი, 2-ლიტრიანი მოტორისა და 6-საფეხურიანი „მექანიკის“ მქონე (ასევე ხელმისაწვდომია ვარიატორით) მოდიფიკაცია 0-დან 100 კმ/სთ სიჩქარეს 10,5 წამში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე 198 კმ/სთ-ია, ხოლო შერეულ ციკლში საწვავის ხარჯი — 6,9 ლ 100 კმ-ზე. 2-ლიტრიანი დიზელის სიმძლავრე 147 ცხძ-ს შეადგენს. ასეთი მოტორი მხოლოდ სიჩქარის გადაცემათა 6-საფეხურიანი „მექანიკით“ იქნება აგრეგატირებული. მისი მაქსიმალური სიჩქარე 198 კმ/სთ-ია, ხოლო 100 კმ-ზე საწვავის საშუალო ხარჯი — 5,6 ლ. ყველა მოდიფიკაცია სრული აძრისა და „სტარტ-სტოპის“ სისტემებით აღიჭურვება. ■

# Lada Granta

Lada Granta-ს ახალი სედანი დილერთა სალონებში 2011 წლის 1-ელი დეკემბრიდან გამოჩნდება. სექტემბრის დასაწყისში მისმა მწარმოებელმა წინასწარი შეკვეთების მიღება დაიწყო. ამჟამად იგი 5 ფერის ძარათი და 1,6-ლიტრიანი მოტორის 2 ვარიანტითაა ხელმისაწვდომი. პირველი, 80 ცხძ-იანი ძრავა მხოლოდ „ნორმის“ კომპლექტაციის მანქანებზე გამოიყენება, მეორე — 90 ცხძ-იანი — „სტანდარტის“ ვერსიაზე. ამ მოდიფიკაციების (მხოლოდ სიჩქარის გადაცემათა მექანიკური კოლოფებით) ღირებულება შესაბამისად 229 და 256 რუსული რუბლია. ადრე გავრცელებული ცნობით, 2012 წლის შუა პერიოდში „ავტოვაზში“ სედან Granta-ს უკვე იაპონური კომპანია Jatco-ს მიერ დამზადებული სიჩქარის გადაცემათა ავტომატური კოლოფითაც გამოუშვებენ. წინასწარი ინფორმაციით, ასეთი მანქანების ღირებულება 300 ათასი რუსული რუბლი იქნება. გარდა ამისა, 2013 წლიდან „გრანტა“ ჰეჩბეკის ძარათიც ხელმისაწვდომი გახდება. ■





**ანტიდეპრესანტი**

# გზაში საკითხავი კოლაჟი

*შემდგენელი თემურ ივანიძე*

სანადგურებლად განკუთვნილ ნაღმებს გამნაღმველები გაწვრთნილი ვირთხების დახმარებით ეძებენ. სამოქალაქო ომებისა და გაუთავებელი დაპირისპირებების შედეგად, აფრიკული ქვეყნების ტერიტორიებზე დღევანდელ დღეს 40 მილიონამდე ნაღმი საჭიროებს აღმოჩენასა და გაუვნებლებას.

15. „ნურასოდეს დადგებით იქ, სადაც შეიძლება დაჯდომა და ნურასოდეს დაჯდებით იქ, სადაც შეიძლება დაწოლა“, — ასეთი გახლდათ ჰენრი ფორდის ჯანმრთელობის ფორმულა, რომლის ავტორმაც თითქმის ასი წელი იცოცხლა.

16. „ჩაგუნა“ მეგრული სახუმარო სიმღერაა ცეკვით, რომელსაც ქალ-ვაჟს შორის გაშაირების ხასიათი აქვს. თვით ჩაგუნა გუდამოკიდებული, ხამ ტანსაცმელში გამოწყობილი ჩანჩურა, ზარმაცი კაცია, რომელიც მოშაირეთა გაკენწვლის ობიექტს წარმოადგენს.

17. სესილია თაყაიშვილმა გინება იცოდა შინაურებში. ეს იმდენად ბუნებრივად გამოსდიოდა, რომ ყურში ცუდად არავის ხვდებოდა. „რატომ არის, რომ ზოგიერთს ბილწსიტყვაობა ეპატიება და ლამაზიც კი არის, ზოგიერთისგან კი სიტყვაკაზმულობაც ბილწსიტყვაობად გეჩვენება?“ — იგონებდა რეჟისორი და მსახიობი, რეზო ესაძე.

18. ერთხელ რამაზ ჩხიკვაძეს საკუთარი სახლის წინ



ყინულზე ფეხი დაუცურდა და ფეხი მოიტეხა. რობიკო სტურუა იძულებული გახდა, სპექტაკლი „ყვარყვარე“ შეეჩერებინა და „კავკასიურ ცარცის წრეში“ მთავარი როლი ეროსი მანჯგალაძისთვის მიეცა. პრობლემა შეიქმნა აზდაკის სიმღერასთან დაკავშირებით, რომელიც რეჟისორს იმდენად რამაზისეულად მიაჩნდა, რომ გია ყანჩელს სპეციალურად ეროსისთვის სხვა სიმღერის დაწერა მოუხდა.

# „მაღალი დონის აფერისტებთან ურთიერთობა საინტერესოა“

**ინტელექტუალური თამაშები უყვარს, მაგრამ თავად არასდროს უთამაშია. 11 წლიდან წიგნების აქტიური მკითხველია. ქართველი ავტორებიდან გამორჩეულად ვაჟა-ფშაველას, ჭაბუა ამირეჯიბისა და გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება იზიდავს. ბოლოს გოგოლის „მკვდარი სულები“ და არა მხოლოდ ეს ნაწარმოები წაიკითხა — მწერლის შემოქმედებას საფუძვლიანად გაეცნო. ამბობს, რომ ძალიან უყვარს პოეზია და ბევრი ლექსი ზეპირად იცის. ბევრს აღარ გავაგრძელებ და გეტყვით, რუბრიკის სტუმარი მსახიობი როლანდ ოქროპირიძე გახლავთ.**

## „ხშირად ცდუნებას მეც ვერ ვუძლებ“

თამუნა კვინიკაძე

### პრეამბულის მაგიერ

— **როლანდ, წიგნი მოგიპარავს?**

— ბევრჯერ. თუ წიგნზე გავგიჟდები, გადავირევი და არ მათხოვებენ, ვიპარავ. სახლში არაერთ მოპარულ წიგნს ვინახავ. თავადაც მომპარეს „ქართული ღვინოები“. ძალიან კარგი გამოცემა იყო და გული მწყდება. 2 წიგნი ჩემს მეგობრებს აქვთ წაღებული, რამდენჯერმე ვთხოვე და ჯერ არ მოუტანიათ — ცუდად იქცევიან.

— **რომელ ლიტერატურულ გმირთან იმეგობრებდი, ამაზე გიფიქრია?**

— რა თქმა უნდა. გოგოლის შემოქმედებაში ერთი აფერისტი პერსონაჟი შემხვდა. სამწუხაროდ, მის სახელს ვერ ვიხსენებ. ამ გმირთან სიამოვნებით ვიმეგობრებდი. მაღალი დონის აფერისტები ძალიან მომწონს. მოხერხებული ადამიანები არიან. მათთან ურთიერთობა ჩემთვის საინტერესოა.

— **აფერისტი მეგობრები ცხოვრებაში თუ გყავს?**

— ერთი-ორი მყავს. მთავარია, ბოროტი თაღლითები არ არიან. დათა თუთაშხიასთანაც დიდი სიამოვნებით ვიმეგობრებდი.

— **სკოლაში ყველაზე კარგად რომელ საგანს სწავლობდი?**

— გეოგრაფიასა და ისტორიას.

— **დროა, კითხვარზე გადავიდეთ**

— დავიწყოთ, თავს როგორ გავართმევ, ძალიან მაინტერესებს.



— **დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის შეერთებული სამეფოს ისტორიაში ვინ იყო პირველი ქალი — პრემიერ-მინისტრი?**

— მარგარეტ ტეტჩერი.

— **რომელ ქალაქში ტარდება ამერიკის კინოაკადემიის უმაღლესი ჯილდოთი — „ოსკარით“ დაჯილდოების ცერემონიალი?**

— ლოს-ანჯელესში.

— **როგორც ცნობილია, სიმღერა საქართველოში, ისევე როგორც შელოცვა, სამკურნალო საშუალებად მიიჩნეოდა. რომელი „სამკურნალო“ ხალხური სიმღერის დასახელება შეგიძლია?**

— „ბატონებო“.

— **ადამიანის რომელ გრძნობას უწოდა შექსპირმა „მწვანეთვალება ურჩხული“?**

— არ ვიცი.

— **სავარაუდო პასუხებს გეტყვი. შურს, მრისხანებას, სიყვარულს თუ ეჭვიანობას?**

— ალბათ მრისხანებას, ასე არ არის?

— **სწორი პასუხია — ეჭვიანობა. ეს გრძნობა შენში რამდენად ძლიერია?**

— ეჭვიანი ადამიანი არ ვარ. საბაბი თუ არ მაქვს, უსაფუძვლოდ არ ვიეჭვიანებ.

— **ტემპერამენტი არის ადამიანის თვისება, რომელიც წარმოადგენს პიროვნების ემოციური ცხოვრების საფუძველს. ფსიქოლოგიაში, ფიზიოლოგიასა და ფსიქიატრიაში მიღებულია ტემპერამენტის 4 ტიპი. რომელმა მეცნიერმა აღწერა იგი პირველად?**

— არ ვიცი.

— **მიგანიშნებ, მას „მედიცინის მამას“ უწოდებენ.**

— ჰიპოკრატე. სულ რამდენი ტიპია?

— **4 — სანგვინიკი, ქოლერიკი, ფლეგმატიკი და მელანქოლიკი. შენ რომელ ტიპს განეკუთვნები?**

— ქოლერიკი როგორია?

— **ეს ტიპი იმპულსურია, ფეთქებადი; ხშირად — აფექტურიც. მისთვის დამახასიათებელია მტკიცე, ღრმა გრძნობები.**

— დაახლოებით ასეთი ვარ, ზოგჯერ — მელანქოლიკიც.

— **რა არის ტანკა?**

— არ ვიცი.

— **იაპონური პოეზიის ჟანრია. შემდეგი კითხვა კი შენი საყვარელი გეოგრაფიიდანაა: სარდინია, სიცილია, კორსიკა. ხმელთაშუა ზღვის ამ კუნძულებიდან რომელია ყველაზე პატარა?**

— კორსიკა.

— **მას გარს ეკვრის ინდოეთისა და ატლანტის**

**ოკეანეები, ხმელთაშუა და წითელი ზღვები. ევროპიდან გიბრალტარის ვიწრო სრუტით გამოიყოფა, ხოლო სუეცის არხით აზიას უკავშირდება. დაასახელე, რომელ კონტინენტზეა ლაპარაკი?**

— აფრიკის.

— **რა ერქვათ ძველ საბერძნეთში მხატვრებს, რომლებიც კურტიზანებს მაკიაჟს უკეთებდნენ?**

— ვერ გიპასუხებ.

— **პორნოგრაფები.**

— მართლა? პირველად გავიგე.

— **იმის შესახებ თუ გსმენია, რას უწოდებდნენ XVIII საუკუნეში ძახილის ნიშანს?**

— არც ეს ვიცი.

— **გაოცების წერტილს. რომელი უღელტეხილი აერთებს ერთმანეთთან ამიერკავკასიასა და ჩრდილო კავკასიას?**

— ჯვრის უღელტეხილი.

— **ქალის გარდა კიდევ ვინ არის გამოსახული კლოდ მონეს სურათზე — „მანდილოსანი ქოლგით“?**

— ბავშვი. ხომ არ მეშლება?

— **ნამდვილად ასეა. ხორეშანი, ხანუმა, ქაბატო — ჩამოთვლილთაგან რომელი იყო ლუარსაბისა და დარეჯანის მაჭანკალი, რომელსაც „სუტკენინასაც“ უწოდებდნენ?**

— ხორეშანი.

— **თავის გაქნევა რომელ ქვეყანაში შეიძლება აღიქვან როგორც თანხმობა?**

— ბულგარეთში.

— **რომელია მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარე?**

— მინიშნებას ვერ მეტყვი?

— **სამეგრელოშია. მსოფლიოში ყველაზე პატარა მდინარის ნაპირზე დავიბადეო, — წერს კონსტანტინე გამსახურდია თავის ბიოგრაფიაში.**

— ლამაზი ხეობა რომ აქვს, იმ მდინარეს რა ჰქვია?

— **მას ხეობა საერთოდ არა აქვს, ძალიან მოკლე მდინარეა.**

— მითხარი, რომელია?

— **ზანა. რომელი ქვეყნიდან გავრცელდა სერენადა?**

— ესპანეთიდან (*ფიქრობს*), არა ესპანეთიდან კი არა, იტალიიდან გავრცელდა.

— **შენ თუ გიმღერია?**

— ძალიან ბევრჯერ. ჩემს მეუღლესაც ვუმღერე. ეს პროცესი ძალიან სასიამოვნოა.

— **რამდენ ტყვიას იტევს ნაგანის სისტემის...**

— (*მაწყვეტინებს*) ნაგანის რევოლვერის დოლი 7 ტყვიას იტევს.

— **ისე სწრაფად მიპასუხე, ძნელი მისახვედრი არ არის — იარაღი გიყვარს.**

— მართალია და საკმაოდ კარგად ვერკვევი.

— **ნადირობაც გიყვარს?**

— ძალიან, მიზანშიც კარგად ვისვრი.

— **ყველაზე დიდი რომელი ცხოველი მოგიკლავს?**

— შველი.

— **შველი რამ მოგაკვლევინა? როგორი ლამაზია...**

— (*იცინის*) შველზე ნადირობა საინტერესო არ არის. მეტჯერ აღარ მოვკლავ.

— **მსმენია, მონადირეები ტყუილებს ამბობენო. ეს შენც გახასიათებს?**

— კი არ ცრუობენ, ამბავს უფრო მეტად ალამაზებენ და ზოგიერთის მხრიდან ეს ტყუილად აღიქმება.

— **მწყერზე გინადირია?**

— არაერთხელ.

— **მაშინ უნდა იცოდე, რა ჰქვია მწყრის შვილს...**

— (*იცინის*) ვაიმე! ვიცოდი და ველარ ვიხსენებ. რაღაც უცნაური სახელი ჰქვია.

— **მუტრუკი. ამერიკის რომელი პრეზიდენტი იყო მსახიობი?**

— რეიგანი.

— **დაასრულე დესტუშის ცნობილი გამონათქვამი: „უფრო ადვილია, შვიდ ქალს თავი შეაყვარო, ვიდრე ერთისგან თავი...**

— ...დაიცვა.

— **„...თავი დაიხსნა“.**

— შეიძლება ითქვას, რომ სწორად დავასრულე.

— **ამ გამონათქვამს ეთანხმები?**

— სრული ჭეშმარიტებაა. საკუთარი გამოცდილებიდან გეუბნები.

— **თავის დახსნის შენეული ხერხი როგორია?**

— ამას ვერ გეტყვი. თან ყველასთან არ ჭრის.

— **რა ერქვათ XIX საუკუნეში ჰომოსექსუალებს?**

— არ ვიცი.

— **მწვანეები. სად შეიძლება ვნახოთ ხახმატის, ლებაისკარის, არდოტის, ახიელის ციხეები?**

— ხევსურეთში.

— **ცნობილია, რომ მომთაბარე მონღოლები დაბეგვილ, უმ ხორცს მიირთმევდნენ. როგორ ბეგვავდნენ ხორცს?**

— ცხენით მგზავრობისას უნაგირის ქვეშ დებდნენ და იბეგვებოდა.

— **რომელი რაიონის ტერიტორიაზე მდებარეობს სათაფლიის სახელმწიფო ნაკრძალი?**

— იმერეთშია.

— **მე რაიონის დასახელება გთხოვე და არა — რეგიონის.**

— ზუსტად არ ვიცი, მგონი წყალტუბოს რაიონშია.

— **რომელია ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ქალაქი საქართველოში?**

— მესტია.

— **ცდები. სწორი პასუხია — ახალქალაქი. მულტიპლიკაციურ ფილმში რა ჰქვია კომბლეს ძროხას?**

— გავიხსენებ (*პაუზის შემდეგ*) „წაიყვანეს ჩვენი ჭრელა“...

— **რომელ ნაწარმოებს უწოდებენ ბეთჰოვენის მუსიკალურ ანდერძს, რომელიც მან დაყრუების შემდეგ შექმნა?**

— ვერ გიპასუხებ.

— **მე-9 სიმფონიას. საფრანგეთის ამ მეფემ 72 წელი იმეფა. ამბობდნენ, მისი მეფობის დასასრულს მისი მეფობის დასაწყისი აღარ ახსოვდათო. რომელ მეფეზეა ლაპარაკი?**

— ლუი XIV-ზე.

— **რა იყო მისი ეპითეტი?**

— „მეფე მზე“.

— **„ვინაითგან ნათესავნი ქართველთანი ესეოდენ კეთილ არიან და არა განცრუვდებიან. რომელ აფხაზეთით მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თავისი მოყვარეთათვის“... რომელმა ქართველმა გმირმა დაიმსახურა მონღოლთა ნოინის ასეთი შეფასება?**

— ცოტნე დადიანმა.

— **რომელ მდინარეზე მდებარეობს 4 ევროპული ქვეყნის დედაქალაქი?**

— დუნაიზე.

— **დაბოლოს დაასრულე ინგლისელი მწერლის, — უაილდის ცნობილი გამონათქვამი: „მე შემიძლია გავუძლო ყველაფერს, გარდა...**

— ეს გამონათქვამი ზეპირად არ მახსოვს. ბავშვის ტირილს ხომ არ გულისხმობდა?

— **„მე შემიძლია გავუძლო ყველაფერს, გარდა ცდუნებისა“.**

— ძალიან მომეწონა. ხშირად ცდუნებას მეც ვერ ვუძლებ.

■

# დანიელ წინასწარმეტყველი

შორენა მერკვილაძე

**დიდ წინასწარმეტყველთაგან ერთ-ერთი იყო დანიელი. იგი ბაბილონის ტყვეობაში რჩეული ერის ყოფნის პერიოდში წინასწარმეტყველებდა.**

როდესაც ბაბილონის მეფემ, ნაბუქოდონოსორმა იუდეა დაიპყრო და იერუსალიმი და სოლომონის ტაძარი დაანგრია, სხვა ტყვეებთან ერთად წაიყვანა ერთი შესანიშნავი ყმაწვილი — დანიელი და მისი სამი მეგობარი — ანანია, აზარია და მისაილი, რომლებიც მეფისა და მაღალი წოდების საგვარეულოს წარმომადგენლები იყვნენ. მეფე ნაბუქოდონოსორის ბრძანებით, ისინი სამეფო სასახლეში იზრდებოდნენ და მეფის ტაბლას ინაწილებდნენ. მიუხედავად იმისა, რომ კერპთმსახურთა შორის ცხოვრობდნენ, მტკიცედ იცავდნენ მოსეს სჯულს, ნებართვა ითხოვეს, ნაკერპალი საზრდელი არ მიეღოთ და მხოლოდ პური და მწვანილი ეჭამიათ. სანაცვლოდ უფლისგან დიდი ნიჭი და სწავლაში წარმატება მიემადლათ, დანიელს კი წინასწარმეტყველების ნიჭი და სიზმრების ახსნის უნარიც მიეცა.

მან მეფე ნაბუქოდონოსორსაც აუხსნა სიზმარი, რაც ვერც ერთმა ბრძენმა ვერ შეძლო: ერთხელ ნაბუქოდონოსორმა საოცარი სიზმარი იხილა, მაგრამ როდესაც გაიღვიძა, დაავიწყდა. მან თავისი სამეფოს ყველა ბრძენი და სწავლული იხმო, რათა მისთვის სიზმარი გაეხსენებინათ და აეხსნათ, მაგრამ ეს ვერავინ შეძლო. ამის გამო ყველას სიკვდილით დასჯა ელოდა. მაშინ დანიელმა ღვთის წინაშე ლოცვა-ვედრების სანაცვლოდ შეძლო მეფისთვის სიზმარი გაეხსენებინა, აეხსნა და მომავალიც ეწინასწარმეტყველა. ნაბუქოდონოსორმა ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი; დანიელი ბრძენთა, მოგვთა უფროსად დანიშნა, დანიელის მეგობრები კი — სახელმწიფო სამსახურში, მაღალ თანამდებობებზე. მაღალი საზოგადოებრივი მდგომარეობის მიუხედავად, ისინი მტკიცედ აგრძელებდნენ სჯულის დაცვით ცხოვრებას. ამის გამო, ბაბილონელთაგან არაერთი განსაცდელის გადატანა მოუხდათ.

ერთხელ მეფე ნაბუქოდონოსორმა დეირის მინდორში, ბაბილონის მახლობლად დიდი ოქროს კერპი დადგა და ქვეშევრდომებს უბრძანა, რომ საყვირის ხმაზე პირქვე დამხობილიყვნენ და თაყვანი ეცათ მისთვის. ურჩნი გახურებულ ღუმელში უნდა ჩაეყარათ. ყველამ თაყვანი სცა კერპს. მხოლოდ ანანიამ, აზარიამ და მისაილმა არ აღასრულეს ბრძანება, — ჩვენ მხოლოდ ჭეშმარიტ ღმერთს ვეთაყვანებითო. მეფის ბრძანებით, ახალგაზრდები გახურებულ ღუმელში ჩაყარეს. უფალმა ყრმებს ანგელოზნი მოუვლინა, რომლებმაც ცეცხლი ცვარად აქციეს, ალი კი გაფანტეს. ყრმები ცეცხლში მიმოდიოდნენ და გალობდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს. მეფე ღუმლის კართან იჯდა და როდესაც მათი გალობა ესმა, გაუკვირდა და გარეთ გამოსვლა სთხოვა. ყველამ იხილა, რომ სრულიად უვნებელნი გადარჩენილიყვნენ, ალის სუნიც კი არ ასდიოდათ. მეფე მათ წინ დაემხო, თაყვანი სცა და ადიდა ჭეშმარიტი ღმერთი. ახალგაზრდები კი თავის სამეფოში, იუდეველთა უფროსად დანიშნა.



## ყრმები ცეცხლში მიმოდიოდნენ და გალობდნენ, აქებდნენ და ადიდებდნენ ღმერთს

### დანიელი ლომების ორმოში

ნაბუქოდონოსორის გარდაცვალების შემდეგ, ბაბილონის სამეფო სპარსეთის მეფემ, დარიოსმა დაიპყრო. მან სამეფო მოხელეების ზედამხედველობა 3 წარჩინებულ პირს მიანდო, რომელთაგან პირველი დანიელი იყო. დარიოსს გამორჩეულად უყვარდა დანიელი, რაც ძალიან აწუხებდა კარისკაცებს და მისი დაღუპვა გადაწყვიტეს. იცოდნენ, რომ დანიელი დღეში სამჯერ ლოცულობდა ჭეშმარიტი ღმერთის წინაშე და მის დასაღუპავად სწორედ ამის გამოყენება განიზრახეს. მეფე დაიყოლიეს: ხალხს გამოუცხადე, 3 დღის განმავლობაში მხოლოდ შენ წინაშე ილოცოს, ხოლო ვინც ბრძანებას დაარღვევს, ლომებს ჩაუგდე ორმოში შესაჭმელადო. დანიელმა მეფის ბრძანების შესახებ შეიტყო, მაგრამ ჭეშმარიტი უფლის მიმართ ლოცვისთვის თავი არ დაუნებებია. ის მეფესთან დააბეზღეს. მეფე მიხვდა კარისკაცების ვერაგობას, მაგრამ სიტყვას ვერ გატეხდა და დანიელი მშიერი ლომების ორმოში ჩააგდებინა. უფალმა დანიელს ანგელოზი მოუვლინა. მან ლომებს პირი შეუკრა და ყმას ვერაფერი ავნეს. მეორე დღეს მეფე საკუთარი ფეხით მივიდა და ჩაიხედა ორმოში. დანიელი სრულიად უვნებელი დახვდა. დარიოსს ძალიან გაუხარდა დანიელის ხილვა. მაშინვე ამოაყვანინა ორმოდან და ძველი დიდება და პატივი დაუბრუნა. მის ნაცვლად კი ორმოში, ლომებთან, კარისკაცები ჩააყრევინა. ისინი მაშინვე დაგლიჯეს ლომებმა.

დანიელი იყო უდიდესი წინასწარმეტყველი. მან ღვთისგან მრავალი გამოცხადება მიიღო მესიისა და კაცობრიობის მომავლის შესახებ. ქადაგებდა, რომ ღმერთი განაგებს ადამიანთა ცხოვრებას. ზუსტად იწინასწარმეტყველა მაც-



ხოვრის ამქვეყნად მოსვლის დრო. თქვა, რომ მესია მოვიდოდა სამოცდაათჯერ შვიდი წლის, ე.ი. 490 წლის შემდეგ, იმ დროიდან, როცა ისრაელიანები ბაბილონის ტყვეობიდან იერუსალიმში დაბრუნდებოდნენ და იერუსალიმის გარშემო კედლის ხელახლა აშენების ნებას მიიღებდნენ. დანიელ წინასწარმეტყველი ისრაელიანთა ბაბილონის ტყვეობის პერიოდში, ღრმად მოხუცებული გარდაიცვალა.

## დანიელისა და მისი სამი მეგობრის ცხოვრება

რატომ უჩვენებს უფალი ტყვეობაში მყოფ ისრაელიანებს მაგალითად დანიელისა და მისი სამი მეგობრის ცხოვრებას? მათი ცხოვრება თითოეული ადამიანისთვის სანიმუშოა. როგორც ვთქვით, ისინი იზრდებოდნენ სამეფო კარზე და სამეფო საზრდელი უნდა მიეღოთ, მაგრამ როდესაც მიხვდნენ, რომ მათ საზრდელში სჯულით აკრძალული საკვებიც შედიოდა, იმის გარკვევა კი არ დაუწყიათ, რომელი ცხოველის ხორცი მიჰქონდათ მათთვის, საერთოდ უარი თქვეს ხორცის მიღებაზე და მხოლოდ პურითა და მწვანილით იკვებებოდნენ, რომლის სიწმინდეშიც დარწმუნებული იყვნენ. მათი აღმზრდელი წუხდა, ყრმები დაუძლურდებიან და მეფე დასჯისო. ყრმებმა აღმზრდელს სთხოვეს, ათი დღით მიეცა მათთვის ასეთი საზრდელით საზრდოობის ნება, სხვებს კი სამეფო საზრდელი ეხმიათ. ათი დღის შემდეგ ებრაელი ყრმები დანარჩენებზე უკეთესად გამოიყურებოდნენ და სხარტადაც აზროვნებდნენ. მიზეზი ამისა იყო ღვთის რწმენა და ღვთისადმი სასოება. ისინი ბოლომდე მინდობილნი იყვნენ უფალს, სწამდათ, რომ მათ შესაძლებლობასა და ჯანმრთელობას საკვები არ განსაზღვრავდა... საბოლოოდ, თავიანთი მტკიცე რწმენა მაშინ გამოავლინეს, როდესაც გახურებულ ღუმელში შეყარეს, საიდანაც ღვთის რწმენითა და სასოებით აღვსილნი, სრულიად უვნებელნი გამოვიდნენ... მათი ცხოვრების წარმოჩენით უფალი რჩეული ერის წარმომადგენლებს — იუდეველებსაც განამტკიცებდა, უჩვენებდა, თუ რა შეუძლია ჭეშმარიტ სარწმუნოებას, თუ როგორ დაიცავს უფალი თავის მადიდებელ კაცს. შემდგომში, როდესაც მაცხოვარი იშვა, მის თაყვანსაცემად მოსულმა, აღმოსავლელმა მოგვებმა სწორედ დანიელისგან უწყოდნენ, რომ მესია, მაცხოვარი, მხსნელი უნდა შობილიყო. მართალია, მოგვებმა ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ ცოდნა ბოლომდე ვერ შეინარჩუნეს, მაგრამ როდესაც ცაზე უჩვეულოდ მოკაშკაშე ვარსკვლავი იხილეს, რომელიც არანაირ ასტრონომიულ კანონს არ ემორჩილებოდა, გაახსენდათ წინაპართაგან ნასწავლები და გამოჰყვნენ მესიის შობის მაუწყებელ უჩვეულო ვარსკვლავს, რომელმაც ახალშობილ მაცხოვართან მიიყვანა.

როდესაც რჩეული ერი განუდგებოდა ჭეშმარიტ ღმერთს და კერპთმსახურებისკენ მიიდრიკებოდა, უფალი მათ სხვადასხვა სახის განსაცდელს უვლენდა. ამ პერიოდში უვლენდა წინასწარმეტყველებსაც, რათა მათი პირით რჩეული ერის შვილებისთვის თავისი წმინდა ნება ეუწყებინა და კვლავ ჭეშმარიტი ღვთისა და სჯულის აღსრულებით ცხოვრებისკენ მიბრუნებულიყვნენ. ■



# როგორ დასახლდნენ აფხაზები აჭარაში



აფხაზი ცოლ-ქმარი სოფ. ფერიიდან, 1880 წლის ფოტო

**ქალაქ ბათუმსა და მის მიმდებარე სოფლებში — ფერიაში, ანგისაში, კახაბერში, ურეხში და სხვაგან დღესდღეობით 3 ათასამდე აფხაზი ცხოვრობს. მათი წინაპრები იქ 1867 წელს ჩასახლდნენ. იმხანად აფხაზეთში რუსებმა სისხლში ჩაახშეს დიდი აჯანყება, რომელსაც სამთავროს გაუქმებით უკმაყოფილო, თავადი მარშანიების გვარი ხელმძღვანელობდა. აჯანყების ჩახშობას აფხაზეთიდან მოსახლეობის მასობრივი განდევნა მოჰყვა — რუსულმა არმიამ მთლიანად მოაოხრა მარშანიების მამულები წებელდასა და გუმაში (თანამედროვე გულრიფშისა და ოჩამჩირის რაიონების ტერიტორია) და მკვიდრ მოსახლეობას (აფხაზებსაც და ქართველებსაც) იქ ცხოვრება — არც მეტი, არც ნაკლები — 250 წლის ვადით სასტიკად აუკრძალა. ამასთან, ქრისტიან მოსახლეებს ნება მიეცათ, სამურზაყანოსა და სამეგრელოში გადასულიყვნენ, ხოლო მუსლიმანებს იმპერიის ქვეშევრდომობის მინიჭებაზე საერთოდ უარი უთხრეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ მათ მშობლიური ადგილები უნდა დაეტოვებინათ.**

*მიხეილ ლაბაძე*

1867 წლის აგვისტოს დასაწყისში, რუსებმა წებელდისა და გუმის თითქმის მთელ მუსლიმანურ მოსახლეობას სოხუმის ნავსადგურში მოუყარეს თავი და დაიწყეს მათი გასახლება ოსმალეთის იმპერიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ამის შესახებ სულთნის კარი წინასწარ იყო ინფორმირებული — ჯერ კიდევ 1866 წლის ნოემბერში, რუსეთის იმპერიის მესვეურებმა სტამბოლში „ოხრანკის" საზღვარგარეთის განყოფილების შეფი, თავადი დოლგორუკოვი მიავლინეს. მან ოსმალო კოლეგებთან შეთანხმებას მიაღწია: აფხაზეთიდან გასახლებულ მუჰაჯირებს განუსაზღვრელი რაოდენობით(!) და იმავე პირობებით მიიღებდნენ, როგორც 1864 წელს ჩერქეზები მიიღეს. სხვათა შორის, რუსებმა ოსმალეებისგან კატეგორიულად მოითხოვეს, რომ აფხაზები რუსეთის იმპერიის საზღვრებთან ახლოს არ დაესახლებინათ. სულთნის კარზე დიდსულოვნად განაცხადეს თანხმობა და სანქტ-პეტერბურგშიც შვებით ამოისუნთქეს.

ერთი სიტყვით, ოსმალური გემები სოხუმის პორტში დანიშნულ ვადაში შევიდნენ და ნავსადგურში შეყრილი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად წაიყვანეს ოსმალეთისკენ. უნდა ითქვას, რომ სტამბოლში მუჰაჯირებისთვის მხოლოდ ოთხი გემი — „მაჰმუდიე", „ას-სარიი შეფქეთი", „აჰმედიე" და „ოსმანიე" გამოყვეს; არადა, ხალხი ბევრი იყო.



ბათუმელი აფხაზი გიმნაზიელები და ინტელექტუალები, 1919 წლის ფოტო

რუსმა მოხელეებმა მუჰაჯირებს უბრძანეს, რომ ოსმალეთში წასასვლელად გემები თავიანთი ხარჯით დაექირავებინათ და 3 დღეში გასცლოდნენ იქაურობას. თუ ასე არ იზამდნენ, ჩამოხრჩობა არ ასცდებოდათ. მუჰაჯირებმა მართლაც შეაგროვეს ბოლო კაპიკები და ნავსადგურში მდგარ ოსმალურ გემებს ჩამოუარეს.

იმ დროს, ანტისანიტარიისა და საკვების უვარგისობის გამო, მუჰაჯირთა შორის სურავანდის ეპიდემია მძვინვარებდა. ამიტომ გემის კაპიტნები მათ გადაყვანაზე, ცხადია, კატეგორიულ უარს ამბობდნენ. თავადი თათლასტან მარშანია, რომელსაც ხალხის მიერ შეგროვებული თანხა ებარა, ამაოდ ცდილობდა კაპიტნების დაყოლიებას — მათ ფულიც ეცოტავებოდათ; ბოლოს, თათლასტანმა მაინც მოძებნა ერთი ლაზი და შეუთანხმდა, რომ თავისი ფელუკით აფხაზები ტრაპიზონამდე ჩაეყვანა. „ვიცი, რა დღეშიც ჩაგყარეს რუსებმა და ზედმეტს არ მოგთხოვთ... დანიშნულ ადგილამდე ისე ჩაგიყვანთ, თავიდან თმის ღერი არ ჩამოგივარდებათ!" — დაიმედა ლაზმა კაპიტანმა აფხაზი თავადი. ცოტა ხნის შემდეგ, თათლასტან მარშანია თავის ხალხთან ერთად, ფელუკაზე ავიდა. მუჰაჯირების ნაწილი (სულ 100 კაცამდე იქნებოდნენ) იძულებული გახდა, პირდაპირ გემბანზევე დაწოლილიყო, რადგანაც მგზავ-

## აქაურები ყველაფერში დაგეხმარებიან, თქვენ კი ოსმალებთან ნუ იტყვით, რომ აფხაზები ხართ

რთათვის განკუთვნილი ადგილები უცებ შეივსო. ფელუკა იმდენად დამძიმდა, რომ მგზავრობა სახიფათოც კი შეიქნა, მაგრამ ზღვაში მაინც გავიდა.

გადმოცემით, ხიფათის თავიდან ასაცილებლად, ფელუკა სანაპიროს სიახლოვეს მიცურავდა, მაგრამ ყულევთან რუსებმა რატომღაც ცეცხლი გაუხსნეს და კაპიტანმა კურსის შეცვლის ბრძანება გასცა — ფელუკა სანაპიროს საკმაო მანძილით მოშორდა. სწორედ ამ დროს ამინდიც შეიცვალა და შტორმი დაიწყო. კაპიტანი ძალზე ცუდ დღეში ჩავარდა — წესით, ის ნაპირზე უნდა გადასულიყო, მაგრამ რუსები ამის ნებას არ მისცემდნენ; არადა, ფელუკა ხალხით ისე იყო გაძეძგილი, რომ სწრაფად ვერ მოძრაობდა. საფრთხის მიუხედავად, კაპიტანმა სანაპიროსკენ კურსი მაინც აიღო, თან ცდილობდა, შტორმს გამკლავებოდა.

მეორე დილით შტორმი ჩადგა, მაგრამ დღის შუქზე შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ ფელუკა იმდენად დაზიანებული იყო, გზის გაგრძელება გაჭირდებოდა და რაღაც უნდა ეღონათ: „ტრაპიზონში ვეღარ ჩავალთ... ბათუმში ჩაგიყვანთ და გზა ფეხით განაგრძეთ!“ — უთხრა კაპიტანმა თავად თათლასტან მარშანიას. მასაც რაღა უნდა ექნა?! თავისი ხალხი გააფრთხილა, ნაპირზე გადასასვლელად მომზადებულიყვნენ. როცა გაიგეს, ბათუმში ჩავდივართო, გადმოცემით, აფხაზებს გაუხარდათ კიდეც — მშობლიურ გარემოში ვიქნებითო. შესაბამისად, ფელუკამ ბათუმის ნავსადგურში შესვლა დააპირა, მაგრამ ოსმალურ სანაპირო დაცვას როგორღაც უკვე გაეგო, რომ მასზე მუჰაჯირები იმყოფებოდნენ და ნავსადგურში შეშვებაზე უარი განუცხადა — ფელუკას გონიოს რეიდზე უნდა მოეცადა, სამედიცინო შემოწმება გაევლო და ამის შემდეგ დართავდნენ ხალხს ნაპირზე გადასვლის ნებას. აფხაზებს ამის გაგონებაზე ელეთმელეთი მოუვიდათ, აყაყანდნენ კიდეც, მაგრამ ოსმალო მოხელეს არაფრის გაგონება არ სურდა.

„მე ახლა გონიოს რეიდზე გავჩერდები. ღამით ნაცნობ ლაზ ლოცმანებს ვნახავ და ნაპირზე მალულად გადაგიყვანთ... აქაურები ყველაფერში დაგეხმარებიან, თქვენ კი ოსმალებთან ნუ იტყვით, რომ აფხაზები ხართ. ქართული ისედაც იცით და ვერაფერს მიხვდებიან, ადგილობრივები კი არ გაგცემენ; ასე რომ, ნუ შეგეშინდებათ!“ — უთხრა აფხაზებს ფელუკის კაპიტანმა. თათლასტან მარშანიაც ფიქრობდა, რომ ტრაპიზონში ფეხით წასვლას, ბათუმში დარჩენა სჯობდა. აჭარის უხუცესი აფხაზები დღესაც კი საგანგებოდ აღნიშნავენ — მუჰაჯირებმა ასეთი გადაწყვეტილება მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ მიიღეს, რომ დასაბამიდანვე ქართულ სამყაროში ცხოვრებას იყვნენ ჩვეულნი.

იმავე ღამით, ლაზმა ლოცმანებმა ხალხი გონიოს ჩრდილოეთით მდებარე პატარა ტაფობზე გადაიყვანეს (იქ ახლა სოფელი ანგისა მდებარეობს). მუჰაჯირებს არაფერი ებადათ — არც საჭმელსასმელი, არც ხეირიანი ტანსაცმელი. ამიტომაც, ლაზმა ლოცმანებმა ჭოროხგაღმა, ლაზეთში მიიტანეს ამბავი: რუსეთიდან აფხაზები ძალით გამოუყრიათ, არაფერი მოეპოვებათ, უჭირთ და დავეხმაროთო. წამოვიდნენ ლაზები და ვისაც როგორ შეეძლო, აფხაზებს ხელი გაუმართა — ზოგმა საჭმელი მოუტანა, ზოგმა — ჩასაცმელი, ზოგმაც სახელდახელო ფაცხები აუშენა და სულ რაღაც ორიოდე კვირაში ანგისას ტაფობზე აფხაზურ დასახლებას ჩაეყარა საფუძველი. ისიც უნდა ვთქვათ, რომ ახალ საცხოვრის ადგილას დამკვიდრება ამ ხალხს მაინც ძალიან უჭირდა — ჯერ ერთი, ოსმალები ხშირად აწუხებდნენ, რადგანაც აჭარა და ბათუმი სასაზღვრო ზონად ითვლებოდა და იქ რუსეთიდან გადმოხვეწილთა გაჩერება არ შეიძლებოდა; მეორეც — დაბლობი და დაჭაობებული ადგილი იყო, აფხაზები კი მთაში ცხოვრებას იყვნენ ჩვეულნი.

თავად თათლასტან მარშანიას მეუღლეს, რომლის სახელიც გადმოცემებს აღარ შემოუნახავს, ანგისას სანაპიროზე გადასვლის დღეს ვაჟიშვილი ეყოლა. მას კიტაზი დაარქვეს. სწორედ კიტაზ მარშანია იყო აჭარაში დაბადებული პირველი აფხაზი და მოგვიანებით, მისმა შვილებმა გვარად „კიტაზოღლი“ ანუ „კიტაზბა“ დაიწერეს. კიტაზბები აჭარაში დღესაც მრავლად არიან. ამ გვარის უხუცესების გადმოცემით, მათი წინაპარი უებრო მოჯირითე და მოცეკვავე ყოფილა და ღრმა სიბერეშიაც კი უშიშრად იმორჩილებდა გაუხედნავ ულაყებს, ხოლო ცერებზე ცეკვა მთელი ღამის განმავლობაში შეეძლო.

საინტერესოა ასევე აჭარელ აფხაზთა სხვა, არანაკლებ ცნობილი საგვარეულოს — ჩაუშბას ისტორია: მათი თავდაპირველი გვარი ყოფილა არძინბა; 1867 წელს კი



**ბათუმელი აფხაზი ოსმან ყაიტამბა, 1899 წლის ფოტო**

ფსხუდან (მთიანი აფხაზეთი) აჭარაში ჩამოსულა ვინმე კეგუა (იგივე ოსმან) არძინბა, რომელიც კარგი ვაჟკაცი ყოფილა და ჯირითსა თუ იარაღის ფლობაშიც სჯაბნიდა ყველას. კეგუა ბათუმის ტერიტორიაზე, დღევანდელ „პივზაოდ-

ში“ დასახლებულა, მაგრამ ოსმალებს არ გაუჩერებიათ და მისი გასახლება მოუნდომებიათ. აფხა-



**აფხაზი ინტელიგენტი ნური-ეფენდი აეგბა, 1877 წლის ფოტო**

ზი ბრძანებას არ დაემორჩილა და მის გასასახლებლად მისულ ოსმალო ასკერებს კუდით ქვა ასროლინა. შემდგომში ხელისუფლება იძულებული გახდა, არძინბასათვის თავი დაენებებინა. მის შთამომავლებს „ჩაუშოღლის“ გვარი მისცეს, რაც უკვე შემდგომში, აფხაზური წესისამებრ, „ჩაუშბად“ იქცა.

აფხაზი მუჰაჯირების მეორე ნაკადი აჭარაში ორი წლის შემდეგ — 1869 წელს ჩავიდა. ესენი იყვნენ მთიელი აფხაზები (ახჩიფსელები), რომლებსაც თავადი ცანბაია (იგივე აცამბა) ხელმძღვანელობდა. ეს ხალხიც ბათუმის მიდამოებში, ფერიის მთის კალთებზე დასახლდა. მათი შთამომავლები იქ დღემდე ცხოვრობენ და სხვათა შორის, აფხაზურის თავისებურ კილოკავსაც ინარჩუნებენ, რომელზეც თვით აფხაზეთში უკვე აღარავინ ლაპარაკობს. ახჩიფსელების ერთი ნაწილი შემდგომში სოფელ კახაბერშიაც ჩასახლდა; სწორედ იქაური იყო მუსტაფა აცამბა — აჭარელ აფხაზთა წინამძღოლი გასული საუკუნის 20-30-იან წლებში. სხვათა შორის, მას ულამაზესი და უჭკვიანესი მეუღლე ჰყავდა, რომელმაც 20-იან წლებში აჭარელ ქალთაგან პირველმა თქვა უარი ჩადრის ტარებაზე და ამით მთელ საქართველოში დიდად გაითქვა სახელი.

აღსანიშნავია, რომ აჭარაში დასახლებულ აფხაზ მუჰაჯირებს, ოსმალეთის სხვა მხარეში ჩასახლებულ თანამოძმეთაგან განსხვავებით, უფრო მეტად გაუმართლათ, რადგან კვლავაც სამშობლოში აღმოჩნდნენ. როგორც აღინიშნა, მათმა უმეტესობამ ქართული იმთავითვე კარგად იცოდა. აჭარაში დასახლების შემდგომ კი ადგილობრივ ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობა დაამყარეს და აჭაური ქართველი საზოგადოების განუყოფელ ნაწილადაც იქცნენ. 1878 წელს, როდესაც ბათუმი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შევიდა, რუსი მოხელეები თავიანთ ანგარიშებში საგანგებოდ ხაზს უსვამდნენ იმას, რომ ბათუმელმა აფხაზებმა კარგად იცოდნენ ქართული ენა და წერა-კითხვა, მთლიანად იყვნენ ინტეგრირირებული ადგილობრივ მუსლიმან ქართველებთან და მათი გამოყენება „განსაზღვრული მიზნებისათვის“ ნაკლებად შეიძლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აჭარის იმჟამინდელ ინტელიგენციაში მართლაც ბევრი იყო წარმოშობით აფხაზი. მაგალითისთვის დავასახელებდით „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ ერთ-ერთ უპირველეს მხარდამჭერს, ნური-ეფენდი აეგბას (აიაგბას), რომელიც ჯერ კიდევ 1877-1878 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს ბათუმელ აფხაზთა შორის ანტიოსმალურ პროპაგანდას ეწეოდა და მათ მოუწოდებდა, მუჰაჯირად ხელმეორედ აღარ წასულიყვნენ. ნური-ეფენდის რუსებმა მაინც არ დაუფასეს ამაგი და 1880 წელს ოსმალეთში გააძევეს. აფხაზი ინტელიგენტი იქ ყველასგან მიტოვებული, უკიდურეს სიღარიბეში გარდაიცვალა და საფლავიც კი აღარ დარჩენია.

აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ძალზე შთამბეჭდავი ამბავიც, რომელიც კარგად წარმოაჩენს აჭარაში დასახლებული აფხაზების ბუნებას: 1949 წელს, როცა ბათუმიდან და მისი მიმდებარე სოფლებიდან ქურთები და ხემშილები გაასახლეს, იმ აფხაზებს, რომლებსაც აუტანელ პირობებში უხდებოდათ ცხოვრება, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობამ შესთავაზა, ქალაქში ჩამოსულიყვნენ და გასახლებულთა ქონებას დაჰპატრონებოდნენ. წინადადება მეტისმეტად მაცდუნებლად ჟღერდა, რადგანაც ბათუმელი ქურთები და ხემშილები საკმაოდ მდიდრულად ცხოვრობდნენ და გადასახლებისას, ბუნებრივია, თან ვერაფერი წაიღეს. გადმოცემით, ერთერთმა მხცოვანმა და ყველასათვის პატივსაცემმა აფხაზმა ქალბატონმა მთავრობის წარმომადგენლებს მტკიცედ განუცხადა: „ჩვენ თვითონაც ლტოლვილთა შთამომავლები ვართ და იმ სახლებში, რომელთა პატრონებიც დღეს გაჭირვებაში არიან, არ შევალთ!“ სახლები შემდგომში რუსმა ჯარისკაცებმა დაიკავეს, აფხაზთა სინდისი კი კვლავ სუფთა დარჩა.

სხვათა შორის, აჭარელმა აფხაზებმა ყოფა-ცხოვრებაში დღემდე შემოინახეს ის თავისებურებანი, რომლებიც მათ წინაპრებს ახასიათებდათ, მაგრამ უშუალოდ აფხაზეთში ამჟამად გამქრალია. ამ მხრივ ყველაზე მეტად საინტერესოა აფხაზური ჰალვის დამზადების უნიკალური რეცეპტი, რომელიც თვით აფხაზეთში დღეს აღარავინ იცის. ეჭვგარეშეა, რომ ეთნოგრაფიული თავისებურებების შემონახვას უთუოდ იმან შეუწყო ხელი, რომ აჭარელ აფხაზებს ქართველებთან მუდმივად მშვიდობიანი, ახლო ურთიერთობები ჰქონდათ და გარეშე ძალებს არ ემორჩილებოდნენ. ისინი დღესაც ძალიან ამაყობენ, რომ მცირერიცხოვნობის მიუხედავად, მშობლიური ენა და მამაპაპური ადათწესები (ე.წ. „აფსუარა“ — აფხაზობა) შეინარჩუნეს. ■

## აჭარელ ქალთაგან პირველმა თქვა უარი ჩადრის ტარებაზე და ამით მთელ საქართველოში დიდად გაითქვა სახელი

# როგორი „ჩოლკა“ მოგიხდებათ...

**„ჩოლკა“ საუკეთესო საშუალებაა მობეზრებული ვარცხნილობის გამოსაცოცხლებლად. საერთოდ, ძნელია შესაფერისი „ჩოლკის“ შერჩევა. მაგრამ თუ ჩვენს რჩევებს გაითვალისწინებთ, ეს პროცესი ასე რთულად აღარ მოგეჩვენებათ. უპირველეს ყოვლისა, უნდა დაუკვირდეთ თქვენს პროპორციებს: სახის ოვალს, შუბლის სიმაღლეს, ცხვირის სიგრძეს, თმის სისქეს და წარბების ფორმას.**



● გრძელ სახეს უხდება წარბების ხაზის დამფარავი „ჩოლკა“. სასურველია, რომ ის იყოს რაც შეიძლება სქელი.

● კვადრატული ფორმის სახეს კი გამოხშირული „ჩოლკა“ დაამშვენებს, რაც სახის ნაკვთებს დაარბილებს. ამ დროს თქვენი ერთგვარი კოზირია „მაღალი“ ვარცხნილობა — არ დაგავიწყდეთ რამდენიმე კულულის გვერდებზე ჩამოყრა.

● მრგვალი სახის პატრონებმა აუცილებლად ირიბი, ბოლოებჩამოწეწილი „ჩოლკა“ ატარეთ; არამც და არამც არ მოგიხდებათ სწორი, სქელი „ჩოლკა“.

● მაღალი შუბლის პატრონებისთვის სქელი, სწორი „ჩოლკაა“ ზედგამოჭრილი, რომელიც წარბების დონეზე იქნება შეკრეჭილი. არასოდეს შეიჭრათ უფრო მოკლედ, რადგან ეს მაღალ შუბლს კიდევ უფრო გამოკვეთს.

● ვისაც დაბალი შუბლი აქვს, მისთვის ზედგამოჭრილია ღრმა, თითქმის კეფიდან დაწყებული სწორი „ჩოლკა“.

● განიერი ყბების მქონე მანდილოსნებმა უნდა ატარონ განიერი, გრძელი, თითქმის ყბებამდე ჩამოშვებული ჩოლკა და გვერდებზე — გრძელი კულულები.

**წესები, რომელიც გამოგადგებათ „ჩოლკის“ შეჭრისას:**

● შეიჭერით „ჩოლკა“ აუცილებლად სველ თმაზე, ასე ხაზი უფრო სწორი გამოგივათ.

● სიგრძის გაზომვისას გახსოვდეთ — თმა როცა გაშრება, ერთიორი სანტიმეტრით მაღლა აიწევს. ■

# უკარება თუ გამოუსწორებელი რომანტიკოსი?

**მამაკაცი, გარდა იმისა, რომ თავისუფლების მოყვარე არსებაა და ქალის „ქსელში“ გაბმას როგორც შეუძლია, ისე გაურბის, სიტყვაძუნწიცაა და ძნელია დააცდენინო, რა გეგმები აქვს — თუნდაც შენთან დაკავშირებით. თუმცა მისი მიზნების ამოცნობა, თუკი რამდენიმე ხერხს მიმართავთ, არცთუ ისე რთულია.**

*ქუჩაში სეირნობისას, რომელიმე მაღაზიის ვიტრინასთან შეჩერდით და სასხვათაშორისოდ ჰკითხეთ, რა ფერის ტანსაცმელს ამოირჩევდა. შეგიძლიათ მაღაზიაში შეხვიდეთ კიდეც და სხვადასხვა ტანსაცმელი დაათვალიეროთ. აგრძნობინეთ, რომ მასზე ზრუნავთ, დაე, ცოტა მოდუნდეს და საკუთარი აზრი გამოთქვას. სწორედ ამ მომენტში, მამაკაცი საკუთარ თავს და ქვეცნობიერ მიზნებს უნებურად გასცემს.*

● თუკი მან შავი ფერის სამოსი ამჯობინა, დროა, დაფიქრდეთ — ღირს კი თქვენი ახალგაზრდობის საუკეთესო წლები იმ მამაკაცს შეალიოთ, რომელიც მხოლოდ საკუთარი პერსონით არის დაინტერესებული? ნაკლებსარწმუნოა, რომ ოდესმე მიხვდეს, თქვენი სახით როგორი „აუწონავი ოქრო“ ჰყავს გვერდით და თქვენი სიყვარული და თანადგომა დააფასოს.

● კარგია, თუკი უპირატესობას ლურჯს ან ცისფერს მიანიჭებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თქვენი მეგობარი მამაკაცი უკარება და „მაგარი“ კაცის როლს თამაშობს, იცოდეთ, სინამდვილეში, ის გამოუსწორებელი რომანტიკოსია. როგორ მოხიბლოთ რომანტიკოსი? — კლასიკურ ლიტერატურაში ამის შესანიშნავი მაგალითები შეგხვდებათ. გადახედეთ წიგნებს და ბევრს რამეს ისწავლით ან გაიხსენებთ.

● თუკი მამაკაცმა წითელი ფერი აირჩია, პასუხი ერთმნიშვნელოვანია: სურს თქვენთან სექსი, დიდხანს და თანაც დაუყოვნებლივ. ეს კარგია, მაგრამ ცხოვრებაში მუდმივი არაფერია. ასე რომ, არ გაუშვათ მომენტი, თუ მისი „დაჭერა“ მართლაც გსურთ.

● ნაცრისფერს საკუთარ თავში ჩაკეტილი, უთქმელი მამაკაცი ირჩევს. მისგან ვერასოდეს გაიგებ, რას ფიქრობს და რა უნდა. მაგრამ თუ „ნაცრისფერმა“ თქვენთან დაკავშირებით რაიმე სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო, მისგან თავის დაღწევა ნამდვილად გაგიჭირდებათ. ■



*რუბრიკა მოამზადა ეკა ბუნთაიშვილმა*

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

# ვარჯიში 1 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის

დასასრული (დასაწყისი იხ. „გზა“ №40)

**III ვარჯიშები 4-დან 6 თვემდე ასაკის პატარებისთვის**

ვარჯიშთა ქვემოთ მოყვანილი კომპლექსი ეხმარება პატარას დაეუფლოს არა — ჯდომას, არამედ — წამოჯდომას; არა — დგომას, არამედ — ადგომას; სწავლობს, როგორ მოეჭიდოს საყრდენს, როგორ აიღოს საგანი და ა.შ.

ვარჯიშისა და მასაჟის დროს პატარას ალერსიანად უნდა ვესაუბროთ. 4-5 თვიდან ბავშვს მეთოდისტმა ყოველი მოძრაობის წინ უნდა მიუთითოს: „გადაბრუნდი გვერდზე“, „აიღე სათამაშო“, „მომკიდე ხელი“ და ა.შ.

რიტმული მოძრაობისას ხმამაღლა დაითვალეთ: ერთი, ორი, სამი, ოთხი.

თუ ვარჯიშთა კომპლექსი მართებულად ტარდება, ბავშვი მხიარულად იცინის, ღუღუნებს.

მაგიდას თბილი და რბილი ქსოვილი (პლედი, სქელი ხაოიანი პირსახოცი) უნდა გადააფაროთ.

1. ბავშვს ვაწვენთ ზურგზე და ვიწყებთ ხელების მასაჟს: მისი მარჯვენა ხელი მარცხენით გვიჭირავს, ხოლო მარჯვენა ხელით ვასრულებთ ხელსმას მტევნიდან მხრის სახსრამდე. მოძრაობას ვიმეორებთ 8-10-ჯერ (სურ. 1).

2. პატარას ხელისგულებში ვუდებთ ცერა თითებს, რომ კარგად ჩაეჭიდოს. ხელებს ჯერ მკერდზე გადავაჯვარედინებინებთ, შემდეგ აქეთ-იქით გადავშლე-ვინებთ. ვიმეორებთ 4-6-ჯერ (სურ. 2).

3. საათის ისრის მიმართულებით მსუბუქად ვუზელთ მუცელს. მოძრაობას ვიმეორებთ 8-10-ჯერ (სურ. 3).

4. ფეხების მასაჟი. გამოიყენება მასაჟის ყველა ილეთი: ხელსმა — 8-10-ჯერ, სრესა — 4-6-ჯერ, წრიული სრესა — 4-6-ჯერ. მასაჟს ვიწყებთ მსუბუქად და თანდათან ვაძლიერებთ (სურ. 4). ამის შემდეგ სრულდება ვარჯიში: ბავშვს ორივე ხელს ვკიდებთ წვივებზე, გამართულ ფეხებს რიგრიგობით ავაწევინებთ სწორი კუთხით და დავაშვებინებთ. ვიმეორებთ 4-6-ჯერ.

5. პატარას წვივებში ჩავკიდოთ ხელი და ფეხები მონაცვლეობით ისე გავაშლევინოთ და მოვახრევინოთ, თითქოს ველოსიპედის პედლებს ატრიალებს. გავიმეოროთ 4-6-ჯერ (სურ. 5).

6. ზურგზე მწოლიარე ბავშვს მივცეთ საშუალება, მარცხენა ხელით ჩაეჭიდოს ჩვენი მარცხენა ხელის საჩვენებელ თითს. მარჯვენა ხელი წვივზე ისე მოვკიდოთ, რომ საჩვენებელი თითი ფეხებს შორის მოხვდეს. ფეხები მუხლებში გავუმართოთ და მარჯვენიდან მსუბუქად გადავაბრუნოთ მენჯით. იმავდროულად გავჭიმოთ იდაყვში მოღუნული მარცხენა ხელით — ვაიძულოთ, მუცელზე გადაბრუნებამდე შემოაბრუნოს მხრის სარტყელი, ტანი და თავი. გავიმეოროთ თითოეულ მხარეს 1-2-ჯერ.

იმავე ვარჯიშის შესრულება სხვაგვარადაც შეიძლება: მეორე ხელს ვკიდებთ არა წვივებზე, არამედ — წელს ქვემოთ ვადებთ და წელის არეში თითებით ვაკავებთ (სურ. 6).

7. ბავშვი წევს მუცელზე. ორივე ხელისგულით ვუკეთებთ ზურგის კუნთების მასაჟს წელიდან კისრამდე. ვიყენებთ დაზელას, ხელსმას. არ უნდა შევეხოთ ხერხემლის მალებს. წელის მიდამოში მასაჟი კეთდება მსუბუქად, რათა თირკმლებზე ზედმეტი ზეწოლა არ მოხდეს. ვიმეორებთ 4-6-ჯერ (სურ. 7).

8. ბავშვი წევს მუცელზე. ორივე ხელისგულს შევუცოცებთ მუცელს ქვემოთ და თანდათანობით აწევთ მაგიდის ზედაპირიდან. ამ დროს პატარა რეფლექსურად ჭიმავს ფეხებსა და ხერხემალს, ხოლო თავს უკან სწევს (სურ. 8).

9. ბავშვი წევს მუცელზე. ორივე ხელს ვკიდებთ წინამხრებში (იდაყვიდან მტევნამდე) და თანდათანობით წამოვაყენებთ. ბავშვი ცდილობს, მუხლებზე დადგეს და გაცოცდეს (სურ. 9).

10. ბავშვი წევს ზურგზე. ვიყენებთ მასაჟის ყველა ილეთს — ზემოთ-ქვემოთ, მსუბუქი ვიბრაციით. ყველა ილეთი სრულდება ხელსმით (სურ. 10).

11. ბავშვი კვლავ ზურგზე წევს. ჯერ რიგრიგობით ავუწევთ და დავაშვებინებთ ხელებს, შემდეგ კი ორივეს ერთდროულად ვამოძრავებთ ზევით-ქვევით (სურ. 11).

12. ბავშვი წევს ზურგზე და ჩვენს ცერა თითებს არის ჩაჭიდებული. ხელები განზე გადავუშალოთ და თანდათან წამოვსვათ (სურ. 12).

13. ზურგზე მწოლიარე ბავშვს ვუკეთებთ ტერფების მასაჟს (სურ. 13).

14. პატარას ორივე ხელს ამოვდებთ იღლიების ქვეშ და ვაყენებთ ფეხზე, სახით ჩვენკენ. ვცდილობთ, გადავადგმევინოთ ნაბიჯები (სურ. 14).

ვარჯიშის შემდეგ ბავშვს თბილად ვაცმევთ და წყნარ, მშვიდ გარემოში ვაწვენთ.

**IV ვარჯიშთა კომპლექსი 6-დან 9 თვემდე ასაკის პატარებისთვის**

კარგი იქნება, თუ ვარჯიშისა და მასაჟის დროს პატარას დაელაპარაკებით კიდეც: „გადაბრუნდი“, „მომეცი ხელი“, „ასწიე თავი“ და ა.შ.

ნორმალური ფიზიოლოგიური თუ ფსიქომოტორული განვითარებისას, 6 თვის პატარა იწყებს პირველი ბგერების წარმოთქმას, დამოუკიდებლად ჯდება, სწორად უკავია წელი, თავისუფლად ბრუნდება მუცლიდან ზურგზე, ხელების ან გულმკერდის დაფიქსირებისას დგება და ცდილობს, ნაბიჯი გადადგას, ხოხავს, თამაშობს სათამაშოებით, გადააქვს ისინი ხელიდან ხელში, აქნევს, იღებს დაბლა დავარდნილ სათამაშოს.

7 თვის ბავშვი დგება ოთხზე და თავისუფლად დახოხავს; თუ საყრდენი აქვს, მყარად ზის; თუ ორივე ხელს ჩავჭიდებთ, დგება მუხლებზე, ფეხზე და თამამად დგამს ნაბიჯებს; ეძებს და პოულობს საგნებს, რომლებსაც უფროსები უსახელებენ.

8 თვის ბავშვი მანეჟის კიდეზე ხელმოკიდებული დამოუკიდებლად დგება და ჯდება, ცდილობს, გაჰყვეს კედელს, შემოჰკრას ტაში, გამოხატავს ინტერესსა და გაკვირვებას ახალი სათამაშოს გამოჩენისას, თამაშობს დამოუკიდებლად — ათვალიერებს, ერთმანეთს უკაკუნებს სათამაშოებს, ცდილობს, მოისროლოს ისინი და ამით ყურადღება მიიპყროს, თვალით ეძებს საჭირო ნივთებს და მათი დაუფლებისკენ ისწრაფვის.

9 თვის პატარა საყრდენის გარეშე ცდილობს ფეხზე დგომას, დამოუკიდე-







ბლად დადის ჭოჭინით, ინარჩუნებს წონასწორობას, ასრულებს რთულ მოძრაობებს, აწყობს კუბებს, აგროვებს ერთნაირ საგნებს, ასრულებს მარტივ მოთხოვნებს: „მომეცი ხელი“, „დამიქნიე ხელი“ და ა.შ., რეაგირებს თავისი სახელის გაგონებაზე.

ვარჯიშთა კომპლექსის შერჩევისას ეს ყოველივე უნდა გავითვალისწინოთ. ვარჯიშები უნდა ასტიმულირებდეს ხოხვას, ხელს უწყობდეს კუნთების გამაგრებას, სწორი ჯდომისა და დგომისთვის, მოძრაობის კოორდინაციას, რიტმულობას მეტყველების განვითარებით.

გარემოსთან კონტაქტს ჩვილი შეხების რეცეპტორების მეშვეობითა და ბგერების აღქმით ამყარებს. ამიტომ ყოველი პროცედურის დროს ბავშვს უნდა ველაპარაკოთ და ვეფეროთ (სწორედ ეს უდევს საფუძვლად კონტაქტურ მასაჟს). ორგანიზმი თანდათანობით ეჩვევა განსაზღვრულ რეჟიმს — თუ ჩატარებული პროცედურა მასში სასიამოვნო ემოციებს იწვევს, დადებითად განეწყობა მის მიმართ და სიხარულით ელის მომდევნო პროცედურას.

6-9 თვის ბავშვისთვის განკუთვნილი კომპლექსის ხანგრძლივობა 10-15 წუთია.

1. ბავშვს ვაწვენთ ზურგზე, ფეხებით ჩვენკენ. ხელისგულებში ვუდებთ ცერა თითებს, რომ კარგად ჩაეჭიდოს, და გამართულ მკლავებს წრიულად ვაბრუნებინებთ მხრის სახსარში. ვიმეორებთ 4-6-ჯერ (სურ. 1).

2. ვუტარებთ მუცლის მასაჟს (სურ. 2)

3. გამართულ ფეხებს 90-გრადუსიანი კუთხით ვუხრით მენჯ-ბარძაყის სახსარში და მაღლა ვუწევთ (სურ.3).

4. ვუტარებთ ტერფების მასაჟს (ეს პროცედურა აუცილებელია ბრტყელტერფიანობის თავიდან ასაცილებლად) (სურ. 4).

5. ვაიძულებთ, ზურგიდან მუცელზე გადაბრუნდეს. ჯერ მარჯვნივ, შემდეგ — მარცხნივ. ამ დროს ვეხებით მხოლოდ ფეხებს — ბავშვი ორივე კოჭით ერთდროულად გვიჭირავს (სურ. 5).

6. ვუტარებთ ზურგის მასაჟს. ეცადეთ, ამ დროს პატარას თავი მაგიდაზე ედოს (სურ. 6).

7. მუცელზე მწოლიარე ბავშვს (ფეხებით ჩვენკენ) ორივე ხელს საჩვენებელ თითებზე მოვაჭიდებინებთ და ხელებს წინ ვუწევთ. ამ დროს პატარა ნელ-ნელა წამოსწევს თავს. შემდეგ ხელებს ვუხრით იდაყვის სახსარში და თანდათან დაბლა და უკან ვაწევინებთ. ვასრულებთ 1-2-ჯერ (სურ. 7).

8. ბავშვი ჩაჭიდებულია ჩვენს საჩვენებელ თითებს. ხელები წინ აქვს გაწეული. ვცდილობთ, თანდათანობით წამოვაყენოთ. ხელები ამ დროს განზე გაიწევს. ბავშვი დგება ჯერ მუხლებზე, შემდეგ — ფეხზე. სრულდება 1-2-ჯერ (სურ. 8).

9. ვუტარებთ გულმკერდის მასაჟს (სურ. 9).

10. ბავშვი წევს ზურგზე და ჩვენს ცერა თითებს არის ჩაჭიდებული. ვცდილობთ, თანამიმდევრობით მოვუხაროთ და გავუშალოთ ხელები ჯერ იდაყვის, შემდეგ მხრის სახსარში. როცა დამოუკიდებლად ჯდომას ისწავლის, ეს ვარჯიში მჯდომარეს ჩაუტარეთ. სრულდება 6-8-ჯერ (სურ. 10).

11. ბავშვი წევს ზურგზე, ფეხებით ჩვენკენ. ხელებს ჩვენს ცერა თითებზე ვაჭიდებინებთ. თანდათანობით ვეწევით ჩვენკენ იდაყვებში მოხრილი ხელებით და ვცდილობთ, წამოვსვათ (სურ. 11).

12. ბავშვი წევს ზურგზე, ფეხებით ჩვენკენ. ხელები ჩავჭიდოთ კოჭ-წვივის სახსარში ისე, რომ ტერფებს არ შევეხოთ. მოვახრევინოთ ფეხები მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსარში ისე, რომ ხან მარჯვენა, ხან მარცხენა ტერფით მაგიდის ზედაპირს ეხებოდეს. სრულდება 10-15-ჯერ (სურ. 12).

13. ბავშვს გვერდით დავუდგეთ. ცალი ხელით ვუკავებთ მუხლებს, რომ ვარჯიშის დროს არ მოხაროს და გამართულ ფეხებს თანდათან ვუწევთ მაღლა. იმავდროულად მეორე ხელით ვიჭერთ წელის არეში და წამოჯდომაში ვეხმარებით.

ვარჯიშის მეორე ნაწილია ბავშვის საწყის მდგომარეობაში თანდათანობით გადაყვანა — ჯერ გამოაცალეთ ხელი წელის არედან და თავი მაგიდაზე დაადებინეთ, შემდეგ ფეხები დააშვებინეთ (სურ. 13).

14. ფეხების ტრიალი მენჯ-ბარძაყის სახსარში ვაჟებისა და გოგონებისთვის სხვადასხვანაირად სრულდება.

ვაჟებისთვის: ბავშვს ვაწვენთ ზურგზე, მუხლებში ოდნავ მოხრილ ფეხებს ორივე ხელით ვიჭერთ და 90-გრადუსიანი კუთხით ვწევთ მაღლა. შემდეგ მენჯ-ბარძაყის სახსარში მოხრილ ფეხებს ნელ-ნელა ერთდროულად ვაბრუნებთ ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ (სურ. 14).

გოგონებისთვის: ვაწვენთ გოგონას ზურგზე, ფეხებს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსარში ვუხრით და თანდათან, ძალიან ფრთხილად გადავუწევთ აქეთ-იქით. ვცდილობთ, მუხლები ერთმანეთს მაქსიმალურად დავაშოროთ. შემდეგ ფეხებს ვატყუპებინებთ, ვამართვინებთ და ასე ვაშვებინებთ დაბლა.

15. ბავშვს ვაწვენთ მუცელზე. მაგიდაზე ვუდებთ საყვარელ სათამაშოს ისე, რომ ხელით მისწვდეს. ფეხებს მუხლისა და მენჯ-ბარძაყის სახსრებში ვუხრით და ხელისგულებით მსუბუქად ვუბიძგებთ ტერფებზე. ბავშვი სათამაშოსკენ გახოხდება. თუ დამოუკიდებლად ვერ ახერხებს ხოხვას, შეეშველეთ — ხელი გულმკერდის ქვეშ ამოუდეთ და სათამაშოსკენ გასწიეთ (სურ. 15).



16. ბავშვს ისე ვიჭერთ, რომ ხელებით მისი მხრის სახსარი დავაფიქსიროთ. ხელებს იღლიის ქვეშ ამოვდებთ და სახით ჩვენკენ ვაყენებთ. პატარამ უნდა გადადგას 5-8 ნაბიჯი. მერე და მერე, ამ ვარჯიშის შესრულებისას, ბავშვი უკვე არა მხრებით, არამედ მაჯებით გვიჭირავს (სურ. 16).

ბავშვები, რომელთაც ამგვარად ავარჯიშებენ, უფრო მოძრავნი, ასაკის კვალობაზე კარგად განვითარებულნი არიან. ვარჯიში განსაკუთრებით ზედმეტი წონის ბავშვებს (პარატროფიკებს) სჭირდებათ. ის კვებისა და დღის რეჟიმის კორექციის პარალელურად ინიშნება და პედიატრის მეთვალყურეობით სრულდება.

■

# ბიბლუსი

ბიბლუსი — იგივეა, რაც პაპირუსი, გრაგნილი, წიგნი

# წვეთი პოეზია



## ეს კაცი ასე ილოცავს

(ავტოპორტრეტზე წარწერილი ლექსი)

ღმერთო, მაჩვენე ყანები
ამ სარწყავთ მონაყვანები;
ღმერთო, დამასწარ ზაფხულსა,
ფქვილს ამ წისქვილზედ დაფქულსა.

ყოვლად წმინდაო, დამადევ
წყლულზედ წამალი სამთელი,
შემაძლებინე აღვანთო
მე შენს სახელზე სანთელი...

*დავით გურამიშვილი, „დავითიანი“*

# სახსოვარი



## ქართული ანდაზები

◆ ელაპარაკე რეგვენსაო, ურახუნე კედელსაო.

◆ ენას ძვალი არა აქვსო, სიტყვას ბაყი არა აქვსო.

◆ მგელი მოკვდა, მაგრამ ლეკვები დარჩაო.

◆ ერთი მერცხლის ჭიკჭიკი გაზაფხულს ვერ მოიყვანსო.

◆ ერთი ძაღლი ორ კურდღელს ვერ დაიჭერსო.

◆ ერთმა ტალახიანმა ღორმა ასი ღორი გასვარაო.

◆ ეს ქათამი ჩვენსას კაკანებს და სხვაგან კვერცხსა სდებსო.

◆ ქვეყანა კიბეა: ზოგი ადის, ზოგი ჩამოდისო.

## ქართულ სიტყვათა კონა

შედგენილია
არნოლდ ჩიქობავას რედაქტორობით
1982 წელს გამოცემული
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონის
ერთტომეულის მიხედვით

შემდგენელი თემურ ივანიძე

### მ

დასაწყისი იხ. „გზა“,
№2-52, 2010 — №1-40, 2011

**მესტი** — მოკლეყელიანი უძირო ან უყელო საძირიანი მეშის ფეხსაცმელი.

**მეტეხი** (სპ.) — რაც ადვილად ტყდება — მყიფე.

**მეფიონი** — მეფე მაყრებითურთ.

**მექულბაქე** (ძვ.) — ქულბაქის პატრონი, მედუქნე.

**მეყსეულად** (წიგნ.) — სწრაფად, უეცრად, მყისიერად.

**მეში** — ცუდი ხარისხის ცხვრის ტყავი.

**მეშჩანი** რუს. — 1. წვრილმანი, პირადული ინტერესებითა და ვიწრო იდეური ჰორიზონტით შეზღუდული ადამიანი; 2. მეფის რუსეთში — ქალაქის მოსახლეობის ვაჭარ-ხელოსანთა ფენის წარმომადგენელი.

**მეჩეჩი** — თხელი ან ნარიყი ადგილი ზღვებში, მდინარეებსა და ტბებში; თავთხელი.

**მეცენატი** — მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი (ერთ-ერთი მდიდარი რომაელის სახელიდან).

**მეძნეური** — ძნის შემკვრელი.

**მეწამული** — მუქი წითელი.

**მეწლე** — ხეხილი, რომელიც ნაყოფს წელიწადგამოშვებით ისხამს.

**მეჭურჭლეთუხუცესი** (ისტ.) — ერთ-ერთი დიდი მოხელეთაგანი ძველ საქართველოში — სახელმწიფო საჭურჭლის (სალაროს, საგანძურის) მთავარი გამგე.

**მეხეური** — გარეული (ტყის) ფუტკრის მომშენებელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# ჩვენი ოტია

ოტია იოსელიანი

## მოდის მატარებელი

„მოდის მატარებელი,
გულის გამხარებელი!“

იყო ასეთი წასამღერ-წასაღიღინებელი, შორიდან რომ ორთქლმავლის წივილ-კივილს და ბაქიბუქს გავიგონებდით. თუ ვინმეს ჰგონია, ამნაირად ამის თავდაპირველმა მთქმელმა მისალექსად და მისახაფიფებლად ინდომა, მართლა გამხარებელი რომ არ ყოფილიყო, ხომ შეეძლო ეთქვა: „მოდის მატარებელი, გულის გამწყალებელი“-ო, „მოდის მატარებელი, დამქცევ-დამანგრეველი“, ან „მოდის მატარებელი გამაპარტახებელი“, ან კიდევ „გზაკვალგაუგნებელი“... რამდენიც გინდა და, ამდენი არჩევანის პატრონმა მაინცდამაინც „გამხარებელი“ ინება.

„საიდან ვარ? ჩემი ბავშვობიდან“ (სენტ ეგზიუპერი). რა იყო ჩემთვის და რაა მატარებელი?

ჩვენი სოფლის გასათავარში: მინდვრების, ყანების და მდინარის მიღმა, ძველი ნაწისქვილარის შემაღლებაზე გადიოდა და გადის რკინიგზა. სახლიდან არა და, ეზოს ბოლოდან კარგად ჩანდა. მართალია, რკინიგზა ქუთაისიდან გადმოხვეული სალიანდაგო ჩიხია, მაგრამ კიდევ უკეთესი, რაკი მთავარი გზა რომ ყოფილიყო, ბევრი მატარებელი ივლიდა და, მოგეხსენებათ, „ოდეს ტურფა გაიაფდეს, არა ღირდეს არცა ჩირად“, და იმდენ მისვლა-მოსვლა რია-რიაში რა გავიგო. ჩვენკენ ორჯერ, დანიშნულ დროს, მოდიოდა და მიდიოდა სახალხო. საბარგო „მუშა“ კი (გუმბრინის მადანი რომ გადაჰქონდა), როცა საჭირო იყო, უგანრიგოდ.

და აი, სოფლის ერთფეროვან, არაფრის მომლოდინე და მოიმედე უსასოო ყოფაში იყო ერთადერთი: „მოდის მატარებელი, გულის გამხარებელი“ (ჩემამდე რომ არ ყოფილიყო ნათქვამი, მე ვიტყოდი).

ჰო, ჩამოსიხარულდებოდა დილით და გაბრუნდებოდა. ნაშუადღევს — საღამორელე ჩამოგრიალდებოდა და წაბაქიბუქდებოდა. ორივეჯერ დღისით, ღამით სოფლის მყუდროებას არ არღვევდა.

ქუთაისიდან მომავალი მაღლაკს რომ გამოსცდებოდა, ღელე-ოლოს ხიდზე გადმოჯირითდებოდა და ჩვენკენ შემოუხვევდა, დასჭექავდა: — მოდის მატარებელი, თქვენი გამხარებელიო! — და გავრბოდით ეზოს ბოლოსკენ. ღობესთან მივირბენდით და შუაზე გაჭრილი ჩარკინიგზებული გორაკიდან გამოქოთქოთდებოდა: — ბა-ბა-ბა.. ჰა-ჰა-ჰა-ჰა!.. ჰო-ჰო-ჰო-ჰო-ჰა-ჰა-ჰა-ჰა!.. გინდა — ფა-ფა... გინდა — ფა-ფა... ფა-ფა-ფა-ფა!.. გინდა — ფა-ფა!

მე და ჩემი ძმა აქედან შევძახებდით: — გვინდა, გვინდა!.. გვინდა ფაფა, გვინდა ფაფა!

კიდევ იქიდან:

— გინდათ ფა-ფა? ჰა-ჰა-ჰა-ჰა!..

კარგად იცოდა ჩვენი გაჭირვება, თანაგვიგრძნობდა, უნდოდა გამასპინძლება და რა ექნა, რომ ხელები დიდრონ ბორბლებზე ჰქონდა მიბმული, იქვე მუშტებად იქნევდა, ჩვენამდე არ მოუწვდებოდა, თორემ მარტო დაპირებას არ დაგვაჯერებდა, რაღაცას გვისაშველებდა; მაგრამ თანაგრძნობა და იმედიც ხომ ცოტა არაა?

არადა, ხედავდა ჩვენს სიდუხჭირეს, იცოდა რა გვაკლდა და რით ეშველა. ფაფა, მაშინ კი არა, ახლაც საცივს და მწვადს მირჩევნია.

მატარებელი... თქვენ რომ ორთქლმავალი ორთქლმავალი გეგონათ და ელმავალი — ელმავალი, ჩვენთვის ასე კი არ იყო.

ისე, დგანდგარი, ქშუილ-ფშუილი, წივილ-კივილი და ბაქიბუქი კი უყვარდა, მაგრამ ძალიც შესწევდა ქადილისა. ერთმანეთზე გადაბმულ მწვანე, კოპწია ოდასახლებს ეწეოდა და მიაგრიალებდა. არც ხარ-კამეჩი ება, არც ჯორ-ცხენი და მაინც თავქუდმოგლეჯილი მიაჯირითებდა. ის კი არადა, ჩვენი ოდა-სახლი, სამზადი და ნალიაც რომ მიგვება, ისე გააქანებდა, რომ ჩვენც შიგ ვმსხდარიყავით კერიის პირას, შავი ძროხაც ბაგაზე ყოფილიყო და ჭრელი ძროხაც...

არ იყო გულის გამხარებელი?!..

ვინ რა იცის, რა იყო მატარებელი, მაგი მე მკითხეთ და გეტყვით.

მოდის დილით ამ საათზე და მიდის იმ საათზე. საღამორელე — ამ და იმ დროზე; მე შენ გეტყვი, მოგატყუებს და დაგაღალატებს. საქმე გვაქვს საკეთებელი, სწავლა თუ თამაში გინდა, გაკვალიანებს — იცი, რა დროს რა ჰქნა და რარიგად მოახელკეთილო.

მატარებელი კი არა, საათიცაა... ოქროს საათი, ჯიბის, მაჯის, კედლის... კედლის უფრო, რაკი რეკავს... რეკავს კი არა, კივის და კივის. რომც მოუყრუო, ყურებზეც ორივე ხელი აიფარო, მაინც გაგაგონებს და გადაირევა, რომ საქმეს და სწავლას არ ეწიო. რიკ-



ტაფელა ან ჭინჭის ბურთი როდის ითამაშო... მისასვლელ-მოსასვლელი ხარ, მიმსვლელ-მომსვლელია, ასე უთავბოლოდ ხომ არ იყიალებ და... იცი, როდის რა აკეთო, აგერ, დილით, მატარებლის ჩამოსვლამდე, გასვლამდე ან წასვლის მერე დაღამებამდე...

შარაგზიდან ჩახვეულ ტალახიან ორღობეში ცხოვრობ, ზოგჯერ ურემი თუ გაიჭრიალებს... სხვას რას ელოდები ან რაა, რომ თვალს წყალი დაალევინო. და გინდა, დილიდან საღამომდე, ცისმარე დღე, თვალგასახარი თუ არა, თვალმისადევნებელი მაინც, მაგრამ არაფერი ჩნდება. მოიწყენ, გაერთფეროვნდები, გაუგულისყურდები... კი, ოცნება აბა რატომაა ოცნება, მაგრამ მთლად უსაფუძვლო, მუდამ აუხდენელი და ცაზე გამოდებული ოცნებაც არ გიშველის. რაღაცა მიწაზეც უნდა გეიმედებოდეს, რაღაცის ახდენის მოლოდინი უნდა გქონდეს...

და, მაინცდამაინც ოცნება გინდა? ა, ბატონო, მატარებელზე იოცნებე. მოლოდინი გინდა? იქონიე, რომ ჩაჯდები და ქვეყნიერებას შემოგატარებს! მე შენ გეტყვი, არ აგიხდენს და იმედს გაგიცრუებს. ნატვრა გინდა? რა უნდა ინატრო და არ აგიხდინოს? თვალის სეირი გინდა? — უყურე და ითვალსეირე. გშია? — დაპურებას გპირდება. გპირდება კი არა, იმდენს გეძახის და გაძალებს: აგერ ფა-ფა, ჰა-ჰა ფა-ფაო! თუ არ განაყრებს, შიმშილს გავიწყებს. საქმე გინდა? — რა დროს რა უნდა ქნა, გაკვალიანებს. სწავლა გინდა? — გეუბნება, როდის დაიწყო და რამდენ ხანში გეცოდინება. თვლა, ანგარიში გინდა? — ითვალე ვაგონები. ხატვა გინდა? — ხატე მატარებელი. თამაში გინდა? — ჩადექი მეზობლის გოგო-ბიჭებში, გადაებით ერთმანეთს, იდაყვში მოხრილი მკლავები და მუშტები იქნიეთ, იგუგუნეთ, ილექსეთ და იმღერეთ: მოდის მატარებელი... ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №39-40

რუსუდან ბერიძე

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com



# ვალეტი

ჩავლეიშვილმა ოფლი შეიმშრალა, პერანგი ჩაიცვა, მაგიდას მიუჯდა და საქმის კითხვა დაიწყო. ბოლო ფურცელი რომ ჩაიკითხა, თორმეტი იწყებოდა. „გადავეჩვიე მუშაობას, — გაიფიქრა მან, — იმასაც კი ვერ მივმხვდარვარ, საიდან ჯობს საქმის დაწყება. ალბათ, მაინც უფროსი ალადაშვილით უნდა დავიწყო, რომელიც მისი შვილის აზრით, ავტოავარიის შედეგად, სულაც არ დაღუპულა და არც თავი მოუკლავს. მაშ, რა უნდა მომხდარიყო?.. გურამის თქმით, მამამისი სიკვდილამდე ძალიან იყო დათრგუნვილი, რაც, ცხადია, მასზეც მოქმედებდა. თავად კი, მამის იდუმალი სიკვდილის გარდა, სხვა არაფრით ჩანდა შეშფოთებული და არც იმას ფიქრობდა, რომ მასაც ემუქრებოდა საფრთხე“.

ირაკლიმ ბლოკნოტი მოიმარჯვა, რომელშიც, გურამ ალადაშვილის გვარ-სახელის გარდა, არაფერი ჰქონდა მონიშნული და მსხვილი ასოებით ჩაწერა: „ამირან ალადაშვილი“. შემდეგ ორივე გვარ-სახელი კიდევ ერთხელ დაწერა, ოღონდ, ამჯერად თავში უფროსი ალადაშვილი მოაქცია. „ესეც ასე, — გაიფიქრა მან და ტელეფონის ყურმილს დასწვდა: — ახლა კი დროა, ღვინიაშვილიც მოვძებნო“. მაგრამ ღვინიაშვილის ტელეფონი დაკავებული აღმოჩნდა, ამიტომაც, გამომძიებელი ოთახიდან სწრაფად გავიდა და მალე კოლეგის კაბინეტის ფართოდ გაღებულ კართან აღმოჩნდა.

— საქმის მასალები წავიკითხე, — უთხრა მან ღვინიაშვილს და, თან, მაგიდასთან მდგარ მორყეულ სკამზე ფრთხილად ჩამოჯდა.

— თავი ველარ მოვაბი მაგის შეცვლას, — სკამზე დამნაშავესავით ანიშნა გოგიმ.

— არ მიკვირს. — საქაღალდე მაგიდაზე დადო ირაკლიმ.

— როგორც ხედავ, მასალა არც ისე ბევრია. — ამოიოხრა ღვინიაშვილმა. — და რაც არის, დიდად ვერც მათ ჩაეჭიდები. ვიღაცამ ან ვიღაცებმა გვიან ღამით გურამ ალადაშვილის ოფისში შეღწევა და მისი მოკვლა მოახერხეს. წაღებით არაფერი წაუღიათ. მოკლულს ფულით და საკრედიტო ბარათებით სავსე პორტმონეც კი პიჯაკის ჯიბეში ხელუხლებლად ედო. ალადაშვილების პირადი მდივანი — სოფიო ბიბილაშვილი, რომელიც მათთან წლების მანძილზე მუშაობდა, ირწმუნება, რომ ოფისშიც ყველაფერი ადგილზეაო...

— დანაშაულის ადგილზე პირველი შენ მიხვედი? — დაინტერესდა ირაკლი.

— არა. პატარიძე და ნოზაძე მივიდნენ და მერე მეც გამომიძახეს.

— ჩვეულებრივ, ასეთ დროს რაღაც შთაბეჭდილება მაშინვე ჩნდება... შენ რა გაიფიქრე? რა უნდა მომხდარიყო?

— ძარცვის მცდელობა, — არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა ღვინიაშვილმა.

— მძარცველი რამდენი იყო?

— ზუსტი მონაცემი არ გვაქვს. ისე, მგონი, ერთი იარაღი გამოიყენეს. მგონი-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ჯერ არც ტექნიკური ექსპერტიზის საბოლოო შედეგები გვაქვს.

— თავად მაინც რას ფიქრობ?

— რაზე?

— მკვლელი მარტო იყო?

— ჩემი აზრით, მარტო იყო. მაგრამ ჯერ ესეც მხოლოდ ვარაუდია, რომელსაც ვერც უარვყოფ და ვერც დავადასტურებ.

— 3 ზუსტი გასროლა... ერთი გულში, ერთი მუცელში და ერთიც შუბლში... როგორც ჩანს, მკვლელი იარაღს კარგად ფლობდა...

— ვხვდები, საითაც უმიზნებ, — ამოიოხრა ღვინიაშვილმა, — მაგრამ ეს შეიძლება, შემთხვევითობაც იყოს. როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ, შემთხვევით ნასროლი ტყვია ზოგჯერ შეიძლება, სნაიპერის ნასროლზე ზუსტიც კი აღმოჩნდეს. მაგალითად, ერთი ამერიკული სტატია მაქვს წაკითხული, სადაც...

— ვიცი, რასაც დაწერდნენ... ჩვენ კი ჯობს, იმაზე ვიმტვრიოთ თავი, ქართულ საადვოკატო ფირმაში კაცი რის წასაღებად უნდა შესულიყო?

— მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ალადაშვილებს ფული ლამის ტომრებით ედგათ.

— ასეც რომ ყოფილიყო, დავიჯერო, მკვლელი ისეთი გულუბრყვილო იყო, რომ იმას ფიქრობდა, გურამ ალადაშვილი ამხელა ფულს ოფისში შეინახავდა?

— ამ კითხვაზე თვითონ მკვლელს თუ შეუძლია, ზუსტი პასუხის გაცემა.

— ჰოდა, გაგვცემს კიდეც! — დაქადებასავით წამოიძახა ჩავლეიშვილმა და ფეხზე წამოდგა: — ახლა კი შემთხვევის ადგილზე წავალ და იქაც მივიხედ-მოვიხედავ. მართლა, იქ ვინ დამხვდება?

— ხარაიშვილი.

— ალადაშვილების თანამშრომლებს ვგულისხმობ.

— ადგილზე ალბათ, ახალი პირადი მდივანი გოგონა იქნება. სოფიო ბიბილაშვილი ჯერ ისევ შოკშია და შინიდან არ გამოდის. ისე, არც გაემტყუნება. საწყალ ქალს ჯერ მოხუცი ალადაშვილი გამოეცალა ხელიდან და გონს მოსვლაც ვერ მოასწრო, რომ უკვე გურამ ალადაშვილიც მამის გზას გაუყენა ვიღაცამ. თუ მაინც დაგჭირდა, ბიბილაშვილის სახლის მისამართი საქმეშია და შეგიძლია, ნახო.

— უკვე ვნახე. სხვათა შორის, იმ ადგილზე ხანდახან მანქანას ვაჩერებ ხოლმე.

— მაგრამ იქ რომ პარკირების ადგილი არ არის?

— ესე იგი, აღარ გავაჩერებ...

ქუჩაში გასულმა ჩავლეიშვილმა ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა. ცოტა უცნაური კი იყო, მაგრამ სამსახურში გატარებული პირველი საათები ჩვეულებრივად მოეჩვენა, თუმცა ოდნავ მაინც ნერვიულობდა. უფრო

სწორად, მარტო დარჩენის გამუდმებული სურვილი ჰქონდა, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა ღლიდა და ცოტა უჭირდა კიდეც. ქალაქის ქუჩებში მანქანით მიმავალი კი იმასაც აშკარად გრძნობდა, რომ მთელი არსებით უკან, ისევ განდეგილობაში სურდა დაბრუნება. ისევ ზღვისკენ, შემოდგომის ცარიელი სანაპიროსკენ მიუწევდა გული, სადაც ვის-ვის და დამნაშავეებსა და კაცისმკვლელებს ძნელად თუ გადაეყრებოდა. „მუშაობას გადავეჩვიე, — დაასკვნა ბოლოს ჩავლეიშვილმა, — მაგრამ არა უშავს, ადრე თუ გვიან, ყველაფერი ისევ ჩვეულ კალაპოტში ჩადგება...“

ის იყო, ირაკლიმ ალადაშვილების ოფისის რკინის კარის სახელურისკენ წაიღო ხელი, რომ კარი ხმაურით გაიღო და ზღურბლზე ლევან ხარაიშვილი გამოჩნდა.

— უკვე მოხვედი? — მაშინვე განზე გადგა იგი და გამომძიებელი შენობაში შეუშვა. — მეც ახლავე დავბრუნდები.

— საით გაგიწევია?

— რამე საჭმელს ვიყიდი, თორემ შიმშილით კუჭი მიხმება. შენ რა წამოგიღო?

— არაფერი. დიდხანს არ ვაპირებ აქ დარჩენას.

— მაინც წამოგიღებ რამეს. რა იცი, რა ხდება? — თვალი ეშმაკურად ჩაუკრა ლევანმა ირაკლის და კიბე სწრაფად ჩაირბინა.

ალადაშვილების მისაღებში ახალგაზრდა მდივანი გოგონა იჯდა. ჩავლეიშვილმა მისი გვარ-სახელი — მაია ლობჟანიძე მაშინვე გაიხსენა. ის ფირმაში სულ რამდენიმე კვირის მისული იყო და გამოძიებისთვის რაიმე ღირებული ინფორმაციის მიწოდება ნაკლებად შეეძლო. ჩავლეიშვილი გოგონას მიესალმა და მაშინვე ჰკითხა:

— ქალბატონი სოფიო ხომ არ გამოჩენილა?

— არა. ისევ სახლში ზის და ტირის, — ცოტა არ იყოს, დაუდევრად უპასუხა გოგონამ, — თუ ასე გააგრძელა, ამ უბედურებას ვერ გადაიტანს და თვითონაც მოკვდება.

— არა მგონია, ასე მოხდეს, — არანაკლებ დაუდევრად შენიშნა ირაკლიმაც და თავისი ნათქვამის თვითონვე შერცხვა.

„ალადაშვილების საადვოკატო ბიურო ხომ მარტოხელა და მარტოსული ადამიანების თავშესაფარი და სულის მოსათქმელი ადგილი იყო, — გაიფიქრა მან. ამირან ალადაშვილი თითქმის 20 წლის წინ დაქვრივდა და მეორე ცოლის მოყვანაზე არც უფიქრია. მამის ამარა დარჩენილ გურამ ალადაშვილს კი დაქორწინება ვერა და ვერ გადაეწყვიტა. უშვილო სოფიო ბიბილაშვილი ქმარს 8 წლის წინ გასცილდა და მეორედ აღარც ის გათხოვილა. ჰოდა, ეს 3 მარტოხელა ადამიანი სამსახურში მარტო სამუშაოდ კი არა, ალბათ, ერთმანეთის სანახავად და გულის გადასაყოლებლადაც დადიოდა. ახლა კი 2 მათგანი უკვე ცოცხალი აღარ არის. მათ გარეშე დარჩენილი მესამე კი ალბათ, კიდევ უფრო მარტოსულად და უკვე სრულიად მიუსაფრადაც გრძნობ თავს“.

მისაღებში ერთმანეთის მოპირდაპირედ განლაგებულ კარზე გამომძიებელმა ლითონის ფირფიტებზე საგანგებოდ ამოტვიფრული ორივე ადვოკატის გვარ-სახელები შენიშნა და, რატომღაც, პირველად ამირან ალადაშვილის კაბინეტის დათვალიერება გადაწყვიტა.

კაბინეტი ჩაბნელებული იყო, რადგან ვიღაცას სქელი, მძიმე ფარდები საგანგებოდ გაეფარებინა. ჩავლეიშვილმა კარი მიხურა, სინათლე აანთო, ირგვლივ მიიხედ-მოიხედა და მაშინვე მიხვდა, რომ ეს ოთახის დათვალიერებაზე მეტად, დროში მოგზაურობა იქნებოდა, რადგან ყველაფერს — მძიმე ტყავის სავარძლებს, მარმარილოს მაგიდას თუ კედლებზე გამოფენილ პეიზაჟებს სიძველის ელფერი დაჰკრავდა და მგონი, სუნიც ასეთივე ჰქონდა. იქნებ გურამ ალადაშვილის მკვლელი ძველებურ ფერწერულ ტილოებზე ნადირობდა? — გაიფიქრა ირაკლიმ და ერთ-ერთ პეიზაჟს მიუახლოვდა, მაგრამ, მონდომების მიუხედავად, ავტორის გვარი ვერაფრით ამოიკითხა. თუმცა რომც ამოეკითხა, საეჭვოა, საკუთარი ძალებით ნახატის ღირებულება გაერკვია, ანდა ნაყალბევი ორიგინალისგან გაერჩია. უფროსი ალადაშვილის საწერი მაგიდის გვერდით, უზარმაზარი გლობუსი იდგა. თავად მაგიდაზე კი რამდენი ავტოკალმის, ტელეფონის აპარატისა და დიქტოფონის გარდა, არაფერი იდო. ირაკლი მაგიდას მიუჯდა და იმის დაწვრილებით გახსენება სცადა, თუ რას უმტკიცებდა გურამი, როცა მყუდრო კაფეში ყავას ერთად შეექცეოდნენ და რატომ ვერაფრით მიიქცია მისი ყურადღება. „იმიტომ, რომ მაშინ საკუთარი განცდების გარდა, არავინ და არაფერი მაინტერესებდა, — აღიარა მან და თავი დამნაშავესავით დახარა, — ახლა კი გარდაცვლილი მამა-შვილის ოფისში ვზივარ და ღობე-ყორეს ვედები“. საკუთარი თავის გაკიცხვისა და დამუნათების შემდეგ, ჩავლეიშვილი ისევ საქმეს მიუბრუნდა და ახლა იმაზე დაიწყო ინტენსიური ფიქრი, თუ კონკრეტულად რით იყვნენ დაკავებულები ადვოკატები. რისგან შედგებოდა მათი სამუშაო დღე. „გასაგებია, რომ ადვოკატები პროკურორების მიერ ბრალდებულ ადამიანებს სასამართლოში იცავენ, — თავისთვის მსჯელობდა იგი, — მაგრამ კიდევ რას საქმიანობენ? რას და იურიდიულ რჩევებს აძლევენ კლიენტებს და ისინიც მათ ბევრ რამეს ანდობენ. დიახ, დიახ, ადვოკატებმა კლიენტების ბევრი საიდუმლო იციან და მათი არგამჟღავნების ფიცსაც თავიდანვე დებენ“.

ჩავლეიშვილი ფეხზე წამოდგა და, აზრის მოსაკრებად, ოთახში გაიარ-გამოიარა. „მერე? — ჰკითხა მან შემდეგ თავის თავს. — რაში მეხმარება ეს ყველაფერი?.. ჯერჯე-



რობით ვერაფერში.“ — დაასკვნა საბოლოოდ და მისაღებში გავიდა. მაია ლობჟანიძე ისევ თავის ადგილზე იჯდა. ჩავლეიშვილმა ახლა გურამ ალადაშვილის კაბინეტის კარი შეაღო, რომელიც უფროსი ალადაშვილის კაბინეტისგან დიდად როდი განსხვავდებოდა. უფრო სწორად კი ერთადერთი განსხვავება

საწერი მაგიდის გვერდით ჩამწკრივებული რამდენიმე თანამედროვე სკამი იყო; ხოლო მაგიდაზე საერთოდ არაფერი იდო. „ალბათ, კომპიუტერიცა და დოკუმენტებიც უკვე პოლიციაში წაიღეს, — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა, — მაგრამ ეს მაინც არ არის მთავარი... მთავარი სიღრმეში წვდომაა. მაგრამ როგორ? ჯერჯერობით ხომ ზედაპირზეც კი უაზროდ დავსრიალებ და იმას ვხედავ, რაზეც მანამდე სხვებმა მიამბეს“.

ჩავლეიშვილმა გურამ ალადაშვილის კაბინეტი დატოვა და ისევ მისაღებში გავიდა. იქ უკვე ლევან ხარაიშვილი დაბრუნებულიყო და მდივან გოგონას არწმუნებდა, აქ რომ საღამომდე გაძლო, ერთი ნაჭერი ხაჭაპური მაინც აუცილებლად უნდა შეჭამოო. გოგონასთან რომ ვერაფერს გახდა, ლევანი ახლა ირაკლის მიადგა, მაგრამ ისევ უარი მიიღო.

— არ გინდათ და ნუ გინდათ, მე მეტი შემხვდება, — და შემდეგ ხაჭაპურის ნაჭერი გემრიელად ჩაკბიჩა.

— რომ მორჩები, იქნებ ერთ საქმეში დამეხმარო, — სთხოვა მას ირაკლიმ.

— ახლავე დაგეხმარები, — ხაჭაპურიანი თეფში მაშინვე გვერდზე გასწია ხარაიშვილმა. — მითხარი, რა გინდა?

— მამა-შვილის დოკუმენტებში მინდა ჩახედვა, კლიენტებთან მათ მიმოწერაში შეიძლება, რაღაც საინტერესოს წავაწყდეთ და თუ გაგვიმართლა, იქნებ მომხდარის ახსნაც კი შევძლოთ.

— მომხდარის ახსნა? — შუბლი შეიჭმუხნა ლევანმა. — ალბათ, გურამ ალადაშვილის მკვლელობა გაქვს მხედველობაში, თორემ მამამისთან დაკავშირებით ხომ უკვე ყველაფერი გარკვეულია.

— რა თქმა უნდა... — თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია მას ჩავლეიშვილმა.

— ისე, კარგი იქნებოდა, პირიქით ყოფილიყო.

ირაკლის ხარაიშვილის შენიშვნისთვის თავიდან ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ მერე მაინც ჩაეძია:

— რა გაქვს მხედველობაში?

— რა და, უფროს ალადაშვილს კლიენტები თითქმის არ ჰყავდა. გურამ ალადაშვილს კი იმდენი საქმე მიჰყავდა, რომ ყველა დოკუმენტის გადახედვაზე ალბათ, უამრავი დრო წავა.

— მაშინ შენ და მაიას ხელს აღარ შეგიშლით და პირდაპირ სოფიო ბიბილაშვილთან წავალ.

— მეც ხომ არ გამოგყვე? — მაინც წამოიწია ხარაიშვილი, მაგრამ ირაკლიმ ის ხელის აწევით შეაჩერა:

— აქ დარჩი!..

ალადაშვილების ოფისიდან გამოსული ირაკლი მაშინვე მანქანაში ჩაჯდა და საკეტში გასაღები გადაატრიალა. „გარდა იმისა, რომ დაღუპულები უახლოესი ნათესავები იყვნენ, — გაიფიქრა მან, — ამ ორ შემთხვევას კიდევ რაღაც მნიშვნელოვანი უნდა აკავშირებდეს. მაგრამ რა? ამის გასარკვევად, პირველ რიგში, ამირან ალადაშვილის დაღუპვის ადგილი უნდა ვნახო. ქალბატონი სოფიო კი მოიცდის“.

ერთ საათში ჩავლეიშვილი უკვე შემთხვევის ადგილზე იყო. მანქანიდან დინჯად გადავიდა და საბარგულიდან რეზინის ჩექმები და ავტოავარიის მასალებიანი საქაღალდე ამოიღო. ფეხზე სწრაფად გამოიცვალა, საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და ირგვლივ ამის შემდეგ მიიხედ-მოიხედა. გზის ის მონაკვეთი, სადაც ამირან ალადაშვილი დაიღუპა, უკაცრიელი მოეჩვენა, რადგან მის ორივე მხარეს ცარიელი მინდვრები იყო გადაჭიმული. გზა თავიდან სწორი იყო, რამდენიმე ასეულ მეტრში კი აღმართი იწყებოდა, რის შემდეგაც გზა უკვე მარცხნივ და, თან, საკმაოდ მკვეთრად უხვევდა. გამომძიებელმა მანქანის კაპოტზე ავარიის ადგილის გეგმა გაშალა და რასაც ცხადში ხედავდა, შემდეგ გეგმასაც ადარებდა. გეგმის მიხედვით კი რამდენჯერმე ამოტრიალებული მანქანა გზიდან დაახლოებით ოცი მეტრის მოშორებით დავარდა. თავად გზაზე დამუხრუჭების არანაირი კვალი არ ჩანდა. სანამ ირაკლი ხან ავტოავარიის ადგილს, ხანაც გეგმას აკვირდებოდა, გზაზე ერთ მანქანასაც კი არ ჩაუვლია. გამომძიებელი შეეცადა, წარმოედგინა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო იმ ღამეს, როცა კლიენტისგან წამოსული მოხუცი ადვოკატი შინ ბრუნდებოდა. ხანდაზმული მძღოლი მანქანას გაუვალ ნისლში მართავდა. უცბად საჭე ვეღარ დაიმორჩილა, მანქანა თხრილისკენ გაფრინდა, თან, ჰაერში რამდენჯერმე ამოტრიალდა და საბოლოოდ ზურგზე დაეცა. მძღოლმა, რომელსაც ავარიის შემდეგ სხეულზე სულ რამდენიმე განაკაწრი თუ დარჩა, რაღაცას კეფა ისეთი ძალით მიარტყა, რომ ადგილზე, თითქმის მეყსეულად დაიღუპა. მანქანა გამთენიისას აღმოაჩინეს. ვიღაც გლეხმა ტრაქტორით ჩამოიარა და იმან შენიშნა.

სანამ ჩავლეიშვილი მანქანაში ჩაჯდებოდა, ავარიის ადგილს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი და უცბად, იმ ადგილიდან ოდნავ მოშორებით, სადაც ამოტრიალების შემდეგ მანქანა დაეცა, ტალახიდან თითქოს საგანგებოდ ამოშვერილი რაღაც საგანი დაინახა. მიახლოებისას კი, ცოტა არ იყოს, გაოცებულმა დააფიქსირა, რომ ეს ჩვეულებრივი სკამის ფეხი იყო. ჩავლეიშვილმა სკამის მოტეხილი ფეხი ტალახიდან ამოაძრო და გვერდზე ბრაზიანად მოისროლა. „ესეც შენი ავარიის ადგილი, — თავს უკმაყოფილოდ აქნევდა თბილისისკენ მომავალი ჩავლეიშვილი, — მივედი, ვნახე და... ისევ ვერაფერი გავარკვიე. ახლა დამტვრეული მანქანის ნახვაღა მრჩება. თუმცა უკვე თითქმის დარწმუნებული ვარ, იქაც ვერაფერს აღმოვაჩენ“.

თბილისში დაბრუნებულმა გამომძიებელმა პირდაპირ სოფიო ბიბილაშვილისკენ გასწია. მანქანა მისი სახლის შესასვლელთან გააჩერა, გადავიდა და კარზე ზარი დარეკა. კარის გაღებამდე, ორი-სამი წუთი მაინც გავიდა და შემდეგ, ზღურბლზე მიტკალივით გაფითრებული ქალი გამოჩნდა.

— მოგესალმებით, ქალბატონო სოფიო, მე გამომძიებელი ჩავლეიშვილი გახლავართ, — პირადობის მოწმობა აჩვენა ირაკლიმ ქალს, — თქვენთან დალაპარაკება მინდოდა.

სოფიო ბიბილაშვილი უსიტყვოდ განზე გადგა და გამომძიებელი სახლში შეუშვა. შემდეგ კი სარკესავით პრიალაიატაკიან სასტუმრო ოთახში შეუძღვა, რომლის ფართო ფანჯარაც პატარა ლამაზ ბაღში გადიოდა.

— დაბრძანდით, — მჟღერი და ცოტა ამპარტავნებანარევი ხმით შესთავაზა სტუმარს დაჯდომა სოფიომ.

ირაკლი ამ ხმამ აშკარად გააკვირვა, რადგან უკვე დარწმუნებული იყო, რომ ამ ჭაღარა და არაბუნებრივად გამხდარ ქალს დაბალი ხმა უნდა ჰქონოდა. გამომძიებელი ძველებურ დაწნულ სავარ-

ძელში მოხერხებულად მოეწყო.

— ჩაის ან ყავას ხომ არ მიირთმევთ? — ჰკითხა მას მასპინძელმა.

— არა, გმადლობთ. სულ რამდენიმე კითხვას დაგისვამთ და მაშინვე დაგტოვებთ.

სოფიო ჟურნალების მაგიდის მეორე მხარეს მდგარი კიდევ ერთი სავარძლის კიდეზე წელში საგანგებოდ გამართული ჩამოჯდა. ჩავლეიშვილს უცბად გაახსენდა, რომ თან არა მარტო ბლოკნოტი არ ჰქონდა, სავარაუდო კითხვების მომზადებაზეც კი არ უზრუნია. არადა, იცოდა, რომ როგორც დაკითხვისას, ისე მოწმეებთან საუბრისას, ალალბედზე მუშაობა დიდი შედეგის მომცემი როდი იყო.

— პირველ რიგში მინდა, მომხდარის გამო თანაგრძნობა გამოგიცხადოთ, — შორიდან დაიწყო ჩავლეიშვილმა, — ამირან ალადაშვილი სულ რამდენჯერმე მყავდა ნანახი, გურამს კი ძალიან კარგად ვიცნობდი.

— ვიცი, — მშვიდად წარმოთქვა სოფიომ.

— უკაცრავად, მაგრამ საიდან იცით? — დაინტერესდა ირაკლი.

— გურამი ხომ განქორწინების პროცესში დაგეხმარათ.

— მართალი ბრძანდებით, — დაეთანხმა ქალს ჩავლეიშვილი და როგორც იქნა, გაიხსენა, რომ სწორედ სოფიო ბიბილაშვილი დახვდა მას და მის ცოლს გურამ ალადაშვილთან პირველად მისვლისას.

„ოღონდ, მაშინ ამდენი ჭაღარა არ ჰქონდა და ბევრად უფრო ტანსრულიც იყო“, — გაიფიქრა ჩავლეიშვილმა, მაგრამ მაინც გაუკვირდა, რომ ქალი მაშინვე ვერ იცნო:

— კარგი მახსოვრობა გქონიათ.

— ნამდვილად არ ვუჩივი, — გაეღიმა სოფიოს, — ადამიანის სახელი შეიძლება, კიდევ დამავიწყდეს, მაგრამ სახე — არასოდეს.

ამის შემდეგ ოთახში მცირე ხნით სიჩუმე ჩამოწვა, რომელიც შემდეგ ქუჩაში ჩავლილი მანქანის ხმაურმა დაარღვია. ჩავლეიშვილი მიხვდა, რომ ამ ქალთან სასაუბროდ, ახლა არ უნდა მოსულიყო, რადგან თავში არც ერთი საჭირო კითხვა არ მოსდიოდა. თან, ცოლთან დაშორების მძიმე პერიოდის გახსენებამაც თავისი ქნა და ხასიათი გაუფუჭა.

— ჩვენი თანამშრომელი გოგი ღვინიაშვილი უკვე გესაუბრათ, — ბოლოს, როგორც იქნა, ამოღერღა მან, — მაგრამ გამოძიების მსვლელობისას დამატებითი კითხვები ჩნდება და ზოგი რამის დაზუსტებაც აუცილებელი ხდება.

— რა თქმა უნდა, — მაშინვე დაეთანხმა გამომძიებელს სოფიო, — მკითხეთ, რა გაინტერესებთ.

— იმას, რაც გამოძიებამ უკვე იცის, აღარ შევეხები, თუ, რა თქმა უნდა, ღვინიაშვილთან საუბრის შემდეგ კიდევ რაღაც არსებითი არ გაგახსენდათ.

— არსებითი არაფერი გამხსენებია.

— მკვლელობის დღეს სამსახურიდან როდის წამოხვედით?

— ექვს საათზე, ან შეიძლება, შვიდის ხუთ-ათ წუთზე... იმ საღამოს რამდენიმე წერილი შევამოწმე, შემდეგ ბატონ გურამს კაბინეტში დავურეკე და ვკითხე — კიდევ ხომ არაფერში ვჭირდებოდი. მიპასუხა, რომ შენი სამუშაო დღე უკვე დასრულებულია და შეგიძლია, შინ წახვიდეო. მეც სწორედ ასე მოვიქეცი.

— თავად კი სამსახურში დარჩა, ხომ?

— დიახ.

— ხომ არ იცით, რისთვის დარჩა?

— როგორ თუ რისთვის?! — გაკვირვებით შეხედა ქალმა გამომძიებელს. — სამუშაოს გაგრძელება აპირებდა. გურამ ალადაშვილისნაირ სერიოზულ ადვოკატებს, როგორც წესი, განუსაზღვრელი სამუშაო დღე აქვთ.

— მესმის, რომ გურამი ბევრს მუშაობდა, მაგრამ იმ საღამოს რამე განსაკუთრებულად საჩქარო საქმე ხომ არ ჰქონდა?

— ჩვენთან ყველაფერი საჩქაროა. თანაც, ბოლო ხანებში გურამი, რომ იტყვიან, მართლა საქმეში იხრჩობოდა, რადგან მამამისის მკვლელობის შემდეგ მისი საქმეებიც გადაიბარა.

— მკვლელობაში ბატონი ამირანის ავტოკატასტროფაში დაღუპვას გულისხმობთ თუ?..

— რა თქმა უნდა! აბა, სხვა რა უნდა მეგულისხმა?

— მაგრამ თქვენ ხომ სიტყვა „მკვლელობა“ ახსენეთ.

— დიახ... ადამიანი, როგორც წესი, ან თავისი სიკვდილით კვდება ანდა, სხვები კლავენ.

— მეც ამას ვგულისხმობ.

— სიკვდილი საკუთარ საწოლში, ავადმყოფობით, ანდა, კიდევ რაღაც ამის მსგავსი მიზეზით დგება, — ისე განაგრძო სოფიომ, თითქოს გამომძიებლის სიტყვები საერთოდ არ გაუგონიაო, — და ამ მიზეზებს ბუნებრივს უწოდებენ.



— გეთანხმებით...

— მაგრამ სულ სხვაა, როცა ადამიანი ავარიაში იღუპება... ალბათ, ისევ დამეთანხმეთ, რომ ეს უკვე აღარ არის ბუნებრივი სიკვდილი. ანუ ადამიანი მოკლეს. ასე არ არის?

— ასეა, — ქალთან კამათი შეგნებულად აღარ გააგრძელა ჩავლეიშვილმა, რადგან მიხვდა, რომ სოფიოს სულ სხვა რაღაც ჰქონდა მხედველობაში და რომ ეს „სხვა რაღაც“ სრულიად შემთხვევით წამოსცდა და მას აღარაფით მიუბრუნდებოდა, — იმის გახსენება თუ შეგიძლიათ, რას აკეთებდა გურამი გასულ კვირას? მაგალითად, სამშაბათს ან ოთხშაბათს?

— ვერ გეტყვით, რადგან სამშაბათ-ოთხშაბათს გურამი ქალაქში არ ყოფილა, — არც კი დაფიქრებულა, ისე უპასუხა სოფიომ, — მითხრა, მამის სიკვდილის შემდეგ ცოტა გონს მოსვლა მჭირდებაო და მეც, ბუნებრივია, ამ ორ დღეს დანიშნული ყველა შეხვედრა სხვა დროისთვის გადავიტანე.

ამ სიტყვების შემდეგ სოფიო მოულოდნელად ატირდა, რამაც ისედაც დაბნეული ჩავლეიშვილი საბოლოოდ დააბნია და სხვა რომ ველარაფერი მოიფიქრა, სავარძელში გვერდი იცვალა. სოფიო კი ფეხზე სწრაფად წამოდგა და სამზარეულოში გავიდა, საიდანაც ერთხანს მისი სლუკუნი ისმოდა. შემდეგ ქალი ისევ ოთახში შებრუნდა...

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*




დასაწყისი იხ. „გზა“ №23-40

არ მეგონა, იმ ყველაფრის შემდეგ საშკა კიდევ თუ გაბედავდა ჩემთან დალაპარაკებას. ისეთი აღრენილი ხმით ჩავძახე „ალო“, რომ თავად გამიკვირდა. ჩემდა საბედნიეროდ, ნუკრი აღმოჩნდა.

— ანა, როგორ ხარ?

— კარგად, საყვარელო. რამე ხომ არ მოხდა?

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, შენი ნახვა მინდა, ერთი პატარა, არამშვიდობიანი საქმე მაქვს შენთან. როდის გნახო?

— სასწრაფოა რამე? კარგად ხართ?

— კარგად ვართ, კარგად. მითხარი, როდის გნახო და სად.

— მაშინ ცხრისთვის ჩემთან მოდი, შინ დაგხვდები, კარგი?

— კარგი, მოვალ.

შევფიქრიანდი. კიდევ რამე ხომ არ დარჩა გასარკვევი? განა რას უნდა ნიშნავდეს „არამშვიდობიანი საქმე“? ცოტა არ იყოს, უსიამოვნოდ გამკრა გულში.

— სახლში წასასვლელად ემზადები? — მომესმა უეცრად ზურგიდან ლადოს ხმა.

იმდენად არ ველოდი, ადგილზე შევხტი და, ყურმილი დავკიდე თუ არა, ნელა შემოვბრუნდი. მისი სახის გამომეტყველებიდან ძნელი სათქმელი იყო, ჩვენი საუბრის რა ნაწილი მოისმინა, მაგრამ დაძაბულობამ, რომელიც ყოველთვის მიპყრობდა მის დანახვაზე, ამჯერად ერთიანად მომიცვა. ცოტა არ იყოს, გავღიზიანდი.

— თქვენ რა, ყურს მიგდებდით?

— უკმეხად ვკითხე.

— ვინ არის „საყვარელო“? — ჩემი შეკითხვა არად ჩააგდო და თავად დამისვა კითხვა.

კბილები ძლიერად დავაჭირე ერთმანეთს და ათამდე დავითვალე, რომ რამე საშინელება არ წამომცდენოდა. შემდეგ ორჯერ ღრმად ამოვისუნთქე და თითქმის დამშვიდებულმა ხმადაბლა მივუგე.

— მე მგონი, მაქვს უფლება, ერთი საათით გავიდე და ახლობელ ადამიანებს შევხვდე, — შეგნებულად არ ვუთხარი, ვის დაველაპარაკე.

— რა თქმა უნდა, გაქვს, თუ მხოლოდ ერთ საათზეა ლაპარაკი, — ყოველგვარი ირონიის გარეშე მომიგო.

— და ერთი ღამით რომ იყოს, არა? — შუბლი შევჭმუხნე, — მით უმეტეს, როზა დეიდა თავს მშვენივრად გრძნობს და ჩემი დახმარება აღარ სჭირდება.

— არც ამას გიშლის ვინმე. უბრალოდ, ისე ვიკითხე. შეგიძლია წახვიდე და, თუ საჭიროა, დარჩე კიდეც.

წამით დავიბენი. მეგონა, დამიშლიდა. მეტყოდა, ახლა მთელი ღამით წასვლა როგორ იქნება, აქ უამრავი საქმეა გასაკეთებელიო... დაკვირვებით შევხედე. რამდენჯერმე ჩრდილმა გადაურბინა სახეზე. ჩემთვის გაუგებარი მიზეზის გამო, რატომღაც, ამწუთას მტაცებელ ცხოველს მივამსგავსე, საიმედოდ ჩასაფრებული, ნახტომისთვის რომ ემზადება. ბოლო ხანებში საკუთარ თავს ავუკრძალე ამ თემაზე ფანტაზიების აგება და ფიქრიც კი, თუმცა ახლა კვლავ ამომიტივტივდა. ისევ ხომ არ გაუჩნდა ჩემი საყვარლობის სურვილი? და თუკი გაუჩნდა, რატომ არაფერს მეუბნება? და თუ გადაუარა, რატომ მაკონტროლებს? სანამ სათანადო დასკვნებს გამოვიტანდი, ლადო კაბინეტიდან გავიდა და კარი უხმაუროდ გაიხურა.

ამოვიოხრე. ერთმანეთის საწინააღმდეგო აზრები მომდიოდა თავში. ვერა და ვერ გამოვიცანი, ბოლოს და ბოლოს, რა უნდოდა ამ კაცს ჩემგან. არც თავიდან მიშორებდა, არც ახლოს მიშვებდა. არადა, მოლოდინმა დამტანჯა. თვითონ არ ვიცოდი, რა მინდოდა. დათანხმებას არ ვაპირებდი, თუმცა გულის სიღრმეში ერთი სული მქონდა, როდის გაიმეორებდა თავის წინადადებას.

საღამომდე უაზროდ დავდიოდი აქეთ-იქით, გული ვერაფერს დავუდე. თან ნუკრის ნახვას ვეშურებოდი, რათა გამეგო, რა უნდოდა ჩემგან, თან ლადოზე ვფიქრობდი.

ერთი საათით ადრე მივედი სახლში, რამდენიმე ნაჭერი ნამცხვარი ვიყიდე, რომ მთლად ხელცარიელი არ დავხვედროდი ჩემს ახალშეძენილ ძმას.

სუფრა გავშალე, ხილი და კანფეტებიც შევმატე მაგიდას და საათს ავხედე. ნუკრი მთელი 40 წუთით იგვიანებდა. ცოტა არ იყოს, გამიკვირდა. თითქოს არ სჩვეოდა დაგვიანება. დრო გადიოდა, ის კი არ ჩანდა. კიდევ ცოტაც და ნერვული აშლილობის ზღვარზე დავდექი. რამდენჯერმე დავურეკე მობილურზე, მაგრამ გამუდმებით გამორთული ჰქონდა. ვიფიქრე, ნანასთან დავრეკავ-მეთქი, მაგრამ მაშინვე უკუვაგდე ეს აზრი, იქნებ რამე ისეთია, რასაც მას უმალავს და მხოლოდ მე მიზიარებს-მეთქი. სადღაც, გულის სიღრმეში, მესიამოვნა კიდეც, თუკი მართალი აღმოვჩნდებოდი. ამასობაში შუაღამემ მოაღწია. მეტის მოთმენა არ შემეძლო. მისამართიც არ ვიცოდი, რომ სახლში ავდგომოდი. ნანასთან გასვლა კი საჭიროდ არ ჩავთვალე.

ორი საათი იყო დაწყებული, კარზე ფრთხილი კაკუნი რომ გაისმა. ფეხზე წამოვიჭერი და შეშლილივით გავვარდი ჰოლში...

ნუკრის სახე გაჰფითრებოდა.

— რა დაგემართა? — მე უარეს დღეში ჩავვარდი.

მოულოდნელად მის უკან კიდევ უფრო გაფითრებული ნანა შევნიშნე.

— მარტო ხარ? — ამოიხრიალა ნუკრიმ და შიგნით შემოსულმა ქურდულად მიმოიხედა ირგვლივ.

— ჰო, აბა ამ დროს ვინ მეყოლება, — შეშინებულმა ამოვთქვი და ოთახში შევუძეხი ორივეს, — არ მეტყვით, რა ხდება?

— გეტყვით, სხვა რა გზა გვაქვს, — ამოოხვრით დაიწყო ჩემმა დამ და ხელები მუხლებზე დაიბჯინა, — ჩემი ქმარია დაჭერილი, — და თვალები აუცრემლიანდა.

— რას ამბობ! — შევიცხადე, — როდინდელი ამბავია? რატომ? — სიძე ნანახი არ მყავდა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

— რაღაც დარღვევა აღმოუჩინეს სამსახურში. რა თქმა უნდა, მისი ბრალი არ იყო, მაგრამ ახლა ხომ იცი, როგორი დროა, რასაც უნდათ, იმას დაგაბრალებენ.

— რას ჰქვია დაგაბრალებენ! — გავაპროტესტე.

— ანა, ძვირფასო, სხვა დროს მოგიყვები, ახლა ყოველი წამი ძვირფასია ჩვენთვის. როგორმე უნდა მოვაგროვოთ ფული, რომ პატიმრობიდან დავიხსნათ. უფრო სწორად, 6 თვეზე დავუყვანოთ სასჯელი.

— და რა უნდა გააკეთოთ?

— დღეს საპროცესო გარიგებას მოაწერა ხელი, აღიარა დანაშაული. სხვანაირად არაფერი გამოვიდოდა, 4-წლიანი მუხლი ემუქრებოდა. ზეგ სასამართლო პროცესია და 10.000 თუ არ შევიტანეთ, დაღუპულები ვართ.

— მაგრამ მე...

— ვიცი, რომ ამდენი არ გექნება და არც გთხოვ... 6.000 მოვაგროვეთ, 4 გვაკლდება. იქნებ გვაშოვნინო, პროცენტიანიც რომ იყოს, თანახმა ვარ. იმ სახლს სასწრაფოდ გავყიდი და დავაბრუნებ. ყველაფერს ნოტარიულად გავაფორმებ, გამქცევი არ ვარ, ხომ გჯერა?

შევწუხდი. სად უნდა მეშოვა ამხელა თანხა? ვისთვის უნდა მეთხოვა დახმარება?

— იმიტომ დაგვაგვიანდა, რომ შენი შეწუხება არ გვინდოდა. ვიფიქრე, მეგობრები და ახლობლები დამეხმარებიან და არ გამიჭირდება-მეთქი, მაგრამ მაინც ვერ მოგროვდა იმდენი, რამდენიც გვჭირდებოდა.

— დიდი ხანია, დაჭერილია?

— თვე გავიდა უკვე. შენ არ გითხარით, რა ვიცი... — თვალი ამარიდა ნანამ.

— გვეგონა, გაამართლებდნენ და გამოუშვებდნენ, იმიტომ არ გითხარით, — „გამოასწორა“ ნუკრიმ დის ნათქვამი.

— და კიდევ... თუ ფულს არ მივიტანთ, ნუკრისაც დაიჭერენ. უბრალოდ, ამწუთას არაფერში სჭირდებათ მისი მხილება.

— ნუკრი? — თავზარი დამეცა, — შენ რა შუაში ხარ? — ნახევარძმას შევხედე, რომელსაც ქალივით ლამაზი სახე მიტკალივით გასთეთრებოდა.

— ეს ისეთი ჩახლართული ამბავია... მე ხომ მათ სარეკლამო კლიპებს ვუკეთებდი... ზედმეტი თანხა იწერებოდა და მერე სხვანაირად ნაწილდებოდა... მე არაფერ შუაში ვარ... — მხრები აიწურა ბიჭმა, — მაგრამ თუ ბოლომდე ჩაეძიებიან ყველა წვრილმანს, მეც დამიჭერენ ამ ყველაფრის დამალვისთვის.

ამის გაგონებაზე გული ლამის გამისკდა. ნუკრი სიგიჟემდე მიყვარდა. დანახვისთანავე ვიგრძენი, როგორი ახლობელი იყო ჩემთვის, ნანაზე მეტად ახლობელი. მისი გულისთვის შეუძლებელს შევძლებდი, თუმცა... ცოტა არ იყოს, მაინც მეწყინა. აქამდე მიმალავდნენ, არაფერი მითხრეს და როცა გაუჭირდათ, მაშინ მომადგნენ. მაგრამ ახლა გაბუტვის დრო არ იყო. როგორმე უნდა დავხმარებოდი. რა თქმა უნდა, ვალდებული არ ვიყავი, მაგრამ მინდოდა ორივესთვის დამემტკიცებინა, რომ ჩემი არსებობა მათთვის სულაც არ იყო უმნიშვნელო, რომ მეც შემეძლო რაღაც და ჩემი შეძენით არაფერი წაუგიათ. აი, ამის დამტკიცება მინდოდა... თანაც, ძალიან, ძალიან...

— არ ვიცი, რა ვიღონო, — სასოწარკვეთილმა ხელები გავშალე.

— არავინ გეგულება, ფულს რომ აპროცენტებდეს? — გამიმეორა ნანამ.

— არა, არავინ, მაგრამ... მოვიფიქრებ რამეს, — წამით გონებაში ლადომ გაიელვა. მას რომ ვთხოვო? ამხელა თანხა? მერე რა? გავისტუმრებ. თანაც, ცოტა მოგროვებული მაქვს, 1.000 დოლარი მაინც მექნება...

— მიდი რა... და სიკვდილამდე ვალში ვიქნები შენთან, — ნიკაპი აუკანკალდა ნანას, — ვახოს გარეშე დავიღუპები, ბავშვებს რა ვუყო?

— კარგი, ნუ ტირი, მოვახერხებთ რამეს, — ნუკრიმ გულში ჩაიკრა ქალი და მე გადმომხედა.

მოულოდნელად რაღაც გამახსენდა. წამით თვალები დავხუჭე, როცა წარმოვიდგინე, რაც უნდა გამეკეთებინა, მაგრამ მაინც მტკიცედ მივიღე გადაწყვეტილება.

— კარგი, ხვალ ჩაგაბარებთ ფულს, — თავაზეულმა გამოვაცხადე.

— მართლა? — ნანა ფეხზე წამოხტა, — გვქონდეს შენი იმედი?

— ჰო, რა თქმა უნდა, რადგან ვთქვი, ესე იგი, გავაკეთებ კიდეც. ოღონდ ზუსტად არ ვიცი, რა დროს მექნება ხელთ თანხა. დაგირეკავ.

— მთავარია, საღამომდე იყოს, ზეგ დილით უნდა ჩავიტანოთ.

— იქნება, ნანა, არ დაგაღალატებ! — ისე დარწმუნებით ვუთხარი, თითქოს ფული უკვე ხელში მეჭირა.

— მაშინ წავალთ ჩვენ...

— მოიცა, ყავა დავლიოთ, ნამცხვარი...

— არა, დიდი მადლობა, ისეთი დაცლილი ვარ, ცოტა თუ არ წავუძინე, ხვალ ადამიანად ვერ ვივარგებ. თან ბავშვები ტასოსთან დავტოვე, არც ვიცი, დაიძინებენ თუ არა უჩემოდ. სამნი არიან და ხომ იცი...

— გასაგებია, — თავის დაქნევით ვთქვი და ორივე კარამდე მივაცილე.

უკან რომ შემოვბრუნდი, ღონემიხდილი ლოგინზე მივეგდე და ყრუდ დავიკვნესე...

როზა ადგილზე გაშეშდა, მე რომ დამინახა.

— რა მოხდა ანა, რა გჭირს?

— ცუდად გამოვიყურები, არა? — სიმწრით გავიღიმე.

— საფლავიდან წამოყენებულ მიცვალებულს ჰგავხარ. მოხდა რამე?

— ისეთი არაფერი... ლადო შინ არის? ხომ არ გამასწრო? საქმე მაქვს...

თითქოს ამას ელოდაო, ზღურბლზე „სალი კლდე“ გამოჩნდა. ჩემს დანახვაზე წარბები აზიდა და კითხვით სავსე მზერა მომაპყრო.

— რაღაც ადრე მოსულხარ...

— უნდა დაგელაპარაკოთ, ბატონო ლადო, — რაც შეიძლებოდა, მშვიდად მივმართე. ასე მეგონა, ყოველგვარი მგრძნობელობა დავკარგე, დაცლილი ვიყავი ემოციებისგან. რობოტივით ვმოქმედებდი.



მამაკაცმა საჩვენებელი თითი გაიქნია და მიმანიშნა, ჩემთან გავიდეთო. უხმოდ მივყევი უკან. მთელი სხეულით ვცახცახებდი და ვცდილობდი, როგორმე ამეყვანა თავი ხელში. მის

კაბინეტში შევედით თუ არა, ლადომ კარი მჭიდროდ მიხურა და ჩემკენ შემობრუნდა.

— აბა! გისმენ!

— იცით... მე ბევრი ვიფიქრე თქვენს წინადადებაზე და... თანახმა ვარ.

შევამჩნიე, რომ მის თვალებში უცნაურმა ნაპერწკალმა გაიელვა, თითქოს ვიღაცამ ასანთს გაჰკრაო, თუმცა ამწუთას ჩემთვის ყველაფერი სულერთი იყო. ისე ადვილად წარმოვთქვი ეს სიტყვები, თვალი არ დამიხამხამებია. სინდისის ქენჯნა საერთოდ არ მიგრძნია.

— თანახმა ხარ რაზე? — ვითომ ვერ მიხვდა, რას ვგულისხმობდი.

არც ახლა მქონია რეაქცია. სხვა დროს ალბათ შეურაცხყოფისგან მოვკვდებოდი, მაგრამ ახლა, როცა ასე ძალიან მინდოდა ჩემს და-ძმასთან თავის გამოჩენა, სირცხვილის გრძნობა სრულიად დამკარგოდა. მით უფრო, როცა საქმე ნუკრის ეხებოდა.

— რაზეც მაშინ ვილაპარაკეთ, ჩემს ოთახში. თქვენ რომ შემოთავაზება გქონდათ ჩემთან, — ისე თავხედურად გავახსენე, თითქოს ვალი ჰქონდა ჩემი და არ მიბრუნებდა.

— ააა! მივხვდი. ანუ, გინდა, ჩემი საყვარელი გახდე? — დააკონკრეტა.

ნდომით ნამდვილად არ მინდოდა, მაგრამ ახლა ეს რომ მეთქვა, სამუდამოდ უნდა დავმშვიდობებოდი ფულზე ფიქრს, ამიტომ პასუხი არ გავეცი, მხოლოდ თავი დავუქნიე.

— გასაგებია.... შემიძლია, გკითხო, რამ მიგაღებინა ასეთი გადაწყვეტილება?

ყველაზე რთული ამ კითხვაზე პასუხის გაცემა იყო ჩემთვის, თუმცა ახლა არ გამჭირვებია და სრულიად გულგრილად ვუპასუხე.

— თქვენ მართალი აღმოჩნდით. რაღაც ოცნებები მეც მაქვს, თუმცა მათი განხორციელება ჩემს შესაძლებლობებს აღემატება. ამიტომ მე ფული მჭირდება, თქვენ — ქალი. ჰოდა, თანახმა ვარ, მივიღო თქვენი წინადადება.

— მდააა... — კეფა მოიქექა გაოგნებულმა, აშკარად საგონებელში ჩავარდა, — და, ალბათ, უკვე გექნება განსაზღვრული, რა რაოდენობის თანხაზეა საუბარი, არა?

— დიახ... 3.000 დოლარზე.

ახლა კი ველარ შეძლო განცვიფრების დამალვა და თვალები გაუფართოვდა.

— ასე ცოტა? მე კი მეგონა, ბევრად მეტად აფასებდი შენს თავს. ყოველ შემთხვევაში, მაშინ ასეთი შთაბეჭდილება დატოვე, — უსაზღვრო აღმოჩნდა მისი ირონია.

მეც არ დავიხიე უკან და მივუგე.

— სიმართლე გითხრათ, მე 10.000 მჭირდება, მაგრამ არა მგონია, თქვენ ამდენად გიღირდეთ, ამიტომაც მოვითხოვე ნაკლები. პირველ ეტაპზე ვიმყოფინებ.

მეგონა, ჩემი ახალი „ვარიანტი" უფრო გააკვირვებდა ან შეაცბუნებდა მაინც, მაგრამ არა, ერთი კუნთიც არ შერხევია სახეზე.

— აჰა! ამას კიდევ არა უშავს...

— გაქვთ ამდენის შესაძლებლობა? — მაინც ვუკბინე.

სულაც არ მჭირდებოდა ამხელა თანხა, მაგრამ სინდისი უკვე დაკარგული მქონდა და თუ საკუთარი სხეულის გაყიდვა იყო, ბარემ სარფიანად გამეყიდა, რატომ უნდა დამემცირებინა თავი რაღაც 3.000 დოლარის გულისთვის?

— თავისუფლად... თანხა ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენს, თუმცა... შენ ალბათ წერილობითი საბუთი გჭირდება, ხელის მოწერებით და მთელი ამბებით, რომ მერე პრეტენზია არ გქონდეს. ასეა?

— მე მჭირდება, თუ თქვენ? — უტიფრად შევაჩერდი.

— ორივეს. ვიცი, რომ გადარიცხვას არ დამთანხმდები. ეს არც მე მინდა, რათა პრობლემა არ შემექმნას საგადასახადოსთან. არადა, მე რომ ფული მოგცე და მერე მითხრა, გადავიფიქრეო, თანხას ვერ დავიბრუნებ და სადღა გდიო? თუკი საბუთი მექნება, უფრო მშვიდად და გარანტირებულად ვიქნები. ეს ხომ საქმიანი გარიგებაა, არ მეთანხმები?

მივხვდი, რომ უკან დასახევი ყველა გზა მომიჭრა. პასუხად ხრინწიანად ჩავიცინე და ისეთი უცნაური ბგერები ამოვუშვი, თავადვე შემეშინდა.

— რაღაც მაგდაგვარს ველოდი, — ჩავილაპარაკე და მის აზიდულ ცალ წარბს ირონიით გავხედე, — თქვენ ჭეშმარიტი ბიზნესმენი ხართ, ბატონო ლადო... მართალი ხართ, მე ხელზე ფული მჭირდება და არა გადარიცხვა.

საერთოდ არ ვნერვიულობდი და ეს ყველაზე მეტად მიკვირდა. რატომ ვარ ასეთი გულგრილი? იქნებ მოვკვდი და ეს ყველაფერი მომაკვდავი გონების ბოდვაა? ცალი ხელი ზურგს უკან დავმალე და ფერდზე ვიჩქმიტე. არა, ცოცხალი ვარ და ეს სიტუაციაც რეალურია.

— რადგან ეს გარიგებაა, მეც მაქვს უფლება, რამდენიმე პირობა წამოგიყენო. თანახმა ხარ, მოისმინო, ანა?

პასუხად კვლავ უსიტყვოდ დავუქნიე თავი.

— ძალიანაც კარგი. მაშინ დავიწყოთ. პირველი: შენ ამ სახლში უნდა დარჩე მანამ, სანამ გარიგების ბოლო ეტაპი არ დამთავრდება. არ მინდა, საძებნი გამიხდე, როცა... ხომ გესმის... მეორე: ეს არის ჩვენი ურთიერთობის ხანგრძლივობა. ვფიქრობ, 2-3 თვე სრულიად საკმარისი იქნება. მე მალევე მბეზრდება ერთფეროვნება. მესამე: ჩვეულებრივად გააგრძელებ მუშაობას და ამაში ერთ თეთრსაც არ გადაგიხდი... და მეოთხე: თავდაცვის საშუალებები უნდა გამოიყენო... მხოლოდ შენ.

ყოველი მომდევნო პუნქტი მეტად და მეტად მაოცებდა. საოცარი სისწრაფით მეცვლებოდა გამომეტყველება. ვიცოდი, რომ ამხელა თანხის სანაცვლოდ საუკეთესო პირობებს არავინ შემომთავაზებდა, მაგრამ მეოთხე პირობამ მართლაც განმაცვიფრა.

— მე რა უნდა გამოვიყენო? — რაღაც ვერ გავიგე. რატომღაც, იმწუთას ვერ ვიფიქრე, რომ პრეზერვატივის გარდა, თავდაცვის სხვა საშუალებებიც არსებობდა.

— აბები უნდა დალიო... არ იცი, რომ ამ დროს ქალები აბებსაც იყენებენ?

— ვიცი, კი, — ყრუდ მივუგე და ამ ხნის განმავლობაში პირველად მოვარიდე მზერა.

აბსურდული სიტუაცია შეიქმნა. უკვე ვნანობდი, ასეთ სარისკო ნაბიჯს რომ ვდგამდი, მაგრამ გვიან იყო, უკან წამელო ჩემი თანხმობა. თითქოს უკანასკნელად გაიბრძოლა ჩემმა მომაკვდავმა თავმოყვარეობამ. რაღაც მწარე უნდა მეთქვა.

— ვხედავ, ყველაფერი გადასარევად მოგიფიქრებიათ. რაც მართალია, მართალია. თქვენ ამისთვის უამრავი დრო გქონდათ, — და სარკასტულად გავუღიმე.

— ანუ თანახმა ხარ? — კიდევ ერთხელ ჩამეკითხა.

— თანახმა ვარ.

ის მაგიდას მიუჯდა და გამალებით შეუდგა რაღაცის წერას. სამარისებურ სიჩუმეს მხოლოდ ოქროსბურთულიანი კალმის წრიპინი არღვევდა. კალამიც კი ბიზნესმენური ჰქონდა.

როგორც იქნა, წერა დაამთავრა და ფურცელი გამომიწოდა. დავხედე. თვალში დიდი ასოებით დაწერილი „კონტრაქტი" მომხვდა... რა სასაცილო იყო ეს ყველაფერი...

— წაიკითხე და ხელი მოაწერე, — ოდნავ ნერვიული ხმით მითხრა და მეორე თაბახზე დაიწყო წერა.

კითხვას შევუდექი, თუმცა თავში არაფერი შემდიოდა და ვერც ასოებს ვხედავდი რამდენიმე წამის განმავლობაში. ახლა სულაც არ მაინტერე-

სებდა, რა ეწერა ამ ფარატინა ქაღალდზე. მე მხოლოდ ფული მაინტერესებდა, რათა, პირველ რიგში, ნუკრი გადამერჩინა.

— ფულს როდის მივიღებ? — უტიფრად ვკითხე.

— მაშინვე, როგორც კი პირველი პუნქტი შესრულდება. ძალიან გეჩქარება?

— გაჭიანურება არ მინდა... სასურველია, რაც შეიძლება, მალე.

— ანუ დღესვე?

— თუ არის შესაძლებელი, რა თქმა უნდა...

— კარგი, ეგრე იყოს. მე მხოლოდ გამიხარდება, თუკი ასე მალე შევუდგებით წამოწყებულ საქმეს, — კმაყოფილებით ჩაიღიმა, — მაშინ დღესვე იყოს. ჰო, კიდევ ერთი, რომ არ დამავიწყდეს. ეს განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია ჩემთვის და კონტრაქტშიც შენთან შეთანხმების გარეშე შევიტანე. სანამ ჩემთან ხარ, არც ერთ მამაკაცს არ ექნება უფლება, შეგეხოს... შეგეხოს კი არა, ახლოს გაგეკაროს. გასაგებია, რასაც ვგულისხმობ? მე ძალიან ეჭვიანი ვარ, როცა საქმე ჩემს... ჩემს საკუთრებას ეხება!

საკუთრებას! ეს სიტყვა უსიამოვნოდ მომხვდა ყურში. მორჩა, უკვე ნივთი გავხდი, საქონელი, რომელიც მან იყიდა! ან იქირავა! რა სულმდაბალი ვარ! ქალი, რომელიც საკუთარი სხეულით ვაჭრობს! თუმცა, ესეც უემოციოდ გავიფიქრე, მხოლოდ ყასიდად ვტუქსავდი ჩემს თავს. უცებ რაღაც მომაფიქრდა და ჩემდა უნებურად დავიწყე.

— თქვენი მხრიდან სამართლიანი მოთხოვნაა, ბატონო ლადო. შეიძლება იგივე პუნქტი მეც დავამატო ჩემი მხრიდან?

მან წერა შეწყვიტა და გაოცებულმა ამომხედა.

— რატომ მიყურებთ ასე? რადგან თქვენ აზების მიღებას მთხოვთ და პრეზერვატივის გამოყენებაზე უარს ამბობთ, მეც მაქვს უფლება, თქვენგანაც მოვითხოვო, რომ სხვა ქალს არ გაეკაროთ, სანამ ჩემთან იქნებით. მე რა ვიცი, ვისთან დაწვებით და რა ვენერიულ დაავადებას გადამდებთ მერე! მით უმეტეს, თურმე ერთფეროვნება მალე გბეზრდებათ. მინდა, ამ მხრივ მეც ვიყო დაცული! — შეგნებულად ვამბობდი თითოეულ სიტყვას უხეშად და აგდებით, რომ მისთვის დარტყმა მიმეყენებინა.

არც ერთი ჟესტით არ გამოუმჟღავნებია თავისი უკმაყოფილება, რამდენიმე წამს მდუმარედ მომჩერებოდა მხოლოდ, მერე კი თქვა.

— ნუუ, ორმხრივი შეთანხმება ერთგულებაზე არც ისე ცუდი იდეაა, ჩემი აზრით.

გამიკვირდა, ასე ადვილად რომ დამთანხმდა, მაგრამ ამის გამოხატვის თავიც არ მქონდა. გონება დავძაბე, ორივე პირი გულდასმით გადავიკითხე და ხელი მოვაწერე.

— იმედია, ნოტარიული დამოწმება არ გახდება საჭირო, რას იტყვი?

— ვფიქრობ, არა. რა აუცილებელია, ქვეყანამ გაიგოს ამის შესახებ, — ორაზროვნად შევნიშნე.

— გეთანხმები, თუმცა ნებისმიერი პუნქტის დარღვევის შემთხვევაში მკაცრად მოგთხოვ პასუხს, — მისებურად დამემუქრა.

— მეც! — მრავალმნიშვნელოვნად მივუგე და გამჭოლი მზერა ვესროლე.



— მიხარია, რომ კეთილგონიერება იჩენ. იმედია, თავსატეხს არ გავუჩენთ ერთმანეთს. ამით ყველა უსიამოვნებას ავიცილებთ თავიდან. ახლა კი ოფისში უნდა წავიდე. საღამოს გნახავ, ანა და... შევუდგეთ საქმეს, — და პასუხის გაცემა არ მაცალა, ისე სწრაფად გავიდა კაბინეტიდან.

ესეც ასე... მორჩა, დამთავრდა... თვალები დავხუჭე და საკუთარი გულის ხმას მივუგდე ყური... არავითარი ნერვიულობა, არავითარი დაძაბულობა... თითქოს ეს ყველაფერი ვიღაცის თავს ხდებოდა და სულაც არ იყო ჩემი საწუხარი. კარგი იქნება, ხვალამდე მაინც გამყვეს ასეთი შეგრძნება. მით უკეთესი, თუ უახლოესი სამი თვე არ შემაწუხებს სინანული და სინდისის ქენჯნა... ან სულაც, მთელი ცხოვრება...

არ მახსოვს, რამდენ ხანს დავყავი ლადოს კაბინეტში. როგორც იქნა, გამოვერკვიე, თავი გადავაქნიე, თითქოს გონს მოსვლა მინდოდა და ბარბაცით გამოვედი იქიდან. მთვარეულივით დავდიოდი. კი ჩავაგონებდი ჩემს თავს, ვერაფერს ვგრძნობ და ბოლომდე გულგრილი ვრჩები ამ ყველაფრის მიმართ-მეთქი, მაგრამ სადღაც, ღრმად, მაინც უსიამოვნოდ ფეთქავდა რაღაც... ჯერ კიდევ შეუცნობელი... გონებამდე ჯერ კიდევ არდასული...

დავრეკე ნანასთან. ის მოუთმენლად ელოდა ჩემს ზარს.

— რა ქენი, ანა?

— ყველაფერი კარგადაა, ნანა. მომისმინე, დღეს გვიან ღამით გამოგიტან ფულს, ან ხვალ დილით, უთენია.

— ვაი! რას ამბობ! ანუ ჯერ არ იცი, იშოვი თუ არა?

— როგორ არ ვიცი, ვიშოვე უკვე... უბრალოდ, პასუხს ველოდები. გქონდეს ჩემი იმედი. ფული აუცილებლად იქნება, გესმის?

— ნამდვილად 4.000 იქნება? მერე არ აღმოჩნდეს, რომ... — განხიბვლა დაეტყო ჩემს ნახევარდას ხმაში.

— ნამდვილად იქნება. თუ გინდა, ხუთიც შემიძლია.

— არა, არა, ანა. ამდენი არ მჭირდება, შენ შემოგევლე. რაც მაკლდება, ის მიშოვე და მეტს აღარ დავეძებ.

— ჰოდა, იქნება-მეთქი, ხომ გითხარი. დამელოდე. დაგირეკავ და შეგხვდები. მორჩა, წავედი, — და ეგრევე გავთიშე, აღარ მინდოდა მისი სასოწარკვეთილი ხმის მოსმენა.

ყველაზე მეტად როზას თვალებში შეხედვის მრცხვენოდა. ასე მეგონა, მან ყველაფერი იცოდა. მართლაც, მალევე დავრწმუნდი ამაში.

— ანა, — ფრთხილი ხმით მითხრა შუადღისას, — ლადომ დამირეკა და მთხოვა, მეორე სართულზე ოთახი მოვამზადო... თქვენთვის.

ტუჩები შევარხიე გასაღიმებლად ისე, რომ მისთვის არც შემიხედავს. ალბათ ოდესმე ვიგრძნობ ტკივილს დღევანდელი დღის გამო, მაგრამ ახლა არა. ახლა ჩემ შიგნით მხოლოდ სიბნელეა დასადგურებული... და სიჩუმე.

— გმადლობ, როზა დეიდა.

ოღონდ კი დიდხანს გაგრძელდეს ეს სიბნელე და სიჩუმე. წინააღმდეგ შემთხვევაში დღევანდელ დღეს ვერ გადავიტან! გამაგრდი, ანა!

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*

# ამბავი, რომელიც სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო

*მარი ჯაფარიძე*

**გამარჯობა. როგორ ხართ? შემოდგომა წელიწადის ყველაზე „სევდიანი“ დროა. არ მეთანხმებით? გაყვითლებული ბუნება „საწყლად“ გამოიყურება — 100 წლის, მოხუც, მომაკვდავ ადამიანს ჰგავს, რომელმაც ცხოვრების დიდი გზა განვლო და ახლა იმ ქვეყნად — ცივ ზამთარში წასასვლელად ემზადება... მზის სხივები კი, რითაც ოქტომბერმა ასე გაგვანებივრა, ახლობლების მზრუნველობას ჰგავს, რომლითაც მოხუცი სიკვდილის წინაა განებივრებული... აი, ასე! ცოტა კი ვიფილოსოფოსე, მაგრამ ეტყობა, ესეც შემოდგომის ბრალია... ახლა, სანამ უფრო მელანქოლიური აზრები მომსვლია და თქვენც სევდიან გუნებაზე დამიყენებიხართ, ჯობია, თქვენ მიერ გამოგზავნილი ამბებზე გადავიდე.**

## მანიაკი

„რასაც დავწერ, იმის გამო წინასწარ მინდა, ბოდიში მოვიხადო. ჩემს ტყავში რომ იყოს ვინმე, მიხვდებოდა, რომ სხვა გზა არა მაქვს. ვიცი, არაფრის მომტანია და არ ვიცი, რისთვის ვწერ, მაგრამ ალბათ ხავსს ვეჭიდები. ვარ განმარტოებული, გარეუბანში, ძალიან იშვიათად გამოვდივარ სახლიდან, ისიც — ღამით ან გამთენიისას. არავისთან ვკონტაქტობ, არც კაცთან და არც ქალთან. მხოლოდ ერთი პრობლემა მაქვს: არ მასვენებენ „ქრომოსომები“ — ანუ მაქვს დაუძლეველი ფიზიკური ლტოლვა ქალების მიმართ, თორემ ისე, ათასი წელი, არც უგვანო ქალთა რასა მჭირდება და არც მასზე უარესი ან იმავენაირი კაცთა სქესი. არაფერი მჭირდება და არც მინდა... თუმცა ვაცნობიერებ, რომ ეს სწორი არაა და თუ სხვები ტყუიან ჩემთან, მეც არანაკლებ ვტყუი ალბათ, სხვებთან. ამაზე საუბარს აზრი არა აქვს, არაფერი იცვლება და მე მოკვეთილი ვარ ჩემივე ნებით, ყველაფრისგან. ამდენი წლის განმავლობაში განკვეთამ, იმან, რომ ქალს რამდენიმე მეტრითაც კი არ მივახლოებივარ, თვალებში არ ჩამიხედავს და ასე შემდეგ, თავისთავად, გადახრა გამოიწვია. ახლა მე მინდა მხოლოდ ერთი რამ — დავედევნო ქალს ქუჩაში, შევყვე სადარბაზოში შეუმჩნევლად, ბოდიში და, უკანალზე მაგრად მოვუჭირო ხელი და გავიქცე... მხოლოდ ეს მინდა და ეს მომანიჭებს კმაყოფილებას. თუმცა არ ვიცი, რატომ (იმპოტენტი არ ვარ. ამას ისე გეუბნებით, რა ვიცი...), მაგრამ ამას არ ვაკეთებ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიზეზის გამო. ვთქვათ — შიში... კიდევ ის, რომ ვიცი, არასწორია ასეთი საქციელი. არც ბოროტი ვარ და არ მინდა, ვიღაცას უსიამოვნება მივაყენო, შევაშინო (მე უფრო მეშინია მათი, მაგრამ ეგ ხომ მათ არ იციან?). მოკლედ, არ ვიცი, რისთვის ვწერე... გაბოროტებული ვარ საკუთარ თავსა და სამყაროზე და როცა ღამით ქუჩაში დავდივარ, ვტირი... მინდა, ტერორისტი ვიყო, მიზეზი კი ასეთი მარტივია, ანუ ის, რაც დავწერე. ვერაფრით ვახერხებ, ნორმალურად დავეკონტაქტო ადამიანს. ალბათ არ მინდა ან არ და ვერ გამომდის. ისე, „ჩვეულებრივი“ ვარ. ახლობლებმა იციან მხოლოდ ის, რომ ნამეტანი მორიდებული ვარ და ჩაკეტილი. არ მეტყობა, რომ ასეთი გიჟი ვარ. ექიმთან ნუ გამგზავნით და ნურც მოძღვართან... ახლა ვზივარ და თქვენ გწერთ, არავითარი იმედი არ მაქვს, რომ ამას ვინმე წაიკითხავს... თუ ვინმემ წაიკითხა და მითხრა, შეგხვდები და ხელს მოგაკიდებინებო, ამას მეც არ ვიზამ, რადგან ვიმეორებ, მინდა, უცხოს დავესხა თავს და თან იმის შეგრძნება მქონდეს, რომ რაღაც აკრძალულს ვაკეთებ. მოკლედ, ვიცი, რომ რაღაც გადახრაა, მაგრამ მაინც ვებლაუჭები ადამიანებს და იქნებ რომელიმემ მოინდომოს, ხელი გამომიწოდოს, როგორც ადამიანმა და დამეკონტაქტოს. არ ვარ ისეთი გიჟი, როგორც ჩემი ნაწერიდან ჩანს. პირიქით... თუმცა ალბათ ვერავის დავაჯერებ და ალბათ ჩემს თავ-



საც... სიმართლე მაინც ესაა და ფაქტები ამას ღაღადებს. მოკლედ, იმედი არ მაქვს (10 წელია, ვთხოვ ადამიანებს და არაფერს მისრულებენ. ესეც თავისებური ფენომენია ალბათ. მაგალითად, რომ ვკითხო, მონობარათი სად იყიდება-მეთქი? ამაზეც არ გამცემენ პასუხს; ან რომ ვთხოვო, წყალი დამალევინე-მეთქი, ამასაც არავინ შემისრულებს). მოკლედ, ვაცნობიერებ სხვებისა და ჩემი თავის მართლაც რომ ძალლობას, მაგრამ მაინც ვცდილობ... მგონია, ჩემზე უკეთესები არიან სხვები, მაგრამ ესეც არ დასტურდება. ახლა, ვინც ამას კითხულობს, დარწმუნებული ვარ, თავი ქერუბიმი ჰგონია ჩემთან შედარებით. ნუთუ 1 ნაცნობს არ ვიმსახურებ, რომ 10-15 წუთით გავისეირნო (მეტი თვითონაც არ შემიძლია)?! ახლა მორალს ვკითხულობ და არ მაქვს უფლება, მაგრამ ამდენი წელია ვიტანჯები, როგორც კუბოში და ერთი რამე შემარჩინონ სხვებმაც — შენ შეიცვალეო, არ მითხრან. ვერ ვიცვლები და ემანდ, მართლა მანიაკობამდე არ მივიდე. ვის რას დავუშავებ ამით, მაგრამ არ მინდა შერცხვენა, ციხეში ჯდომა და ის, რომ ვილაცას უსიამოვნება მივაყენო (აქ არ იგულისხმება რამე ძალიან ცუდი. ვგულისხმობ „აბსურდულ“ მანიაკობას — ქალებს რომ დასდევს და ხელებს უფათურებს... თფუ!). კარგად. ტყუილად არ შემაწუხოთ და ნუ მომწერთ. თუ ცუდი სიტყვის თქმა გინდათ, ჩათვალეთ, უკვე ვუთხარი ჩემს თავს. აგუ“.

## ოჯახზე თავგადაკლული

„ნატომ მანდარინის მოსავალი აიღო და დაადგა მოსკოვის გზას — გავყიდი და ვასარგებლებ ოჯახს, შვილებს ცოტ-ცოტა ხელს გავუმართავო. ამ ფიქრებში იყო, მატარებელში პოლიციელი რომ დაადგა თავზე — თუ გინდა, რომ მანდარინი არ წაგართვა, ჩემთან დაწექიო, შესთავაზა. თავიდან აღშფოთდა, მაგრამ მერე იფიქრა, — რა დამეტყობა, უკვე შვილიშვილები მყავს, პოლიციელს რომ უარი ვუთხრა, ამის გულისთვის ოჯახში უფულოდ როგორ დავბრუნდე, მაინც არავინ იფიქრებს 60 წლის ქალზე ასეთ უმსგავსობასო და „ტკბილად“ მორიგდნენ. გავიდა 3 თვე. ნატო და



მისი ქმარი ავად გახდნენ. მივიდნენ ექიმთან. თეთრხალათიანმა უთხრა, რომ ვენერიული დაავადება ჰქონდათ. ქმარი გაოცდა — ალბათ შეცდომაა, მე არავისთან ვყოფილვარ ცოლის გარდა, უკვე წლებიაო და მედიცინის მუშაკებს დასდო ბრალი, რადგან ცოლზე ასეთ რამეს ვერც იფიქრებდა. სხვა გზა რომ არ დარჩა, ნატომ მაშინ კი აღიარა. ქმარმა ბოლომდეც არ მოუსმინა, — არაფერი გვჭირდა ჩვენ საამისო, რომ მაგ უმსგავს წინადადებას დასთანხმებოდიო, — უთხრა და გაიხურა კარი. მეზობლები, ნათესავები, მძახლები — ყველა მასზე ლაპარაკობდა. შვილებს თავი კი მოეჭრათ, მაგრამ დედა ვერ მიატოვეს. პალატაში მწოლიარეს მარტოს ვერ ტოვებდნენ — ეშინოდათ, თავი არ მოეკლა. ქმარს კი საავადმყოფოში ერთხელაც არ მიუკითხავს. იმის მერე ნატოს დიდხანს აღარც უცოცხლია. ჭრიჭინა“.

## მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ

„გურიაში ერთმანეთზე გადამკვდარი ორი ოჯახი ცხოვრობს. გენოსა და ბენოს ეზო-კარს წაქცეული ლობე ძლივს ყოფს ერთმანეთისგან. ჭაც კი საზიარო აქვთ მეზობლებს. ხოლო ყოველ საღამოს საერთო სუფრა იშლებოდა ტყემლის ჩრდილში და გურულ ადესასთან ერთად ილხენდნენ. ჰო, მართლა, ბენოს 2 ბიჭი ჰყავს, გენომ კი ბიჭის მოლოდინში ოთხი გოგო გააჩინინა ცოლს. ამის გამო სულ აქილიკებდა ბენო — ბიჭის „გაკეთებას“ შნო უნდაო და ზემოდან დაჰყურებდა გენოს. გენოს კი იმდენად უნდოდა ბიჭი და გვარის გამგრძელებელი, რომ კარგი მეზობელი ლამის ამ დაცინვის გამო დაკარგა. ადგა და ბენოს ცოლს, ელზას დაადგა თვალი — ორი ვაჟკაცის დედაა ელზა და რაღა ჩემთან გაუწყრება ღმერთიო, ფიქრობდა გენო და თან ელზას დაყოლიებაზე ოცნებობდა. ქალის დაყოლიება ადვილი აღმოჩნდა და მალე მუცელიც დაეტყო. რა თქმა უნდა, წყვილი საგულდაგულოდ მალავდა მეზობლებისგან თავის ურთიერთობას. ბენო კი დადიოდა ამაყად და — ბიჭს ველოდებიო, ტრაბახობდა ყველგან. გენოს კი გულში ეცინებოდა, მაგრამ ხმამაღლა ხომ ვერ იტყოდა, ბავშვი ჩემი „გაკეთებულიაო“? თუმცა ამჯერადაც არ გაუმართლა გენოს და ცხრა თვისთავზე გოგო დაიბადა — მთლად მამამისის ასლი. საგულდაგულოდ დამალული საიდუმლო უცებ გაცხადდა, რადგან უცხო თვალიც კი ადვილად შეამჩნევდა მეზობელთან საოცარ მსგავსებას. ბენო მთ-

[illegible] მხოლოდ [illegible]
[illegible]



ლად დაამუნჯა ამ ამბავმა, გენომ კი ბიჭზე ოცნებას სამუდამოდ დაანება თავი. მეზობლებს კი რა გამოეპარებოდათ? გენოს ახალი სახელი შეარქვეს — გენო კურო და დღესაც



ყველა ამ სახელით იცნობს. ენაკვიმატმა გურულებმა სახელდახელოდ ლექსიც გამოუთქვეს დაწყვილებულ მეზობლებს: „აგერ მოდის გენო კურო, ელზა უნდა დააპუროს“.

P.S. ჯანმრთელობის სამინისტრო კი მაფრთხილებს, რომ გურულებზე ხუმრობა ჯანმრთელობისთვის სახიფათოა, მაგრამ იმედია, გავასწრებ გურიიდან და გადავრჩები. JIUT STARI“.

## „დენდარტყმული“

„შარშან ჩვენს ქუჩაზე გადათხრილი იყო ყველაფერი. მგონი, წყალგაყვანილობას აკეთებდნენ. არც არავის უთქვამს, წყლის მილები გაჰყავთო, მე ვიფიქრე ასე. მოკლედ, მივდიოდი ქუჩაში. ჩემი ყურადღება ჩემ წინ მიმავალმა გოგონამ მიიქცია. მართალია, მეც გოგო ვარ, მაგრამ ძალიან მომეწონა. სახე არ დამინახავს — ზურგით იყო. გამხდარი გოგონა იყო, კარგი ტანი და გაშლილი, გრძელი თმა ჰქონდა. თან ძალიან მოხდენილად ეცვა. იქვე ჩაცუცქული მუშები დორბლმორეულები უყურებდნენ. ცდილობდნენ, მოკლე კაბის ქვეშ კიდევ რამე დაენახათ. გოგონაც ალბათ გრძნობდა მათ დაჟინებულ მზერას და ამაყად თავაწეული მიაბიჯებდა. მოგეხსენებათ, როცა ასფალტი გადათხრილია, თხრილის გასწვრივ მიწა კენჭებითაა მოფენილი. ჰოდა, ერთი კენჭი ამ ქალღმერთს ფეხსაცმელში ჩაუვარდა. 1-2 ნაბიჯი ბორძიკით გადადგა, შემდეგ ბოძს მოჰკიდა ხელი და ფეხი გააფართხალა, რომ კენჭი გადმოეგდო. მუშებმა იფიქრეს, რომ ბოძზე მაღალი ძაბვა გადავიდა და გოგონას დენმა დაარტყა. წამოხტა ერთ-ერთი „მზეჭაბუკი“ და უშველებელი ნიჩაბი ხეთქა გოგონას (მერე თავს იმართლებდა, დენმა თუ დაარტყა, მიკვრა იცის და ხომ უნდა გადამერჩინა ეს გოგოო). გოგო მოცელილივით დავარდა. „სასწრაფო დახმარება“ გამოიძახეს. ექიმმა დიაგნოზი დასვა — ნეკნის ძვლის მოტეხილობა, ელენთის გახეთქა და სისხლჩაქცევა. საწყალმა, გონს რომ მოვიდა, ამოილუღლუღა — ნიკა მეტროსთან მელოდებაო. ეს ამბავი ნამდვილად სასაცილო იქნებოდა, სატირალი რომ არ ყოფილიყო“.

## გაუგებრობის მსხვერპლი

„რაც უნდა გასაკვირი იყოს, თურმე მხოლოდ გოგონები კი არა, ხშირად ბიჭებიც რჩებიან სიყვარულში იმედგაცრუებულები. გივი სოფელში ცხოვრობდა, საკმაოდ განათლებული და „გამოსული“ ბიჭია. თანასოფლელ გოგოზე იყო შეყვარებული, რომელმაც ორწლიანი შეყვარებულობის შემდეგ უმტყუნა და ერთ ქალაქელ, „სვეცკ“ ბიჭზე გაცვალა. რა თქმა უნდა, ეს ამბავი გივის არ გამოჰპარვია და თავმოყვარეობაშელახულმა, ერთი გემრიელად, ქართველი კაცის შესაფერისად, „9-სართულიანით“ შეუკურთხა და მისი ცხოვრებიდან სამუდამოდ განდევნა. 3-თვიანი დეპრესიის შემდეგ, იმედგაცრუებულ გივის ერთი ქალაქელი გოგო გადაეკიდა და 1 თვის შემდეგ ქალაქში ჩავიდა მასთან შესახვედრად. სანამ ნინო მოვიდოდა, პარკში გასეირნება გადაწყვიტა და წყვილი შენიშნა, რომელიც გამალებით კოცნიდა ერთმანეთს. — ვაჰ, თქვენ გენაცვალეთო, — ემოცია ვერ დაფარა გივიმ... თუმცა „მოზასავეებს“ კარგად რომ დააკვირდა, გივის ფერი წაუვიდა — ორივე მამაკაცი აღმოჩნდა... ამ დროს კი ნინიც გამოჩნდა და როცა გივი „ცისფერების“ სიახლოვეს დაინახა, მასთან მიიჭრა და უთხრა: მე შენ ნამდვილი კაცი მეგონეო, — და თვალის დახამხამებაში გაქრა. ასე დაკარგა გივიმ ანგელოზივით გოგო, გეი-ნაშების წყალობით. დღე არ გავა, გივიმ მათ რომ არ შეუკურთხოს, მაგრამ რაღა დროს? ლუნა“.

## თემაზე და თემის გარეშე მოსული, მოკლე მესიჯები

„უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი გურულ დედამთილს შეემთხვა, როცა დილაუთენია რძალს დაადგა თავზე, რომელიც თავის იმერელ სტუმართან ერთად ყავას მიირთმევდა. დედამთილმა გულმოსულმა უთხრა: გოგო, უთენია რომ სვამთ ყავას ეზოში და წინ ამხელა ბალახი გაქვს, ჯერ ბალახი მოგეპუტაო. რძალმა უპასუხა, — სად ხედავ ბალახს, მე ვერ ვხედავო. — წინ დაიხედე, გოგოო, — დაიჟინა დედამთილმა. — ვერ ვხედავო, — არ გატყდა რძალი, — და თუ თქვენ ხედავთ, დედა ქალბატონო, ეცით და მოპუტეთო... მოპუტეოოოო?! — და დედამთილი ისე გაიქცა გულმოსული, უკან აღარც მოუხედავს. გერასიმე“.

„ჩემი ამბავი წინა ნომრის თემასაც ეხმიანება. უსიამოვნოდ გასახსენებელი ამბავი ჩემი გათხოვებაა, როცა უარი ვთქვი სიყვარულზე. ის ორი შვილის მამაა და მისი სიყვარულის უფლება არ მქონდა. შვილიც მყავს უკვე, მაგრამ ჩემი ერთადერთი სიყვარული ისევ ძველებურად მიყვარს. არავის ვუსურვებ ჯოჯოხეთს, ქმრის გვერდით უსიყვარულოდ ცხოვრება რომ ჰქვია. მე კი ჩემი ლამაზთვალება მენატრება. მის ერთ შემოხედვას ბილ გეიტსის

**ყურადღება!** **თუ გსურთ, თქვენი მესიჯი „გზავნილებში“ დაიბეჭდოს, ტექსტი ვრცელი მესიჯით არ გამოგზავნოთ. ერთი მესიჯი (და არა — ამბავი) მხოლოდ 160 სიმბოლოს უნდა შეიცავდეს. ამიტომ, თუ ამბის მოყოლას ერთ მესიჯზე მეტი სჭირდება, გთხოვთ დაანაწევროთ და ცალ-ცალკე გამოგზავნოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თქვენი მონათხრობი არ გამოქვეყნდება.**

მილიარდებშიც კი არ გავცვლი. ჩემს თვალებს სევდა არ მოსცილებია. ლი70“.

„გამარჯობა. პირველად გწერთ და ალბათ უკანასკნელად. ჩემდა უნებურად შემიყვარდა ასაკით უმცროსი ბიჭი. მე 28 წლის ვარ, ის — 20-ის. მთელი გულით მიყვარს, მასაც ვუყვარვარ, მაგრამ არ ვიცი, როგორ მოვიქცე. არაა ამ კვირის თემა, მაგრამ გთხოვთ, დამიბეჭდეთ. ნეფერტიტი“.

„ნამდვილ ამბავს გიყვებით: ერთ პატარა ქალაქში ცოლ-ქმარი ცხოვრობდა. ვინაიდან შვილი არ ეყოლათ, ბავშვი აიყვანეს და ზრდიდნენ. ქალს სიგიჟემდე უყვარდა ქმარი. ერთხელ, ეს კაცი ლიანდაგზე რომ გადადიოდა, მატარებელი დაეჯახა და საიდუმლოც გამჟღავნდა. ექიმები გაოცებას ვერ მალავდნენ, რადგან გარდაცვლილს „ის“ არ ჰქონდა. გერასიმე“.

„ერთ ჩემს შორეულ ნაცნობზე მინდა გიამბოთ. დათო სიმპათიური ბიჭია, გოგონებს მასზე დიდი ხანია, ებინდებათ თვალები, მან კი ცოტა არ იყოს და უცნაური არჩევანი გააკეთა და მისთვის შეუფერებელი გოგო მოიყვანა ცოლად. დრო გადიოდა, ახალი ცოცხიც კარგად გვიდა. ერთ მშვენიერ დღეს კი შინ დაბრუნებულ დათოს უცნაური ჩაცმულობის ბიჭი დახვდა. გაოცებულმა ჩამოხედა (მაღალია) და ჰკითხა, — ვინ ხარო? ამ დროს თეო გამოეგება ქმარს, კისერზე ჩამოეკიდა და უთხრა — დათ, ნახე, ჩემი დეიდაშვილი პოლონეთიდან ჩამოვიდაო. დათოს ეჭვი არც შეჰპარვია, რადგან თეოს მთელი სანათესავო პოლონეთში ცხოვრობდა. კიდევ ერთ მშვენიერ დღეს კი შინ რომ დაბრუნდა, საძინებლის კარი შეაღო და თეოს და ვითომ მის დეიდაშვილს შეუსწრო, ბედნიერად რომ გორაობდნენ საწოლში... მას შემდეგ აღარც თეო უნახავს ვინმეს და აღარც ის „ძალად დეიდაშვილი“. ქმრებო, ცოტა მეტი ყურადღება მიაქციეთ ცოლის ნათესავებს“. ■

***მომდევნო ნომრის თემა იქნება — „გმირული საქციელი“. ამბები შეგიძლიათ გამოგზავნოთ მესიჯებით ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61 ან მომწეროთ ელფოსტაზე:***
*marorita77@yahoo.com*

# ფოტო, რომელმაც წარწერა დაკარგა



ამ ფოტოსთვის შესაფერისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 5.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია:

**ფული ხელის ჭუჭყია, მაგრამ ლორად არ უნდა იქცე და დინგით მიწის ჩიჩქნა არ უნდა დაიწყო**

# „სწავლას და წიგნს არასერიოზულად უყურებ“

## „დედის ნდობა აუცილებლად უნდა დაიბრუნო“

**„გზის“ №39-ში დაიბეჭდა 16 წლის მოსწავლის მესიჯი. იგი გვწერდა, რომ მისი პრობლემა სიზარმაცეა. „გაკვეთილების სწავლას ვერაფრით ვახერხებ, რადგან იმდენი ნებისყოფაც არ მაქვს, რომ საკუთარი თავი ვაიძულო, ერთ ადგილას დავჯდე და ვიკითხო. წიგნს ხელში ავიღებ თუ არა, მაშინვე გონება მეფანტება და ათას სისულელეზე ვფიქრობ. ბევრჯერ ვცადე, საკუთარი თავი გამეკონტროლებინა, მაგრამ — უშედეგოდ“... როგორც მოსწავლემ თავის წერილში აღნიშნა, გაკვეთილების მომზადებას ავტობუსით მგზავრობისას ახერხებს, თუმცა ცხადია, ისე კარგად ვერ სწავლობს, როგორც საჭიროა. „დარწმუნებული ვარ, რომ მოვინდომო, კლასში ერთ-ერთი საუკეთესო მოსწავლე ვიქნები. ისიც ვიცი, რომ თუ არ ვისწავლი, მომავალი არ მექნება... ყველაზე მეტად დედაჩემის მერიდება. საწყალი ქალი შრომობს, წელებზე ფეხს იდგამს, რათა უზრუნველად ვიცხოვრო; ყველა სურვილს მისრულებს, მაგრამ მე იმედი ერთხელაც ვერ გავუმართლე და რა გასაკვირია, რომ უკვე ჩემ მიმართ ნდობაც დაკარგა.... ბუნებით ძალიან მორცხვი და მორიდებული გახლავართ, მიჭირს უცხო ადამიანებთან კონტაქტი, მაგრამ თუ ურთიერთობაში გავიხსნები, ძალიან მხიარული ვხდები“.**

**ანანო (BELLATRIX):**

„როცა სამეცადინოდ დაჯდები, შეეცადე, სწავლის გარდა არაფერზე იფიქრო. გონების მოკრებაში წყნარი მუსიკაც დაგეხმარება. პირადად მე, კლასიკა, განსაკუთრებით კი ბეთჰოვენის ნაწარმოებები მშველის და რა ვიცი...“

**ნია:**

„რაღაც აბდაუბდას გვწერ. ამბობ, რომ მოვინდომო, მთებსაც გადავდგამო, მაგრამ სინამდვილეში, თურმე ამის გაკეთება არ შეგიძლია. ასე მგონია, შენი უტვინობის შენიღბვა გინდა და ყველაფერს სიზარმაცეს აბრალებ. მაღიზიანებს სიტყვები: „ჩემი შვილი ნიჭიერი, მაგრამ ზარმაცია“. შეუძლებელია, ნიჭიერ ადამიანს რაღაცის გაკეთება დაეზაროს, რაღაც არ გამოუვიდეს!“

**კრიტიკოსი:**

„შენს ამბავს რომ ვკითხულობდი, საკუთარი თავი გამახსენდა. პირადად მე, გასულ ზაფხულს მივხვდი, რაც მსურდა და მჭირდა. შენი და ჩემი პრობლემა იცი, რა არის? — საკუთარ თავში ვიკეტებით და ვკომპლექსდებით. თუ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ არ ვის-



წავლით, მერე გაკვეთილის მოყოლის გვრცხვენია, სხვებს ველარ ავყვებით. ერთხელ აიღე წიგნი ხელში და საკუთარი თავი აიძულე, დიდხანს იკითხო. თავიდან ამოიგდე ის აზრი, რომ რაღაცას ვერ შეძლებ, რომ ეს შენთვის ძალიან ძნელია. ჰოდა, დროთა განმავლობაში თავად გაგიჩნდება კითხვის სურვილი“.

**ეკა:**

„დედას იმედი აღარ გაუცრუო. ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ სიამოვნება მიანიჭო. სიმორცხვე დაძლიე და ყველაფერი გააკეთე იმისთვის, რომ გონება მოიკრიბო და ისწავლო. წარმატებები! იმედია, მომავალში არა მარტო ოჯახს, არამედ სამშობლოსაც ასახელებ!“

**SEX BOY:**

„შენნაირ ადამიანებზე მეცინება. რომ ამბობ, — გონება მეფანტებაო, ამით ცდილობ, თავი გაიმართლო. შენ უბრალოდ, გულისყურით არ კითხულობ და რაც ყველაზე მთავარია: სწავლას და წიგნს არასერიოზულად უყურებ. გგონია, მე ძალიან დიდი ვარ? სულ რაღაც, 17 წლის გახლავარ, მეთორმეტეკლასელი, მაგრამ საკუთარი თავის ხელში აყვანას და კარგად სწავლას ყოველთვის ვახერხებ. გირჩევ, როცა სამეცადინოდ დაჯდები, გონება მოიკრიბო და მხოლოდ ამის შემდეგ შეუდგე წიგნის კითხვას. რატომღაც მგონია, რომ იტყუები; თუ მართლა ასეთი ნიჭიერი ხარ, კარგად სწავლასაც შეძლებ! შენი ბოლომდე არ მჯერა და ისიც ვიცი, რომ აქ შენნაირები ბლომად არიან და ისინი, თავიანთი ჭკუით, ჩვენზე კაიფობენ“.

**სვანის ასული:**

„თუ შეყვარებული არ ხარ და მით უმეტეს, „ლოვეს“ ყოლის სურვილიც არ გაქვს, მაშინ მთელი ძალისხმევა სწავლისკენ უნდა მიმართო და აუცილებლად, დიდ წარმატებას მიაღწევ! რაც მთავარია, ნიჭი გაქვს და სულ ცოტაოდენი მონდომება დაგჭირდება. კარგია, რომ დედაზე ფიქრობ. შენ აუცილებლად უნდა დაიბრუნო მისი ნდობა. მთავარი პრობლემა ალბათ შენი სიმორცხვეა. ვფიქრობ, თავდაჯერებულობაც გაკლია და ამ მხრივ საკუთარ თავზე უნდა იმუშაო; წარმოიდგინო, როგორი საინტერესო ცხოვრება გელის, თუ კარგ განათლებას მიიღებ. ისიც გაითვალისწინე, რომ ნასწავლ ადამიანთან ურთიერთობა ყველასთვის საინტერესო და სასიამოვნოა. წარმატებებს გისურვებ!“

**უცნობი:**

„სწავლის ძირი მწარე არის, კენწეროში გატკბილდების“, — ეს სიტყვები დაიმახსოვრე და შეეცადე, რაც შეიძლება მეტი ისწავლო. იცოდე, ამ ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ, თუ უწიგნური იქნები. მიზანი დაისახე და მის მისაღწევად იბრძოლე. სიზარმაცე უნდა დაძლიო!“

**ლუნა:**

„ჩემო კარგო, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ადამიანი ძალდატანებით ვერაფერს ისწავლის. ძალიან კარგად აღნიშნე: სწავლა გამომადგებაო. ვინაიდან ეს იცი, ისღა დაგრჩენია, ძალიან მონდომმო და რაც შეიძლება მეტი ისწავლო“.

■

# „ძმამ სიყვარული რომ აგიხსნას, როგორ ხასიათზე დადგები?“

**„გზის“ №39-ში დაიბეჭდა გოგოს მესიჯი. შეგახსენებთ, იგი გვწერდა: „მიყვარს ბიჭი, რომელსაც თითქმის 2 წელია, ვიცნობ, მაგრამ ის დად მიმიჩნევს და სხვანაირად არასდროს შემომხედავს. მგონია, მის გარდა ვერავის შევიყვარებ, რადგან მის ყოველ შეხებაზე, ყოველ სიტყვაზე ცუდად ვხდები, გული მიჩქარდება და მბურძგლავს. მინდა, გამუდმებით მას ვუყურო. გთხოვთ, მირჩიეთ, როგორ ვუთხრა, რომ მიყვარს?..“**

## „თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდება“

**JONNY'S GIRL.X.O:**

„ხშირია შემთხვევა, როცა დაძმური ურთიერთობა (ოღონდ — არა ღვიძლ და-ძმას შორის) სხვანაირი სიყვარულით სრულდება. კარგად დააკვირდი, შენ მიმართ მასაც ხომ არა აქვს სიმპათიები? იქნებ იმ ბიჭსაც მოსწონხარ?! საინტერესოა, როცა „ძამიკოს“ ეძახი, როგორი რეაქცია აქვს? თუ მასზე დაკვირვების შემდეგ მიხვდები, რომ მართლა როგორც დას, ისე გიყურებს, მაშინ ჯობია, არაფერი უთხრა, რადგანაც შესაძლოა, ამის შემდეგ შენთან ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტოს. მეც ვიყავი მსგავს სიტუაციაში: როცა გავიგე, რომ მას ვუყვარდი, მასთან მეგობრობაც შევწყვიტე. კარგი იქნება, დაელაპარაკო და რჩევა ჰკითხო ისეთ ადამიანს, რომელიც ორივეს გიცნობთ. წარმატებებს გისურვებ!“

**ნია:**

„ვაიმე, გადამრევს ეს ხალხი, რა. დარწმუნებული ვარ, იმ ბიჭს თავად რომ გამოეჩინა ინიციატივა და შენთვის სიყვარული აეხსნა, ტანსაცმელს შემოიგლეჯდი: ძმად მიგიჩნევ და ეს როგორ მაკადრეო? ხალხო, შეიგნეთ, თუ საკუთარი თავის იმედი არ გაქვთ, ბიჭთან მეგობრობაზე უარი უნდა თქვათ. როცა ადამიანის გაცნობისას ხვდებით, რომ მის მიმართ სიმპათია გაგიჩნდათ, მას დაძმობა არ უნდა შეჰფიცოთ. იმედია, ამ ჟურნალში მსგავსი მესიჯი უკანასკნელად იბეჭდება, თორემ ნამდვილად გადავირევი. თქვენნაირების გამო მშობლები ბიჭებთან ურთიერთობას მიშლიან და ყველა, ვინც კი მირეკავს და მემესიჯება, ჩემი შეყვარებული ჰგონიათ“.

**პუსიკა:**

„მოგესალმებით და მოვიკითხავ „გზის“ ყველა მკითხველს. მინდა, გოგოს ვურჩიო: ეგ სიყვარული კი არა, გატაცებაა. ალბათ შენს ცხოვრებაში არ არის ისეთი პიროვნება, ვისზეც შეიძლება, სხვანაირად იფიქრო. ჯობია საკუთარ გრძნობებში კარგად გაერკვე, რადგან სიყვარული სულ სხვა რამაა. ჩემი სიტყვები ნუ გეწყინება. გირჩევ, ჯერ ყველაფერი ცივი გონებით გააანალიზო და მერე იმოქმედო. ფანტაზიებს ნუ აჰყვები“.

**უცნობი:**

„გირჩევ, საკუთარ გრძნობაში გამოუტყდე... მე და ნიკაც ვძმაკაცობდით, მაგრამ ერთხელაც აღმოვაჩინე, რომ მის მიმართ სხვა გრძნობა გამიჩნდა. ამან შემაშინა და მასთან ურთიერთობა გავწყვიტე. ნიკას წლების შემდეგ შევხდი. მას უკვე ცოლიც ჰყავდა და შვილებიც. ჰოდა, გამომიტყდა: მთელი ცხოვრება შენ მიყვარდი, მაგრამ ამის თქმა ვერ გაგიბედეო. თავის დროზე მისთვის სიმართლე რომ მეთქვა, ახლა ბედნიერი ვიქნებოდი და იმ კაცთან ერთად ვიცხოვრებდი, რომელიც სიგიჟემდე მიყვარს. სხვათა შორის, უკვე 32 წლის ვარ, მაგრამ არ გავთხოვილვარ. რა ვქნა, ვეღარავის შეყვარება ვერ შევძელი...“

**ლუნა:**

„ალბათ არ გამინაწყენდები, თუ გეტყვი, რომ ემოციებსა და განცდებს ზედმეტად ხარ აყოლილი. შესაძლოა (გამორიცხულიც არაა), იმ ბიჭის მიმართ უბრალოდ, ვნება გაქვს და გგონია, რომ გიყვარს, რომ მის გარეშე ვერ გაძლებ... P.S. თუ დარწმუნებული არ ხარ, რომ ისიც სიყვარულით გიპასუხებს, გირჩევ, საკუთარი გრძნობის გამხელისგან თავი შეიკავო. აბა, შენ იცი. გკოცნი“.

**თიკა:**

„შენ თვითონ ამბობ, — დად მიმიჩნევსო. ჰოდა, აბა, წარმოიდგინე, ძმამ სიყვარული რომ აგიხსნას, როგორ ხასიათზე დადგები? მოდი, ჯერ აიძულე, შენში და კი არა, გოგო დაინახოს და ამ მცდელობის შემდეგ მიხვდები, რა შანსი გაქვს მასთან. პირდაპირ არაფერი აჯახო, თორემ შეიძლება, ამ ნაბიჯით სამუდამოდ დაკარგო. შესაძლოა საუკეთესო რჩევა ვერ მოგეცი, მაგრამ იმედია, რაღაცას მაინც გაითვალისწინებ“.

**თიკო:**

„აუცილებლად, სიმართლე უნდა უთხრა. ნუ გეშინია, ამით არაფერი დაშავდება. ვინ იცის, იქნებ მასაც უყვარხარ და ამის თქმას ვერ გიბედავს. წარმატებები!“

**ბამბუჩა:**

„შენი მესიჯის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ასაკით არც ისე დიდი უნდა იყო. ჩემო კარგო, თუ ორი წელია, როგორც დას, ისე გიყურებს და იცი, რომ სხვანაირად ვერ შეგიყვარებს, ეს უსარგებლო ლოდინი რად გინდა? დამიჯერე, შენი ნამდვილი სიყვარული სულ სხვა მხრიდან გამოჩნდება. ნაადრევ დასკვნებს ნუ აკეთებ და არც ისაა საჭირო, რომ ხშირად ნახო და „დაიბურძგლო“. ჯობს, ნელ-ნელა შეამცირო, მერე კი საერთოდ გაწყვიტო მასთან კონტაქტი. ხომ გაგიგონია, რომ ამბობენ: თვალი თვალს რომ მოშორდება, გულიც გადასხვაფერდებაო. რაც უფრო იშვიათად ნახავ, მისი დავიწყება უფრო გაგიიოლდება. სიყვარულის ახსნას აბა, შენგან რა აზრი აქვს? დამიჯერე, ამით ვერაფერს შეცვლი, დასაკარგი მაინც დაიკარგება. გამძლეობას გისურვებ!“

**ანანო (BELLATRIX):**

„რომ უთხრა, — „იცი, მე შენ მიყვარხარ!“ — მერე შეიძლება, შენს ძმობაზეც აიღოს ხელი და სამუდამოდ დაკარგავ. ყველაზე კარგი გამოსავალი მისი გადაყვარებაა. ყურადღება სხვა ვინმეზე გადაიტანე, იმ ბიჭთან ურთიერთობა კი ცოტა „დაადასტოინე“. წარმატებები!“

**სვანის ასული:**

„იქნებ არც ღირს, სიყვარულში რომ გამოუტყდე?! შენს ადგილას, მე ვერ გავრისკავდი. თუ მისი გული უკვე დაკავებულია და ვინმეს მიმართ სერიოზული გრძნობა აქვს, მოგიწევს გვერდზე გადგე (ნუ, დროებით მაინც) და შესაფერის მომენტს დაელოდო — ანუ თუ მის ცხოვრებაში რაიმე გაუთვალისწინებელი მოხდება, მერე უნდა იაქტიურო... რა თქმა უნდა, არ გირჩევ, ბოროტება მოიმოქმედო. თუ ზუსტად იცი, რომ ამ ეტაპზე არავინ უყვარს, შეგიძლია საკუთარ გრძნობებზე მიანიშნო და მისი რეაქციის მიხედვით მიხვდები, როგორ უნდა მოიქცე. იმედია, ძალიან არ გაგაწვალებს და ყველაფერს მალე გაარკვევ“.

**SEX BOY:**

„უთხარი, რომ გიყვარს. რა იცი, იქნებ მასაც უყვარხარ, მაგრამ ამას არ იმჩნევს?! შესაძლოა, არაფერს გეუბნება მხოლოდ იმიტომ, რომ არ იცის, შენ რას უპასუხებ და ეშინია, ამ ნაბიჯით სამუდამოდ არ დაგკარგოს...“

■



# მობილი-ზაცია

***იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ. მესიჯის ფასი 50 თეთრი***

## ქალები



1. გავიცნობ 27 წლის ადამიანს.

2. ვარ 24 წლის, ქმარს გაშორებული, სიმპათიური მანდილოსანი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, მატერიალურად უზრუნველყოფილ მამაკაცს. ელე.

3. ვარ 34 წლის, გასათხოვარი, დედისერთა გოგო. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 35-დან 40 წლამდე ასაკის მამაკაცს.

4. ვარ 28 წლის, ქმარს გაცილებული. ვცხოვრობ მშობლებთან. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ მამაკაცს. სასურველია, იყოს ქვრივი, თუნდაც ბავშვი ჰყავდეს. გასართობად თავი შეიკავეთ.



## მამაკაცები

5. ვეხმაურები „გზა“ №39, 1-ელი მესიჯის ავტორს, 39 წლის ქალბატონს. ვარ 47 წლის.

6. მინდა გავიცნო სერიოზული ურთიერთობისთვის 30 წლამდე ასაკის, პატიოსანი, სასიამოვნო გარეგნობის გოგონა ან ქალბატონი (უშვილო). დანარჩენი — პირადად.

7. გთხოვთ, გადმომიგზავნოთ ქალების მე-2 და მე-3 განცხადების ავტორების ნომრები.

8. გთხოვთ, მომცეთ „გზა“ №39, 1-ელი სმს-ის ავტორი ქალბატონის ნომერი.

9. ვარ 28/178/60, სიმპათიური მამაკაცი. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ გოგოს. მყავს მანქანა და ვარ დასაქმებული.

10. ვარ 42 წლის, უცოლო მამაკაცი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ გამხდარ და სიმპათიურ ქალბატონს, თუნდაც განათხოვარს. კახა გიორგაძე.

11. ვარ 30 წლის, საკმაოდ სიმპათიური ბიჭი. მინდა გავიცნო თბილისელი ან რუსთაველი, 38-45 წლის მანდილოსანი. მქვია ზვიადი.

12. გავიცნობ სიმპათიურ, მომხიბვლელ ქალბატონს, 25-38 წლამდე. თქვენც თუ იმავეს ითხოვთ, მეც ასეთივე ვარ, ანალოგიურად. დ.კ.38.

13. გთხოვთ, მეორე ნომერში გამოქვეყნებული, 20 წლის, ქერათმიანი, ცისფერთვალება გოგოს ნომერი გამომიგზავნეთ.

**ყურადღება! გთავაზობთ სიმბოლოებს, რომლის მიხედვითაც „მობილი-ზაციისთვის“ გამოსაგზავნი მესიჯის ტექსტი უნდა აკრიბოთ. ეს განსაკუთრებულად ეხება საბერძნეთში მცხოვრებ მგზავნელებს, რადგან მათი მესიჯების გაშიფვრა ძალიან მიჭირს. მესიჯი, რომელიც ამ წესის მიხედვით არ იქნება აკრებილი, არ გამოქვეყნდება!**

| | | |
|---|---|---|
| ა — a | მ — m | ღ — gh |
| ბ — b | ნ — n | ყ — y |
| გ — g | ო — o | შ — sh |
| დ — d | პ — p | ჩ — ch |
| ე — e | ჟ — zh | ც — c |
| ვ — v | რ — r | ძ — dz |
| ზ — z | ს — s | წ — w |
| თ — t | ტ — t | ჭ — wh |
| ი — i | უ — u | ხ — x |
| კ — k | ფ — f | ჯ — j |
| ლ — l | ქ — q | ჰ — h |

14. ვარ 28 წლის, სამეგობროდ გავიცნობ 35 წლამდე ქალბატონს.

15. გთხოვთ, მომცეთ 37-ე ნომრის მე-4 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი.

16. გთხოვთ, მომცეთ „გზის“ 38-ე ნომერში გამოქვეყნებული, მე-4 სმს-ის ავტორის ტელეფონის ნომერი ან მას მიეცით ჩემი ნომერი, ძალიან გთხოვთ.

17. მომეცით „გზა“ №39, 1-ელი მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

18. ვარ თბილისელი, დიდ და ლამაზ სიყვარულს მონატრებული მამაკაცი. ვეძებ ქალბატონს, ვისაც ასევე დიდი და ლამაზი სიყვარული შეუძლია. 30-დან 50 წლამდე, ხანგრძლივი ურთიერთობისთვის.



## ვეძებ

19. ვეძებ სენაკელ ზვიადს (სამწუხაროდ, გვარი არ მახსოვს), რომელიც 1991 წელს გავიცანი კაფე „ბისტროში“, მ. სამგორის მიმდებარე ტერიტორიაზე. უმორჩილესად გთხოვთ, ეს მესიჯი გამოაქვეყნოთ და მაპოვნინოთ ჩემი პირველი სიყვარული. პატივისცემით, მკითხველი.



## სხვადასხვა

• პატარავ, დედას სიხარულო, როგორ ხარ? ყველაზე ლამაზი და ყველაზე კარგი შვილი მყავხარ, ამქვეყნად... ყვე-

ლაზე საყვარელი, ყველაზე მონატრებული, ყველაზე სევდა, ყველაზე სიხარული... გენაცვალოს შენი დედიკო... დე, მიხარია, რომ კარგ ხასიათზე გვხვდები ხოლმე... ჩვენ რომ ვიცით, ის ამბავი მალე გადაწყდებაო. არ ინერვიულო, სიხარულო. შენ ხომ ჩემი „ყველაზე-ყველაზე" ხარ... ყველას გვენატრები, ბებია ხანდახან წაუტირებს ხოლმე, მენატრებაო. მერე იტყვის, ეგ ძაღლის დანარჩენი, უნდა ვცემო, რომ გამოვაო... ტელეფონის ნომრები რომ მომეცი, ორივეზე დავრეკე... და გადავეცი, რაც მითხარი. ვანო ნახა იმ ქალმა და უთქვამს, მალე გავაკეთებ მაგ საქმესო, რაღაც ხელის შემშლელი სიტუაციაა და როგორც კი მოგვარდება, მაშინვე მივხედავთო. გადაეცი, შენს მეგობარს, არ ინერვიულოს. დე, მიყვარხარ, ღმერთი გფარავდეს. გიკოცნი მწვანე და ციმციმა თვალებს. დედა.

• როგორ ხარ, სიხარულო? ძალიან, ძალიან მენატრები, ჩემო ცხოვრებავ. ახალი ხომ არაფერია შენკენ? ნუ დარდობ, ყველაფერი კარგად იქნება, ღმერთის წყალობით. ჩვენთან ახალი არაფერია. საბოს შათირამ დიდი პიპია უყიდა და ლოგინშიც იწვენს. ისეთი საყვარელია... ყველაზე ტბილია, როცა სძინავს. ცეკვაზე დადის და დღეს გვაჩვენა, როგორ ვარჯიშობს. ტყუილებიც ისწავლა და აფერისტობაც. ჩემი ლამაზი ხარ. პარასკევს გამოვგზავნი წერილებს. სხვა ახალი არაფერია. პიპიტოლამ მოკითხვა შემოგითვალა. მიყვარხარ, სიხარულო და ტკივილამდე მენატრები. დრო ნელა გადის, დავიღალე უშენოდ. თავს მიხედე და მალე ერთად ვიქნებით, სულ ერთად. გუშინ მესიზმრე კიდეც, ჩვენთან იყავი, ჩემო ხოტორავ. რა საყვარელი იყავი, რომ გნახეთ. ისე ახამხამებდი თვალებს, თითქოს შენი ბრალი არაა, ჩვენთან რომ არ ხარ. ბოლოს რომ გნახეთ, უფრო მშვიდად იყავი, კარგ გუნებაზე და გამიხარდა. კარგი, კარგად. მიყვარხარ უსასრულოდ. ნინო.

• თეე, საყვარელო თეე, როგორ ხარ? მინდა, კარგად მყავდეს ჩემი სიცოცხლე და ბედნიერება. ჩვენ ყველა კარგად ვართ, თუმცა უშენობა აუტანელია...

• ი კ ა ა! წავიკითხე შენი წერილი, ჩემო თბილო. რა საყვარელი ხარ... :) ძალიან ენატრები მ ა რ ი ს. ჩემი გიჟი გურული ბიჭი. ყველაზე კარგი ხარ, სულ, სულ ყველაზე.

• 3.198 ბუუს, 5 ოქტომბერია... როგორ მაკლიხარ, როგორ მარტო ვარ და რა სევდიანი... ცრემლით გიგონებ, გული მიკვდება. როგორ მინდა, ჩემ გვერდით იყო. მენატრები, მიყვარხარ. თეე.

• 3.198გი, დღეს სამსახურში ყველამ მომილოცა სიტყვიერად დაბადების დღე. გოგონები იცინოდნენ, ეეეჰ, ვარდების სასტავში არ ხარო. აქ თურმე ძააან საყვარელ თანამშრომლებს ვარდებს ჩუქნიან, მაგრამ ამ სასტავში მოხვედრას ძაან დიდი ძალისხმევა უნდა. მეცინება, რომ გწერ. ბუუს, ხედავ? ძირს ნაყარს რომ არ ვჭამ. მენატრები და გელოდები. გკოცნი. თე.

• 3.198გი, შენ ვერ წარმოიდგენ, რამოდენა სიხარული ვიგრძენი, შენი ხმა რომ გავიგონე. შენ ვერ წარმოიდგენ, როგორ ავმსუბუქდი, მეგონა, ფრები გამომესხა... ულრმესი მადლობა, ბუუს. ალბათ ეს ის საჩუქარია, მთელი ცხოვრების განმავლობაში რომ ვერასოდეს ვინატრებდი და ვიფიქრებდი — შეუფასებელი, დაუთვლელი და აუწონავი. მიყვარხარ უზომოდ. თეე.

• 3.198გი, რატომ 41 ან 45 წელი? მხოლოდ 37. არადა, ადრე რომ გავიგებდი, 37 წლისააო, ვიტყოდი, ამას უკვე თავისი უცხოვრია-მეთქი. მე კი აწი გელოდები და შენთან ახალი შეხვედრის მოლოდინში ვარ. ვაპირებ დიიიდხანს და ტკბილად ცხოვრებას. ჯერ ლოდინის რეჟიმში ვარ, მობილურივით. გკოცნი და გეფერები ბუუს, გახსოვდეს მუდამ, რომ ჩემი სახით სიყვარულით გულანთებული ადამიანი გიცდის. ისე, რომ იცოდე, სიყვარული ფსიქიკურ დაავადებათა ნუსხაში შეიტანეს და როგორც დაავადებას, თავისი კოდი მიანიჭეს. ასეა, არ ვამეტებ. ძალიან მენატრები.

• იკა კვაჭანტირაძე, ძალიან მოგვენატრე. იმედია, კარგად ხარ. სდასუში ყველას გვახსოვხარ და გვენატრები ძალიან. მალე დაგვიბრუნდი. გვიყვარხარ. შენი საყვარელი ხალხი.

• მამი, როგორ ხარ? იცი, როგორ გვიხარია მე და ბახუ შენთან რომ მოვდივართ? ალბათ ვერ წარმოიდგენ, როგორ. ძალიან გვიყვარხარ მამი, ყველას. შოშია.

• მამიკო, შენზე ხათუნა დეიდა ცოტა რამესაც რომ გვეუბნება, ძალიან გვიხარია, ბახუ ფეხბურთზე დადის და ბეჯითადაც სწავლობს. შოშია.

• ჯოტი, დღეს რომ გნახე, უფრო სხვანაირი გული მაქვს. რამდენი რამის თქმა მინდოდა, მაგრამ ყველაფერი დამავიწყდა. ბახუ გულდამწვარი წამოვიყვანე, რომ ვერ გნახა. უფალი გფარავდეს.

• თეე, ცხოვრებავ ჩემო, როგორ მინდა, ყველაფერი მალე დამთავრდეს, როგორ მინდა, წუთით მაინც შეგავლო თვალი, კარგად ვართ ყველა, შენს მოლოდინში, იმედით სავსე ვეგებები ყველა განთიადს, შენ როგორ მყავხარ, ნეტავ, როგორ? თეე... შენი დედიკო კარგადაა, ახალი ჩვენკენ არაფერია, ყველა დღე ერთმანეთს ჰგავს, უშენოდ ყველაფერი ნაცრისფერია. გელოდები ცხოვრებავ ჩემო, მანჩომ აფხაზეთის ხმის მთელი კოლექტივი გაიცნო. ხომ იცი, როგორი მონდომებულია. ვხალისობ ხოლმე, რომ რეკავს და ელაპარაკება. სხვა რა გითხრა, შენ რომ ტელეფონის ნომერი მიეცი ლუნას, იქ ვერ ვრეკავ, მუდამ გამორთული აქვთ, დღეს თბილისობაა, ბავშვებს უნდათ წასვლა. გაკოცე ბევრი, თეე. კახა კარგადაა, ხომ იცი, რა ყურადღებიანია, ჩვენ არაფერს გვაკლებენ ბიჭები, ყველა ნერვიულობს, მაგრამ ყველა იმედიანად ვართ, მთავარია, შენ არ დაგვეღალო. ვასიკო შემხვდა შემთხვევით ქუჩაში — კარგადაა. ლადომ მითხრა, ამ დღეებში მივაკითხავო. გელოდები, ჩემო ბედნიერებავ, გეფერები, მენატრები და გიკოცნი თვალებს. ბუტია.

• სანდროოოო, ჩემი სიცოცხლე ხარ, ჩემი სუნთქვა. როგორ მიყვარხარ, რომ იცოდე. ანტონია.

• 3.198გი, წუხელ მესიზმრე. ვითომ უცებ მოხვედი, არ გელოდი და ისე. ოღონდ სულ სხვანაირი იყავი. არ გაგეცინოს, იცოდე: ულვაშებით. გამეღვიძა და ვფიქრობდი, ნეტავ რას ნიშნავს-თქო? ნეტავ, სანახავად რომ მოვალ, ულვაშებით ხომ არ დამხვდები? დღეს ვნახე ახალი „გზა", წინა გზავნილებიც აქაა დაბეჭდილი. ასე რომ, ახლა განებივრდი. მენატრები ბუუს, უზომოდ. თეე.

• თეე, ცხოვრებავ... ჩემო, ჩემო, მარტო ჩემო ბედნიერებავ, როგორ ხარ სიხარულო და ამავდროულად ყველაზე დიდო დარდო... შენი ბუტია კარგადაა, ახლა ცურვაზე მივიყვანე ბიჭები... თეე, არაფრით არ მეგონა, ამ ყველაფერს თუ გავუძლებდი, მაგრამ სწორედ ახლა ვარ ყველასა და ყველაფერზე ძლიერი. ვიცი, მხოლოდ ასე შემიძლია, ოდნავ მაინც შეგიმსუბუქო ეს დიდი განსაცდელი. მინდა, კარგად დაგხვდე, შენგანაც იმავეს ველი, მე შენი კარგად ყოფნა მჭირდება, სხვა ყველაფერი სისულელეა, დრო ვერ დამღლის, ეს მონატრება ვერ დამთრგუნავს, ყველაფერს გავუძლებ შენ გამო, ჩემო... მერე რა, თუ ხანდახან სხეული და სულიც კი მტკივა, ისე ძალიან მინდა შენი დანახვა, მერე რა... ვფიქრობ... და ფიქრში რას არ გადარებ, ვფიქრობ და სისხლზე მეტი ხარ გულში... თეე... მიყვარხარ ძალიან, ძალიან, იცი, როგორ? არა, არ იცი... გიკოცნი თვალებს, აბა, შენ იცი... არ დამეღალო, გევედრები, გემუდარები!.. შენ დაბრუნდები... ძალიან მალე... ძალიან მალე... ხომ გჯერა ჩემი... ბედნიერი ვარ, ჩემო ცხოვრებავ, ჩემი რომ გქვია, მე ამით ამაყი და ბედნიერი ვარ... მოგიკითხა ყველამ, გელოდებით და ვითვლით წუთებს იმ ბედნიერ დღემდე, რომელიც ჩვენთან დაგაბრუნებს. შენი ბუტია.

• 3.198გი, როგორ მაკლიხარ, იცი? ქეიფობთო, რომ მკითხე... არა გი, უშენოდ არაფერს ფასი არ აქვს, გოგონები იყვნენ მეზობლის გადმოსული და მხოლოდ ნამცხვრით, ყავითა და კონიაკით გავუმასპინძლდი. უშენოდ ჩემთვის არაფერს აქვს ფასი. რავი ბუუს, იქნებ რამე იქნეს და მიხვდნენ, რომ აღარ

იკეტება კარები მანდ და გამოგიშვან, ა? გკოცნი. თეე.

• 3.198გი, ვზივარ ახლა და ვუყურებ ტელევიზორს. ვანოს შოუში ხუმრობენ: სარკოზი რომ ჩამოფრინდა, ხელში რაღაც ჩემოდანი ეკავა და ნეტავ, რა ჩამოგვიტანაო? ალბათ ვანოს სურათებიო... ბუუს, ნეტავ შენ რას აკეთებ ამ დროს? დისტანციური ხედვის ნიჭი მაინც მქონდეს. რა ძნელი ყოფილა ამ ტკივილის გაძლება. რავი ბუუს, ღმერთს ყოველდღე იმას ვთხოვ, რომ ძალა მომცეს და შეძლება ეს შავი პერიოდი ღირსეულად გადავიტანო. ნებისმიერი გვირაბის ბოლოს არის სინათლე. ჩვენც გავაღწევთ ნათელ წერტილამდე. მი.

• მონატრება უკვე წამებად მექცა, გზას გავცქერი, სადაც მეგულები. თუმცა ვერ მიპოვიხარ. ტატო, შენი თავი ღმერთმა წამართვა, რადგან მიყვარდი. ტკივილით მაგონდები. თამუნია.

• თეე, ყოველდღე უამრავ მესიჯს გიგზავნი რადიოში. ხანდახან ხდება, რომ ვერ ასწრებენ ყველას წაკითხვას. არაფერზე იდარდო, სანდრი კარგადაა, ძალიან ენატრები. ალბათ წარმოგიდგენია, როგორ... ხომ იცი, როგორი საყვარელია? ყველაფერს მიჯერებს, დილით 9-ის ნახევარზე გადის სახლიდან, 4 საათისთვის ბრუნდება, ცეკვაზე აღარ დადის, ასე ისურვა თვითონ, მეც აღარ დავაძალე. ანი ჩვენ გვერდით რომ სკოლაა, იქ გადმოვიდა, საბუკაც კარგადაა... გიო ისეთი გაზრდილია... მაგარი კაცია ძალიან, ნუცი კი ისევ ისეთი მატრაკვეცა გოგოა... პრანჭიკელა და საყვარელი. სხვა რა მოგწერო, ახალი არაფერია, ამ დღეებში ლალისთან და გვანცასთან გავალ, შენი დაიკოები კარგად არიან, ჩემო ცხოვრებავ, ძალიან მიყვარხარ, შენ ხარ ჩემი სიცოცხლე. გემშვიდობები, უფალი გფარავდეს. შენი ბუტია.

• იკა.ხ. როგორ ველოდები იცი, შენს დაბრუნებას? დაგახრჩობ კოცნით, დაგღლი მოფერებით, ველარ ამიტან, მაგრამ არც მოგეშვები. საყვარელო, საყვარელო! გაგიჟება შეიძლება, ასეთი მონატრებისგან! წუხელაც დამესიზმრე, ვითომ მაქედან გამოგაპარე და ერთად გავრბოდით. არ მეშინოდა, უბედნიერესი ვიყავი, რომ დაგიბრუნე და სხვა არაფერი მადარდებდა. ცხადში მაინც არ მინდა ასე. მე გელოდები. მჯერა, რომ მალე ისევ ერთად ვიქნებით და აღარ დავიმალებით, არც სადმე გავიქცევით. გვეყოლება უსაყვარლესი შვილები და ჩვენც მივიღებთ ჩვენს წილ სიმშვიდესა და ბედნიერებას ცხოვრებისგან. აუჰ, როგორ მინდა შენთან! მინდა სიცოცხლე შენი და კოცნა-ალერსის დომხალი. მაცოცხლებ? კოცნით მაცოცხლე. მკლავ? მაინც კოცნით მომკალი! მიყვარხარ ჩემო! მიყვარხარ უძვირფასესო! არ დამივიწყო... არ დაივიწყო, რომ შენ უნდა ამიხდინო ყველა ოცნება! ტომირანდა.

• იკა.ხ. მე უდიდეს საიდუმლოს ვინახავ, ეს საიდუმლოა სულის ოცნება და გონების ძალა, ეს არის ფესვთა ფესვი, ბურჯთა ბურჯი, სიცოცხლის ხე, რომელსაც ვერავინ მისწვდება შენს მეტი, რადგან მხოლოდ შენ იცი, რომ შენი გული ჩემში შევინახე და მე მას გულით ვატარებ... დაე, ეს საიდუმლო იყოს შენთვის ძალისა და მოთმინების მომცემი! ტომირანდა.

• იკა.ხ. გზაზე სიყვარულს ხვდება ეკლები, ხვდება ღიმილი, ხვდება ვარდები. ხვდება გზადაგზა ლოცვის მტრედები, თეთრი ღრუბლები, თეთრი დარდები. მთისკენ მიჰყვება ფერდობს ხევიანს, ხვდება გზადაგზა სევდის ბორცვები. ნამდვილ სიყვარულს სევდაც სჩვევია. სევდა ნათელი, სავსე ოცნებით! ახლა სიზმრებშიც აღარ მშორდები, თურმე სიყვარულს ასეც სცოდნია. გულში მემსხვრევა დარდის ლოდები, სულში ღრუბლები მიდი-მოდიან. ღამე მიყუჩებს გულის იარებს, ფიქრი მეხვევა ლამაზ ნისლებად, ჩემი ოცნების თბილი მდინარე შენი თვალების შუქით ივსება. გაიგე, საყვარელო? აი, ასე! შენით ვცოცხლობ და ვხარობ, შენთან ვარ და ყოველთვისაც ვიქნები! მიყვარხარ სიგიჟემდე და გკოცნი გიჟივით! ტომირანდა.

• გამარჯობა, ლაშა. კარგად რომ არ ხარ, ჩემზე უკეთ ვინ იცის, როცა ყველაფერი წინ მიდევს. სანერვიულო ყველას გვაქვს. არაფრისთვის ამდენი რამე? ჩვენ ერთად გავივლით ამ გზასაც, 13 არ დარჩა, ბევრად ნაკლები. ცეცხლი თივაში არ იმალება. დამიჯერე. დათო.

• დადუ გიო, ჩემო სიხარულო, ძალიან გვენატრები ყველას. მიყვარხარ უსაზღვროდ, სიცოცხლეს დავთმობდი, ოღონდ ჩემ გვერდით იყო. ბავშვები სულ გკითხულობენ, დადიან ბაღში. დადუ გთხოვ, თავს გაუფრთხილდი. მალე გავა ეს დრო. არ გავჩერდებით, შეწყალებაზე დავწერთ,

• თეე, როგორ ხარ, ჩემო სიცოცხლევ? ძალიან მენატრები, უზომოდ, გიჟურად, თავდავიწყებით, ჩვენ ყველა კარგად ვართ, ელენეს ველაპარაკე დღეს, გოგონები იყვნენ გურიაში, დღეს ჩამოვიდნენ, ყველაფერი ძველებურადაა, მერიკო გწერს რადიოში, ხომ გვისმენ? უშენოდ არაფერი მახარებს, თეე, მხოლოდ ის მაცოცხლებს, რომ ვიცი, მალე დამიბრუნდები. დღეს მამაჩემის საფლავზე ვიყავით ყველა, ძალიან კარგი ამინდი იყო, სანდრი კარგადაა, შაბათს ექსკურსიაზე მივდივართ, მგონი — ბორჯომში. სხვა რა უნდა გითხრა, ყველა დილა მხოლოდ შენთვის თენდება, ყოველი ღამე შენთან ერთად ღამდება, მხოლოდ შენ ხარ ჩემს ფიქრში, მხოლოდ შენ... ვიცი, მჯერა, ყველაფერი დამთავრდება, ძალიან მალე... თეე, რამე თუ გჭირდება, ლუნას დააბარე, ჩვენზე არ იდარდო, შენი ბუტია მხოლოდ შენს დაბრუნებას ელოდება. გიკოცნი თვალებს, მიყვარხარ, ბუტია.

• გია, ჩვენ გვჯერა შენი ნებისყოფისა. აქ შვილები და ახლობლები გელოდებიან. ჩვენ კი „მართლმსაჯულების წმინდა სიტყვას" ვუცდით. ლამზირი.

• ჩემი ი რ ა კ ლ ი ჩემთან მინდა იყოს. :( უკვე მართლა ძალიან ენატრები, საშინლად ენატრები... შენს ჰაეროვანს. ჩვენი განსხვავებული არ დაივიწყო, გიჟო.

• მადლობა ატარექსია, მოგიკითხავ საუკეთესო სურვილებით. საკმაოდ დაგვიანებით გიპასუხე, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო. პატივისცემით, ჯ. ხავი. P.S. თათა, ცოცხალი ხარ?

• ბუცა, ის, რაც შენთვის მორალია, ჩემთვის სისულელეც არ არის. შენ გირჩევნია, სანამ მიყვარხარ, მოკეტო და ცოლად გამომყვე, თორემ მე განა მისჯილი მაქვს შენი სიყვარული.

• ბუცა, ის კი არ იფიქრო, შენ არ გეუბნები. მე რა მგონია, ეგ საიდან უნდა ვიცოდე? მაგრამ შენ ის თუ იცი, რომ ბუცა და მარი ჯაფარიძე ერთი და იგივე პიროვნებაა? კუნკულა.

• ბუცა, სია მაქვს ჩამოწერილი შეყვარებულებისა. რა იმედი მქონდა, რომ შენ მაინც გამოგიჭერდი?! ახლა აღარ ვიცი, წაგშალო თუ არა. ბოლო პასუხი მინდა შენი. კუნკულა.

• ღმერთი გწამსო? ხშირად მეკითხებიან, საცოდავი ადამიანები. მე რა უფლება მაქვს, მწამდეს ან არ მწამდეს? იყო, არის და იქნება უზენაესი! კუნკულა.

• სარკოზიმ კარგად ილაპარაკა, მაგრამ ის დაავიწყდა, რომ კიდევ კარგი, აჭარაც რუსეთს არ ესაზღვრებოდა, თორემ სააკაშვილს ცხვირის ჩაყოფა ბაზალეთს მოუწევდა. კუნკულა.

• ბუცა, მე დიდი ხანი ვერ მოგიცდი, ბოლოს თავად მაცნობე შენი პასუხი. კუნკულა.

• მოღალატეს: თუ ვინმე გიყვარს, ის შეიყვარე, ქორწინების დროს მოგიკვდეს ხელში, შვილის მაგივრად გველი გეყოლოს, რომ გეხვეოდეს ძუძუ გულმკერდში. შენ ეგ თვალები ამოგეთხაროს, ღმერთმა გაგიხმოს ჩუმჩუმა გული, ოდეს რძე პირზე გადმოგედინოს, ტანჯულად გქონდეს გადაქცეული. შენ ჩემო გოგოვ, აღარ მიყვარხარ, რადგანაც არის ეს ჩემი ნება. მე ვტირი მხოლოდ პირველ სიყვარულს, შენგან გაშლილი სხვისგან დაჭკნება. თვითონ ძაღლსაც ეხსომება, შენი ლუკმის გემო, შენს პატივს არ დაივიწყებს თუნდ ყოველდღე სცემო. და კაცი კი! ზოგი კაცი, რომ გადაჰყვე თანაც, სულ პატარა წყენისათვის, ზურგში ჩაგცემს დანას.

• მეც გამიჩნდა სურვილი, რომ მოგწეროთ და ჩემი სიყვარულის ამბავი გაგიმხილოთ. დაოჯახებული ვარ და ქმართან პრობლემები მაქვს. ერთხელ უკვე

# რა იწვევს თმის ცვენას



თქვენს კითხვებს პასუხობენ პროფესიონალები!

MKURNALI.GE
სამედიცინო ინტერნეტჟურნალი

8 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი; 2 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 14 მოქმედი ლიცენზირებული ექიმი.

www.mkurnali.ge

წავედი ქმრის ოჯახიდან. 1 წელი გაშორებულები ვიყავით. ამ 1 წლის განმავლობაში ერთი არაჩვეულებრივი ბიჭი გავიცანი, რომელმაც მაგრძნობინა და გამაგებინა, ნამდვილი სიყვარული რაც არის. რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს და კარგადაც გავუგეთ, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ურთიერთობა — სამწუხაროდ, ჩემმა ოჯახმა ქმართან დაბრუნება მაიძულა. ჩუმად ვეხმიანებით ერთმანეთს და მთხოვს, ქმარი მივატოვო და მას გავყვე, მაგრამ ვერ ვბედავ, მშობლების გამო. არადა, სიგიჟემდე მიყვარს, მის გარეშე არ შემიძლია.

• თათამ და იმედამ ერთმანეთი ერთერთ საიტზე გაიცნეს. ორივემ მალე აღმოაჩინა, რომ ერთმანეთის გარეშე ვერ იცხოვრებდნენ. დათქვეს, რომ ერთმანეთი უნდა ენახათ. ეს დღეც დადგა. თათა ამაოდ ელოდა იმედას გამოჩენას... მოგვიანებით გაიგო, რომ ბიჭი საავადმყოფოში მოხვდა. შემდეგ იყო ტელეფონზე ლამის 24-საათიანი ლაპარაკი, სიყვარულის ათასჯერ ახსნა... ერთ დღეს კი თათა მოიტაცეს. მათი სიყვარული აკრძალული გახდა. გავიდა დრო, თათა ქმარს გაშორდა, მაგრამ ოცნება ოცნებად დარჩა. ბარტყი.

• ჩემი ძმა გადაეკიდა ჩემს ტელეფონის დამტენს. 2-ჯერ ვიყიდე და როგორღაც მოახერხა და მოსპო. 2-3 კვირის წინ ბიძაჩემი იყო ჩემთან რუსთავში სტუმრად, თავისი მანქანით — „06“-ით. გადაწყვიტა „ჯეოსელის“ ოფისში წასვლა და მეც გამწარებულმა ვთხოვე, ბაზარში ჩამომსვით, დამტენი ვიყიდომეთქი და გავყევი. ახალი გამოსულები ვიყავით, რომ „ოპელს“ შევეჯახეთ. მანქანები შეჯახების გამო ტრიალებდნენ და ამ ტრიალის დროს გადმოვვარდი და დავეცი — კუდუსუნის ძვალი მოვიტეხე. მანქანები სულ დაიჭეჭყა, მაგრამ მანქანებს ვინღა ჩიოდა, გამაქანეს საავადმყოფოში. ჯერ გამაწვალეს, ძვალს ასწორებდნენ, შემდეგ მოიფიქრეს და ნარკოზი გამიკეთეს. როგორც კი გამოვედი ნარკოზიდან, შვებით ამოვისუნთქე... ამის შემდეგ ტრანსპორტის შიში მაქვს, არადა, ხშირად მიწევს მგზავრობა. ახლა უკეთ ვარ, ახალი დამტენიც ვუყიდე ტელეფონს და ჩემს ძმას არ ვაკარებ. :) რომ შევხედავ ხოლმე, გამახსენდება ეს უსიამოვნო ამბავი. JONNY'S GIRL.X.O.

• როგორც ჩანს, ჩემში ცუდმა ცოტათი დაჯაბნა კარგი და საბოლოოდ იმ შედეგამდე მივედი, რომ ერთ-ერთ, კომპიუტერული ინვენტარით მოვაჭრე ჯიხურს, დისკების საყიდლად ხშირად ვსტუმრობდი და ყოველ ჯერზე მისვლისას, თბილი და კარგი საუბრით, გამყიდვლის ნდობის მოპოვებას ვცდილობდი. დროთა განმავლობაში, ჩემზე საკმაოდ დიდი და ლალი მოროშკინაზე ლამაზი გამყიდველი სალომე გამიშინაურდა. შეგნებულად, ბევრ დისკს გადმოვაწყობინებდი და როდესაც საკმაო რაოდენობას დავათვალიერებდი, ვეუბნებოდი, ესენი აღარ მაინტერესებსმეთქი და შეეძლო გადაეწყო. რადგანაც დისკების რაოდენობა ბევრი იყო, ნაწილს გადააწყობდა და სწორედ ამ ნაწილი დისკების გადაწყობით მოპოვებული 2 ან 3 წამით ვსარგებლობდი და ადგილზე დარჩენილი დისკებიდან, პირველივე დისკს, მარცხენა ხელით ვიღებდი და შარვლის მარცხენა ტოტის ღია ჯიბეში ვიდებდი, შემდეგ ერთ დისკსაც შევიძენდი, თავაზიანობის გამოსახატავად, მადლობასაც ვიხდიდი და ორი დისკით მოვდიოდი. ბევრი რომ არ გავაგრძელო, ასეთი მეთოდით მისგან 6 დისკი მივითვისე. ხოლო ერთ (დისკის მითვისების სურვილის მქონე) დღესაც, ჯიხურს ვესტუმრე და ჩემდა სამწუხაროდ, დაკეტილი დამხვდა. ახლომდებარე მოვაჭრეებს ამბავი რომ გამოვკითხე, მითხრეს, რომ გადასახადებს ვერ აუდიოდნენ და დახურვამ მოუწიათო. მე კი გამეღიმა, რადგანაც მათი ჯიხურის დაკეტვაში, ჩემი საქციელით, მცირეოდენი წვლილი მეც მქონდა შეტანილი... რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც პიროვნულად ჩამოყალიბების ზღვარს მივადექი, ზემოთ მოყოლილი გამახსენდა და მივხვდი, რომ ჩემი უსინდისო საქციელით სალომეს უსამართლოდ მოვექეცი. ამიტომ, რადაც უნდა დამჯდომოდა, ჩადენილი უნდა გამომესწორებინა. დაუყოვნებლივ მივადექი ჯიხურის ახლომდებარე მოვაჭრეებს იმ იმედით, რომ მის მისამართს შევიტყობდი. ჩემდა საბედნიეროდ, გავიგე და მალევე მივედი ამ მისამართზე. კარი ხანში შესულმა ქალმა გამიღო. მივესალმე, მომესალმა და ვკითხე: სალომე აქ ცხოვრობს, ქალბატონო? — სალომე აქ წელიწადზე მეტია, აღარ ცხოვრობსო! სწორედ ამ მომენტში ვიფიქრე, რომ მორჩა, სალომეს ველარ მივაგნებდი, მაგრამ სანამ ფიქრს დავასრულებდი, მოხუცმა დაამატა: მე კი ვიცი, სალომე სადაც ცხოვრობს, მაგრამ შენ ვინა ხარო? მე მისი ძველი ნაცნობი ვარ და ის უნდა გადავცე, რაც მას ეკუთვნის-მეთქი. ამხედა, დამხედა და მითხრა: არ ვიცი, რამდენად ხარ მისი ნაცნობი, მაგრამ გეტყობა, რომ ცუდი ბიჭი არა ხარ და იმედია, არ ვცდებიო და მისამართი მითხრა. გამბედაობა მოვიკრიბე და სალომეს მივმართე: მრცხვენია ამის აღიარება, მაგრამ მაინც უნდა გითხრა, რომ როდესაც იმ ჯიხურში მუშაობდი, შენგან 6 დისკი ისე ავიღე (სიტყვა „მოპარვა“ საკუთარ თავს ვერ ვაკადრე), რომ ფული არ გადამიხდია, ბოდიშს გიხდი, ასე რომ მოვიქეცი და აგერ, ეს ფული მოვიტანე, რაც თავის დროზე დისკებში უნდა გადამეხადა... ხმა არ ამოუღია, შესაძლოა არც იცოდა, რა ეპასუხა. თანხა არ გავუწოდე, შემოსასვლელში, ტუმბოზე დავდე, კიდევ ერთხელ გულწრფელი ბოდიში მოვუხადე და კიბეზე დავეშვი. სადარბაზოდან გამოვედი და გამეღიმა, რადგან გამოსწორებული საქციელით ვიამაყე და უზარმაზარი შინაგანი სიმსუბუქე ვიგრძენი! მისტერ.

• მოგესალმებით. ძალიან მომენატრეთ. რაც თვალისჩინი დამაკლდა, ჟურნალი არ წამიკითხავს. ოპერაციისადმი სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი, ამ ასაკში მხედველობის დაბრუნება მართლაც რომ ძნელი დასაჯერებელია. ამას დაემატა ისიც, რომ 17 ივლისს დავკრძალეთ ჩემი მანანა, რომელიც უცბად თრომბოემბოლიით გარდაიცვალა. ვისთანაც ვიყავი შეხიზნული მარტოხელა. უკვე ოპერაცია კი არა, სიკვდილი მინდოდა, მაგრამ რადგან მერიიდან დამირეკეს, მობრძანდით საოპერაციადო, უხერხული იყო უარის თქმა და წამიყვანეს საავადმყოფოში. იქ ექიმმა ოფთალმოლოგმა, ირინე შანიძემ მომამზადა საოპერაციოდ. გამიკეთეს გამოკვლევები და 27 ივლისს დაინიშნა ოპერაცია ისე, რომ ჩემი ქირურგი არ მინახავს ვიზუალურად, მხოლოდ მისი გვარი და სახელი იყო აღნიშნული ჩემს ანკეტაზე. ოპერაციის დღეს დამაწვინეს გასაგორებელ საოპერაციო საწოლზე და შემაგორეს საოპერაციოში. 15-20 წუთის შემდეგ უკან გამომაგორეს თვალზე მიკრული ბინტით და მეორე დღეს დაგვიბარეს. ისევ ირინე შანიძესთან. უაღრესად სათნო და სიმპათიური ქალბატონი თბილად შემხვდა. თვალიდან მომხსნა საფარი და კაბინეტში დამონტაჟებულ საჭვრეტში გამახედა... მხედავო? შემეკითხა. მეორე მხრიდან თვითონ იყურებოდა. სიხარულით ვიკივლე... გხედავთ! გხედავთ! მაშ, ყველაფერი კარგად არისო. არასოდეს დამავიწყდება ირინა ექიმი, მისი გაბრწყინებული სახე, ოპერაციის შემდეგ პირველად ხომ ის დავინახე. აი ასე გავხდი ისევ თვალხილული. სიხარული არ მოუშალოს ღმერთმა. ნანი დუმბაძე.

• ჩემო კარგო მარი, უსიამოვნოდ გასახსენებელი ძალიან ბევრი მაქვს. პირველი ჩემი 19 წლის დის დაღუპვა იყო. მეორე ძმის უმძიმესი ავადმყოფობა, შემდეგ მამისა და დედის გამგზავრება იმ სამყაროში, ჩემი დატირების გარეშე... ერთი სიტყვით, ცხოვრებამ ბევრი უსიამოვნო დღე შემახვედრა, მაგრამ ყველას მინდა ვუთხრა, რომ ცხოვრება მაინც მშვენიერია. გერასიმე.

• ვერ ვიტან იმ ხალხს (უცხოელებს ვგულისხმობ), რომლებიც საქართველოში ჩამოდიან, ქართველ ხალხს დასცინიან და კისერზე შემოაჯდებიან! ქალების გულთამპყრობელი.

• გავუფრთხილდეთ დროს, რადგან ნათქვამია: დრო ფულიაო. ქალების გულთამპყრობელი (SEX BOY).

• ნაომ, იცი, რატომ არ აგყვები მაგ ლაყბობაში? სიმართლე ყველას მწარედ ხვდება გულზე და არც შენ ხარ გამო-

# გზავნილები

ნაკლისი, აფრქვიე ბოლმა, რამდენიც გინდა, მე მკიდია. ბუცა.

• უი, გოგო ვარ თუ ბიჭი, ეგ არ სცოდნია მარის. :) გოგო ვარ, გოგოოო! P.S. კი გული დამწყდა აქ ბევრ რაღაცაზე, მაგრამ არა უშავს. მთავარია, მე ვიყო ჩემს თავთან მართალი. ბუცა.

• პარიჟანკას მინდა მივულოცო გაბედნიერება და მინდა ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს და მინდა მთელი ცხოვრება თაფლობის თვე ჰქონდეს. სიყვარულით, გერასიმე.

• ქუჩაში ტიპი, დაკერილი მაგარი როჟით,/ ტალახში ხურდადაბნეული დახოხავს ბომჟი.../ ნაწვიმარ გუბეს შერევია ახალი სისხლი,/ ვიღაცა დაჭრეს! მაგრამ არა ამურის ისრით.../ ამაზე უფრო ეგზოტიკურს რას ნახავ, აბა?/ ქმრის სიგანეს გაუტოლდა სიგრძეში კაბა!/ ირგვლივ ათასი გახვრეტილი წარბი და ჭიპი,/ გაურკვეველი შეგნების და გაგების ტიპი./ თბილისის ცენტრში სურთ გამართონ გეი-აღლუმი,/ პატრონი არ ჰყავთ, ამოარტყან თითო პანღური!/ მაგარ ჯიპებში ჩაპრესილი და მიხრწნილები,/ ნაქართველარი, ნაბოზარი პედოფილები/ ღმერთი მთლიანად არ გაგვწირავს ეტყობა ერსა,/ ბოლომდე რომ არ დაგვავიწყდა სიკეთის თესვა!/ P.S. ყუთში კი ისევ აწკრიალებს ვიღაცა ხურდას,/ გვირაბის ბოლოს ხურდის ფასად სინათლე ბჟუტავს.../ მარი, ლექსი ჩემია და ჰქვია „კადრები თანამედროვე თბილისიდან“.

• „გარიგება-2“-ის დასასრულზე მთელი კინო იცინოდა და მე კი ტირილით ლამის მოვკვდი... ისე კი ვზივარ 14 ენკენისთვის მერე და ისტერიკულად ვმღერი — „საყვარელმა დამტოვა, ნაჩუქარი თილიიიისმით“ და თუ მალე არ დაბრუნდები, მთელ ანაკლიას გადავწვავ ჯორჯ, იცოდე, რომ ჩემი ბედის ირონია ხარ და მე კი შენი — ლი. ლია.

• ვამზადებ მძივებს, დამკვეთის კბილებისაგააან. როოგორ ხარ, ჯაფარიძეანთ ქალო?

• დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და გადავწყვიტე, მომეწერა. ანა მქვია ჩემი ნიკი იქნება ANA SEX.

• არავინ ელოდა ამქვეყნად და მაინც მოევლინა იგი ქვეყანას. მას არაფერი უთხოვია, ისე აჩუქა ბუნებამ ფერები ნაზი. მას არაფერი გააჩნდა, ისე გაამდიდრა ყველა. არ დაუპატიჟებიათ დიდ ქალაქებში და მაინცდამაინც, უბრალოდ გზას გამოჰყვა, მოდიოდა ფეხით, დღისით, ღამით, დარსა და ავდარში. გზაზე დაჭრილ ირემს გადააწყდა, მოეფერა და მისი ტკივილი ტილოს შეატოვა. დიდი შიში გაქცეული კურდღლის თვალებში ნახა პირველად. ერთხელ, მთვარიან ღამეში დათვი შემოხვდა და მაშინვე ღამისა და მთვარის ფერებით ამოქარგა ეს შეხვედრა. მერე მდინარეს დააკვირდა, წითელპერანგა მებადურს წყლიდან ამოსვლა არ დააცადა და განაგრძო ისევ გზა. უხმაუროდ დააბიჯებდა იგი მიწაზე. მისმა წყნარმა ნაბიჯებმა დააფრთხო მაინც შველი, სადღაც გაიქცა იგი, მერე მუხლამდე ჩაეფლო ბალახში და შედგა. განცვიფრებულმა მოხედა ადამიანს — გაუკვირდა, რატომ არ მკლავს სხვებივითო. ამ კაცმა კი მას ულამაზესი ფეხები და უკვდავება აჩუქა. წყალზე მიმავალი ბავშვებიანი გლეხი ქალი შეაჩერა და რატომ, იმ ქალმა ვერ გაიგო. უყვარდა უბრალო ადამიანები, ამიტომაც შემოინახა ზმანება, სიზმრად ქცეული საოცრება. კახეთის რთვლის, ალაზნის ლხინის და ბოლინის ხაჩინის დღეობის მნახველს რა გააკვირვებდა? უბრალოდ, მალაკნების ქეიფი უყვარდა: არღანი, ზურნა, დუდუკი და თეთრი და თეთრი დუქნისკენ მიმავალი მოქეიფენი... მარტო სააღდგომო ბატკნის უცოდველი თვალები აოცებდა. ასე პატარა გულში ამოდენა სიყვარული არ ეტეოდა და სისხლის წილ გზა-გზა ეღვრებოდა უცხო ფერებად. მეეზოვეს უფრთხოდა: ეშინოდა, ყველაფერი განურჩევლად არ გაეგავა ამ ქვეყნიდან. ეს ცხოვრება კი ულამაზესად აგებული, თეთრკედლებიანი გალერეა ეგონა და თავისი სურათებიც იმითომ დატოვა აქ. იმ დღეს კი სააღდგომო სუფრა დალოცა და ყველას შეუმჩნევლად, უხმაუროდ, წყნარად, ზეცისკენ მიმავალ კიბეს აუყვა თავდახრილი... ცა თუ უნდა მოეხატა... :) მოგეწონება, მარიამ. :) მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• ძვირფასო! ახლა მითხარი რა გსურს, მე შენ მომეცი უწინ პირობა, შენ იგონებდი შორეულ წარსულს და როიალიც ჩვენზე ტიროდა. მიქროდა წამი თანდათანობით, სულის დაღუპვას ვგრძნობდი წინათაც, შენ განშორებას უფრო ნანობდი და თვალში თეთრი ცრემლი ბრწყინავდა. ნელა სწყდებოდა ფოთლები ხეებს და სადღაც დუმდა ხე გაძარცული, შენ იგონებდი გაფრენილ დღეებს და თვალწინ გედგა ჩვენი წარსული. ის არ ვიყავი, რასაც ელოდი, ძვირფასო! ახლა მითხარი, რა გსურს, მე შეგამჩნიე იცრემლებოდი და როიალიც ტიროდა წარსულს. ჩანდა ღრუბლისგან ცა გაძარცული, იდგა მინასთან ღამე გვიანი, შენ მოგაგონდა ჩვენი წარსული და მომაჩერდი თვალცრემლიანი. ძვირფასო! ახლა მითხარი რა გსურს, მე შენ მომეცი უწინ პირობა, შენ იგონებდი შორეულ წარსულს და როიალიც ჩვენზე ტიროდა... უჰ, როგორ მიყვარს გრანელი. მ.9.ე.7.მ.1.ე.7.

• შტირლიც, ეული ლამპიონი მეჩხუბება, მარი მომიკითხეო და მოგიკითხე, აჰა! ბალერინა ბეკეკა.

• ხალხო, ძალიან მჭირდება თქვენი რჩევა... BUGATTY VEYRONIS ყიდვა მინდა და როგორ მოვიქცე?

• სანამ ლამაზი გახლავარ, მანამ მაჩუქე თვალები, თორემ იცოდე ამქვეყნად, ბევრია კაი ქალები! ქალების გულთამპყრობელი (SEX BOY).

• ყველა ადამიანს, განსაკუთრებით შეყვარებულ წყვილებს ვურჩევ: გაუფრთხილდნენ ერთმანეთს, რადგან ცხოვრება ხანმოკლეა. ქალების გულთამპყრობელი (SEX BOY).



## გილოცავ!

• ჩემს უსაყვარლეს მეუღლეს, ჯონი მახაჭაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 5 ოქტომბერს. ძვირფასო, გისურვებ ჯანმრთელობას, წარმატებებს ცხოვრებაში. უფალი იყოს შენი მფარველი და აგისრულოს შენი ყველაზე დიდი სურვილი. ძალიან მენატრები, იცოდე, შენ ჩემი სიცოცხლე ხარ, მუდამ შენ გვერდით მიგულე. გკოცნი. შენი ფანცქვალაგოგო.

• ამალია მარტიროსოვას ვულოცავთ დაბადების დღეს, 14 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობას და სიხარულს. ემილია, ირაკლი და ნინო, ფოთიდან.

• ნუნუ ნარიმანიშვილს: დედა, გილოცავ დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. ჯანმრთელობა არ მოგაკლოს უფალმა. გაიხარე და გამრავლდი. შენი შვილი, მზია.

• ნუნუ ნარიმანიშვილს: ბაბო, გილოცავთ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი. შენ ყველაზე კარგი ბაბო ხარ, მსოფლიოში. გკოცნით. სტურუები და ბიწაძეები.

• 3 ოქტომბერს დაბადების დღე აქვს ჩემს 32 წლის უნახავ დაქალს. თქვენი საშუალებით მინდა მივულოცო მარინა დათაშვილს. ათენი, ელისო ნათელაშვილი.

**„მობილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.**

# ტაიმ-აუტი

## ცნობილი განგსტერები

⅄ ვინსენტ The Chin ჯიგანტე (1928-2005) ნიუ-იორკში დაიბადა. სკოლა კრივის გამო მიატოვა. ჯიგანტემ 25 ბრძოლიდან 21 მოიგო. პირველად 25 წლის ასაკში დააპატიმრეს. 17 წლიდან ჯენოვეზეს ბანდის წევ-




რი იყო. მოგვიანებით, ნათლიმამა გახდა, ხოლო მაფიოზი ტონი სალერნოს დაპატიმრების შემდეგ — მისი კლანის ბოსი. მორიგი დაპატიმრება თავიდან რომ აეცილებინა, თავი გიჟად გამოაცხადა. ნიუ-იორკის ქუჩებში პიჟამით დასეირნობდა, რის გამოც „პიჟამის მეფე“ შეარქვეს. 2003 წელს გამოძალვის ბრალდებით დააკავეს. ციხეში რამდენიმე წელი გაატარა და 2005 წელს გარდაიცვალა.

⅄ ალბერტ ანასტასია (1903-1957) იტალიაში დაიბადა და მშობლებთან ერთად ამერიკაში გადასახლდა. პირველად ადამიანის მკვლელობისთვის გაასამართლეს და „სინგ სინგის“ ციხეში ჩასვეს, მაგრამ ტრაგედიის ერთადერთი მოწმე საეჭვო ვითარებაში გარდაიცვალა და ანასტასია ციხიდან გაათავისუფლეს. უამრავი მკვლელობის გამო (ერთ-ერთი ვერსიით, ალბერტს დაჯგუფებას 400 ადამიანის მკვლელობა ედება ბრალად) მას „ჯალათთა ლორდს“ ეძახდნენ. მოგვიანებით, ანასტასია ჯო მასერიას ბანდაში მოხვდა. მეგობრობდა ასევე მკვლელ ჩარლი „იღბლიანთან“. ბოსის მოკვლის შემდეგ, მკვლელების ჯგუფის — Murder, Inc -ის ლიდერი გახდა. 50-იან წლებში ლუჩანოს ოჯახს დაუახლოვდა, მაგრამ 1957 წელს კარლო გამბინოს ბრძანებით მოკლეს.

⅄ ჯოზეფ ბონანო (1905-2002) კუნძულ სიცილიაზე დაიბადა. 15 წლის დაობლდა. 19 წლისა მუსოლინის რეჟიმს ჯერ კუბაში გაექცა, შემდეგ აშშ-ში გადაბარგდა. მარანზანოს ბანდა იტალიის ყველის ქარხნებს, სამკერვალოებსა და სამგლოვიარო ბიუროებს აკონტროლებდა. ბანდის ლიდერის მოკვლის შემდეგ, ბონანომ კაპიტალის დაგროვება შეძლო, მაგრამ საქმეებს სხვა, უფრო გავლენიანმა განგსტერებმა ჩამოაცილეს. ბონანომ უზრუნველად ღრმა მოხუცებულობამდე მიაღწია.

⅄ არტურ ფლეჰენჰეიმერი (1902-1935), მეტსახელად „ჰოლანდიელი შულცი“, ბრონქსში დაიბადა. პირველად ციხეში 17 წლის ასაკში, ქურდობისთვის მოხვდა. იქიდან გამოსული სპირტიანი სასმელების ბიზნესში ჩაერთო (იმ პერიოდში ამერიკაში მშრალი კანონი მოქმედებდა). მის ბანდას კაპონე და ლუჩანო მტრობდნენ. განგსტერი 1935 წელს ალბერტ ანასტასიას ბრძანებით მოკლეს.

⅄ ჯონ გოტი (1940-2002) 16 წლის იყო, როცა ქუჩურ ბანდაში — „ბიჭები ფულტონ-როკაუეიდან“ მოხვდა და ცოტა ხანში მისი ლიდერი გახდა. „ბიჭები“ ქურდობდნენ და მანქანებს იტაცებდნენ. 70-იან წლებში გოტი გამბინოს ერთ-ერთი კლანის წევრი გახდა, რომელსაც პოლ კასტელო ხელმძღვანელობდა. გოტი კასტელოსგან მალულად ნარკოტიკებით ვაჭრობდა, და როცა ბოსმა მისი თავიდან მოშორება გადაწყვიტა, გოტიმ თავად მოკლა კასტელო. ჟურნალისტებმა გოტის „ელეგანტური ჯონი“ შეარქვეს. პოლიციამ მაფიოზი 1992 წელს მკვლელობისთვის გაასამართლა. გოტი 2002 წელს ციხეში გარდაიცვალა.

⅄ მეიერ ლანსკი (1902-1983) რუსეთში დაიბადა. მაიერ საჩოვლიანსკი პატარა იყო, როცა მშობლებმა ამერიკაში წაიყვანეს საცხოვრებლად. ნიუ-იორკში ჯერ ჩარლზ ლუჩანოს დაუმეგობრდა, შემდეგ ბაგსი სიგალს. სამეულმა ბანდა „ბაგი და მეიერი“ ჩამოაყალიბა. თავდაპირველად, ლანსკი აზარტულმა თამაშებმა გაიტაცა, შემდეგ ფულს „ათეთრებდა“. როცა მეგობრებმა ფული ვერ გაიყვეს, ლანსკიმ სიგალის მოკ-



ვლა ბრძანა. მიუხედავად იმისა, რომ მისი ბანდის წევრები მთელი მსოფლიოს სამორინეებს აკონტროლებდნენ, ლანსკის ერთი დღეც არ გაუტარებია ციხეში.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

# „გამომცემლობა პალიტრა L"-ის წიგნები




## ლელა ჯიყაშვილი
## გოდერძი ჩოხელის მემუარები

ახალია!

ფასი: 7.99

გვ. რაოდ.: 200 გვ
ფორმატი: 21x14.8
ყდა:რბილი

წიგნში შესულია გოდერძი ჩოხელის მოგონებები, რომლებსაც სხვადასხვა დროს იწერდა მისი მეგობარი, ლიტერატორი ლელა ჯიყაშვილი. ბევრი რამ სრულიად ახალი იქნება მკითხველისათვის, რომელიც კარგად იცნობს მწერლისა და კინორეჟისორის გოდერძი ჩოხელის შემოქმედებას. ეს წიგნი, ასე ვთქვათ, „ღია ფანჯარაა", საიდანაც გოდერძი ჩოხელის ცხოვრებაში გადაიხედავთ.

## საოცარი თვითმფრინავები




ფასი: 19.99

გვ. რაოდ.: 10 გვ.
ფორმატი: 22.5X26
ყდა: მაგარი



თქვენ წინაშეა საოცარი წიგნი ავიაციაზე
**5 ასაწყობი თვითმფრინავის მოდელით.**
ამ საოცარი თვითმფრინავების აწყობისას, თქვენს პატარებს თვალწინ გადაეშლებათ ავიაციის შთამბეჭდავი ისტორია.

## დიდ მოგზაურთა კვალდაკვალ

ახალია!



ფასი: 21.99

გვ. რაოდ.: 13 გვ.
ფორმატი: 25.5X25.5
ყდა: მაგარი

„უშიშარ მოგზაურთა საზოგადოება" ყველა გულად ბიჭსა და გოგონას სამოგზაუროდ ეპატიჟება. ამ არაჩვეულებრივ, მოძრავი ილუსტრაციებით გაფორმებულ წიგნში პატარები წაიკითხავენ მსოფლიოს ჯერ კიდევ შეუსწავლელ ადგილებზე, ჯუნგლებში ჩაკარგულ ქალაქებზე, ანტარქტიდის ყინულოვან სივრცეებზე. პატარებს წინ დაუვიწყარი მოგზაურობა ელით.

*შეიძინეთ წიგნის მაღაზიებში!*

წიგნები სახლში მიტანით ფასნამატის გარეშე ტელ.: 8(32) 238 26 73; 8(32) 238 26 74 www.elva.ge

## გონების სავარჯიშო

### „გზის" ერთგული მკითხველისათვის

### (კითხვები)

**ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში" სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ**

**„პასუხების" სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი**

1. დაასახელეთ ევროპის ქვეყანა, სადაც აბორტები აკრძალულია, მაგრამ არსებობს ბარჟები, რომლებიც სხვა ქვეყნის დროშით ცურავს. ასეთ ბარჟებზე აჰყავთ ექიმებს პაციენტები, ზღვაში გადიან და იქ ატარებენ ქირურგიულ ჩარევას, რაც უკვე დანაშაულად აღარ ითვლება.
2. სად არის დასაფლავებული ნიკო ფიროსმანი?
3. დაასახელეთ ფრანგი მხატვარი, რომლის პორტრეტიც 100-ფრანკიან კუპიურაზე იყო გამოსახული.
4. ხანგრძლივი დროით შენახვისას ღვინით სავსე ბოთლი აუცილებლად გადახრილ მდგომარეობაში უნდა იმყოფებოდეს. რატომ?
5. ერთხელ ამ ფრანგ მწერალს მსახურმა სთხოვა სოფელში ნათესავებთან გასაგზავნი წერილი დამიწერეო. მწერალმა თხოვნა შეუსრულა. წერილი დაწერა, ხმამაღლა წაუკითხა და ჰკითხა: — რამე ხომ არ დავამატო? — დიახ ბატონო, უპასუხა მსახურმა, — მიაწერეთ, რომ ბოდიშს ვიხდი ამ სულელური სტილისთვის და რომ წერილის ავტორი თქვენ ბრძანდებით. დაასახელეთ იგი.
6. ვინ დაწერა მუსიკა ფილმისთვის „დათა თუთაშხია"?
7. რომელი მხატვრის პირველი ცოლი იყო ოლგა ხოხლოვა?
8. დაასახელეთ აფრიკის ბინადარი ცხოველი, რომელიც ცუდი მხედველობის გამო პეპელასაც ისეთივე გააფთრებით ესხმის თავს, როგორითაც პოტენციურ მტერს.
9. რომის იმპერატორმა ტიბერიუსმა ლაპარაკში შეცდომით უცხო სიტყვა იხმარა. მერე შეცბა, მაგრამ იხტიბარი არ გაიტეხა და ბრძანა, ამიერიდან ეს სიტყვა ლათინურად ჩაითვალოსო. ერთ-ერთმა დაახლოებულმა პირმა, მარცელუსმა იმპერატორს შეჰბედა: „მეფეო, შენ შეგიძლია ადამიანებს უბრძანო, ხოლო სიტყვა მხოლოდ გრამატიკას ემორჩილება". რა უპასუხა ტიბერიუსმა?

# ანეკდოტები



***

ბოჩოლა, ჩემო ბოჩოლა, — ენას უჩლექს ქმარი.

— ბოჩოლას რატომ მეძახი?

— რა ვიცი, ვიფიქრე, ძროხა რომ დავუძახო, არ ეწყინოს-მეთქი.

***

სახლში ისმის ოჯახის უფროსის ყვირილი:

— არ მაინტერესებს, რომ უკვე 16 წლის ხარ! ასეთი მაკიაჟითა და ასეთი მოკლე კაბით საცეკვაოდ არ გაგიშვებ!.. გესმის, ზაზა?!.

***

მღვდელი დაქვრივებული ქალის დამშვიდებას ცდილობს:

— ნუ იდარდებ, შვილო ჩემო, შენი ქმარი ზეცაში გელოდება!...

— მაგიტომაც ვწუხვარ.... იქ უკვე სამი ეგეთი მელოდება...

***

დაქალები საუბრობენ:

— გუშინ წვეულებაზე ბევრი შამპანური დავლიე და როცა ვასიკოსთან ერთად მარტო დავრჩი, ჩემი უმწეო მდგომარეობით ისარგებლა!

— რა მოხდა, გაგაუპატიურა?

— არა, გაიქცა!

***

— რატომ აცვია შენს მულს ასეთი მოკლე კაბა?

— უხ, არ მაცალეს, თორემ სულ შემოვახევდი!

***

ორი ხანდაზმული მამაკაცი პარკში ზის და გოგოებს ათვალიერებს. ერთი ეუბნება მეორეს:

— იცი, ადრე საკმარისი იყო, კარგი გოგო დამენახა, რომ ეგრევე ვეგზნებოდი...

— ახლა?

— ახლა მხედველობა აღარ მივარგა...

***

სიძე სიდედრის დასაფლავებიდან ბრუნდება და ჩიტმა თავზე დაასკინტლა. აიხედა მაღლა და შესძახა:

— ვა, უკვე მაღლა ხარ, ოლიფანტოვნა?

***

მამაკაცი შედის ყვავილების მაღაზიაში.

— თუ შეიძლება, ასი ცალი ვარდი მომეცით ჩემი ცოლისთვის.

— ასეთი რა დააშავეთ?

***

პოლიციის უფროსის კაბინეტში დაკავებული შეიყვანეს:

— უფროსო, აგერ ეს კაცი დავაკავეთ. თქვენ დაკითხეთ, ჩვენ კი სამორიგეოდ უნდა დავბრუნდეთ.

— რა დააშავა? — დაინტერესდა უფროსი.

— ზოოპარკში გალიაში იყო შეპარული და ვეფხვს აუპატიურებდა!

— მერე, მაგასთან ერთად კაბინეტში მარტოკას მტოვებთ?!



***

ძმაკაცები მიხოს სანახავად სამოთხიდან ჯოჯოხეთში გადავლენ. წევს მიხო მდელოზე. ერთ მხარეს დოქი უდგას, მეორე მხარეს ქალი უწევს.

— ესაა, ბიჭო, ჯოჯოხეთი? — იკითხეს გაკვირვებულებმა. მიხომ ამოიოხრა:

— ეეჰ, ბიჭებო, ამ დოქს რომ უყურებთ, შვიდი ნახვრეტი აქვს, ამ ქალს კი — არც ერთი.

***

— ნეტავ, ჩემი მატარებელი რამდენ ხანში გადის? — კითხულობს სიდედრი.
— ორ საათში, 26 წუთსა და 42 წამში, დედა, — სხაპასხუპით პასუხობს სიძე.

***

— სოფი, როგორ არის შენი საქმეები?
— უჰ, არ მკითხო, ისე გავწვალდი ქმრის მემკვიდრეობის გადმოფორმებაზე, ხანდახან ვფიქრობ, ჯობდა, არ მომკვდარიყო მეთქი.

***

ცოლი ქმარს საყვედურობს:
— რა არის, არსად დაგყავარ, არც კინოში, არც თეატრში, არც რესტორანში, არც სასეირნოდ!..
— რატომ, წინა კვირას ხომ წაგიყვანე საავადმყოფოში!

***

ახალი ამბები: ამ დღეებში პოლიციელებმა მაზოხისტების მიტინგი ხელკეტებით დაშალეს. ასეთი სიამოვნება დიდი ხანია, არც ერთ მხარეს არ მიუღია.

***

მთვრალი კაცი ეზოში შევიდა. შორიდან გუგულის ხმა ესმის.
— გუგულო, კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ?
ამ დროს ცოლის ხმა ესმის:
— სულ რაღაც ხუთი წუთი, შე სასიკვდილევ, სანამ ცომის გასაბრტყელებელს ვიპოვი!..

***

პოლიციის განყოფილებაში ბავშვი შევარდა და მორიგეს ეუბნება:
— ჩქარა წამოდით, ქუჩაში ვიღაც კაცი მამაჩემს სცემს!
პოლიციელი ქუჩაში გავარდა და ხედავს ორი კაცი ერთმანეთს თავპირს ამტვრევს.
— რომელია მამაშენი?
— ზუსტად მაგას არკვევენ...

***

ძუნწი ქმარი ცოლს ეუბნება:
— პალტო ჩაიცვი, რესტორანში დამპატიჟეს.
— რა კარგია, ერთად ვივახშმებთ!
— კიდევ რა გინდა?!.. მარტო მე დამპატიჟეს!
— აბა, პალტო რად მინდა?
— გათბობა უნდა გამოვრთო, სანამ სახლში არ ვიქნები.

***

ოსი მდინარის პირას ზის და თევზაობს. გაუთავდა ჭიაყელები. აიღო ფურცელი, დააწერა „წიაყელა", გაუკეთა ნემსკავზე, ანკესი წყალში ისროლა და ცოტა ხნის შემდეგ უკან ამოიღო. ხედავს ზედ სხვა ფურცელია მიმაგრებული წარწერით: „ლოქო, სენი წირიმე".

***

ორი სომეხი რესტორანში ზის:
— ნახე, იმ მაგიდასთან რა ლამაზი გოგონები სხედან, წამო, იმათთან გადავსხდეთ!
— მოიცა, ჯერ ოფიციანტს ფული გადაუხადონ...



***

ქმარი მიდის სახლში მთვრალი. შესასვლელში ცოლი დგას ცომის გასაბრტყელებლით ხელში.
— საყვარელო, შენ სულ აცხობ და აცხობ...

# გონების სავარჯიშო

**„გზის" ერთგული მკითხველისათვის**

**(პასუხები)**

1. პოლონეთი.
2. ფიროსმანის საფლავი დაკარგულია.
3. პოლ სეზანი.
4. რათა ყელი ჰქონდეს სველი და საცობი არ გამოშრეს.
5. ვოლტერი.
6. ბიძინა კვერნაძემ.
7. პიკასოსი.
8. მარტორქა.
9. „მე გრამატიკაზე მაღლა ვდგავარ!".

# ჩვენი ფოტო გალერეა



რუბრიკა მოამზადა *თემურ ივანიძემ*

# ჰოროსკოპი

## 13-19 ოქტომბერი

### ვერძი



გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან და საქმეებსაც უკეთესად წარმართავთ. თუ შეყვარებული ხართ, დაქორწინება დააჩქარეთ. მოერიდეთ ფულის ხარჯვას.

### კურო



საოჯახო და სამსახურებრივ საქმეებსაც საუკეთესოდ წარმართავთ. აზრთა სხვადასხვაობის გამო მეუღლესთან ხშირად იკამათებთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

### ტყუპები



ახალი ნაცნობობა სიყვარულში გადაიზრდება, მაგრამ მალევე გაგიცრუვდებათ იმედი და ისევ ძველ სიყვარულს დაუბრუნდებით. გაგიფუჭდებათ განწყობილება და გარშემო მყოფებსაც წაეჩხუბებით.

### კირჩხიბი



კარგი პერიოდია რომანტიკული თავგადასავლებისთვის. მეტი ყურადღება გამოიჩინეთ ოჯახის უხუცესი წევრების მიმართ. უქმეებზე მოერიდეთ მეგობრებთან კონფლიქტს.

### ლომი



საზღვარგარეთელ კოლეგებთან შეხვედრა თქვენთვის სარფიანად დასრულდება. შეძლებთ ახალი კონტაქტების დამყარებას და ბიზნესის გაფართოებას.

### ქალწული



პროფესიაში წარმატებას მიაღწევთ. საყვარელი ადამიანი რომანტიკული შეხვედრებით გაგანებივრებთ. გაგიუმჯობესდებათ ურთიერთობა კოლეგებთან.

### სასწორი



განწყობილებას სალონში ვიზიტითა და ახალი სამოსის შეძენით აიმაღლებთ. კარგი პერიოდია დიეტის დასაწყებად, ვარჯიშისთვის. ამბიციები და სურვილები თქვენს შესაძლებლობებს დაუქვემდებარეთ.

### მორიელი



მეტი დრო დაუთმეთ სწავლას. ნათესავებს შეხვდით და წინაპრებზე ესაუბრეთ. არ ეკონტაქტოთ ადამიანებს, რომლებიც გაღიზიანებენ. კვირის მეორე ნახევარში განწყობილება გაგიფუჭდებათ.

### მშვილდოსანი



ახალი ნაცნობები გეგმების რეალიზებაში დაგეხმარებიან. საქმეებს გავლენიანი მფარველების დახმარებით მოაგვარებთ. მოერიდეთ კონფლიქტს მეგობრებთან.

### თხის რქა



კარგი პერიოდია იურიდიული საბუთების მოსაწესრიგებლად. ახალი ნაცნობობა მეგობრობიდან სიყვარულში გადაიზრდება. ხელმძღვანელი და უფროსი ნათესავი თქვენგან მეტ სერიოზულობასა და პასუხისმგებლობას მოითხოვს.

### მერწყული



სტუდენტებს გაუუმჯობესდებათ ურთიერთობა ლექტორებთან. ხუთშაბათიდან კვირის ბოლომდე მეტი ყურადღება გმართებთ მუშაობისას და ავტომობილის მართვისას.

### თევზები



უამრავ ადამიანს დაუმეგობრდებით, მათ შორის — ინტერნეტით გაცნობილებსაც. ტრავმების თავიდან ასაცილებლად, მოერიდეთ ექსტრემალურ სიტუაციებს.

# ამოიცანით მამაკაცი

- თუ მამაკაცს ხორციანი ან კარტოფილიანი კერძები უყვარს, სანდო და მყარი ურთიერთობების მომხრეა. ეგზოტიკური კერძების მოყვარულს ურთიერთობებში რუტინა არ ხიბლავს.
- თუ მამაკაცი ტანსაცმელს ფერის მიხედვით ალაგებს, აკურატულია და თქვენგანაც იმავეს მოითხოვს. თუ სააბაზანოში, მისი გამოსვლის შემდეგ ქაოსია, ან ზარმაცია, ან სერიოზული ურთიერთობისთვის ჯერჯერობით მზად არ არის.
- თუ თქვენი მეგობარი ცაციაა, მის გვერდით არ მოიწყენთ, იგი შემოქმედი პიროვნებაა და ხშირად მოგიწყობთ სიურპრიზს.
- ნახევრად ან სრულიად მელოტი მამაკაცი ქალებთან ურთიერთობაში უფრო თბილი და ფაქიზია.
- თუ თქვენი რჩეული ოჯახში პირველი შვილია, მზრუნველია და პასუხისმგებლობის გრძნობაც აქვს. უმცროსი, უფრო ჭირვეული და „ბუნტისთავია“. შუათანა ყველასგან ყურადღებას მოითხოვს, მათ შორის — საყვარელი ქალისგანაც, უმცროსი — განებივრებულია.
- ტანდაბალი მამაკაცი ხშირად აგრესიულია, სამაგიეროდ, უფრო მებრძოლია. დაქორწინების შემდეგ კი საუკეთესო მეუღლე და მამა ხდება.
- მამაკაცი, რომელიც მოსაუბრეს თვალებში არ უყურებს, ბოლომდე გულწრფელი არაა. თუმცა, არც თვალის თვალში გასწორებაა მისი გულწრფელობის უტყუარი დასტური — უბრალოდ, ამით თანამოსაუბრეზე გავლენის მოხდენა სურს.
- მამაკაცები ლამაზ საყვარლებზე ოცნებობენ. ცოლად კი უბრალო გოგონები მოჰყავთ.
- ენაწყლიანი მამაკაცი ყველაფერს ილონებს თქვენს გასამხნევებლად. ხოლო თუ დინჯად ლაპარაკობს, დარწმუნებული იყავით, იმას გეუბნებათ, რასაც ფიქრობს.
- მამაკაცებს, რომლებსაც ეშინიათ ჭკვიანი და ძლიერი ქალების, ანეკდოტებს ქალების სისულელეზე ჰყვებიან.
- არაბებს ასეთი წესი ჰქონდათ: თუ მამაკაცი უარს ამბობდა საკუთარი მეუღლისათვის ყავის მოდულებაზე, ეს იყო მინიშნება, რომ იგი მალე განქორწინებას მოითხოვდა.



1. ცის დასალიერი
2. თავზე-დური გულახდი-ლობა
3. ქვეყანა ევროპაში
4. სამაგი-დო თამაში
5. მარჯვე, ეფექტური ილეთი
6. ზღვის კომბოსტო
7. ბიბლიუ-რი პერსო-ნაჟი
8. დაუმუ-შავებელი მიწა
9. კაციჭა-მია
10. ზედა და ქვედა ყბა ერთად
11. სამორი-ნე
12. ჭადრა-კის ფიგუ-რა
13. მდინა-რის სადი-ნარი
14. ლატვი-ის ფულის ერთეული
15. „მიცუ-ბიშის“ მოდელი
16. ეკლესი-იდან გან-დევნა
17. მნათო-ბი
18. კენკრო-ვანი მცენა-რე
19. მწერ-ლობა
20. ყვე-ლაფრის ხელაღებით უარყოფა
21. მხარე ისტ. სამ-ხრეთ საქარ-თველოში
22. ერთგვა-რი ქუდი
23. მაუგ-ლის მეგო-ბარი დათ-ვი
24. დიდი ბრიტანე-თის ნაწი-ლი
25. სურათი ზღვის ხედით
26. კუბურ-ესპანური ხალხური ცეკვა
27. ჯარი
28. მხარე საქართვე-ლოში
29. შავი ფისი
30. ტურ-გენევის მოთხრობა
31. ქვეყანა აფრიკაში
32. ქარ-თველთა წმინდანი
33. პატარა მოთხრობა
34. ინგლი-სის ფეხ-ბურთის გუნდი
35. ქიმ. ელემენტი, კაჟბადი
36. ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
37. თითი
38. ცივი იარაღი



**წინა ნომრის სკანვორდის პასუხები** 1. რქაწითელი; 2. ჰანოი; 3. წალდი; 4. ჰეგემონია; 5. ლაფონტენი; 6. ბროლი; 7. უთო; 8. წირი; 9. ასორტი; 10. დირე; 11. პანტა; 12. ესტაკადა; 13. ანტარქტიდა; 14. ამირეჯიბი; 15. კინო; 16. რეა; 17. ჩარდაში; 18. ხეტიალი; 19. სანა; 20. ალავერდი; 21. ჯემი; 22. ხალა; 23. პოლო; 24. ემი; 25. რძე; 26. კრუხი; 27. ლა; 28. ლია; 29. ხბო; 30. ბოლონია; 31. ლიახვი; 32. დაისი; 33. ლიმონი; 34. ნილოსი; 35. სმალტა; 36. აგრონომი; 37. სანგარი; 38. პრაღა; 39. ფინია; 40. ყია.
**სურათებზე:** რობერტ დენირო; ალ პაჩინო.

დასაწყისი იხ. გვ. 14

ვერსიტეტის სტუდენტებით აღარ შემოიფარგლოს. სწორედ აქეთ შეიძლება წარიმართოს ჩემი შემოქმედებითი სახელოსნოს აქტივობის ერთი ვექტორი.

— **პაატა ნაცვლიშვილის შემოქმედებით სახელოსნოზე მარტო „ობოობათიც“ შეიძლება ვიმსჯელოთ. ამავე დროს, ალბათ ამ სახელოსნოს დამსახურებაც არის, რომ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ჟურნალისტური სკოლა ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და პოპულარულია თბილისში...**

— რობაქიძის უნივერსიტეტის ჟურნალისტური სკოლის პრესტიჟულობა და პოპულარობა უწინარეს ყოვლისა, უნივერსიტეტის რექტორის და ამავე უნივერსიტეტის ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესორ ხათუნა კაჭარავას დამსახურებაა. ჟურნალ „ობოობას“ მაღალი ხარისხიც მათი დამსახურებაა და ისიც, რომ ჩემი შემოქმედებითი სახელოსნო ამ წლიდან სრულიად ახალ ფორმასა და ფუნქციას იძენს.

— **დიახ, ბევრმა უკვე გაიგო ამის შესახებ. როგორი იქნება პაატა ნაცვლიშვილის სახელოსნოს ახალი ფორმა და ფუნქცია?**

— აქამდე ჩემი ჟურნალისტური სახელოსნო სასწავლო პროგრამის შემადგენელი ნაწილი იყო და იქ მეცადინეობას ერთი სემესტრის მანძილზე კვირაში ორი საათი ეთმობოდა. მაგრამ დროთა ვითარებაში გამოჩნდა, რომ სახელოსნოს თავისი ჟურნალიანად გაცილებით მეტი პოტენცია ჰქონდა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, იგი ცალკე ერთეულად ჩამოეყალიბებინა. მათთვის, ვისაც სურს, სრულყოფილად დაეუფლოს ჟურნალისტის ხელობას, აიმაღლოს ჟურნალისტური ოსტატობა და გაეცნოს ჟურნალისტური ხელოვნების საფუძვლებს, სახელოსნომ უკვე გამოაცხადა მიღება სერტიფიცირებულ კურსებზე. კურსებზე მიიღებიან უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი ფაკულტეტების მესამე-მეოთხე დონის და მაგისტრატურის სტუდენტები, ბაკალავრები, მაგისტრები, დოქტორანტები, აგრეთვე, ბლოგერები და მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა თანამშრომლები. კურსები სამსაფეხურიანია — ხელობა, ოსტატობა, ხელოვნება. იმის მიხედვით, მომზადების რა დონე აქვს და რა სურს მსმენელს — ჟურნალისტური ხელობის სრულყოფილად დაუფლება, ოსტატობის ამაღლება თუ ჟურნალისტური ხელოვნების საფუძვლების გაცნობა, — გვექნება 6-თვიანი, 9-თვიანი და 12-თვიანი კურსები. მეცადინეობები ჯგუფურ-ინდივიდუალური იქნება და კვირაში ორჯერ, საღამოობით გაიმართება. მსმენელები მონაწილეობას მიიღებენ ჟურნალ „ობოობას“ მომზადებაში. ჩარიცხვა გასაუბრების საფუძველზე მოხდება და რობაქიძის უნივერსიტეტის სტუდენტებს გარკვეული შეღავათები ექნებათ. პირობები დაწვრილებით, რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საიტზეა გამოქვეყნებული.

— **ეს განცხადება სოციალურ ქსელშიც გავრცელდა. მას თქვენი ფოტო ახლავს, რომელზეც ხელში ლომის ბოკვერი გიჭირავთ. ძალიან გამჭვირვალე მინიშნებაა. „ობოობას“ პირველ ნომერშიც იყო თქვენი სახელოსნოს პატარა რეკლამა: „ხეზე ასვლის გაკვეთილები ახალგაზრდა ჟურნალომებისათვის“. თქვენი სახელოსნოს მსმენელებს მართლა ასწავლით ხეზე ასვლას?**

— ხეზე ასვლასაც ვასწავლი და ასასვლელად გამოსადეგი ხის არჩევასაც. ადამიანმა შეიძლება, ხეზე ასვლა იცოდეს, მაგრამ ხე ვერ აარჩიოს სწორად და ტყემალზე ასულმა ბლის კურკების სროლა დაიწყოს. ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, სერიოზულად კი გეტყვით, რომ ჩემს სახელოსნოში ჟურნალისტიკაზე მეოცნებე ახალგაზრდები თუ დამწყები ჟურნალისტები მრავალ პროფესიულ საიდუმლოებას ეზიარებიან და პრაქტიკულ გამოცდილებასაც შეიძენენ. თუმცა უკვე გითხარით, სწავლა-სწავლება ორმხრივი პროცესია და სწავლის მძებნელის აქტიურობასა და მონდომებაზეც ბევრია დამოკიდებული. მე ძალასა და ნერვებს არ დავზოგავ, არც ჩემი სახელოსნოს მსმენელებმა უნდა დაზოგონ დრო თუ ენერგია და ვინძლო მერე თავად ასწავლონ სხვებს ხეზე ასვლა. ■

# იაპონური სენსაცია sudoku

**„გზის“ წინა ნომერში გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9 | 7 | 8 | 3 | 5 | 4 | 2 | 1 | 6 |
| 1 | 5 | 3 | 6 | 2 | 9 | 4 | 8 | 7 |
| 4 | 2 | 6 | 7 | 8 | 1 | 5 | 3 | 9 |
| 5 | 9 | 4 | 2 | 3 | 8 | 7 | 6 | 1 |
| 3 | 8 | 7 | 1 | 6 | 5 | 9 | 4 | 2 |
| 2 | 6 | 1 | 4 | 9 | 7 | 3 | 5 | 8 |
| 8 | 1 | 2 | 5 | 7 | 3 | 6 | 9 | 4 |
| 7 | 3 | 9 | 8 | 4 | 6 | 1 | 2 | 5 |
| 6 | 4 | 5 | 9 | 1 | 2 | 8 | 7 | 3 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 6 | 1 | 7 | 2 | 8 | 4 | 9 | 5 | 3 |
| 8 | 9 | 3 | 1 | 5 | 6 | 4 | 2 | 7 |
| 2 | 4 | 5 | 7 | 3 | 9 | 8 | 1 | 6 |
| 4 | 8 | 6 | 5 | 9 | 3 | 2 | 7 | 1 |
| 1 | 5 | 2 | 6 | 7 | 8 | 3 | 9 | 4 |
| 3 | 7 | 9 | 4 | 1 | 2 | 5 | 6 | 8 |
| 5 | 6 | 4 | 3 | 2 | 1 | 7 | 8 | 9 |
| 9 | 2 | 1 | 8 | 4 | 7 | 6 | 3 | 5 |
| 7 | 3 | 8 | 9 | 6 | 5 | 1 | 4 | 2 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8 | 5 | 3 | 9 | 2 | 4 | 1 | 6 | 7 |
| 9 | 4 | 7 | 8 | 6 | 1 | 3 | 5 | 2 |
| 6 | 1 | 2 | 5 | 7 | 3 | 4 | 8 | 9 |
| 2 | 7 | 4 | 1 | 3 | 8 | 6 | 9 | 5 |
| 5 | 8 | 1 | 6 | 9 | 2 | 7 | 4 | 3 |
| 3 | 6 | 9 | 7 | 4 | 5 | 2 | 1 | 8 |
| 4 | 9 | 8 | 2 | 1 | 7 | 5 | 3 | 6 |
| 7 | 3 | 5 | 4 | 8 | 6 | 9 | 2 | 1 |
| 1 | 2 | 6 | 3 | 5 | 9 | 8 | 7 | 4 |

* მარტივი

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | | 5 | | | 9 |
| | 5 | | 3 | | | | | 2 |
| | 6 | | 2 | | | | | 4 |
| 5 | | 1 | | 3 | | 2 | | |
| 6 | | | 9 | 7 | | | | 1 |
| | | 7 | 1 | | | 3 | | 6 |
| 1 | | | | | 3 | | 8 | |
| 9 | | | | | 1 | | 4 | |
| 4 | | | 7 | | | | | 3 |

** საშუალო

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 3 | | | 6 | | 9 | |
| | 5 | | | 4 | | 6 | | |
| 2 | | | | | 5 | 7 | 8 | |
| | 6 | | | | 1 | 5 | | |
| 7 | | | | 9 | | | | 1 |
| | | 4 | 3 | 5 | | | 7 | |
| | 8 | 9 | 4 | | | | | 2 |
| | | 7 | | 6 | | | 1 | |
| | 4 | | 5 | | | 9 | | |

*** რთული

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 7 | | | | 5 | | | 1 | |
| | | 5 | | 1 | | 2 | 8 | |
| | | 9 | | 7 | | | | 4 |
| 4 | | | 7 | | 9 | | 3 | |
| | 3 | | | 8 | | | 9 | |
| | 8 | | | | 4 | | | 2 |
| 6 | | | | 9 | | 5 | | |
| | 9 | 2 | | 4 | | 8 | | |
| | 7 | | | 6 | | | | 1 |

# ფოტოკურიოზები















უკვე გამოსული ტომები შეგიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიებში!
წიგნი
რომელიც უნდა წაიკითხო, სანამ ცოცხალი ხარ!
სახელი, გვარი:
პროფესია:
ასაკი: 74 წლის
31 ოქტომბრიდან – 7 ნოემბრამდე
1984
ჯორჯ ორუელი
14-დან 21 ნოემბრამდე
სტენდალი
გუსტავ ფლობერი
მადამ ბოვარი
წიგნი 22
გუსტავ ფლობერი
17-დან – 24 ოქტომბრამდე
მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის წიგნის სპეციალური ფასი – 7 ლარი